ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4.1982

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

4.1982

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (*რედაქტორის მოადგილე*), რ. კიკნაძე (*რედაქტორის მოადგილე*), გ. მელიქიშვილი (*რედაქტორი*), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

**პასუხისმგებელი მდივანი** გ. ლორთქიფანიძე,
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 19.8.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.12.1982;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108$^{1}/_{16}$; ნაბეჭდი თაბახი 19.6;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.8;

უე 05874; ტირაჟი 1100;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

# შ ი ნ ა ა რ ს ი


საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან I

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნიტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს I

საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ . . . . . III

ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა . . . . . IV

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა . . . V

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი . VII

სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე . VIII


## სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი


ი. ჩიქავა, სსრ კავშირის შექმნის დიადი 60 წელი . . . . . 5

ი. ბაბალაშვილი, საბჭოთა კავშირის შექმნის მნიშვნელობა ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის . . . . . 18

ძ. ნათმელაძე, სსრ კავშირის შექმნის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის . . . . . 35

ე. კუპატაძე, საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ.) . . . . . 43

ძ. თოგოშვილი, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მშრომელთა ურთიერთობა დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.) . . . . . 58

ა. სონღულაშვილი, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე . . . . . 65


## წერილები


შ. ნოზაძე, ეროვნული უმცირესობანი საქართველოში და ღონისძიებანი მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის (1921—1937 წწ.) . . . . . 76

ნ. კომახიძე, თურქეთ-ლიბიის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი თანამედროვე ეტაპზე . . . . . 87

ნ. გეტაშვილი, კ. მარჯანიშვილის დადგმები კომიკური ოპერის თეატრში . . . . 94

ვ. გოცილაძე, ამიერკავკასიაში სახანიანთა მმართველობის ახახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში . . . . . 105

ნ. მაისურაძე, ქართული მუსიკალური დიალექტების შესახებ . . . . . 125

ბ. ჯორბენაძე, ჟალეთის მთის არქეოლოგიური ძეგლები . . . . . 130


## ცნობები და შენიშვნები


ბ. არახამია, „ძეგლი ერისთავთა“-ს ერთი წყაროს საკითხისათვის . . . . 154

ზ. გუნიატოვი, კიდევ ერთი უცნობი ფურცელი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან . . . . . 160

ზ. სხირტლაძე, ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლი ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში . . . . . 164


## დისკუსია და განხილვა


ი. ანთელავა, „ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისა და ავტორის შესახებ . 184


## საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი


შ. ხანთაძე, ორი იუბილე (თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს შემოქმედებითი ურთიერთობის შესახებ) . . . . . 192


## ქრონიკა და ინფორმაცია


ლ. დავლიანიძე, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის „საისტორიო ფილოლოგიური ჟურნალი“ 1981 წელს . . . . . 206

# СОДЕРЖАНИЕ

От Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза, от Президиума Верховного Совета СССР, от Совета Министров Советского Союза . . . . . I
Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу . . . . . I
Информационное сообщение о пленуме Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза . . . . . III
Речь товарища Ю. В. Андропова . . . . IV
Речь товарища К. У. Черненко . . . . . V
Юрий Владимирович Андропов . . . . . VII
Траурный митинг на Красной площади . . . . . VIII

## 60-ЛЕТИЕ ОБРАЗОВАНИЯ СССР

П. ЧИКАВА, **Величие 60-летия образования СССР** . . . . . 5
И. БАБАЛАШВИЛИ, **Значение образования СССР для укрепления обороны страны** . . . . . 18
М. НАТМЕЛАДЗЕ, **Значение образования СССР для экономического развития страны** . . . . . 35
Э. КУПАТАДЗЕ, **Боевое содружество народов Советского Союза в годы Великой Отечественной войны 1941—1945 гг.** . . . . . 43
М. ТОГОШВИЛИ, **Взаимоотношения трудящихся Грузии и Северного Кавказа в период Великой Отечественной войны 1941—1945 гг** . . . 53
А. СОНГУЛАШВИЛИ, **Вопросы интернационального воспитания трудящихся в Грузии на современном этапе** . . . . . 65

## СТАТЬИ

Ш. НОЗАДЗЕ, **Национальные меньшинства в Грузии и мероприятия по их экономическому и культурному развитию** . . . . . 76
Н. КОМАХИДЗЕ, **Турецко-ливийские торгово-экономические отношения на современном этапе** . . . . . 87
Н. ГЕТАШВИЛИ, **Постановки К. А. Марджанишвили в Театре комической оперы** . . . . . 94
В. ГОИЛАДЗЕ, **Правление Сасанидов в Закавказье и грузинская историческая традиция** . . . . . 105
Н. МАЙСУРАДЗЕ,**О грузинских музыкальных диалектах** . . . . . 123
Б. ДЖОРБЕНАДЗЕ, **Археологические памятники Жалетской горы** . . 139

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. АРАХАМИЯ, **Об одном источнике «памятника эриставов»** . . . 154
З. БУНИЯТОВ, **Еще одна неизвестная страничка из истории средневековой Грузии** . . . . . 160
З. СХИРТЛАДЗЕ, **Апокрифический цикл жития богоматери в росписи Бертубанского храма** . . . . . 164

## ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

И. АПТЕЛАВА,**О датировке и авторе «Распорядка государева двора»** . 184

## ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

Ш. ХАНТАДЗЕ, **Два юбилея (о творческом сотрудничестве Теймураза Багратиони и Мари Броссе)** . . . . . 192

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Л. ДАВЛИАНИДЗЕ, **«Историко-филологический журнал» Академии наук Армянской ССР в 1981 г.** . . . . . 206



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს, რომ 1982 წლის 10 ნოემბერს დილის 8 საათსა და 30 წუთზე უეცრად გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის — დიადი ლენინური საქმის ერთგული განმგრძობის, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ადამიანებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

## მ ი მ ა რ თ ვ ა

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელოვანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებიცაა. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიადი იდეალებისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითს. მას ეკუთვნის უთვალსაჩინოესი როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განსაზღვრასა და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

წარუვალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამსახურება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზ-

მის აგრესიული ხრიკების მტკიცედ უკუგდების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიდია მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შექმნაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

სანამ ლეონიდ ილიას ძის გული ძგერდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს. მშრომელთა მასებთან იგი მუდამ იყო განუყრელად დაკავშირებული. კომუნისტთა, ყველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში იგი იყო და დარჩება ლენინური იდეურობის, თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და პუმანიზმის განსახიერებად.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდია ჩვენი შეწუხარება. ამ გლოვის ჟამს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაუოფიერი გავლენით. ხალხს სჯერა პარტიის, მისი მძლავრი კოლექტიური გონებისა და ნების, მთელი გულით უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ლენინის დროშა. ოქტომბრის დროშა, რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოვიპოვეთ, საიმედო ხელშია.

პარტია და ხალხი შეიარაღებული არიან სკკპ XXIII—XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც ყოველნაირად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური შეგობრობის განმტკიცებისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური წრთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ხალხის ნება მშვიდობისადმი. არა ომისათვის მზადება, რომელიც ხალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა უმიზნო ხარჯვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — აი ხვალინდელი დღის შუქურვარსკვლავი. ამ კეთილშობილური იდეით არის გამსჭვალული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიან თანაარსებობას, უბიძგონ ხალხებს მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ. მაგრამ ეს ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დავიცვათ მშვიდობა. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამხედრო ავანტიურების მოყვარულებმა საბჭოთა ქვეყანას მოუმზადებელს არ მოუსწრონ, რომ პოტენციურმა აგრესორმა იცოდეს: მას გარდაუვალად ელის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ეურდნობა თავის ძლიერებას, იჩენს უდიდეს სიფხიზლესა და თავდაჭერილობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შეუპოვრად იბრძოლებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან აცილოს ბირთვული ომის საფრთხე, იბრძოლებს დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, ყველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამოხატავს კაცობრიობის ძირეულ საარსებო ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეკუთვნის.

საბჭოთა ხალხს პარტია მიაჩნია თავის ნაცად კოლექტიურ ბელადად. ბრძენ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად. მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სამსახური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრია. პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა იყო და არის საბჭოთა საზოგადოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვალისჩინივით უფრთხილდება მშრომელთა ნდობას, დღენიადაგ განმტკიცებს თავის კავშირს მასებთან. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია მოვლენების ყოველი შემობრუნების დროს, ყოველი განსაცდელის დროს თავისი ისტორიული მისიის სიმაღლეზე რჩება. ლეო-

ჩიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად განხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოიჩენენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყოფენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

## საინფორმაციო ცნობა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1982 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრებმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას პატივი სცეს წუთიერი მწუხარე დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის წევრი იყო 50 წელზე მეტ ხანს, აქედან 18 წელს — მისი ხელმძღვანელის პოსტზე, უდიდესი წვლილი შეიტანა პარტიის რიგების მონოლითურობის, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. უაღრესად დიდია მისი როლი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელი, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიადი მიღწევები, — ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენა, კოსმოსის კვლევა, ყველა წარმატება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, სამუდამოდ შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორიაში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ. მან წამოაყენა წინადადება, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი. მან გულითადი მადლობა მოახსენა ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დიდი ნდობისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე არჩევისათვის.

**ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, კომუნისტურ პარტიას, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოახმარს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებას, მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფას სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, მთელი ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის დროს ხორციელდებოდა.**

**ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.**

## ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

ჩვენმა პარტიამ და ქვეყანამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. შეწყდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მგზნებარე კომუნისტის, საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულის ძგერა.

გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე. ჩვენს რიგებს გამოაკლდა ამხანაგი და მეგობარი, დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი, გამგები და კეთილმოსურნე, გულისხმიერი და ღრმად ჰუმანური ადამიანი. საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, უკომპრომისო მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ბრძნული წინდახედულება პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა მიღებაში, პრინციპულობა და გამბედაობა ისტორიის მკვეთრ ცვლილებათა ჟამს, ადამიანებისადმი უცვლელი პატივისცემა, გულისხმიერება და ყურადღება — აი ის შესანიშნავი თვისებები, რომლებისთვისაც აფასებდნენ და უყვარდათ ლეონიდ ილიას ძე პარტიასა და ხალხს.

გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი სცეთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნათელ ხსოვნას.

ლეონიდ ილიას ძე ამბობდა, რომ მისი ცხოვრების თითოეული დღე განუყოფელია იმ საქმეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ქვეყანა. და ეს მართლაც ასე იყო.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღდგენა, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევა — ყველა ეს დიადი ნიშანსვეტი საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის გზაზე, ამავე დროს კომუნისტ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებია.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან და საქმეებთან განუხრელად არის დაკავშირებული დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძლიერების ზრდა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილეობა ჩვენს ეპოქაში კაცობრიობის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში, მსოფლიოში ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის მთელი ძალების სოლიდარობის განმტკიცება. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მარად ემახსოვრება მადლიერ კაცობრიობას როგორც თანამიმდევრული მგზნებარე და დაუცხრომელი მებრძოლი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმ მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, რომელიც კაცობრიობას შეექმნა.

კარგად ვიცით, რომ მშვიდობას იმპერიალისტებს ვერ გამოსთხოვ. იგი უნდა დავიცვათ მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ურყევ ძლიერებაზე დაყრდნობით. როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, როგორც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ნიადაგ უთმობდა ყურადღებას იმას, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ყოფილიყო.

აქ, ამ დარბაზში, შეიკრიბნენ ისინი, ვინც შედის ჩვენი პარტიის შტაბში, რომელსაც თვრამეტ წელს უცვლელად ედგა სათავეში ლეონიდ ილიას ძე. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რამდენი ძალ-ღონე შეალია და სულის მგზნებარება ჩააქსოვა მან ერთსულოვანი, კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციას, იმას, რომ ეს შტაბი კვალავდეს უტყუარ ლენინურ კურსს. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ლეონიდ ილიას ძემ იმ ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკუ-

რი ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც დღეს ახასიათებს ჩვენი პარტიის ცხოვრებასა და საქმიანობას.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან დაკავშირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად ჩვენი პარტიის პრინციპული ბრძოლა, განვითარებული სოციალიზმის თეორიის შემუშავება, კომუნისტური მშენებლობის ყველაზე აქტუალური ამოცანების გადაწყვეტის გზების განსაზღვრა. მის მოღვაწეობას მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში სამართლიანად მისცეს უმაღლესი შეფასება მოძმე პარტიებმა, ჩვენმა საზღვარგარეთელმა კლასობრივმა ძმებმა, სოციალიზმისათვის, კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, დიადი კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ჩვენმა თანამებრძოლმა ამხანაგებმა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიცოცხლე შეწყდა მაშინ, როცა მისი აზრები, მეცადინეობა მიმართული იყო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების იმ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტისადმი, რომლებიც განსაზღვრეს სკკპ XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა. ამ ამოცანების შესრულება, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის თანამიმდევრული განხორციელება, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. და ეს იქნება ჩვენს რიგებს გამოკლებული ხელმძღვანელის ნათელი ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა.

დიდია ჩვენი მწუხრება. მძიმეა ჩვენი დანაკლისი.

ამ ვითარებაში თითოეული ჩვენგანის, თითოეული კომუნისტის ვალია კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშიროს ჩვენი რიგები, კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავის პოსტზე, თავის ცხოვრებაში რაც შეიძლება მეტი გააკეთოს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა თავის კომუნისტურ პარტიას. ენდობა იმიტომ, რომ მისთვის არ ყოფილა და არც არის სხვა ინტერესები, გარდა საბჭოთა ადამიანების საარსებო ინტერესებისა. გაამართლო ეს ნდობა. ნიშნავს იარო წინ კომუნისტური მშენებლობის გზით, იღვწოდე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს ისეთი ძალა, რომელიც გვეხმარებოდა და გვეხმარება უმძიმეს მომენტებში, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ურთულესი ამოცანები. ეს ძალაა ჩვენი პარტიული რიგების ერთიანობა, ეს ძალაა პარტიის კოლექტიური სიბრძნე, მისი კოლექტიური ხელმძღვანელობა, ეს ძალაა პარტიისა და ხალხის ერთიანობა.

ჩვენი პლენუმი დღეს იმისთვის შეიკრიბა, რომ პატივი სცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას და უზრუნველყოს იმ საქმის განგრძობა, რომელსაც მან თავისი სიცოცხლე შეალია.

პლენუმმა უნდა გადაწყვიტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ვთხოვ ამხანაგებს, გამოთქვან აზრი ამ საკითხზე.

## ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

პოლიტბიურომ დამავალა გამოვსულიყავი ცენტრალური კომიტეტის ამ რიგგარეშე პლენუმის მონაწილეთა წინაშე.

ჩვენს ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმს ნამდვილად საგანგებო ხასიათი აქვს. ქვეყანა და პარტია დიდად დამწუხრებული არიან. გარდაიცვალა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

საბჭოთა ხალხმა დაკარგა გამოჩენილი ხელმძღვანელი, რომელიც თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე მეთაურობდა პარტიასა და სახელმწიფოს, მთელ ძალ-ღონესა და უდიდეს ნიჭს ახმარდა საბჭოთა ადამიანების ბედნიერებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცობრიობამ დაკარგა მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის იდეალებისათვის დიდი, ჭეშმარიტად დაუცხრომელი მებრძოლი. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებმა, ჩვენმა ძმებმა სოციალისტურ ქვეყნებში, ჩვენმა თანამებრძოლებმა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში დაკარგეს ლენინის საქმის ნიჭიერი განმგრძობი, ადამიანი, რომლისაგანაც

ვსწავლობდით მშრომელთა ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

ენით უთქმელია ჩვენი მწუხარება ამ დანაკლისის გამო, მაგრამ ამ გლოვის ჟამს დიდ ნუგეშს გვცემს ყველასათვის ძვირფასი ლეონიდ ილიას ძის ცხოვრების გაკეთილები.

ლეონიდ ილიას ძეს სრულად ჰქონდა მომადლებული ნიჭი მთლიანად ეცხოვრა საზოგადოების ინტერესებით, ხალხის ინტერესებით. ასე იყო ყოველთვის, ჰაბუკობის წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ლეონიდ ილიას ძემ კარგად იცოდა, რომ მარტო კეთილი სურვილები ლიტონი სიტყვებია. არ კმარა გამოთქვა სწორი აზრები, საჭიროა განამტკიცო ისინი ზუსტი ორგანიზატორული მუშაობით, გასაგები და მისაწვდომი გახადო მშრომელთა ფართო მასებისათვის. მას უყვარდა ადამიანები. იგი ენდობოდა ადამიანებს.

ლეონიდ ილიას ძე ვაჟკაცური სულის ადამიანი იყო. მან დაამტკიცა ეს არა მარტო დიდ სამამულო ომში, რომელიც განელო პირველიდან უკანასკნელ დღემდე. ვაჟკაცობას ერთხელაც არ უღალატია მისთვის მთელი ცხოვრების გზაზე. იგი დიდად, მეტად დიდად აფასებდა თითოეულ ამხანაგში გამბედაობას, პრინციპულობას, სიმტკიცეს ყოველგვარი განსაცდელის ჟამს.

ლეონიდ ილიას ძის გვერდით ყოფნა, მისი მოსმენა, მისი მახვილი გონების, გამჭრიახობის, სიცოცხლის ტრფიალის თვალნათლივ შეგრძნება იყო სკოლა ყველა ჩვენგანისათვის, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება მის მხარდამხარ ემუშავა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ფასდაუდებელ მემკვიდრეობას გვიტოვებს. ჩვენი 18-მილიონიანი პარტია ერთიანი და შეკავშირებულია. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ სწამს პარტიის სიბრძნისა. ჩვენი ცხოვრების ნორმები გახდა მომთხოვნელობა და პატივისცემა კადრებისადმი, ურღვევი დისციპლინა და გაბედული სასარგებლო ინიციატივების მხარდაჭერა, შეურიგებლობა ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი და მჭიდროვი ზრუნვა მასებთან კავშირის განვითარებისათვის, საბჭოთა საზოგადოების ნამდვილი დემოკრატიზმისათვის.

ვუფრთხილდებოდეთ და ვავითარებდეთ ხელმძღვანელობის ამ სტილს, თვალისჩინივით ვიცავდეთ ყველაფერს, რაც თაეისი სიტყვითა და საქმით ლეონიდ ილიას ძემ გვიანდერძა, — ჩვენი ვალია მისი ხსოვნის წინაშე, ჩვენი ვალია პარტიისა და ქვეყნის წინაშე. მტკიცე საწინდარი იმისა, რომ ასე იქნება, არის პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, რომელიც ჩამოუყალიბდა ლეონიდ ილიას ძის გადამწყვეტი მონაწილეობით.

პოლიტბიუროს სახელით მინდა გამოვთქვა უღრმესი რწმენა, რომ ჩვენი პლენუმი მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს, რომ პარტია კვლავაც მტკიცედ იცავს ლენინური კურსით, რომელიც თანამედროვე ეტაპზე მკაფიოდ და სრულად არის გამოხატული სკკპ XXIII—XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებით. ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომლის შემუშავებასა და შესრულებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, განხორციელდება მტკიცედ, თანამიმდევრულად და მიზანდასახულად.

ჩვენი ორიენტირები იყო, არის და იქნება ხალხის კეთილდღეობა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება.

ჩვენ გვაქვს ვრცელი, კარგად აწონილ-დაწონილი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა. ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს, ასეთია პარტიის მითითება. ეს კი ნიშნავს ინდუსტრიული და აგრარული სექტორების ტექნიკურ განახლებას, მართვის სრულყოფას და, რა თქმა უნდა, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მისი ნაყოფიერების ზრდას. ამ ბაზაზე განუხრელად განვითარდება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკა, გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ამავე ბაზაზე განმტკიცდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ჩვენ გვაქვს ოთხმოციანი წლების ვრცელი კონკრეტული სამშვიდობო პროგრამა. იგი შეესაბამება ხალხის მისწრაფებებს. დაძაბულობის შენელება, განიარაღება, კონფლიქტური სიტუაციების დაძლევა, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთა — აი ამოცანები, რომლებსაც ვისახავთ. ჩვენ გვინდა საიმედო უშიშროება ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

ყველა ჩვენგანს, ალბათ, შეგნებული აქვს, რომ მეტად ჭირს იმ დანაკლისის შევსება, რომელსაც ლეონიდ ილიას ძის გარდაცვალების გამო განვიცდით. ახლა ორკეცად, სამკეცად უფრო საჭიროა კოლექტიურად გავუძღვეთ პარტიის საქმეს. ყველა პარტიულ ორგანოში ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფს შემდგომ წარმატებებს როგორც კომუნისტურ მშენებლობაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს საქმიანობაშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა შექმნილი ვითარება და დამა-



ვალა პლენუმს შეეთავაზო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიოს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. საჭიროდ არ მიმაჩნია გიამბოთ მისი ბიოგრაფია. იური ვლადიმერის ძეს კარგად იცნობენ პარტიასა და ქვეყანაში როგორც ლენინური პარტიის საქმისათვის თავდადებულ, ერთგულ კომუნისტს, როგორც ლეონიდ ილიას ძის უახლოეს თანამებრძოლს.

იური ვლადიმერის ძეს აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, იდეოლოგიის დარგში მრავალმხრივი საქმიანობის გამოცდილება. იგი იყო კომკავშირული ხელძღვანელიც და დიდი პარტიული მუშაკიც, დიპლომატიც. იგი საკმაოდ გაისარჯა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ლეონიდ ილიას ძე დიდად აფასებდა მის ბარქსისტულ-ლენინურ მრწამსს, პარტიულობას, ფართო გონებრივ ჰორიზონტს, მის შესანიშნავ საქმიან და ადამიანურ თვისებებს. პოლიტბიუროს ყველა წევრს მიაჩნია, რომ იური ვლადიმერის ძემ კარგად შეითვისა ხელმძღვანელობის ბრეჟნევისეული სტილი, ხალხის ინტერესებისათვის ბრეჟნევისეული ზრუნვა, კადრებისადმი ბრეჟნევისეული დამოკიდებულება, მტკიცე გადაწყვეტილება შთელი ძალებით წინააღუდგეს აგრესორთა ხრიკებს, დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა.

იური ვლადიმერის ძისათვის დამახასიათებელია პარტიული თავმდაბლობა, სხვა ამხანაგების აზრის პატივისცემა და კოლექტიური მუშაობისადმი მისწრაფება. პოლიტბიუროს ერთსულოვანი აზრით, ამხანაგი ანდროპოვი ღირსია ცენტრალური კომიტეტის ნდობის, პარტიის ნდობის.

ძვირფასო ამხანაგებო! თავს ვხრით რა ლეონიდ ილიას ძის ნათელი ხსოვნის წინაშე, ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ დაუცხრომლად განვაგრძობთ ჩვენს აღმშენებლობითს მუშაობას. ყველაფერი, რის დამთავრებაც ვერ მოასწრო ლეონიდ ილიას ძემ, ყველაფერი, რაც მისი ხელმძღვანელობით დასახა პარტიამ აღსრულდება.

## იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

**იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი** დაიბადა 1914 წლის 15 ივნისს რკინიგზელის ოჯახში სტავროპოლის მხარის სადგურ ნაგუტსკაიაში. აქვს უმაღლესი განათლება. სკკპ წევრია 1939 წლიდან.

თექვსმეტი წლის კომკავშირელი იყო, როცა ი. ვ. ანდროპოვმა მუშად დაიწყო მუშაობა ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ქალაქ მოზდოკში. შემდეგ მისი შრომითი ბიოგრაფია გაგრძელდა ვოლგის სანაოსნოს გემებზე, სადაც მეზღვაურად მუშაობდა.

1936 წლიდან ი. ვ. ანდროპოვი კომკავშირულ სამუშაოზეა.

იგი არჩეული იყო იაროსლავლის ოლქის ქალაქ რიბინსკის სანაოსნო ტრანსპორტის ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად. მალე დააწინაურეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგის თანამდებობაზე ქალაქ რიბინსკის ვოლოდარსკის ჯახელობის გემთსაშენში. 1938 წელს იაროსლავლის ოლქის კომკავშირელებმა ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სრულიად საკავშირო ალკკ იაროსლავლის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1940 წელს ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ კარელიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ი. ვ. ანდროპოვი კარელიაში პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. 1944 წელს, ფაშისტ დამპყრობთაგან პეტროზავოდსკის განთავისუფლების შემდეგ, ი. ვ. ანდროპოვი პარტიულ სამუშაოზეა. მას ირჩევენ პარტიის პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად, 1947 წელს კი კარელიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1951 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გადაჰყავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში და ნიშნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად, შემდეგ კი ქვეგანყოფილების გამგედ.

1953 წელს პარტიამ ი. ვ. ანდროპოვი დიპლომატიურ სამუშაოზე გაგზავნა. რამდენიმე წელს იყო იგი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1957 წელს ი. ვ. ანდროპოვი დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ.

პარტიის XXII და მომდევნო ყრილობებზე ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1962 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

1967 წლის მაისში ი. ე. ანდროპოვი ინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ. იმავე წლის ივნისში იგი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

1982 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1973 წლის აპრილიდან ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის მთელი რიგი მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით იღვწოდა ი. ე. ანდროპოვი, ვლინდებოდა მისი ერთგულება ლენინის, პარტიის დიადი საქმისადმი. იგი მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ი. ვ. ანდროპოვს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს — 1974 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და წითელი დროშის ორდენებით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

# სამგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე

## ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

მძიმე დანაკლისი განიცადეს ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ. დღეს ვეთხოვებით ჩვენი სამშობლოს სახელოვან შვილს, მგზნებარე მარქსისტ-ლენინელს, კომუნისტური პარტიისა დ საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უთვალსაჩინოეს მოღვაწეს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, ღრმა თანაგრძნობა გამოვუცხადო ლეონიდ ილიას ძის ოჯახსა და ახლობლებს.

ლეონიდ ილიას ძე ეკუთვნოდა იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა პლეადას, რომლებიც აღიზარდნენ და გამოიწვრთნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დამკვიდრებისათვის, ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის წლებში.

მუშა და მეომარი, გამოჩენილი ორგანიზატორი და ბრძენი პოლიტიკური მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ხალხთან სისხლხორცეულად, განუყრელად იყო დაკავშირებული. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესების სამსახურს. მთელი თავისი ხალასი ნიჭი, მთელი თავისი უდიდესი ენერგია მან მოახმარა სოციალიზმის — თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის, მშრომელი ადამიანების ძმობის საზოგადოების საქმეს.

პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის უმაღლეს პოსტებზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი. მისი ხელმძღვანელობით მუშაობდებოდა და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა პარტიის პოლიტიკა, რომელიც გამსჭვალულია მუდმივი ზრუნვით მშრომელი ადამიანისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მტკიცედ დამკვიდრდა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმები, ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობის სასიკეთო ატმოსფერო.

ხალხის მეხსიერებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი სამუდამოდ დარჩება როგორც მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის გამოჩენილი მებრძოლი. იგი თანამიმდევრულად, სულის მთელი მგზნებარებით იბრძოდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ კაცობრიობა ეხსნა ბირთვული ომის საფრთხისაგან, განემტკიცებინა სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირება და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ამხანაგებო! ამ მწუხარების ჟამს, როცა ვეთხოვებით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, მთელი ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი აცხადებენ, რომ ურყევად აქვთ გადაწყვეტილი მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელონ ის სტრატეგიული გეზი სა-

შინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომელიც შემუშავდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაყოფიერი გაელენით.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი კოლექტიური ხელმძღვანელობის გარშემო, აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ პარტიის პოლიტიკას, უსაზღვროდ ენდობიან მას. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლოს ხალხის ცხოვრების დონე, განავითაროს საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლები, განამტკიცოს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, დაამკვიდროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოძმე ხალხთა მეგობრობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტი განუხრელად განახორციელებს პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხის ნებას.

ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოების დიადი თანამეგობრობის შეკავშირება, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა რიგების ერთიანობა საერთო მიზნებისა და იდეალებისათვის ბრძოლაში. ჩვენ შევინარჩუნებთ და განვავითარებთ სოლიდარობასა და თანამშრომლობას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებთან, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლასთან. ყოველთვის ვიქნებით მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საქმის ერთგული.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა იმპერიალიზმის ძალები ცდილობენ ხალხებს უბიძგონ მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ, პარტია და სახელმწიფო ურყევად დაიცავენ ჩვენი სამშობლოს საარსებო ინტერესებს, უზრუნველყოფენ დიდ სიფხიზლეს, მზადყოფნას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ აგრესიის ყოველგვარ ცდას. ისინი ამრავლებენ თავიანთ მეცადინეობას ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში, განამტკიცებენ თანამშრომლობას პლანეტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან. ყოველთვის მზად ვართ ყველა სახელმწიფოსთან, ვინც ამას მოისურვებს, პატიოსანი, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

ამ მწუხარების დღეებში განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხისადმი სოციალიზმის ქვეყნების მშრომელების, მოძმე პარტიების, სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლის მხარდაჭერასა და სოლიდარობას. მადლობელი ვართ მათი ამისათვის. ვემადლიერებით აგრეთვე ყველა კონტინენტის ბევრი ქვეყნის მთავრობებსა და ხალხებს, რომლებმაც ამ დღეებში პატივი სცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ აცხადებს, რომ მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის საქმისადმი, კომუნიზმისა და მშვიდობის საქმისადმი სამსახური, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, არის და კვლავაც იქნება მთელი მისი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრი.

მშვიდობით, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! შენი ხსოვნა არასდროს არ ჩაქრება ჩვენს გულში, შენი საქმე გაგრძელდება ჩვენი პარტიისა და ხალხის მიღწევებში!

## დ. თ. უსტინოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ ძნელ ჟამს ჩვენ ყველანი დიდ მწუხარებას განვიცდით. ჩვენგან წავიდა ჩვენი ამხანაგი და თანამებრძოლი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მთელი დიდი და ნათელი ცხოვრება უკლებლივ მოხმარდა ხალხს, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს. იგი სამარადჟამოდ დარჩება ყველა საბჭოთა ადამიანისათვის იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იმუშაოს ერთგულმა ლენინელმა, ნამდვილმა კომუნისტმა, ჰეშმარიტმა პატრიოტმა და ინტერნაციონალისტმა.

კაცობრიობის მადლიერ ხსოვნაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დარჩება როგორც დაძაბულობის შენელების გამოჩენილი ხუროთმოძღვარი, როგორც მშვიდობის დაუცხრომელი და უდრეკი მებრძოლი.

დიდი სამამულო ომის პირველიდან ბოლო დღეებამდე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ფრონტზე იყო. საბრძოლო ვითარების ყვე-

ლაზე ძნელ პირობებში პირადი მაგალითითა და მგზნებარე პარტიული სიტყვით მიუძღვოდა მეომრებს გამარჯვებისაკენ. ლეონიდ ილიას ძე უშუალოდ მონაწილეობდა ბევრი ოპერაციის გეგმების შედგენასა და განხორციელებაში, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა ჯარებში.

მან უდიდესი წვლილი შეიტანა სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღდგენაში. ლეონიდ ილიას ძის სახელთან დაკავშირებულია სსრ კავშირში განვითარებული სოციალიზმის აშენება, ჩვენი სამშობლოს უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები. დიდ ძალ-ღონესა და ენერგიას ახმარდა ლეონიდ ილიას ძე რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის შექმნის სამუშაოებს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი შეუნელებელ ყურადღებას უთმობდა ჩვენი ქვეყნის საიმედო თავდაცვისუნარიანობის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების უზრუნველყოფას! იგი ყოველდღიურად ზრუნავდა საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის. უაღრესად ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვე სამხედრო ტექნიკით არმიისა და ფლოტის აღჭურვას, უმაღლეს დონეზე მათი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას.

საბჭოთა ხალხის დიდი შვილი — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასთან მთელი თავისი ცხოვრებით, მთელი თაისი მუშაობით, კარგად იცნობდა და ღრმად ესმოდა მშრომელი კაცის საზრუნავი და საჭიროებანი. იგი იცნობდა ჯარისკაცის ცხოვრებასაც დღენიადაგ, მამობრივად ზრუნავდა არმიისა და ფლოტის მეომრებისათვის. მეომრებიც ამ ზრუნვას დიდი სიყვარულით უპასუხებდნენ.

ამხანაგებო!

ამ დღეებში შეიარაღებული ძალების მეომრები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მუდამ მტკიცედ ვუერთგულებთ ოქტომბრის იდეებს, მუდამ ერთად ვიღვაწებთ კომუნისტური მშენებლობის დიადი მიზნების მისაღწევად.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები იყო და კელავ იქნება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ფაქტორი. ისინი მუდამ მზად არიან დაიცვან ჩვენი საზღვრების ხელშეუვალობა და საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, პირნათლად მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი.

ამ მწუხარების ჟამს საბჭოთა კავშირის მარშალის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კუბოსთან საბჭოთა შეიარაღებული ძალები ძირს ხრიან საბრძოლო დროშებს.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

შენი ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში, კომუნისტური პარტიის საქმეებსა და საბჭოთა ხალხის მიღწევებში!

## ა. პ. ალექსანდროვის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგებო!

მთელ ხალხთან ერთად საბჭოთა მეცნიერები ღრმად დაამწუხრა თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალებამ. ისევე, როგორც თაეის დროზე დიდ ლენინს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მიაჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალი საზოგადოების, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ორგანიზაცია შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ფართოდ გამოვიყენებთ თანამედროვე მეცნიერებას წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადაყვანისათვის.

იგი ღრმად და სწორად აფასებდა ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევების საჭირო თანაფარდობას, დიდ დახმარებას უწევდა მეცნიერების ახალ მიმართულებათა შექმნა-განვითარებას.

ლეონიდ ილიას ძემ უდიდესი შრომა მოახმარა საბჭოთა კავშირის ენერგეტიკული ბაზის განვითარებასა და შექმნას, სასურსათო პრობლემისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პრობლემების გადაჭრას ჩვენი სამშობლოს განვითარების ხანგრძლივი პერიოდისათვის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისი ხელმძღვანელობით მიაღწია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების მრავალგზის გადიდებას და ეს უდიდესი ძლიერება მოახმარა მთელი კაცობრიობის მთავარი ამოცანის — საერთაშორისო

დაძაბულობის შენელების, მშვიდობის შენარჩუნების ამოცანის გადაწყვეტას.

ლეონიდ ილიას ძეს, როგორც მშვიდობისა და განიარაღებისათვის მებრძოლს, ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანი იცნობს. დიდი სამამულო ომის დაწყებიდან გამარჯვების დღემდე ლეონიდ ილიას ძე ფრონტზე იყო. იგი ხედავდა, თუ რა უბედურება მოაქვს ომს ხალხებისათვის, და საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ყველა ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაიცვან ქვეყნად მშვიდობა. თავისი უდიდესი ენერგია, თავისი კომუნისტური პრინციპულობა ლეონიდ ილიას ძემ მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას მოახმარა.

დაუცხრომლად ზრუნავდა ლეონიდ ილიას-ძე ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას მისმა პრინციპულმა მითითებებმა უდიდესი პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაზე.

როგორც ლენინის დიადი საქმის ერთგულმა განმგრძობმა, მან დიდი შემოქმედებითი წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში. ამ დამსახურებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ ლეონიდ ილიას ძეს მიანიჭა თავისი უმაღლესი ჯილდო — კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი.

ლეონიდ ილიას ძის მთელმა შეგნებულმა ცხოვრებამ ოქტომბრის შემდეგ ჩაიარა. მისი ცხოვრების სკოლა ძნელი იყო, და მხოლოდ მისმა არაჩვეულებრივმა ნიჭმა და ხალხზე დაყრდნობამ დააყენა იგი ასეთ გამორჩეულ ცხოვრების გზაზე, რომელიც ხალხის კეთილდღეობას მიეძღვნა.

ამხანაგებო!

საბჭოთა მეცნიერებს, რომლებიც გულისტკივილით ეთხოვებიან ლეონიდ ილიას ძეს, თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. უფრო აქტიურად და ორგანიზებულად იმოქმედონ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა ფრონტზე, რათა უზრუნველყონ ჩვენი სამშობლოს ისეთი პროგრესი, რომლისთვისაც მოგვწოდებდა ლეონიდ ილიას ძე!

## 3. 3. კუშკარიოვის სიტყვა

ამხანაგებო!

ღრმა მწუხარებით არის აღვსილი ჩვენი გული. მოსკოვის მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ეთხოვებიან ლენინის დიადი საქმის განმგრძობს, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

მწარეა იმის შეგნება, რომ გარდაიცვალა კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე და ჭეშმარიტად ტიტანური შრომა მთლიანად მოახმარა პარტიის დიად საქმეს, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

ლეონიდ ილიას ძე, რომელმაც თავისი შრომითი ბიოგრაფია მუშად, ქარხნის საყვირით დაიწყო, ყოველთვის და ყველაფერში ახლობელი იყო მუშათა კლასისათვის, ყველა მშრომელისათვის, განუყრელად იყო დაკავშირებული მათთან.

საბჭოთა ადამიანები ლეონიდ ილიას ძეს უპასუხებდნენ წრფელი, გულითადი სიყვარულით, უდიდეს პატივს სცემდნენ მას და უსაზღვროდ ენდობოდნენ. ყველა თავიანთ წარმატებას კომუნისტურ მშენებლობაში, სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში ისინი სამართლიანად უკავშირებდნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელს, მის პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობას, მის პირად წარმართველ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში.

პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლეს პოსტებზე ყოფნისას ლეონიდ ილიას ძე ოცდახუთ წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა და მუშაობდა ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქში. იგი ნიადაგ დიდ ყურადღებას უთმობდა მოსკოვს, სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად მის გადაქცევას, მიდიოდა შრომითს კოლექტივებში, გულითადად ესაუბრებოდა მოსკოველებს, მამობრივად ზრუნავდა მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ლეონიდ ილიას ძე არაერთხელ აურჩევიათ სკკპ ყრილობების დელეგატად დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისაგან, ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო მოსკოველთა დეპუტატი სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებში.

მე წილად მხვდა პატივი ვყოფილიყავი ნდობით აღჭურვილი პირი, როცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი კენჭს იყრიდა რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ბაუმანის საარჩევნო ოლქში. და მე კარგად ვიცი,

თუ რა ახლოს მიჰქონდა გულთან მას ადამიანთა საჭიროებანი, ამომრჩეველთა განაწყენები, თუ რა დიდი გულთბილობით ეკიდებოდა თითოეულ ადამიანს, რომელთანაც უხდებოდა შეხვედრა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიკვდილი განუზომლად მძიმე დანაკლისია პარტიისათვის, საბჭოთა სახელმწიფოსათვის, მაგრამ მწუხარება დაბნეულობას ვერ შეიტანს ჩვენს რიგებში. მოსკოვის მუშათა კლასი, მშრომელები, ისევე როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო ჩვენ ვამრავლებთ შრომითს მეცადინეობას, რათა მარად ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს ლენინის საქმე, ოქტომბრის საქმე, რათა ხორცს ისხამდეს ქვეყნად კომუნიზმისა და მშვიდობის იდეალები, რომლებსაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შეალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

## ა. თ. გორდიენკოს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ყოველმა დნეპროძერჟინსკელმა, დნეპროპეტროვსკელმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, დიდი გულისტკივილით შეიტყო საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის, ჩვენი ძვირფასი, დაუვიწყარი თანამემამულის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალების ამბავი.

უდიდესი ნიჭის, იშვიათი მომხიბლაობის ადამიანის ლეონიდ ილიას ძის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქალაქის ბედი. აქ დაიბადა და გაიზარდა იგი. აქ შეეიდა კომკავშირში. აქ 1931 წლის ოქტომბერში გახდა ლენინური პარტიის წევრი. ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში გაიარა პირველი მუშური უნივერსიტეტები, შეითვისა მუშათა კლასის საუკეთესო თვისებები.

მას შემდეგ ლეონიდ ილიას ძე ყველგან და ყოველთვის კომუნიზმისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე იყო. იგი შთააგონებდა ადამიანებს, მიუძღოდა მათ ახალი მიღწევებისაკენ დიადი ლენინური იდეალების გამარჯვებისათვის.

ლეონიდ ილიას ძე მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიურ ქალაქთან, ჩვენს საქალაქო პარტიულ ორგანიზაციასთან, მთელი თავისი მოუცლელობის მიუხედავად იგი პოულობდა დროსა და შესაძლებლობას ჩასწვდომოდა ჩვენს საქმეებს, გვამხნევებდა გულთბილი სიტყვითა და მამობრივი რჩევა-დარიგებით. დნეპროძერჟინსკის, მთელი დნეპროპეტროვსკის ოლქის კომუნისტები, მშრომელები ნიადაგ გრძნობდნენ ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ყურადღებასა და ზრუნვას. ჩვენს ხსოვნაში წარუშლელი კვალი დატოვა მისმა შეხვედრებმა, გულთბილმა, გულითადმა საუბრებმა თანამემამულეებთან, დიდმა ინტერესმა მათი ცხოვრებისა და მუშაობისადმი.

ლეონიდ ილიას ძის უდიდესი საბრძოლო და შრომითი დამსახურების აღსანიშნავად მის სამშობლოში — ქალაქ დნეპროძერჟინსკში ბრინჯაოს ბიუსტი დაიდგა. იგი მუდამ მოგვაგონებს, თუ რა დიდი პატივი და რა დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თანამემამულეებს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ლეონიდ ილიას ძე აღარ შეგვხვდება, აღარ ჩამოვა ჩვენთან, აღარ გამოიკითხავს, როგორ მუშაობენ ქარხნები, როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, აღარ მოიკითხავს ადამიანებს, აღარ დაინტერესდება პარტიის საქალაქო კომიტეტის საქმეებით. გვიმძიმს ამაზე ფიქრი. დანაკლისი აუნაზღაურებელია.

მედგარმა მარქსისტ-ლენინელმა, გამოცდილმა პარტიულმა ხელმძღვანელმა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დიდი და სახელოვანი ცხოვრება განვლო. მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოსათვის. მისი ნათელი სახე მარად იცოცხლებს დნეპროძერჟინსკის მშრომელების, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში, როგორც კომუნისტური პარტიის საქმისადმი, საბჭოთა ხალხის საქმისადმი ერთგულების შთამაგონებელი მაგალითი.

განშორების ამ მძიმე ჟამს კარგად გვესმის, რომ მისთვის საუკეთესო ძეგლი იქნება ჩვენი თავდადებული შრომა სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის ჩვენი საყვარელი სამშობლოს მშვიდობისა და კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

იოსებ ჩიქავა

## სსრ კავშირის შექმნის დიადი იდეა

მომდინარე წლის 30 დეკემბერს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავს. ეს ჩვენი ხალხის დიდი დღესასწაულია. საბჭოთა ადამიანები დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ხვდებიან სსრ კავშირის შექმნის ამ დიად თარიღს.

მოძღვრება მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა. საბჭოთა სახელმწიფო წარმოიშვა და განვითარდა, როგორც ფედერაციული სახელმწიფო. საბჭოთა ფედერაციის ძირითადი პრინციპები დაამუშავა ვ. ი. ლენინმა. ჩვენ გვსურს ხალხთა ისეთი ნებაყოფლობითი კავშირი, — განმარტავდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც „არ დაუშვებს ერთი ერის მიერ მეორე ერზე არავითარ ძალადობას, ისეთი კავშირი, რომელსაც საფუძვლად დაედება სრული ნდობა, ძმური ერთობის ნათელი შეგნება, სავსებით ნებაყოფლობითი თანხმობა“[1].

საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ვ. ი. ლენინი თვლიდა რევოლუციის მონაპოვრის დაცვას უცხოელი ინტერვენტებისაგან. სსრ კავშირის შექმნა, ხაზს უსვამდა ლენინი, ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც გვჭირდება როგორც ჩვენ, ისე მსოფლიო კომუნისტურ პროლეტარიატს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი და ერთიანობა აუცილებელი იყო სახალხო მეურნეობის აღსადგენად და მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნების გასაუმჯობესებლად. სსრ კავშირის შექმნა შრომის რაციონალური საზოგადოებრივი დანაწილებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების ეფექტური გამოყენების უბადლო საშუალებას წარმოადგენდა.

პირველი საბჭოთა სოციალისტური ფედერაცია, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიქმნა, იყო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა. იგი გახდა ხალხთა გაერთიანების ცენტრი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირის შექმნის საქმეში. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დაახლოებისა და გაერთიანების გზაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნამ.

საბჭოთა ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის, სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაციის, სოციალიზმის აშენების ამოცანები გადაჭრით მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური, სამხედრო რესურსების, მათი დიპლომატიური ღონისძიებების უაღრესად მჭიდრო გაერთიანებას. ერთ მთლიანობად გაერთიანების აუცილებლობა ყველა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების მშრომელებს ესმოდათ, საბჭოთა ხალხები გაერთიანებული იყვნენ პროლეტარიატის დიქტა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20 გვ. 265—266.

ტურის დამყარებისა და განმტკიცებისათვის საერთო ბრძოლით, სოციალიზმის აშენებლობაში ერთობლივი შრომით და ესწრაფვოდნენ სახელმწიფოებრივ გაერთიანებასაც, რაც აუცილებელი იყო დიდი ოქტომბრის მონაპოვართა წარმატებით დაცვისა და სოციალიზმისაკენ დაჩქარებული წინსვლისათვის.

მისწრაფება გაერთიანებისაკენ საბჭოთა რესპუბლიკებში მათი შექმნის მომენტიდან წარმოიშვა. სოციალიზმის მშენებლობის მიზნებისა და ამოცანების ერთიანობა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების ერთიანობა აკავშირებდა ყველა ეროვნების მშრომელთა მასებს.

საბჭოთა რესპუბლიკებმა, ოქტომბრის რევოლუციიდან დაწყებული, დააგროვეს ძმური კავშირისა და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების ორგანიზაციის დიდი გამოცდილება. უდიდესი მნიშვნელობა ქონდა რუსეთის ფედერაციაში ეროვნული მშენებლობის გამოცდილებას, რომლის ფარგლებში წარმატებით ვითარდებოდნენ ათეული ხალხები, რომლებმაც შექმნეს თავიანთი სახელმწიფოებრიობა.

1921—1922 წლებში არსებული ყველა ექვსივე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო), ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა კომუნისტები იყვნენ. უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კომუნისტური პარტიები განუყოფელი შემადგენელი ნაწილები იყვნენ რუსეთის ერთიანი კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების).

ეროვნული რესპუბლიკების კომუნისტური ორგანიზაციები მშრომელებს ზრდიდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ამტკიცებდნენ ხალხთა მეგობრობას, თანმიმდევრულად ატარებდნენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ურღვევ ძმურ კავშირად შედუღაბების ლენინურ ხაზს.

რუსეთის ყოფილ იმპერიაზე დამკვიდრებული ყველა საბჭოთა რესპუბლიკის საერთო საბჭოთა სახელმწიფოებრივი ფედერაციის ორგანიზების პროცესი გაიშალა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში უკვე მაშინ შეიქმნა ერთიანი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა, შეიარაღებულმა ძალებმა შექმნეს ერთიანი არმია, შემუშავდა ერთიანი კანონმდებლობა უმნიშვნელოვანეს საკითხებში (თუმცა რსფსრ კანონების სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მოქმედება, როგორც წესი, სპეციალურად დადასტურებული უნდა ყოფილიყო ამ რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების დეკრეტებით), დაწესდა ერთიანი ფულადი სისტემა[2], მყარდებოდა. ერთიანობა მრეწველობის მართვაში.

რსფსრ მოქალაქეები სარგებლობდნენ ყველა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებით სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე და პირიქით ამ რესპუბლიკების მოქალაქეები ყველა უფლებით რსფსრ ტერიტორიაზე.

იმთავითვე მიმდინარეობდა საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი აპარატის დაახლოების პროცესი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, 1920 წლის ზაფხულიდან, შედიოდნენ წარმომადგენლები სხვა რესპუბლიკებიდან. ასეთივე წარმომადგენლობა არსებობდა რსფსრ სახალხო კომისარიატებთან. რსფსრ მთავრობასთან 1920 წ. დასასრულიდან დაწესდა სახელშეკრულებო რესპუბლიკების რწმუნებულთა თანამ-

---

2 ეს პირველ რიგში ეხებოდა რსფსრ, უსსრ და ბსს რესპუბლიკას. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მხოლოდ 1920—1921 წწ. ფულადი სისტემის ერთიანობა მიღწეულ იქნა მოგვიანებით.

დებობანი. შეიქმნა რიგი გაერთიანებული რესპუბლიკათაშორისო სახალხო კომისარიატები.

თითოეულ რესპუბლიკაში მოქმედებდა საკუთარი კონსტიტუცია, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები. რესპუბლიკები დამოუკიდებლად განაგებდნენ თავიანთ საშინაო საქმეებს, სცემდნენ რესპუბლიკურ კანონებს.

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მჭიდრო სახელმწიფოებრივმა ფედერაციულმა თანამშრომლობამ, დაწყებულმა სამოქალაქო ომის წლებში, პირველ რიგში მიიღო სამხედრო კავშირის ფორმა. ამასთან, სამოქალაქო ომის პირობებში საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულება ვითარდებოდა არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე ეკონომიკური, პოლიტიკური, ფინანსური ხაზითაც, სახელმწიფოებრივი მმართველობის, საკანონმდებლო და ა. შ. ხაზითაც.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ პირველ პლანზე წამოიწია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო ძალთა გაერთიანების ამოცანამ. ნგრევა, შიმშილი, რესურსების უკიდურესი სიმცირე აძლიერებდნენ ასეთი გაერთიანების აუცილებლობას. ამას სტიმულს აძლევდა აგრეთვე ნეპის ბაზაზე დაწყებული ეკონომიური რაიონების სპეციალიზაციის აღდგენა და მათ შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერება.

საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური კავშირების განმტკიცებაში სერიოზული როლი შეასრულა „გოელროს“ ლენინურმა გეგმამ. მისი დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ იგი ითვალისწინებდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, როგორც ერთიანი მთლიანის განვითარებას. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა თავის ამოცანად სახავდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას. მრავალეროვან სახელმწიფოს პირობებში ეს ნიშნავდა რუს (თავისი უმრავლესობით) მუშათა კლასსა და ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებისათვის ბრძოლას. პროლეტარიატის დიქტატურის სოციალური ბაზა მრავალეროვანი იყო, იგი მტკიცდებოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელთა მასების დარაზმვის გზით. აუცილებელი იყო აგრეთვე რესპუბლიკების დიპლომატიური ერთიანობის განმტკიცება, რამდენადაც საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო ფუნქცია ახლა ხორციელდებოდა არა სამხედრო, არამედ დიპლომატიური საშუალებებით.

რესპუბლიკების ერთიანობის განმტკიცების გზაზე სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა გენუის საერთაშორისო კონფერენციისათვის მზადებასთან დაკავშირებით. საბჭოთა რესპუბლიკების რწუმნებულთა 1922 წლის 22 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილებით რსფსრ მიენდო გენუის კონფერენციაზე ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესების დაცვა და მათი სახელით ხელშეკრულებებზე და სხვადასხვა აქტზე ხელმოწერა.

მაგრამ, 1922 წლის 22 თებერვლის ხელშეკრულება დიპლომატიურ ერთიანობაზე შეეხებოდა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევას — გენუის კონფერენციას. იგი არ აკანონებდა საერთო წესს, და ყოველ ახალ შემთხვევაში ხელახლა სჭირდებოდათ რესპუბლიკათა შორის შეთანხმების დადება. ბურჟუაზიული სახელმწიფოები ცდილობდნენ ესარგებლათ ასეთი ვითარებით.

ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ თავისი დაღი დაასვა საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანების ფორმებს.

ამაღლდა რესპუბლიკური სახალხო მეურნეობის საბჭოების, როგორც თი-

თოეული რესპუბლიკის ფარგლებში სამეურნეო ხელმძღვანელობის ცენტრის როლი და მნიშვნელობა. მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაექვემდებარა მათ კონტროლს. ამასთან ერთად სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგები, უმსხვილესი საწარმოები, რომელთა მუშაობა გადამწყვეტ როლს ასრულებდა მთელი ქვეყნის ცხოვრებაში, დარჩა რსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს უშუალო კონტროლქვეშ, მრეწველობა იყოფოდა საერთოფედერაციულ და რესპუბლიკურად.

რესპუბლიკების ძალები ერთიანდებოდა საშინაო ვაჭრობის დარგშიც. 1922 წლიდან შეიქმნა სახელმწიფო საქციონერო სავაჭრო საზოგადოებები.

1921—1922 წლებში გაიზარდა საერთო ფედერალური ორგანოების როლი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისადმი ხელმძღვანელობაში, შეიქმნა სახელმწიფო საზღვაოსნოები, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებოდნენ რსფსრ გზათა სახალხო კომისარიატს.

თითოეულ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ რესპუბლიკური ორგანოები — მიწსახკომები. საკორდინაციო ორგანო გახდა 1921 წლის აგვისტოში რსფსრ მიწსახკომთან დაარსებული ფედერალური კომიტეტი მიწის საკითხებში („ფედკომზემი"). 1922 წელს იგი გადაეცა სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ რსფსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები.

ამრიგად, 1921—1922 წლებში მიმდინარეობდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკის გაერთიანების პროცესი. ერთდროულად ყალიბდებოდა ერთიანი საერთო ფედერალური აპარატი ეკონომიკური მმართველობისათვის, დაფინანსებისა და დაგეგმვის რეგულირებისათვის. ამას მოითხოვდა სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი აღდგენის ამოცანა, სახსრების იმ ობიექტებისათვის გამოყოფის ამოცანა, რომელებსაც საბჭოთა რესპუბლიკებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას მოითხოვდა ეროვნული განაპირა რაიონების საუკუნეობრივი ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის და რსფსრ მხრივ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებზე სისტემატური დახმარების ორგანიზაციის ამოცანა. საბოლოოდ ამას მოითხოვდა ერთიანი გეგმიური სოციალისტური მეურნეობის შექმნის გენერალური ამოცანა.

ერთიანი სოციალისტური მეურნეობის დაგეგმვის ინტერესები მოითხოვდნენ ავტორიტეტულ, დაგეგმვის ფართო, განუყოფელი უფლებამოსილებით აღჭურვილი საერთო ცენტრის შექმნას, ასეთად, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, არ შეეძლო გამხდარიყო რომელიმე ერთი რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტს.

სახელშეკრულებო ფედერაციის პირობებში დაგეგმვის ასეთი ცენტრის შექმნა საგანგებოდ ძნელი იყო. 1921—1922 წლებში რესპუბლიკათაშორის, ურთიერთდამოკიდებულების სისტემა ვერ უზრუნველყოფდა სათანადო მეურნეობრივ ერთიანობას. ამან განსაზღვრა სამოკავშირო ფედერაციიდან გაერთიანების ახალ ფორმებზე გადასვლის ეკონომიკური აუცილებლობა.

ღონისძიებანი ხორციელდებოდა სახელმწიფოებრივი მართვის კოორდინაციის მიმართულებითაც. 1921—1922 წლებში სახელშეკრულებო რესპუბლიკების ძალთა გაერთიანება და კოორდინაცია მიმდინარეობდა სახელმწიფო მმართველობის ყველა დარგში. კოორდინაცია აქ უმთავრესად ტარდებოდა რსფსრ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების შესაბამის უწყებათა შორის შეთანხმების დადების გზით. საბჭოთა რესპუბლიკების სოციალ-ეკონომიკურ და პო-

ლიტიკურ წყობილებათა ერთგვაროვნობა განსაზღვრავდა კანონმდებლობათა პრინციპების ერთიანობას. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რსფსრ კანონმდებლობათა რევოლუციურ გამოცდილებას, რომელიც ყურადღებით შეისწავლებოდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში.

სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობების, ცაკისა და რსფსრ სახკომსაბჭოს მიერ მიღებული კანონები მოქმედებდნენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე. ამასთან მათი მოქმედება ყოველთვის დასტურდებოდა რესპუბლიკის ცაკის ან სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილებით. საერთო ფედერალურ კანონმდებლობასა და რესპუბლიკის კანონს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნის შემთხვევაში ღებულობდნენ ზომებს მათ შესათანხმებლად.

ამრიგად, 1921—1922 წლებში თანდათანობით ვითარდებოდა ფედერალურ ურთიერთობათა სისტემა. მათ საფუძვლად ედო საკავშირო ხელშეკრულებები დადებული 1920 წლის დასასრულსა და 1921 წლებში. ამ სისტემაში 1922 წლის შუა პერიოდისათვის უკვე შეიმჩნეოდა რიგი უარყოფითი მხარეები: ის უკვე არ შეესაბამებოდა ახალ ვითარებას, სერიოზულად აძნელებდა სახალხო მეურნეობისადმი ოპერატიულ ხელმძღვანელობას. ბევრი მუშაკი, განსაკუთრებით რსფსრ ცენტრალურ უწყებებში, სათანადო ანგარიშს არ უწევდა სახელშეკრულებო რესპუბლიკების ეროვნულ თავისებურებებს. რსფსრ ზოგიერთი უწყების მუშაობაში დიდმპყრობელური ტენდენციები უკმაყოფილებას იწვევდნენ რესპუბლიკებში და თავის მხრივ აძლიერებდნენ ნაციონალისტურ, კუთხურობის განწყობილებას. ყველაფერ ამას მოყვებოდა ცნობილი შეხლა-შემოხლა რსფსრ და სხვა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ ორგანოებს შორის, განსაკუთრებით სამეურნეო და საბიუჯეტო საკითხებში. ამიტომ დიდმპყრობელური შოვინიზმი ივ პერიოდის კონკრეტულ ვითარებაში თავის მხრივ მთავარ საშიშროებას წარმოადგენდა, ამასთან, ადგილობრივი ნაციონალიზმის ზრდა ასევე სერიოზული საფრთხე იყო.

დიდმპყრობელური შოვინიზმის საშიშროება სერიოზული იყო კიდევ იმიტომ, რომ ბევრ საბჭოთა რესპუბლიკაში სახელმწიფო აპარატი უმეტეს შემთხვევაში მუშაობდა რუსულ ენაზე, რომელიც ხშირად ადგილობრივ მოსახლეობას (განსაკუთრებით გლეხობას) არ ესმოდა. აპარატში მომუშავეთა შორის ცოტა იყო ადგილობრივი ენის, ზნე-ჩვეულებების მცოდნე ადამიანები. არ ყოფნიდათ ეროვნული კადრები ნაციონალური რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიებში[3].

დიდმპყრობელურ შოვინიზმსა და ადგილობრივ ნაციონალიზმს შორის ბრძოლის გამწვავების პირობებში სახელშეკრულებო ფედერაციის ნაკლოვანებები განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა.

ზოგიერთი საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში გამოვლინდა სეპარატულობის, კუთხურობის ტენდენციები.

ვ. ი. ლენინი, პარტიის XI ყრილობაზე თავის გამოსვლაში აკრიტიკებდა ასეთ განწყობილებას, კერძოდ უკრაინაში: „უკრაინა დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ პარტიული მხრივ ის ზოგჯერ მიმართავს — როგორა ვთქვა უფრო ზრდილობიანად? — შემოვლას, და ჩვენ როგორმე მივწვდებით მათ, იმიტომ რომ იქ ზის ეშმაკი ხალხი, და ცკ—არ ვიტყვი, რომ გვატყუებს, მაგრამ რაღაც ცოტათი გვშორდება“[4].

[3] История СССР, М., 1967, т. VIII, გვ. 99.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 350.

სეპარატიზმის გამოვლინებას ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიაშიც, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც კანონიც გამოიცა მოქალაქეობაზე, რომლის თანახმად ქართველი მამაკაცი ან ქალი თუ კი დაქორწინდებოდა სხვა ეროვნების პირთან, კარგავდა რესპუბლიკის მოქალაქეობის უფლებას.

საერთოფედერალური ორგანოების როლს ფაქტიურად ასრულებდნენ თანასწორუფლებიანი სახელშეკრულებო რესპუბლიკათა შორის ერთი რესპუბლიკის — რსფსრ სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები. ეს ხელს უშლიდა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

სახელმწიფო აპარატის სრულყოფის საქმე, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა, საბჭოთა დემოკრატიის წარმატებით განვითარება შეუძლებელი იყო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დამოკიდებულების მოწესრიგების გარეშე, ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის გარეშე, საკავშირო კონსტიტუციის მიღების გარეშე.

თვით საბჭოთა რესპუბლიკებში გამაერთიანებელი მოძრაობის ზრდა, მათი მჭიდრო თანამშრომლობა ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გვიჩვენებდნენ, რომ საკავშირო სახელმწიფოს შექმნა შეესაბამებოდა ყველა რესპუბლიკის ხალხების ნებაყოფლობით გამოხატულ სურვილს, მათ ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ჯერ კიდევ რკპ(ბ) X ყრილობამ (1921 წლის მარტი) აღნიშნა, რომ კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში ვერც ერთი ცალკე აღებული საბჭოთა რესპუბლიკა ვერ შიიჩნევს, რომ უზრუნველყოფილია ეკონომიური გამოფიტვისა და სამხედრო განადგურებისაგან მსოფლიო იმპერიალიზმის მხრივ, და ხაზი გაუსვა: „საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის საერთო ინტერესები, ერთი მხრივ, ომით დანგრეულ მწარმოებლური ძალების აღდგენის ამოცანა, მეორე მხრივ, და საჭირო სასურსათო დახმარების გაწევა უპირო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის პირიანი რესპუბლიკების მიერ, მესამე მხრივ, — დაჟინებით გვიკარნახებენ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირს, როგორც იმპერიალისტური მონობისა და ნაციონალურ ჩაგვრისაგან ხსნის ერთად ერთ გზას“[5].

ყრილობამ დასახა პრაქტიკული მოქმედების პროგრამა ეროვნული მშენებლობის დარგში, ნებაყოფლობითი საბჭოთა ფედერაციის საფუძველზე ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ძმური კავშირისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების დარგში.

სსრ კავშირის შექმნა ისტორიული კანონზომიერებით, ობიექტური აუცილებლობით იყო განპირობებული. ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ადრე დადებულ იქნა საშოკავშირეო ხელშეკრულებები: 1920 წლის 28 დეკემბერს — რუსეთის საბჭოთა ფედერაციასა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, უფრო ადრე, 1920 წლის აპრილში — საბჭოთა რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის, 1921 წლის 16 იანვარს — რუსეთსა და ბელორუსიას შორის, 1921 წლის 21 მაისს — რუსეთსა და საქართველოს შორის, ხოლო 1922 წლის 12 მარტს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ამიერკავკასიის სოცია-

[5] სკკპ ყრილობების კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში (1898—1954), თბ., 1954 (შემდეგში: სკკპ რეზოლუციები), ნაწ. I გვ. 716—717.

ლისტური საბჭოთა რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ. 1922 წლის 13 დეკემბერს კი— ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე ეს კავშირი გარდაიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნაში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელ როლს რომ აღნიშნავდა, მ. ორახელაშვილი წერდა: ამიერკავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი გაერთიანების „მშობლის უფლებები“ უდავოდ ვ. ი. ლენინს ეკუთვნისო[6].

ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგ გაილაშქრა ნაციონალ-უკლონისტთა ჯგუფმა (ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, ვ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე და სხვ.). რომელიც 1921 წელს შექმნეს საქართველოს კომპარტიის, აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიის რიგებში მყოფმა ნაციონალისტებმა. ქართველი ნაციონალ-უკლონისტები ჯერ მხოლოდ უარყოფდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანებას, მერე კი აშკარა ბრძოლა გააჩაღეს თვით ფედერაციის იდეის წინააღმდეგ. ნაციონალ-უკლონისტების ფრაქციული საქმიანობა დიდ საფრთხეს უქმნიდა ამიერკავკასიის ხალხებისა და პარტიული ორგანიზაციების ინტერნაციონალურ ერთიანობას. პარტიამ დროულად აღკვეთა ნაციონალურ-უკლონისტთა ანტიპარტიული საქმიანობა.

საბჭოთა რესპუბლიკების თანაშრომლობისა და გამაერთიანებელი მოძრაობის შემაჯამებელი ეტაპი 1922 წლის მეორე ნახევარს მოიცავს, როცა კომუნისტური პარტიისა და ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე განხორციელდა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება.

1922 წლის 11 აგვისტოს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოყო კომისია ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით. 24 სექტემბერს კომისიამ დაამტკიცა ი. ბ. სტალინის მიერ წარმოდგენილი პროექტი რუსეთის ფედერაციაში ავტონომიზაციის საფუძველზე საბჭოთა რესპუბლიკების შესვლის შესახებ.

1922 წლის 26 სექტემბერს გორკიდან პოლიტბიუროს წევრებისადმი გაგზავნილ ბარათში ვ. ი. ლენინმა ი. ბ. სტალინის მიერ შემუშავებული „ავტონომიზაციის“ გეგმის ნაცვლად თანასწორობისა და სუვერენობის საფუძველზე საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების იდეა წამოაყენა.

ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად ცენტრალური კომიტეტის კომისიამ არსებითი ხასიათის შესწორებები შეიტანა ზემოაღნიშნულ პროექტში, რომელიც 6 ოქტომბერს განიხილა და ერთსულოვნად მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მისი გადაწყვეტილება სსრ კავშირის შექმნის შესახებ სახელმძღვანელოდ მიიღეს სხვა საბჭოთა რესპუბლიკების პარტიულმა ორგანიზაციებმა.

1922 წლის დამლევისათვის ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის ამიერკავკასიის მშრომელებმა გამოთქვეს თავიანთი ურყევი ნება-სურვილი გაერთიანებულიყვნენ. ეს იყო მშრომელთა ბუნებრივი და ნებაყოფლობითი მისწრაფება, რომელიც გამოხატავდა მათ საარსებო ინტერესებს. საბჭოთა ხალხების ეს ერთობა, ლენინის თქმით, შედუღაბებულია არა რკინითა და სიცრუით, არამედ მეგობრობითა და ძმობით.

„სრულიად რუსეთის საბჭოების მეათე ყრილობაზე, — როგორც ი. ბ. სტა-

---

[6] М. Орахелашвили, Ленин и ЗСФСР (Материалы), Тб., 1925, გვ. 13.

ლინი აღნიშნავდა, — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების კამპანიაში თაოსნობა იკისრეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებმა“[7].

1922 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ, ხოლო იმავე წლის 16 დეკემბერს სრულიად ბელორუსიის საბჭოების ყრილობამ მიიღეს დადგენილებები საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შექმნის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სრულიად უკრაინის საბჭოების მეშვიდე ყრილობამ. 1922 წლის 26 დეკემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების მეათე ყრილობამ მიიღო დადგენილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი უნდა შექმნან შემდეგმა რესპუბლიკებმა რსფს რესპუბლიკამ, უკრაინამ, ბელორუსიამ და ამიერკავკასიის ფედერაციამ, რომელშიც შედიან საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი...

რესპუბლიკები რსფსრ, უკრაინა, ბელორუსია და ამიერკავკასიის ფედერაცია ერთიანდებიან ერთ საკავშირო სახელმწიფოდ სახელწოდებით „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი...“

სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 1922 წლის 23-27 დეკემბერს, ამიერკავკასიის სფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლებმა კვლავ დაადასტურეს თავიანთ მშრომელთა მისწრაფება შეექმნათ ერთიანი საკავშირო სახელმწიფო. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისაგან ყრილობაზე გამოვიდნენ ს. ლ. ლუკაშინი, გ. მ. მუსაბეკოვი და მ. გ. ცხაკაია. ყრილობამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის შექმნის შესახებ და მოუწოდა ყველა ქვეყნის მშრომელებს საერთო ღონისძიებებით ებრძოლათ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად.

სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობის დადგენილებაში ჩაწერილია: ...დროულად იქნას ცნობილი რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად.

1922 წლის 30 დეკემბერს დილით საბჭოთა რესპუბლიკების სრულუფლებიანმა დელეგაციებმა კრემლში ხელი მოაწერეს დეკლარაციასა და ხელშეკრულებას სსრ კავშირს შექმნის შესახებ. 30 დეკემბერს საღამოს გაიხსნა სრულიად საკავშირო სებჭოების პირველი ყრილობა, რომელმაც უდიდესი აღფრთოვანებით დაამტკიცა დეკლარაცია და ხელშეკრულება. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისაგან ყრილობას ესწრებოდა 73 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 18 — სათათბირო ხმის უფლებით.

მოხსენება სსრ კავშირის შექმნის შესახებ გააკეთა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც წაიკითხა დეკლარაცია და სამოკავშირეო ხელშეკრულება. დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში „გახდა შესაძლებელი ეროვნული ჩაგვრის ძირფესვიანი აღმოფხვრა, ურთიერთნდობის ვითარების შექმნა და ხალხთა ძმური თანამშრომლობის საძირკვლის ჩაყრა“[8].

ხელშეკრულება განსაზღვრავდა სსრ კავშირის უმაღლესი ორგანოების

[7] ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 160.

[8] История Советской Конституции, გვ. 393.

კომპენტენციას, მათს სტრუქტურასა და არჩევნების წესს, ხელისუფლების საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების ურთიერთობის ხასიათს, აწესებდა ერთიან საკავშირო მოქალაქეობას. ხელშეკრულებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკას უფლება აქვს თავისუფლად გამოვიდეს სსრ კავშირიდან.

ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტებს საფუძვლად დაედო ნებაყოფლობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ძმური თანამშრომლობის ლენინური პრინციპები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეები, საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება განხორციელდა ნებაყოფლობის საწყისებზე, სსრ კავშირში შესული თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების საფუძველზე.

ყრილობამ აირჩია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდა 371 წევრი და 138 წევრობის კანდიდატი. მათ შორის იყვნენ ამიერკავკასიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეებიც: ს. აღამალი ოღლი, ს. ამბარცუმიანი, რ. ახუნდოვი, ა. გეგეჭკორი, ს. კიროვი, ს. ლუკაშინი, ფ. მახარაძე, ა. მიასნიკოვი, გ. მუსაბეკოვი, ა. ნაზარეტიანი, ნ. ნარიმანოვი, მ. ორახელაშვილი, გ. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია და სხვ. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებად აირჩიეს მ. კალინინი, გ. პეტროვსკი, ნ. ნარიმანოვი და ა. ჩერვიაკოვი.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიაზე შეიქმნა სსრ კავშირის სახკომსაბჭო. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ სსრ კავშირში დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება არა მარტო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმკიცების მძლავრი ფაქტორია, არამედ აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნის, პარტიის ეროვნული პოლიტიკის ამოცანათა გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

„ნებაყოფლობით საწყისებზე ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოში — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში თანასწორუფლებიან ხალხთა გაერთიანება და შეკავშირება, მათი მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ძმური მეგობრობა, მათი ეკონომიკისა და კულტურის აყვავება ლენინური ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შედეგია“[9].

სსრ კავშირის შექმნა იყო ლენინური ეროვული პოლიტიკის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის დიადი პრინციპების ტრიუმფი, ხალხთა ძმური ურთიერთობის უზრუნველყოფის, მათი საერთო და ეროვნული ინტერესების ჰარმონიული შეხამების საუკეთესო ნიმუში.

სსრ კავშირის შექმნა იყო დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების როგორც ერთნაირი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების მქონე სახელმწიფოთა თანამშრომლობის, თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ერებისა და ეროვნებების ნებაყოფლობით გამოთქმული ნება-სურვილის კანონზომიერი შედეგი, მათი გამაერთიანებელი მოძრაობის ლოგიკური დასასრული. ეს იყო მნიშვნელოვანი გარდატეხის მომენტი საბჭოთა ხალხების ისტორიაში.

---

[9] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1961, გვ. 18.

სსრ კავშირი გახდა საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების თავისუფლებისა და ნამდვილი დამოუკიდებლობის, მათი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საიმედო გარანტია, სოციალისტური მშენებლობის წარმატებების, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საწინდარი.

სსრ კავშირის შექმნა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის დიადი პრინციპების გამარჯვება იყო[10].

ასე შეიქმნა ვ. ი. ლენინის მეთაურობით, პარტიის ხელმძღვანელობით მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. იგი ჩამოყალიბდა ნებაყოფლობითს საწყისებზე, სსრ კავშირში შესული თითოეული საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების საფუძველზე. ეს იყო ახალი ტიპის ფედერაციული პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც ვ. ი. ლენინის უდიდეს აღმოჩენას წარმოადგენს.

სსრ კავშირის შექმნა ლ ე ნ ი ნ ი ზ მ ი ს ი დ ე ე ბ ი ს, კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ლ ე ნ ი ნ უ რ ი ე რ ო ვ ნ უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ტ რ ი უ მ ფ ი ა. მთელ პროგრესულ კაცობრიობას მიეთითა ეროვნული საკითხის გადაჭრის, ერთა და ეროვნებათა არათანასწორუფლებიანობის მოსპობის გზა, გზა ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახად გაერთიანებისა სოციალიზმის, კომუნიზმის ასაშენებლად.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველმა სესიამ 1922 წლის 30 დეკემბერს ცაკის პრეზიდიუმს დაავალა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემუშავება და მომზადება კონსტიტუციის ტექსტისა, რომელსაც საფუძვლად დაედო დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. კონსტიტუცია საბოლოოდ დაამტკიცა სსრ კავშირის საბჭოების მეორე ყრილობამ 1924 წლის 31 იანვარს. კონსტიტუციის ძალით სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნა ორი პალატა: საკავშირო საბჭო და ეროვნებათა საბჭო საკანონმდებლო ინიციატივის თანაბარი უფლებებით.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ერთა ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც ემყარება სრულ ნდობას და ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებას, ერთბაშად არ შეიძლება შეიქმნას. „ასეთ კავშირამდე უნდა მიგვიყვანოს მუშაობამ უდიდესი მოთმინებითა და სიფრთხილით, რომ საქმე არ გავაფუჭოთ, უნდობლობა არ გამოვიწვიოთ, რომ ალმოვფხვრათ უნდობლობა, დატოვებული მემამულეებისა და კაპიტალისტების, კერძო საკუთრებისა და მისი დაყოფისა და გადაყოფის გამო გამოწვეული საუკუნეობრივი ჩაგვრით[11].

სოციალისტური მშენებლობის პროცესში თანდათანობით შეიქმნა კეთილნაყოფიერი სოციალურ-ეკონომიკური პირობები სსრ კავშირის ეროვნულ სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის. 1924 წელს შეიქმნა თურქმენეთისა და უზბეკეთის, ხოლო 1929 წელს ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. 1936 წელს ყაზახეთისა და ყირგიზეთის ავტონომიური რესპუბლიკები გარდაიქმნენ მოკავშირე რესპუბლიკებად. იმავე წელს, ამიერკავკასიის ფედერა-

---

10 ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ნაწილი მეორე, თბ., 1972, გვ. 72.

11 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 348.

ციის გაუქმების შემდეგ, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკები უშუალოდ შეუდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში.

მრავალეროვან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო უკრაინელი ხალხის გაერთიანება 1939—1945 წლებში და ბელორუსიის გაერთიანება 1939 წელს. 1940 წელს ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის ხალხებმა რევოლუციური ბრძოლის მსვლელობაში აღადგინეს საბჭოთა სახელმწიფოებრიობა. ხალხთა თავისუფალი ნებასურვილის საფუძველზე ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკები შეუდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. მოლდაველი ხალხის გაერთიანების შედეგად მოლდავეთის ავტონომიური რესპუბლიკა გარდაიქმნა მოკავშირე რესპუბლიკად.

რევოლუციის მიერ აღორძინებულ ეროვნებათა პოლიტიკურმა განვითარებამ თავისი გამოხატულება პოვა აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოკრუგების შექმნაში. ამჟამად სსრ კავშირი შედგება 15 მოკავშირე რესპუბლიკისაგან, რომლებშიც შედის 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული ოკრუგი.

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროგრესის გზაზე საბჭოთა ხალხმა ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, გამოჰქედა კოლოსალური, მძლავრი ინდუსტრია, შექმნა მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა. დამკვიდრდა ისტორიაში არნახული ურთიერთობა, რომელსაც ჩვენ სამართლიანად ვუწოდებთ ხალხთა ლენინურ მეგობრობას.

საბჭოთა ხალხი — ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — შედგება სოციალისტური კლასებისა და სოციალური ჯგუფებისაგან იგი შედუღაბებულია მიზნებისა და მსოფლმხედველობის ერთიანობით, მისი მიზანია კომუნიზმი.

სსრ კავშირის შექმნა საბჭოთა ხელისუფლების ისტორიული მონაპოვარია. ამ აქტს ჭეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობა აქვს. ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 60 წელი იყო დიდების, ხანგრძლივი ბრძოლის, გმირული შრომისა და დიადი გამარჯვების პერიოდი, რომელიც საბჭოთა ხალხების ერთიანმა, ძმურმა ოჯახმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სახელოვნად გაიარა.

დღეს ყველა თვალნათლით ხედავს ამ განვლილ გზას, რომელიც იწყებოდა უუფლებობის, სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის, უწიგნურობის პირობებში და ძლევამოსილად მიემართებოდა დღევანდელი, მაღალგანვითარებული სოციალისტური საზოგადოებისაკენ. ამ წარმატებებში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც დიდი ბელადის ცხოველმყოფელი იდეები ეროვნული საკითხის გადაჭრაში წარმატებით განახორციელა ისეთ დიდ და მრავალეროვან სახელმწიფოში, როგორიც საბჭოთა კავშირია. „ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობისადმი, — სსრ კავშირის შექმნას თავისი პოლიტიკური მნიშვნელობითა და სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით უდიდესი ადგილი უჭირავს“[12].

ჩვენი ქვეყნის ხალხები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ იმაში,

[12] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 96.

რომ ერთიან კავშირად გაერთიანება ამრავლებს მათს ძალებს, აჩქარებს სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას.

განვლილი 60 წელი აღინიშნა საბჭოთა კავშირის სწრაფი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებით. ეროვნული შემოსავალი ამ პერიოდში მრავალგზის გაიზარდა. სსრ კავშირის წვლილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 1922 წლის 1%-დან ახლა 20%-მდე გაიზარდა[13].

სსრ კავშირის არსებობის ექვსი ათეული წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის ხალხთა მატერიალური და სულიერი ძალების არნახული აყვავების თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა საქართველო — თავისუფალ ერთა ძმური კავშირის ერთერთი დამფუძნებელი რესპუბლიკა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა 1400-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, რომელთა მიერ დამზადებული პროდუქცია გარდა მოკავშირე რესპუბლიკებისა მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საქართველოში სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 161-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქცია 8-ჯერ.

ხუთწლედების მანძილზე არნახულად გაიზარდა საბჭთა საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი, რასაც მოწმობს ის, რომ მეათე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდება რესპუბლიკაში 6 მილიარდ 816 მილიონ მანეთამდე გაიზარდა, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედში იგი 8 მილიარდ 123 მილიონ მანეთს მიაღწევს[14].

ჩვენს ქვეყანაში ფართო შესაძლებლობაა შექმნილი ყველა ერისა და ეროვნების ნიჭისა და უნარის გამოვლენისათვის, კულტურის აყვავებისათვის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში მასების შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

ჩვენი რესპუბლიკა ამის შესანიშნავი მაგალითია. საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღების ცენტრში დააყენეს მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ხორცშესხმა.

ამრიგად, სსრ კავშირის შექმნა—თავისი შემადგენლობით მრავალეროვანი, იდეოლოგიითა და პოლიტიკით, ორგანიზაციული წყობით, საქმიანობის პრინციპებით ღრმად ინტერნაციონალისტური ბოლშევიკთა ლენინური პარტიის უდიდესი დამსახურებაა, იგი ვ. ი. ლენინის იდეების, ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების ცხოველი განსახიერებაა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის თებერვალში მიიღო დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ". ამ დოკუმენტში ღრმად და ყოველმხრივ არის გაშუქებული მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს — სსრ კავშირის შექმნის ისტორიული მნიშნელობა, მკაფიოდ არის ნაჩვენები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიღწევები ახალი საზოგადოების მშენებლობაში, სოციალიზმის დიადი მონაპოვარი, რომლებიც მშრომელი ადამიანის სამსახურშია ჩაყენებული.

როგორც ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, „სსრ კავშირი — ეს არის არა უბრალოდ სახელმწიფო ერთეული, არემედ ურღვევი სოციალისტური კავშირი

---

13 გაზ. „კომუნისტი", 1982 წლის 21 თებერვალი.

14 ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1982 წლის № 1, გვ. 77.

ყველა საბჭოთა ხალხისა, კავშირი, რომელიც მათ სისხლსა და ხორცში დამკვიდრდა და შეადგენს მათი სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ყველაზე მთავარ თვითგანმსაზღვრელ ნიშანს, საბჭოთა ადამიანებმა გონებითა და გულით იციან, რომ მათი ძლიერების წყაროა მტკიცე ერთიანობა, მზადყოფნა ნიადაგ ეხმარებოდნენ ერთმანეთს, ერთად იარონ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ"[15].

ძალ-ღონით აღსავსე ეგებება სსრ კავშირი თავის სახელოვან მე-60 წლისთავს. საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ წარმატებები შრომაში სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

15 გაზ. „კომუნისტი", 1982 წლის 25 თებერვალი.

ივანე ბაბალაშვილი

# საბჭოთა კავშირის შექმნის მნიშვნელობა ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის შესახებ“ ნათქვამია: „სსრ კავშირის შექმნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგია. ოქტომბერმა დაამსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედებისათვის დარაზმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. მუშათა კლასის ხელისუფლების, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების დაწესებამ მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა ყველა ერისა და ეროვნების თავისუფალ განვითარებას, მათს მჭიდრო ერთიანობასა და მეგობრობას“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართა საიმედო დასაცავად, კომუნისტური პარტია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნას და განვითარებას, რის გარეშე ყოველად შეუძლებელი იქნებოდა ძალაუფლების შენარჩუნება და სოციალიზმის მშენებლობა, რადგან, როგორც ცნობილია, შინაგანი კონტრრევოლუცია და მსოფლიო იმპერიალიზმის მმართველი წრეები ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ აღედგინათ კაპიტალისტური წესწყობილება ჩვენს ქვეყანაში.

პირველი პროლეტარული ქვეყნის შეიარაღებული ძალების უშუალო ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი და ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. დიდი ლენინის სახელთანაა დაკავშირებული საბჭოთა არმიის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნა და განვითარება. ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მზადების პერიოდში, 1917 წელს, მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა წითელი გვარდიის ნაწილები და შენაერთები, რევოლუციური მატროსებისა და ჯარისკაცების რაზმები, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დაცვასა და კონტრრევოლუციის ბუდეების განადგურებაში. მაგრამ ისინი საკმარისი არ აღმოჩნდნენ იმ უდიდესი ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც წამოყენებულ იქნა სამოქალაქო ომის პერიოდში და იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა რეგულარული შეიარაღებული ძალების შექმნა.

პირველი საბჭოთა სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული ძალების გეგმაზომიერ მშენებლობას საფუძველი დაუდო სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტმა „მუშურ-გლეხური წითელი არმიის შესახებ“, რომელიც რედაქტირებული და ხელმოწერილი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ, ეს დეკ–

რეტი მიღებულ იქნა სახალხო კომისართა საბჭოს 47-ე სხდომაზე 1918 წლის 28 იანვარს. რეგულარული მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეიქმნა ჯერ რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში და შემდეგ უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში. მაგრამ მათი გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი იყო მრავალეროვანი ერთობლივი სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა.

მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის შესახებ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ წერდა: „....ჩვენ მოვითხოვთ ჩაგრული ერების თვითგამორკვევის თავისუფლებას, ესე იგი დამოუკიდებლობას, ესე იგი გამოყოფის თავისუფლებას არა იმიტომ, რომ ვოცნებობთ სამეურნეო დაჭუცმაცებაზე ან პატარა სახელმწიფოთა იდეალზე, არამედ პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა დიდი სახელმწიფოები და ერების დაახლოვება, შეერთებაც კი, ოღონდ ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტურ ბაზაზე, რაც წარმოუდგენელია გამოყოფის თავისუფლების გარეშე“[1].

და აი, სწორედ ასეთ მრავალეროვან დიდ სოციალისტურ სახელმწიფოს შექმნას საძირკველი ჩაეყარა სამოქალაქო ომის წლებში, როდესაც მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალები აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლებს კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის ძალების წინააღმდეგ. უკვე მაშინ შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, სისტემატიურად ტარდებოდა ერთობლივი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და კულტურის განვითარებისათვის, არსებობდა მჭიდრო კოორდინირება საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობის სფეროში. ამავე დროს საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად იბრძოდნენ ყოფილი მეფის რუსეთის ყველა ეროვნებათა საუკეთესო წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოს შვილებიც. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ისეთი დამსახურებული და გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიც იყვნენ ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, ა. გეგეჭკორი, შ. ელიავა, ლ. ღოღობერიძე, გ. კანდელაკი, ნ. კალანდარაშვილი, ვ. კიკვიძე, ვ. კვირკელია, ბ. ლომინაძე, ი. ბრეგაძე, ს. ხმალაძე, შ. ჯაფარიძე, ა. ელბაქიძე და სხვები, რომლებიც სამოქალაქო ომის პერიოდში სათავეში უდგნენ წითელი არმიის ნაწილებსა და შენაერთებს, წარმატებით ხელმღვანელობდნენ დიდი მნიშვნელობის სამხედრო ოპერაციების მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალების განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებაში მათ უდიდესი ღვაწლი მიუძღვით.

ამავე დროს, საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური წითელი არმია, ასრულებდა რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, შინაგანი კონტრრევოლუციისა და ინტერვენტების ძალებთან გააფთრებული ბრძოლების დროსაც კი უდიდეს დახმარებას უწევდა სხვა მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნაში და მათ განვითარება-განმტკიცებაში.

ასე მაგალითად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების და, კერძოდ, საქართველოს მშრომელებს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის დამხობაში და

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 506.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში უდიდესი დახმარება აღმოუჩინა, უშუალოდ ვ. ი. ლენინის მითითებით, რუსეთის მუშურ-გლეხური შეიარაღებული ძალების XI არმიამ, რომელსაც მეთაურობდა თბილისში დაბადებული და აღზრდილი ა. გეკერი. ამ არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს წევრები იყვნენ შ. ელიავა და ია. ვესნიკი, ხოლო მასში შემავალ სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებს ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერის წარმომადგენელნი. მე-9 მსროლელთა დივიზიის უფროსი იყო ნ. კუიბიშევი, მე-18 ცხენოსანთა დივიზიის უფროსი — პ. კურიშკო, მე-20 დივიზიის უფროსი — მ. ველიკანოვი, ცალკე რაზმის უფროსი — ა. გეგეჭკორი, 77-ე მსროლელთა პოლკის მეთაური — ნ. ევტუშენკო, 293-ე პოლკის მეთაური — გ. გაგიევი, ცალკე პარტიზანთა რაზმებს მეთაურობდნენ ა. ელბაქიძე და დ. ხუვაევი. თბილისის მიმართულების ჯარების ჯგუფის სამხედრო კომისარი იყო კ. რატნეკი, 89-ე მსროლელთა ბრიგადის სამხედრო კომისარი იყო 1905 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი შ. ჯაფარიძე; ა. ჯაფარიძის და ს. შაუმიანის სახელობის მე-7 ჯავშნოსან მატარებელს მეთაურობდა ბოლშევიკური პარტიის წევრი 1912 წლიდან, სამგზის წითელი დროშის ორდენოსანი სიმონ ხმალაძე; ცალკე ქართულ პირველ მსროლელთა პოლკს (ლეგიონს), რომელიც შეიქმნა ბაქოში 1920 წლის მაისში სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით და მითითებით, ხელმძღვანელობდა ორგზის წითელი დროშის ორდენოსანი იოსებ ბრეგაძე. არმიის შტაბის მოღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის ძველი არმიის გენერალი ა. გაბაშვილი[2].

კავკასიის ფრონტის ჯარებს, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა, აგრეთვე, XI არმია, სარდლობდა ვ. მ. გიტისი, ხოლო რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი იყო სერგო ორჯონიკიძე[3].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე რესპუბლიკის რევოლიუციური კომიტეტი შეუდგა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, მათ შორის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის, ორგანიზაციას. 1921 წლის 2 მარტით დათარიღებულ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა ს. ორჯონიკიძეს: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით ვთხოვ მათ, მაცნობონ — არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა სამ საკითხში.

პირველი: საჭიროა დაუყონებლივ შევაიარაღოთ მუშები და უღარიბესი გლეხობა და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია, გთხოვთ პასუხს...“[4].

სერგო ორჯონიკიძემ დეპეშით უპასუხა ვ. ი. ლენინს ამ წერილზე: „თქვენ მიერ მითითებულ საკითხებზე შემიძლია გაცნობოთ, რომ ქართველ კომუნისტებს სრული ერთსულოვნება აქვთ ჩვენთან. მუშები და გლეხები იარაღდებიან... ორჯონიკიძე“[5].

ქართული წითელი არმიის შექმნის იურიდიულ თარიღად უნდა ჩაითვალოს 1921 წლის 21 მარტი, როცა გამოიცა საქართველოს სამხედრო-სა-

---

2 Краснознаменный Закавказский, М., 1969, გვ. 69—95.

3 იქვე, გვ. 76—79.

4 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 189.

5 ს. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 211.

ღვაო სახალხო კომისრის ბრძანება მენშევიკური ჯარის დაშლისა და საქართველოს წითელი არმიის ფორმირების დაწყების თაობაზე. თუმცა ფაქტობრივად მანამდე, 1921 წლის მარტის პირველ რიცხვებში, ბათუმში თავმოყრილი მენშევიკური ჯარის მთელი რიგი სამხედრო ნაწილები გადმოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

ბათუმის რევოლუციურმა კომიტეტმა ს. ქავთარაძის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს ტერიტორიიდან თურქი ოკუპანტების გასაღევნად რევოლუციის მხარეზე გადმოსული მენშევიკური ჯარის ნაწილებში დიდი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღა. ამ ჯარების სარდლად დაინიშნა გენერალი გ. მაზნიაშვილი, ხოლო სამხედრო კომისრად — რევკომის წევრი თენგიზ ჟღენტი. სულ რამდენიმე დღეში თურქეთის საოკუპაციო ჯარები სასტიკად იქნენ დამარცხებული და საბჭოთა საქართველოს მიწა-წყლიდან განდევნილი, ხოლო ნაწილი დატყვევებული. ამ მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანის შესრულებას დიდად შეუწყო ხელი იმ მდგომარეობამ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე იმყოფებოდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში ქართველმა ახალგაზრდობამ თურქ დამყრობლებთან გააფთრებულ ბრძოლებში ხუხვად დაღვრილი სისხლით დაამტკიცა უსაზღვრო ერთგულება თავისი ხალხის ინტერესებისა და საბჭოთა სამშობლოსადმი.

საბჭოთა საქართველოს უკვე 1921 წლის აპრილისათვის ჰყავდა თავისი წითელი არმია შემდეგი შემადგენლობით: ოთხი ქვეითი პოლკი, ორი ცხენოსანთა პოლკი, სამბატარეიანი ცალკე საარტილერიო დივიზიონი, ორი ჯავშნოსანი მატარებელი, სხვადასხვა სპეციალური და ზურგის სამხედრო ნაწილები სულ 17 ათასი კაცის რაოდენობით. უდავოა, ასეთ არმიას დამოუკიდებლად და სათანადო გაძლიერების გარეშე არ შეეძლო იმ მრავალი რთული ამოცანის შესრულება, რომლებიც მაშინ საბჭოთა საქართველოს წინაშე იდგა.

მაგრამ იმხანად საქართველოს მეტად მძიმე ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა. რესპუბლიკის სუსტად განვითარებულ ეკონომიკას არ შეეძლო უზრუნველეყო მთლიანად არმიის ზრდა-განმტკიცება საჭირო რაოდენობის შეიარაღებით, საჭურვლით, ტანსაცმლითა და ა. შ. ყოველივე ამან აიძულა საბჭოთა საქართველოს მთავრობა არა მარტო დროებით შეეჩერებინა წითელი არმიის ქართული ნაწილების შემდგომი ფორმირება, არამედ შეემცირებინა ზოგიერთი საჯარისო შენაერთი და ნაწილი.

ემიგრირებული მენშევიკური მმართველნი, მათი მფარველები — მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები, აგრეთვე ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის მთავრობა ვერასგზით ვერ ურიგდებოდნენ საბჭოთა წყობილების დამყარებას საქართველოში. სარგებლობდნენ რა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის შინაგანი ეკონომიკური და სხვა ხასიათის დროებითი სიძნელეებით ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ გაემწვავებინათ საქართველოს უამისოდაც რთული საერთაშორისო მდგომარეობა.

ჩვენი მტრები ლამობდნენ საბჭოთა რუსეთის ჯარის გაყვანას საქართველოდან, იმ იმედით, რომ რუსეთის წითელი არმიის ნაწილების გაყვანის შემდეგ, შინაგანი კონტრრევოლუციური ელემენტები შეძლებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, საბჭოთა რუსეთიდან საქართველოს კვლავ ჩამოშორებას და საერთაშორისო რეაქციის დასაყრდენად მის გადაქცევას.

შექმნილი საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვდა უმოკლეს ვადაში ეფექტური ზომების მიღებას რესპუბლიკის ეკონომიკის გასაუმჯობესებლად და ქართული წითელი არმიის გასაძლიერებლად. სწორედ ამას აქცევდა ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას.

სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობის წინაღღეს ვ. ი. ლენინი წერდა ს. ორჯონიკიძეს: „ამხ. სერგო! აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნამდვილად შესრულდეს...

თავდაპირველად დაე იყოს ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2-3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შეეძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია.

შესაძლოა სტალინმა დაუმატოს უფრო ვრცლად შესრულების სამხედრო-ტექნიკურ წესებზე.

მე ვჯერდები საქმის პოლიტიკურ მხარეს... თქვენი ლენინი. 13/XI"[6].

სრულიად საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომელიც თბილისში 1922 წლის 25 თებერვალს გაიხსნა და 3 მარტამდე გაგრძელდა, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილა საქართველოს წითელი არმიის საკითხი. მომხსენებელმა — სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარმა შალვა ელიავამ ყრილობას განუცხადა, რომ ეკონომიური სიძნელეების გამო ქართული წითელი არმიის შექმნის გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა და უფრო მეტიც, დაგეგმირდა რეორგანიზაცია, მისი შემცირების მიზნით. ამასთან შ. ელიავამ ყრილობის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და საერთაშორისო ვითარება დაჟინებით მოითხოვს საქართველოში ისეთი წითელი არმიის არსებობას, რომელიც შეძლებდა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების და სახელმწიფო საზღვრების დაცვას. ვიდრე არ შეიქმნება სწორედ ასეთი არმია, არ შეიძლება დაისვას საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანის საკითხი. პირიქით, აუცილებელია მივიღოთ მიმართვა საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი და ვთხოვოთ მას, დატოვოს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის წითელი ჯარის შენაერთები. მან აღნიშნა აგრეთვე, ქართულ საარმიო ფორმირებათა განმტკიცების და განვითარების საქმეში რუსეთის წითელი სამხედრო ნაწილების პრაქტიკული და დიდი საბრძოლო გამოცდილების გამოყენების განსაკუთრებული საჭიროება. მომხსენებელმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ქართული ეროვნული სამხედრო კადრების აღზრდის და მომზადების მდგომარეობას.

ამავე ყრილობაზე ამ საკითხის ირგვლივ საფუძვლიანი მოხსენებით გამოვიდა სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც თქვა: ...ჩვენს წინაშე დგას მორიგი ამოცანა, დაკვრითი ამოცანა — რადაც არ უნდა დაჯდეს სულ უახლეს თვეებში გავადიდოთ საქართველოს წითელი არმიის ძლიერება. ჩვენი კომუნისტური პარტია ამისათვის აკეთებს პირდაპირ ყველაფერს, რაც გაკეთებაც კი შეუძლია"[7].

ყრილობამ ერთხმად მოიწონა მიმართვა საბჭოთა რუსეთისადმი საქართვ-

---

[6] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 226—227.

[7] ს. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, 1953, ტ. 1, გვ. 292.

ელოს ტერიტორიაზე რუსეთის წითელი არმიის ნაწილების დატოვების თაობაზე, აგრეთვე მოიწონა აუცილებელი ღონისძიებები ქართული წითელი არმიის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

კომუნისტური პარტიის და მისი დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1922 წლის 12 მარტს აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სრულუფლებიანი წარმომადგენლების კონფერენციაზე შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი, რომელიც იმავე წლის 13 დეკემბერს ბაქოში ამიერკავკასიის საბჭოების პირველ ყრილობაზე გარდაიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკად.

ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების წყალობით მოისპო ხალხთა შორის შუღლი, დამყარდა მეგობრობა და ურთიერთშდობა. საერთო ძალებით დაიწყო გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღდგენა, ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებები ნაციონალური კულტურის აყვავებისათვის, მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ რესპუბლიკების ეროვნული შეიარაღებული ძალები. კერძოდ, საბჭოთა საქართველოს წითელი არმია უკვე 1924 წლის აპრილისათვის შედგებოდა ორი მსროლელთა დივიზიისაგან, ცხენოსანთა პოლკისაგან, ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლისაგან, სამხედრო პოლიტიკური სკოლისაგან და მთელი რიგი ტექნიკური და ზურგის სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანაყოფებისაგან. ეს სამხედრო შენაერთები და ნაწილები იყვნენ ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და მ. ვ. ფრუნზეს შეფასებით ჰქონდათ კარგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, მაღალი ბრძოლისუნარიანობა. ისინი მტკიცედ იცავდნენ მშრომელთა ინტერესებს, მათ შემოქმედებით მშვიდობიან შრომას და სოციალისტური სამშობლოს სამხრეთის სახელმწიფო საზღვრებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის შესახებ" ნათქვამია: „...სსრ კავშირის შექმნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის იდეების, ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების ცხოველი განსახიერებაა. ახალი ეპოქის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად, ყოველმხრივ განავითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებანი ეროვნულ საკითხზე. მისი გადაწყვეტის მაგისტრალურ გზად მას მიაჩნდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის, ახალი, ექსპლუატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების აშენებისათვის. ლენინმა საფუძვლიანად დაასაბუთა, რომ საჭიროა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, იმპერიალიზმის ხელყოფისაგან სამშობლოს დასაცავად..."

ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ცხადყო, რომ საბჭოთა რესპუბლიკების უმჭიდროესი კავშირის გარეშე შეუძლებელია მათი დაცვა მსოფლიო იმპერიალიზმისაგან: „სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნება და განმტკიცება — ეს არის ღონისძიება, რომელიც გვჭირდება როგორც ჩვენ, ისე მსოფლიო კომუნისტურ პროლეტარიატს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად და მისი ინტრიგებისაგან დასაცავად"[8]. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის, მათი მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობის გარეშე, მეტად მცირე ისტორიულ დროში, ვერ განხორციელდებოდა იმპერიალიზმის მიერ დანგრეული საწარმოო ძალების

[8] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 45, გვ. 360.

აღდგენა, ერთიანი, საერთო გეგმით რეგულირებული სოციალისტური მეურნეობის შექმნა, შრომის რაციონალური საზოგადოებრივი დანაწილების უზრუნველყოფა და ბუნებრივი სიმდიდრეების ეფექტიანი გამოყენება ქვეყნის ყველა ხალხის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის გარეშე შეუძლებელია მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების კულტურის ყოველმხრივი განვითარებისა და გაფურჩქვნის უზრუნველყოფა.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება დაჟინებით მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანებას ერთ საკავშირო სახელმწიფოდ, რომელსაც უნარი შესწევს უზრუნველყოს საგარეო უშიშროებაც, საშინაო სამეურნეო წარმატებაც და ხალხთა ეროვნული განვითარების თავისუფლებაც.

როგორც ცნობილია, 1922 წლის დეკემბერში ჩატარებულ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ყრილობაზე ერთსულოვნად გამოითქვა მშრომელთა სურვილი მრავალეროვან ერთობლივ სახელმწიფოს დაარსების შესახებ და იმავე წლის 30 დეკემბერს მოსკოვში საბჭოების პირველმა ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, რომელშიც გაერთიანდნენ რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ბელორუსიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. უკვე თვით ამ უდიდესმა ისტორიულმა მოვლენამ მნიშვნელოვნად აამაღლა საბჭოთა კავშირის სამხედრო-პოლიტიკური ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე.

1923 წელს სასტიკად გამწვავდა საერთაშორისო მდგომარეობა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში დაიწყო თავაშვებული ანტისაბჭოთა აგიტაცია. შვეიცარიაში მოკლეს საბჭოთა დიპლომატი ვ. ვ. ვოროვსკი და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. კერზონი დაემუქრა საბჭოთა კავშირს ახალი ინტერვენციით. სსრ კავშირის მთავრობამ არა თუ შეძლო სათანადო მკაცრი პასუხის გაცემა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მძაფრი გამოხტომების ლიკვიდაცია, არამედ თავისი გაძლიერებული მდგომარეობით და გაზრდილი ავტორიტეტით მსოფლიო ასპარეზზე ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

სსრ კავშირმა 1924 წლის განმავლობაში ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ინგლისთან, იტალიასთან, ავსტრიასთან, ნორვეგიასთან, შვეციასთან, ჩინეთთან, დანიასთან, მექსიკასთან, საფრანგეთთან, იაპონიასა (1925 წლის 20 იანვარს) და სხვა სახელმწიფოებთან, რაც იმ დროისათვის წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დიდ გამარჯვებას. ამავე დროს, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული საერთაშორისო მდგომარეობა საშუალებას აძლევდა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რათა მეტი ყურადღება მიექციათ სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის და სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის. გარდა ამისა, შეიქმნა აგრეთვე სათანადო სამხედრო რეფორმის გატარების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ 1924—1925 წლების განმავლობაში განხორციელებული სამხედრო რეფორმის შედეგად საბჭოთა შეიარაღებული ძალები გადაყვანილ იქნენ მშვიდობიან პირობებზე და მათი რაოდენობა შემცირდა 610

ათას სამხედრო მსახურამდე, მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუმჯობესდა სამხედრო ნაწილების და შენაერთების შეიარაღება, აღჭურვილობა და სხვა მატერიალური სახსრებით უზრუნველყოფა, რამაც, უდავოა საგრძნობლად აამაღლა მათი ბრძოლისუნარიანობა.

მაგრამ ვინაიდან საბჭოთა კავშირი იმ დროს იმყოფებოდა კაპიტალისტურ გარემოცვაში და ომის საშიშროება მაინც არ იყო გამორიცხული, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდნენ წითელი არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორგანიზაციულ განმტკიცებას, მათ საერთო გაძლიერებას და საბრძოლო მზადყოფნის მნიშვნელოვან ამაღლებას. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ჯარში შემოღებული იყო ნაწილობრივი ერთმმართველობა, რამაც გააძლიერა მეთაურთა პასუხისმგებლობა პარტიული და პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად, დაწესდა მობილიზაციის და შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების ახალი უფრო მარტივი ფორმები, რის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ჯარების საბრძოლო მზადყოფნა; მთელი რიგი მსროლელთა ნაწილები და შენაერთები გადაყვანილ იქნენ ტერიტორიულ-სამილიციო შევსებისა და საბრძოლო-პოლიტიკურ სწავლების სისტემაზე; განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სპეციალური და ტექნიკური ჯარების ნაწილების გაძლიერებას და მათ შეიარაღებს ახალი გაუმჯობესებული საბრძოლო ტექნიკით; მეთაურთა კადრების მოსამზადებლად გაფართოვდა სამხედრო სასწავლებლების ქსელი: ავიაციის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გასაძლიერებლად გატარდა მრავალი ღონისძიება, მათ შორის მთავარი იყო საკონსტრუქტორო ბიუროების დაარსება ახალი უფრო სრულყოფილი საბრძოლო ტექნიკის შესაქმნელად; წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მიიღეს ახალი სამხედრო წესდებები და სახელმძღვანელოები; 1925 წლის 18 სექტემბერს მიღებულ იქნა ახალი კანონი სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ, რომლის პრაქტიკულმა შესრულებამ აგრეთვე დიდი გავლენა მოახდინა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე.

სსრ კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად 1925 წლის 26 იანვარს დაინიშნა გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე მ. ვ. ფრუნზე, რომელმაც მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა საბჭოთა შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. მას აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა სამხედრო მეცნიერების შექმნაში და საბჭოთა კავშირის სამხედრო დოქტრინის შემუშავებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის ჯეროვანი განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

1933 წლის აპრილისათვის — საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომისწინა პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები: საავიაციო, ქიმიური, სატრაქტორო, მძიმე მანქანათმშენებლობის, საავტომობილო, ჩარხსაამშენებლო, შავი მეტალურგიის და სხვები, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე. ამავე დროს შეიქმნა მძლავრი სამხედრო მრეწველობა, რომელმაც უზრუნველყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების გადაიარაღება ახალი თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით. ხუთ-

წლედის ბოლოსათვის საბჭოთა-საჰაერო ფლოტი მასობრივად ღებულობდა სამამულო კონსტრუქციის სამხედრო ტექნიკას, რომლებიც თავისი საბრძოლო-ტექნიკური მონაცემებით არ ჩამოუვარდებოდნენ კაპიტალისტური ქვეყნების საავიაციო ტექნიკას. სამხედრო საზღვაო ფლოტის გეგმები და მათი შეიარაღება მთლიანად აღდგა და შეკეთდა, 1932 წლიდან დაიწყო მცირე კლასის ახალი სამხედრო ხომალდების მშენებლობა და საზღვაო ავიაციის ნაწილების შევსება ახალი გაუმჯობესებული ტიპის საბრძოლო თვითმფრინავებით.

პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. 1932 წლის მრეწველობის ხვედრითი წონა უდრიდა სახალხო მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 70,7%-ს. ამ დროისათვის აშენდა უახლესი ტექნიკით აღჭურვილი 1500 სამრეწველო საწარმო; 1913 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო ნაწარმი 1932 წელს შეადგენდა 267%-ს, ხოლო მძიმე მრეწველობის პროდუქცია — 352%-ს. შეიქმნა ნახშირისა და მეტალურგიის მეორე ბაზა კუზბასში. აშენდა მთელი რიგი სტრატეგიული მნიშვნელობის გზები, მათ შორის თურქესტან-ციმბირის რკინიგზა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მოკავშირე ეროვნული რესპუბლიკების და რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე განაპირა მხარეების და ოლქების ინდუსტრიალიზაციას, სადაც აშენდა მძიმე და სამხედრო მრეწველობის მრავალი საწარმო, რომლებსაც არა მარტო პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდათ, არამედ უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებაც.

მნიშვნელოვნად გარდაიქმნა სოფლის მეურნეობა. საბჭოთა კავშირის ძირითად რაიონებში დამთავრდა კოლექტივიზაცია. პირველი ხუთწლედის ბოლოსათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა 61,5%; მათ ეკუთვნოდათ მთელი სათესი ფართობის 77,7%. ამ დროისათვის სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 121 ათასი ტრაქტორი 1 900 ათასი ცხენის ძალის საერთო სიმძლავრით და მრავალი სხვა სახის მანქანები. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მიღწევები კულტურის დარგში. ოთხი წლის განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა ზოგადი განათლების სკოლებში თითქმის გაორკეცდა; ტექნიკუმებში 189,4 ათასიდან გაიზარდა 724 ათასამდე; უმაღლეს სასწავლებლებში — 168,5 ათასიდან 504,0 ათასამდე; მეცნიერ მუშაკთა რიცხვი კი გაიზარდა ორჯერ; ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში გამტკიცდა სოციალისტური რეალიზმი. საბჭოთა ხალხის აღმშრდელობით მუშაობაში კომუნისტური პარტია განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების განმტკიცებას.

ზემოაღნიშნულმა მიღწევებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე და მნიშვნელოვნად აამაღლეს საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მსოფლიოში. 1932 წელს საბჭოთა მთავრობამ ხელშეკრულება დადო თავდაუსხმელობის და ნეიტრალიტეტის შესახებ საფრანგეთთან, პოლონეთთან, ესტონეთთან, ლატვიასა და ფინეთთან. გარდა ამისა, 1933 წლის 16 ნოემბერს საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარდა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა. 1934

წლის 9 ივნისს კი დადო ხელშეკრულება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, კულტურის აყვავებაში, საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებაში და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი ენთუზიაზმით განაგრძობდა სოციალიზმის მშენებლობას — მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანის შესრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისას ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მანამდე არნახული პოლიტიკური აქტივობის და შრომითი გმირობის მაგალითები აჩვენეს, რამაც უზრუნველყო ხუთწლედის ვადაზე ადრე შესრულება.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირში აშენდა 4500 სამრეწველო ობიექტი, მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით გაიზარდა თითქმის 6-ჯერ, ხოლო მძიმე ინდუსტრიისა 8,1-ჯერ. 1932 წელთან შედარებით ფოლადის გამოდნობა გაიზარდა თითქმის 3-ჯერ, თუჯის — 2,3-ჯერ, სპილენძის — 3-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება—2,6-ჯერ, ტრაქტორების გამოშვება — 3-ჯერ, ქიმიური პროდუქტების— 2,8-ჯერ, ავტომანქანების — 8,4-ჯერ და ა. შ. საბჭოთა კავშირი გადაიქცა ეკონომიურად სრულიად დამოუკიდებელ მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად,

მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრდა. კოლმეურნეობები აერთიანებდნენ გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობის 93%-ს და მთელი სათესი ფართობის 99%-ს. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1937 წელს, შედარებით 1932 წელთან, შეადგენდა 153,9%-ს. კოლმეურნეობებში მუშაობდა 128,8 ათასი კომბაინი, 146000 საბარგო ავტომანქანა, 456 ათასი ტრაქტორი და სხვ.

უდიდესმა მიღწევებმა სოციალისტურ მშენებლობაში მოსპეს ყოფილ ჩაგრულ ხალხთა ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა. კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობა და ურთიერთდახმარება. სოციალისტური ეკონომიკის გაძლიერებისა და კულტურის განვითარების შედეგად შეიქმნენ ახალი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. 1936 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირში გაერთიანებული იყო 11 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა: რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთისა და თურქმენეთის.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულება მიმდინარეობდა ომისწინა ძალზე დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, სამი წლის განმავლობაში მწყობრში ჩადგა სამი ათასამდე სამრეწველო საწარმო და მძიმე მრეწველობის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 53%-ით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ომის რეალური საშიშროების გამო კიდევ მეტად გაამახვილეს ყურადღება შეიარაღებული ძალების გაძლიერებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიმართ. წითელი არმიის ჯარების რაოდენობა 1934—1939 წლებში გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად, ჯავშანსატანკო ნაწილების რიცხვი — 2,5-ჯერ, ხოლო მათი საცეცხლო ძალა — 3,5-ჯერ. ამავე დროის განმავლობაში მსუბუქი არტილერია გაიზარდა 34%-ით, საშუალო — 26%-ით, მძიმე — 85%-ით, საზენი-

ტო — 169%-ით. საბრძოლო თვითმფრინავების რაოდენობა გაიზარდა ორჯერ. 1930 წელთან შედარებით. 1939 წელს წითელი არმიის აღჭურვილობა გადიდდა ტყვიამფრქვეველებით — 5,5-ჯერ, საბრძოლო თვითმფრინავებით — თითქმის — 6,5-ჯერ, საველე არტილერიით — 7-ჯერ, ტანკებით — 43-ჯერ, ტანკსაწინააღმდეგო და სატანკო არტილერიით—70-ჯერ. მნიშვნელოვნად ამაღლდა ჯარების მექანიზაცია და მოტორიზაცია. სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის აშენდა სხვადასხვა ტიპის წყალქვეშა ნავები, კრეისერები, საესკადრო ნაღმოსნები და სხვა ხომალდები, ფლოტის ტონაჟი გადიდდა 130%-ით, შეიქმნა წყნარი ოკეანისა და ჩრდილოეთის ფლოტები. 1941 წლისათვის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მიიღო დაახლოებით 500 ახალი თანამედროვე საბრძოლო ხომალდი[9].

მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებები, მიმართული თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1939 წლის 1 სექტემბერს დაამტკიცა ახალი კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ, რომელმაც გააუქმა ტერიტორიალურ-სამილიციო სისტემა და წითელი არმია მთლიანად გადავიდა საკადრო სისტემაზე, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა საბრძოლო მზადყოფნა. საკავშირო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყო მნიშვნელოვანი თანხა შეიარაღებული ძალების გასაძლიერებლად. სახელმწიფო საზღვრების გასამაგრებლად ჩატარდა ეფექტური ზომები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობას და მათ სათანადო გამაგრებას. ჯერ კიდევ 1929 წელს განსაკუთრებულმა წითელდროშოვანმა შორეული აღმოსავლეთის არმიამ და ამურის სამხედრო ფლოტილიამ მუსრი გაავლეს ჩინეთის მილიტარისტების ჯარებს, რომლებიც ლამობდნენ საბჭოთა კავშირის კუთვნილი რკინიგზის მიტაცებას. 1938 წლის ზაფხულში 1-ლა წითელდროშოვანმა შორეული აღმოსავლეთის ცალკე არმიამ ხასანის ტბის მიდამოებში სასტიკად დაამარცხა იმპერიალისტური იაპონიის ჯარები, რომლებიც შეეცადნენ საზღვრის დარღვევასა და საბჭოთა ტერიტორიის მიტაცებას. საბჭოთა ჯარებმა და მეგობრული მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებმა ურთიერთდახმარებით 1939 წლის მაის-აგვისტოში მდინარე ხალხინ-გოლის მიდამოებში გაანადგურეს იაპონელთა 60-ე არმია, რამაც მტკიცედ დაარწმუნა იაპონიის მილიტარისტული ხელმძღვანელობა მათი განზრახვის უნიადაგობისა და წითელი არმიის სიმძლავრეში. ამ მდგომარეობამ შემდგომში უზრუნველყო საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა.

საბჭოთა მთავრობის ბრძანებით, 1939 წლის სექტემბერში წითელმა არმიამ იხსნა დასავლეთ ბელორუსიის და დასავლეთ უკრაინის ხალხები გერმანელ ფაშისტთა მოსალოდნელი მონობისაგან. რომლებიც იმავე წლის ნოემბერში ნებაყოფლობით შეუერთდნენ შესაბამისად საბჭოთა ბელორუსიას და უკრაინას. 1939 წლის სექტემბერ-ოქტომბერში საბჭოთა კავშირსა და ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს შორის დაიდო ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ, მაგრამ ამ ქვეყნების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები სისტემატიურად არღვევდნენ აღებულ ვალდებულებებს და აწყობდნენ ყოველგვარ ანტისაბჭოთა ხრიკებს. აღშფოთებულმა მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გააძევეს კონტრრევოლუციური მესვეურები

[9] БСЭ, II, изд., т. 50, გვ. 233 და 423.

და აღადგინეს საბჭოთა ხელისუფლება. 1940 წლის აგვისტოში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები შემოუერთდნენ საბჭოთა კავშირს.

ფაშისტური გერმანიის მითითებით და ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის რეაქციული წრეების დიდი დახმარებით, 1939 წლის ნოემბერში ფინეთის ხელდრობამ ჩაატარა რამდენიმე სამხედრო-პროვოკაციული მოქმედება წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ. რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი. საბჭოთა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ფინეთის შეიარაღებული ძალები. საზავო ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დაიდო 1940 წლის 12 მარტს, საბჭოთა კავშირს შემოუერთდა კარელიის ყელი ქალაქ ვიბორგით და ზოგიერთი სხვა რაიონი, რომლებიც გადაეცა კარელიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. ამის შედეგად, ჩრდილო-დასავლეთის სახელმწიფო საზღვრები მნიშვნელოვნად დაცილდა ლენინგრადსა და მურმანსკს, რამაც უზრუნველყო მათი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება.

საბჭოთა მთავრობამ 1940 წლის 26 ივნისს წინადადება მისცა რუმინეთს ბესარაბიის დაბრუნების შესახებ, რომელიც მიტაცებული იყო მის მიერ 1918 წელს, და აგრეთვე, ჩრდილოეთ ბუკოვინის გადმოცემის შესახებ, რომლის მოსახლეობა უკრაინელებისაგან შედგებოდა. 1940 წლის 28 ივნისს რუმინეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა და საბჭოთა ხალხის ოჯახს შეემატა 3 მლნ. 700 ათასი ახალი მოქალაქე. ბესარაბიის უდიდესი ნაწილი გადაეცა მოლდავეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, ხოლო უკრაინელებით დასახლებული ჩრდილოეთ ბუკოვინა და ბესარაბიის ზოგიერთი რაიონი შეუერთდა საბჭოთა უკრაინას. 1940 წლის 2 აგვისტოს მოლდავეთის ასსრ გარდაიქმნა მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებით უფრო მეტად ამაღლდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მსოფლიო ასპარეზზე, განმტკიცდა მისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, მნიშვნელოვნად დაცილდა სახელმწიფო საზღვრები ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრებს, რითაც ბევრად გაუმჯობესდა სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა და გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში — 1940 წელს საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის პროდუქცია თითქმის 12-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები იძლეოდნენ 35-ჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე 1913 წელს. სამრეწველო ნაწარმის მოცულობით საბჭოთა კავშირს ეჭირა ევროპაში პირველი და მსოფლიოში მეორე ადგილი. ამავე დროისათვის სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 181,7 ათასი კომბაინი, 228 ათასი სატარგო ავტომანქანა, 513 ათასი ტრაქტორი და მრავალი სხვა სახის მანქანები. საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა უმძლავრეს ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოს. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უმოკლეს ისტორიულ დროში და მეტად დაძაბულ საერთაშორისო მდგომარეობაში. საბჭოთა ხალხის გმირული და შემოქმედებითი შრომით შექმნილი იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მძლავრი ეკონომიკური ბაზა.

სსრ კავშირის სიმტკიცის მკაცრი შემოწმება იყო დიდი სამამულო ომი კაცობრიობის ყველაზე საშიშ მტერთან—ჰიტლერულ ფაშიზმთან შეჯიდებამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხებს მხოლოდ კავშირით, საერთო ძალებით შეუძ-

ლიათ დაიცვან თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თავიანთი რევოლუციური მონაპოვარი. სამამულო ომმა ეროვნული შუღლის გაღვივების, მრავალეროვნული სოციალისტური სახელმწიფოს დაშლის იმედები გაუცრუა მსოფლიო იმპერიალიზმს. სსრ კავშირის ხალხები ერთიან მწყობრში გმირულად იბრძოდნენ და თავდადებით შრომობდნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, მტერზე საერთო გამარჯვების მოსაპოვებლად, მთელ მსოფლიოს უჩვენეს საოცარი შეუპოვრობა და ვაჟკაცობა. დიდ სამამულო ომში ისტორიულმა გამარჯვებამ მკაფიოდ გვიჩვენა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უპირატესობანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიდი სასიცოცხლო ძალა და ურღვევობა.

და მართლაც, დიდი სამამულო ომის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტის ერთი თვალის გადავლებით შეგვიძლია დაბეჯითებით დავრწმუნდეთ იმაში, თუ რა დიდი სასიცოცხლო ძალა და ურღვევი სიმტკიცე ახასიათებს საბჭოთა კავშირს და როგორი გმირობით იბრძოდა და შრომობდა საბჭოთა ხალხი დიდი ისტორიული გამარჯვების მოსაპოვებლად.

ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის პირველ პერიოდში გერმანელ-ფაშისტმა მტაცებლებმა, მიუხედავად უდიდესი მსხვერპლისა, შეძლეს საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაპყრობა, მათ მიერ ოკუპირებული იყო ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ბელორუსია, უკრაინა, მოლდავეთი და რსფს რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთი, დასავლეთი და ზოგიერთი სამხრეთი ოლქები და მხარეები. ჰიტლერელების მიერ ოკუპირებულ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ომამდე ცხოვრობდა 88 მილიონი ადამიანი, ანუ სსრ კავშირის მცხოვრებთა დაახლოვებით 40%. ამ ტერიტორიაზე მოდიოდა საბჭოთა კავშირში მოპოვებული ქვანახშირის 60%, გამოდნობილი თუჯის 68%, ფოლადის — 58%, ალუმინის წარმოების—60% და საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის 38%. დროებით დაპყრობილ რაიონებში მოდიოდა მთელი მარცვლეულის მოსავლის 38% და შაქრის წარმოების 84%, აქ იმყოფებოდა პირუტყვის მთელი რაოდენობის დაახლოვებით 50%. ქვეყნის მთელი რკინიგზის ქსელის 41%-ზე მეტი, აგრეთვე, მოდიოდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე[10].

მიუხედავად ასეთი უზარმაზარი ეკონომიკური ზარალისა, საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა როდი დაყარეს იარაღი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ, გაორკეცებული გმირული შრომით შეუდგნენ მატერიალური სახსრების და, პირველ რიგში კი, იმ პროდუქციის წარმოებას, რომელიც ესაჭიროებოდა შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო მრეწველობას.

საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების, მათი შეიარაღებისა და ყოველგვარი მატერიალური საარსებით უზრუნველყოფის სიმძიმე დააწვა რსფს რესპუბლიკის აღმოსავლეთ ოლქებს, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს, აგრეთვე შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. ამავე რესპუბლიკებს მოუხდათ ორი-სამი წლის განმავლობაში ქვეყნის სამხედრო მრეწველობის სტრატეგიული ნედლეულით და საწვავი მასალით უზრუნველყოფა. ასე მაგალითად, შუა აზიის რესპუბლიკები და ყაზახეთი იძლეოდა ბამბას, თითქმის მთლიანად, მნიშვნელოვანი რაოდენობით ქვანახშირს, ფერად ლითონებს, სურსათ-სანოვაგეს და სხვა, აზერ-

[10] Н. Вознесенский, Военная экономика СССР, М.. 1948, გვ. 42.

ბაიჯანი აწვდიდა ნავთობს თითქმის მთლიანად, ბამბას საკმაოდ, სურსათს და სხვა; სომხეთი — სპილენძსა და ქიმიური მრეწველობის ნაწარმს; საქართველო — ეთერზეთოვანი კულტურების ნაწარმს, მანგანუმს, ქვანახშირს საკმაოდ, თეთრ დარიშხანას, იშვიათ და ფერად ლითონებს, ფეროშენადნობებს, სურსათ-სანოვაგესა და მრავალ სხვას.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების შესავსებად მხოლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან და დაღესტანის ასსრ-დან ომის დაწყებიდან 1943 წლის 15 დეკემბრამდე მობილიზებული იყო 1 290 658 კაცი, მათ შორის საქართველოდან 562 571 სამხედრო ვალდებული. სულ კი დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში საქართველოდან იბრძოდნენ დაახლოებით 700 ათასამდე მებრძოლი და მეთაური, მათ შორის 16 ათასამდე ქალი, ანუ რესპუბლიკის მაშინდელი მთელი მოსახლეობის 19%-ზე მეტი[11].

აღსანიშნავია, რომ ომის დასაწყისი პერიოდის უმძიმეს პირობებში, სულ რაღაც სამი თვის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის დასავლეთ რაიონებიდან აღმოსავლეთში ევაკუირებულ იქნა მრეწველობის 1360 მსხვილი, უმთავრესად სამხედრო ინდუსტრიის საწარმო, ათი ათასობით ჩარხი, ძრავები, ტურბინები, წნეხები და საგლინი დგამები, აგრეთვე დიდი რაოდენობით მუშახელი. მიუხედავად მრავალი სიძნელეებისა, ევაკუირებული სამრეწველო საწარმოები, როგორც წესი, უკვე ორი-სამი თვის შემდეგ იწყებდნენ ნაწარმის გამოშვებას.

1942 წლის მარტიდან საბჭოთა კავშირის მრეწველობაში არამცთუ შემცირდა პროდუქციის გამოშვება, არამედ სწრაფი ტემპით გაიზარდა. რაც შეეხება სამხედრო პროდუქციას, 1942 წლის მარტში მხოლოდ აღმოსავლეთ რაიონებში იქნა მიღებული იმავე რაოდენობის ნაწარმი, რამდენიც იწარმოებოდა ომის დასაწყისში საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. მაშინ, როდესაც ჩვენი მტრები ითვლიდნენ საბჭოთა სახელმწიფოს „უკანასკნელ“ დღეებს, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მითითებით დამუშავდა და მიღებულ იქნა სამხედრო მრეწველობის საფუძვლის — შავი მეტალურგიის ახალი სიმძლავრეების მშენებლობის დიდი გეგმა, რომელიც შემდგომში უმოკლეს ვადაში განხორციელდა ძირითადად ურალისა და ციმბირის რაიონებში[12].

დიდი სამამულო ომის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობა ყოველწლიურად საშუალოდ უშვებდა 40 ათასამდე თვითმფრინავს, 30 ათასზე მეტ ტანკს, თვითმავალ საარტილერიო დანადგარს და ჯავშნოსანს, 220 ათასამდე სხვადასხვა ყალიბის საარტილერიო ქვემეხს და ნაღმსატყორცნს, 450 ათასზე მეტ ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევს დაახლოებით 2 მილიონ ავტომატს, 3 მილიონზე მეტ შაშხანას. ხოლო საარტილერიო ჭურვების, ნაღმებისა და საავიაციო ბომბების წარმოება აღწევდა 240 მილიონ ცალს, შაშხანისა და ავტომატის ვაზნების რაოდენობა — 7,4 მილიარდ ცალს, ანუ დაახლოებით ორჯერ მეტს, ვიდრე ფაშისტური გერმანია და ინგლისი ცალ-ცალკე აღებული. ამერიკის შეერთებული შტატები საშუალოდ ყოველწლიურად აწარმოებდნენ 52,5 ათასამდე საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავს, 29 ათას ტანკს, თვითმავალ ქვემეხსა და ჯავშნოსანს, 114 ათასამდე საარტილერიო ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, 3,4 მილიონ შაშხანასა და ავტომატს და სხვას[13].

[11] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 13811, ფფ. 47—51.

[12] Н. Вознесенский, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[13] БСЭ, II изд., т. 27, გვ. 582.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის და, კერძოდ, თავდაცვითი მრეწველობის ასეთი გრანდიოზული მიღწევები შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში და განსაკუთრებით ომის პირობებში შესაძლებელი შეიქნა სსრ კავშირის მშრომელთა თავდადებული და გმირული შრომის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ურთიერთდახმარების, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის, რომელთა სათავეში იდგა იოსებ სტალინი, სწორი და მტკიცე ხელმძღვანელობის შედეგად.

დიდი სამამულო ომის მსვლელობის დროს საბჭოთა კავშირის ყველა ერის და ეროვნების მებრძოლი თავდადებით და გმირობით ასრულებდა თავის წმიდათაწმიდა მოვალეობას სამშობლოს წინაშე. არ ყოფილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს. საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა ლენინური მეგობრობის სიმტკიცე და ურღვევობა ნათლად გამოძეღავნდა მრავალ გაფთრებულ ბრძოლაში ლენინგრადის, სევასტოპოლისა და ოდესის გმირული თავდაცვის დროს, მოსკოვისათვის და კავკასიისათვის ბრძოლებში, სტალინგრადის ეპოპეის დროს, კურსკის შვერილზედ და სხვ.

საბჭოთა ხალხების და მათი მეომრების ლენინური მეგობრობის სიმტკიცის და ურღვეობის ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია სევასტოპოლის გმირული დაცვა. როგორც ცნობილია, შავი ზღვის ფლოტის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზას 250 დღე-ღამის განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ ცალკე ზღვისპირეთის არმიის და მეზღვაურთა სამხედრო ნაწილები და შენაერთები. რომელთა რიგებში თავდადებით იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მეომრები. ასე მაგალითად, 1942 წლის 20 მარტისათვის ცალკე ზღვისპირეთის არმიის საბრძოლო ნაწილებში იბრძოდნენ სულ 64 971 მებრძოლი და მეთაური, მათ შორის რუსები იყვნენ 28 134, უკრაინელები — 15 893, ქართველები —5234, აზერბაიჯანელები — 4278, სომხები — 3639 და სხვადასხვა ეროვნების — 7793 მეომარი[14].

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დიდ სამამულო ომში მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის უდიდესი გამარჯვება, დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იხსნეს კაცობრიობა ფაშისტურ მონობისაგან. ამ გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვნად გააძლიერა თავისი ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფო საზღვრების უშიშროება. დიდ სამამულო ომში სსრ კავშირის გამარჯვება ნიშნავს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, ხალხთა ლენინური მეგობრობის და სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვებას. ომმა დაბეჯითებით დაადასტურა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების აუცილებლობა და მისი შემდგომი განმტკიცება.

ჯერ კიდევ ომის მსვლელობის დროს და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირის ხალხმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით დაიწყეს ჰიტლერელების მიერ დანგრეული და გაპარტახებული ქალაქების, სოფლების, სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის ობიექტების ინტენსიური აღდგენა. საბჭოთა მშრომელების თავდადებული და გმირული შრომის, აგრეთვე საბჭოთა

14 სსრკ თავდაცვის სამინისტროს ცენტ. არქივი, ფ. 288, აღწ. 9912, საქ. 9, ფ. 222.

სოციალისტური რესპუბლიკების ურთიერთდახმარების შედეგად შესაძლებელი შეიქნა ხანმოკლე დროში არამცთუ ფაშისტების მიერ მიყენებული ზარალის აღდგენა, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვითი სიძლიერე.

დიდი სამამულო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი, ეწევა რა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად, მსოფლიო ასპარეზზე ახორციელებს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და ცდილობს დაამყაროს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად მათი სოციალური წყობისა.

მაგრამ მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოების რეაქციული მმართველი წრეები, ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, ვერ ურიგდებიან საბჭოთა კავშირის გაძლიერებას და მისი ავტორიტეტის ამაღლებას, განაგრძობენ საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებას, ქმნიან საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ირგვლივ სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზებს, ახორციელებენ გამალებულ შეიარაღებას, სისტემატურად ადიდებენ სამხედრო ბიუჯეტს, ქმნიან ახალ ატომურ და რაკეტულ შეიარაღებას, აწყობენ იდეოლოგიურ დივერსიებს და ფართო სამხედრო დემონსტრაციებს, ცდილობენ წარმოშვან ომის ახალ-ახალი კერები და გაბატონდნენ დედამიწის ზურგზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ“ აღნიშნულია: „იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკით გამოწვეული საერთაშორისო ვითარების გამწვავების პირობებში კაცობრიობის ბედისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის ლენინური სტრატეგიის, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფო სტრატეგიის აქტიურ განხორციელებას. 80-იანი წლების მშვიდობის პროგრამა, რომელიც სკკპ **XXVI** ყრილობამ წამოაყენა და ახალი ინიციატივებით გაამდიდრა ლ. ი. ბრეჟნევმა, გვისახავს ომის საფრთხის დაცხრობის, დაძაბულობის შენელების გაღრმავების, სხვადასხვა წყობილების სახელმწიფოთა ფართო თანამშრომლობის განვითარების რეალისტურ, კონსტრუქციულ გზებს...

სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა — ეს ამასთანავე არის პოლიტიკა იმპერიალიზმის იმ აგრესიულ ზრახვათა მტკიცე უკუგდებისა, რომლებსაც უკავშირდება პეკინის ახლანდელი ხელმძღვანელობის ანტისაბჭოური პოლიტიკა, ეს არის სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების უშიშროების ყოველგვარი ხელყოფისათვის საკადრისი პასუხის გაცემის პოლიტიკა. სოციალისტურ თანამეგობრობას ყველაფერი მოეპოვება საიმისოდ, რომ დაიცვას თავისი ისტორიული რევოლუციური მონაპოვარნი...“[15].

ომისშემდგომი პერიოდის საბჭოთა ეკონომიკის, უპირველესად კი მძიმე ინდუსტრიის, მეცნიერებისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა შეიარაღებული ძალების მთლიანად გადაიარაღება ახალი თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით, რის შედეგად გარდაიქმნა, აგრეთვე მათი სტრუქტურა დღევანდელ სამხედრო-სტრატეგიულ მოთხოვნილებათა შესაბამისად. შეიქმნა შეიარაღებული ძალების ახალი, თანა-

15 გაზ. „სახალხო განათლება“, 1982 წ. 24 თებერვალი.

მედროვე უმძლავრესი სახეობანი. შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ბევრად გაიზარდა ავიაციისა და ჰაერსაწინაღო დაცვის ჯარების ხვედრითი წონა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI-ე ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა დღე, რომ პარტიისა და სახელმწიფოს მხედველობიდან გამორჩენოდათ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების, მისი შეიარაღებული ძალების განმტკიცების საკითხები. ამას გვავალებს საერთაშორისო ვითარება. მაღალი ტექნიკური აღჭურვის, მხედრული ოსტატობისა და ურყევი მორალური სულისკვეთების მყარი შენადნობი — ასეთია საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალი...“[16].

საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი დღეისათვის აღჭურვილნი არიან თანამედროვე, საუკეთესო საბრძოლო ტექნიკით. მათ აქვთ სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური დანიშნულების რაკეტულ-ატომური იარაღი, მძლავრი რეაქტიული არტილერია, უახლესი ტიპის ტანკები, ზებგერითი თვითმფრინავები, ატომური წყალქვეშა ნავები, რაკეტმზიდი და ავიამზიდი ხომალდები, ბრძოლის მართვის სატელევიზიო საშუალებანი, ელექტრონული საანგარიშო მანქანები, რადიოლოკატორები და მრავალი სხვ. მაგრამ არმიისა და ფლოტის მთავარი ძალა მაინც მისი პირადი შემადგენლობაა, იგი აღზრდილია საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მზადყოფნაშია დარაზმული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო და მზად არის ყოველთვის და ყველგან დაიცვას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვარი, თავისი საყვარელი სამშობლოს და მშრომელი ხალხის ინტერესები.

საბჭოთა კავშირს კომუნისტური პარტიის XXVI-ე ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია „...ახლა სამშობლოს დამცველთა რიგებში უკვე დიდი სამამულო ომის გმირთა შვილები და შვილიშვილები დგანან. მათ არ გამოუცდიათ ის მკაცრი განსაცდელი, რომელიც ბედმა მათს მამებსა და პაპებს არგუნა. მაგრამ ისინი ჩვენი არმიის, ჩვენი ხალხის გმირული ტრადიციების ერთგულნი არიან. და ყოველთვის, როცა ამას ქვეყნის უშიშროების, მშვიდობის დაცვის ინტერესები მოითხოვს, როცა საჭიროა დავეხმაროთ აგრესიის მსხვერპლთ, საბჭოთა მეომარი მსოფლიოს ეცნობა როგორც უანგარო და მამაცი პატრიოტი, ინტერნაციონალისტი, რომელიც მზად არის დაძლიოს ყოველგვარი სიძნელე“[17].

დღეისათვის საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, დიდი სამამულო ომის დონესთან შედარებით, ხარისხობრივად ბევრად წაიწიეს წინ. მრავალეროვანი სახელმწიფოს მეოხებით საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა ჩვენი ქვეყნის მტკიცე თავდაცვითი ძლიერება. ყოველი საბჭოთა მეომარი, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე და დამცველია. იგი კანონიერად ამაყობს იმით, რომ ემსახურება საბჭოთა კავშირს. ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ერთიან საყვარელ სოციალისტურ სამშობლოს.

---

16 გაზ. „კომუნისტი“, 1981 წ. 25 თებერვალი.

17 იქვე.

მაყვალა ნათმელაძე

# სსრ კავშირის შექმნის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა, რომელიც კაცობრიობის სახელმწიფოებრივობის განვითარების ისტორიაში ახალი ტიპის მრავალეროვან სახელმწიფოს წარმოადგენდა, ემყარებოდა არა ცალკეულ სახელმწიფო წარმონაქმნთა ხელოვნურად შეკოწიწებულ ერთობას, არამედ სუვერენულ ეროვნულ სახელმწიფოთა თანასწორუფლებიან და ნებაყოფლობით სახელმწიფოებრივ კავშირს. მისი შექმნა ნაკარნახები იყო სოციალისტური რევოლუციის შედეგად სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან რუსეთის ყოფილი იმპერიის განაპირა მხარეების განთავისუფლებული ხალხების განვითარების ისტორიული კანონზომიერებით, რაც ერთი მხრივ, ემყარებოდა რუსეთის სახელმწიფოსთან საუკუნოებრივი თანაცხოვრების ტრადიციას, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის აუცილებლობით იყო განპირობებული.

სოციალიზმის აშენება გადაჭრით მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური რესურსების გაერთიანებას. რევოლუციამდე რუსეთის ეკონომიკური ცხოვრების ორბიტში ჩართული არარუსი ხალხები ხანგრძლივი დროის მანძილზე იყვნენ დაკავშირებული რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებასთან, რაც საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანებისათვის რეალურ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა, მაგრამ სსრ კავშირის შექმნას დიდი სიძნელეებიც ახლდა. ეს იყო ცარიზმის მეცადინეობით ერებს შორის გაღვივებული შუღლი და უნდობლობა, არარუსი ხალხების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა, დაბალი დონე, რომლის დაძლევა მხოლოდ ერთიან საკავშირო სახელმწიფოს შექმნის პირობებში იყო შესაძლებელი.

ცალკეული ეროვნული რესპუბლიკების შინაგანი სამეურნეო მდგომარეობის მცირე მატერიალური რესურსების, მიმოსვლის საშუალებათა, ფინანსურ ღონისძიებათა ერთიანობა შესაძლებელი იყო საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური კავშირის საფუძველზე. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რადგან ზოგიერთი ხალხები ნახევრადფეოდალური, კაპიტალიზმამდელი განვითარების სტადიაზე იმყოფებოდნენ. 1917 წლის რუსეთის 140 მილიონი მცხოვრებიდან თითქმის ნახევარი არ ეკუთვნოდა ველიკორუს ეროვნებას, მათგან დაახლოებით 25 მილიონამდე ხალხს (თურქესტანის, აზერბაიჯანის დიდი ნაწილი, დაღესტნის, ბაშკირეთის, თათრების, ყირგიზეთის მოსახლეობა და სხვ.) არ გაუვლია კაპიტალისტური განვითარების სტადია, არ ჰყოლია ან თითქმის არ ჰყოლია თავისი სამრეწველო პროლეტარიატი. ამიტომ აუცილებელი იყო ჩამორჩენილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და ავტონომიური რაიონების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება.

საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელი მოძრაობის მესამე ეტაპზე, რომელიც 1920 წლის დასასრულიდან დაიწყო და 1922 წლის შუახანებამდე გაგრძელდა, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეივსო მათ შორის ეკონომიკური კავშირით. ამ კავშირის ჩამოყალიბების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენდა სახელშეკრულებო ურთიერთობანი რესპუბლიკებს შორის. 1920 წლის დეკემბერში რსფსრ და უკრაინის, 1921 წელს ბელორუსიის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულებანი, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო სუვერენობის, მხარეთა თანასწორუფლებიანობის ლენინური პრინციპების მტკიცედ დაცვა, ითვალისწინებდნენ თანამშრომლობას ეკონომიკურ სფეროში.

ეკონომიკური ურთიერთობა ცალმხრივი როდი იყო. ყოველ საბჭოთა რესპუბლიკას შეჰქონდა თავისი წვლილი საერთო საქმეში, ეხმარებოდა სხვა რესპუბლიკებს და იღებდა მათგან დახმარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ეკონომიკურ დახმარებას ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკებისადმი.

სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე ისე იგებოდა, რომ რაც შეიძლება მალე დაგვეწინაურებინა რუსეთის ყოფილი განაპირა მხარეები მისი ცენტრის განვითარების დონემდე და ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდა. აქ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მჭიდრო თანამშრომლობამ და უწინარეს ყოვლისა რუსი ხალხის უანგარო დახმარებამ«[1].

ვ. ი. ლენინი თავის 1921 წლის წერილებში კავკასიის, მათ შორის საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტანისა და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, წერილებში გ. ორჯონიკიძისადმი მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ფინანსურ დახმარებას უწევდა საბჭოთა რუსეთი. მან 1921 წელს აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს მისცა 8 მლნ მანეთზე მეტი ოქროთი, თუმცა თვით მისი ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო.

1921 წელს ცენტრალური რუსეთიდან გადაიტანეს მთელი რიგი ფაბრიკები აზერბაიჯანში, სომხეთში, დაღესტანში, ყირგიზეთში, სომხეთსა და ბუხარაში. თურქესტანს გადაეცა საფეიქრო, ქაღალდისა და სხვა ფაბრიკები, აზერბაიჯანში იქნა გადმოტანილი ფაბრიკა ტამბოვიდან, სომხეთმა მიიღო საფეიქრო ფაბრიკა ივანოვო-ვოზნესენსკიდან, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ქარხანა პერმის გუბერნიიდან, ქუთაისმა მიიღო მოსკოვიდან გადმოტანილი მოწყობილობა მაუდის ფაბრიკისათვის, აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მიიღო ორი სარექტიფიკაციო ქარხანა, 1923 წელს ყაზახეთში, კუსტანაიში მწყობრში ჩადგა კოლომნიდან მიღებული მაუდის ფაბრიკა, 1922—1925 წლებში 20 სამრეწველო საწარმო იქნა გადატანილი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან და უკრაინიდან შუააზიისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში. გარდა საწარმოებისა, რუსეთიდან იგზავნებოდნენ სპეციალისტები და კვალიფიციური მუშები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომლებიც დახმარებას

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 85.

უწევდნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებს სამრეწველო კერების მშენებლობაში. დიდი ასიგნებანი ეძლეოდათ სახალხო მეურნეობის აღორძინებისათვის უკრაინის, ბელორუსიის და თურქესტანის საბჭოთა რესპუბლიკებს. ამგვარი ურთიერთდახმარება განამტკიცებდა ხალხთა შორის ძმობასა და თანამშრომლობას, რომლის აუცილებლობაში მათ არწმუნებდათ ცხოვრებისეული გამოცდილება.

თავის მხრივ, საბჭოთა რესპუბლიკები აფართოებდნენ ცენტრალური რუსეთისათვის სათბობის, ნედლეულის და სურსათის მიწოდებას. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა გაიღეს სახსრები 1921 წლის ზაფხულში გვალვითა და მოუსავლიანობის შედეგად ვოლგისპირეთის, ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ უკრაინის დაზარალებული მოსახლეობის გადასარჩენად. საქართველომ სურსათი გაუგზავნა ყირიმის მოსახლეობას, ბელორუსიამ — სარატოვის გუბერნიას, კიევის, მინსკის და სხვა მსხვილი ქალაქების მუშა-მოსამსახურენი თავისი ხელფასის 5—15%-მდე გადარიცხავდნენ შიმშილობის რაიონების მოსახლეობის დახმარების ფონდში. მარტო თურქმენეთის რესპუბლიკამ მიიღო გამოსაკვებად 200 ათასი კაცი ვოლგისპირეთიდან.

საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნებათა სახალხო კომისარიატთან ეროვნულ წარმომადგენლობათა შექმნას.

საბჭოთა ხალხების პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა თანამშრომლობამ ახალი გაქანება მიიღო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შემდეგ, რომელმაც სათავე დაუდო თვისებრივად ახალ ეტაპს საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთთანამშრომლობის განვითარებაში. გაღრმავდა და ახალი შინაარსი შეიძინა სამეურნეო კავშირებმა მათ შორის, რომელიც რკპ(ბ) X ყრილობის მიერ მიღებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე ხორციელდებოდა. ნეპის განხორციელება განაპირობებდა ქვეყანაში ჭარბად არსებული წვრილი საბაქონლო წარმოებისა და კაპიტალისტური წყობის თანდათან გადასვლას სოციალიზმზე.

სახალხო მეურნეობის წარმატებით აღდგენა შესაძლებელი გახდა საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდახმარების, მათი ეკონომიკის სპეციალიზაციის შემდგომი განვითარების საფუძველზე. რუსეთის ფედერაციის ვოლგისპირეთის რაიონები წარმოადგენდნენ ხე-ტყის მთავარ მიმწოდებელს დონბასის შახტებისათვის და აზერბაიჯანის ნავთობის ამოღებისა და ძიებისათვის საჭირო საბურღი ანძებისათვის, მეორე მხრივ, ბელორუსიის სამრეწველო საწარმოთა და ელექტროსადგურთა უმრავლესობა აღდგენილ და რეკონსტრუირებულ იქნა ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის დნეპროპეტროვსკის და ქვეყნის სხვა ინდუსტრიული ცენტრების დახმარებით.

საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკურ-ტექნიკური უთანასწორობის დაძლევის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ, რომლის საფუძველზე დაისახა ინდუსტრიალიზაციის საშუალო საკავშირო ტემპთან შედარებით უფრო დაჩქარებული ტემპები მრეწველურად შედარებით ჩამორჩენილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ციმბირისა და შუა აზიის ეკონომიკის

---

[2] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 85.

აღმავლობაში უდიდესი როლი შეასრულა, 1926 წელს დაწყებულმა თურქესტან-ციმბირის რკინიგზის მშენებლობაზე მუშაობდნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ყაზახები. უზბეკები, ტაჯიკები აზერბაიჯანელები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მშენებლობას საჭირო მასალებითა და ტექნიკით ამარაგებდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მშრომელები, კერძოდ, ლენინგრადელები, მოსკოველები — სორმოვოს მუშები თურქესტან-ციმბირის რკინიგზას აწვდიდნენ ორთქლმავლებს და სამშენებლო მექანიზმებს, უკრაინიდან იგზავნებოდა რელსები, ქვანახშირი და სურსათი, აზერბაიჯანიდან ნავთი და ა. შ. უმნიშვნელოვანესი საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობის დამთავრება 1930 წლის 1 მაისს საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა.

განსაკუთრებული ადგილი უკავია პირველი ხუთწლედის პერიოდს საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში. რადგან იგი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ეტაპს ჩვენი ქვეყნის ხალხების ფაქტობრივი უთანასწორობის ლიკვიდაციის გზაზე, მათი შემდგომი ეკონომიკური და კულტურული განვითარების საფუძველს. დაისახა ეკონომიკურად ჩამორჩენილი საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპები. თუ მრეწველობის ძირითადი ფონდები საბჭოთა კავშირში მთლიანად იზრდებოდა 289%-ით, შუა-აზიის რესპუბლიკებში იგი უნდა გადიდებულიყო 494, ყაზახეთში კი 649%-ით და ა. შ.

პირველ ხუთწლიან გეგმაში განსაზღვრული იყო ყოველი საბჭოთა რესპუბლიკის როლი და ადგილი სოციალიზმის ეკონომიკური საძირკვლის მშენებლობაში. გათვალისწინებული იყო საწარმოო ძალთა სოციალისტური გაადგილების პრინციპების თანმიმდევრული გატარება ცხოვრებაში, მრეწველობის მიახლოება ნედლეულის წყაროებთან, მხედველობაში იყო მიღებული ყოველი კონკრეტული რეგიონის ეკონომიკისა და მოსახლეობის ყოფის თავისებურებანი

სოციალიზმის ეკონომიკური საძირკვლის მშენებლობის ძირითად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა რსფსრ სამრეწველო ცენტრები, კერძოდ, მოსკოვისა და ლენინგრადის მრეწველობა. ლენინგრადის მანქანათმშენებელი ქარხნები აწვდიდნენ სხვადასხვა რესპუბლიკას ტურბინებს. ბლუმინგებს, ამწეებს, დანადგარებს, დაზგებს, მოწყობილობას ელექტროსადგურებისათვის და სხვ.

20-იანი წლების დასასრულს მთავარი ყურადღება ექცეოდა უახლესი ტექნიკური მოწყობილობით აღჭურვილ მსხვილ საწარმოთა მშენებლობას, ისეთი მასშტაბის საწარმოთა მშენებლობას, როგორიც იყვნენ მაგნიტოგორსკისა და ურალ-კუზნეცკის კომბინატები. ამ კომბინატებს აშენებდა მთელი საბჭოთა ქვეყანა. რსფსრ ასობით ქარხანა, უკრაინის სამრეწველო საწარმოები უგზავნიდნენ მაგნიტოგორსკის ქარხანას მექანიზმებს, მოწყობილობას, სამშენებლო მასალებს. ხარკოვის, კიევის, გორლოვკის, მარიუპოლის და სხვა ქალაქების ქარხნები ამზადებდნენ მოწყობილობებს ამ კომბინატისათვის. ყველა რესპუბლიკიდან მოდიოდნენ სამუშაოდ ახალგაზრდა მშენებლები და გამოცდილი კადრის მუშები, ამიტომაც იყო, რომ მაგნიტოგორსკის ექსპლუატაციაში გაშვება საბჭოთა ხალხების დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა.

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ერთობლივი ძალებით აშენდა დონბასის კუზნეცკის. ყარაგანდის, მოსკოვის მიმდებარე შახტები და სხვ. დაიწყო ნავთის მოპოვება ახალ რაიონებში— ურალში, ბაშკირეთში. ჩრდილოეთ კავკასიაში, თურქმენეთსა და შორეულ აღმოსავლეთში.

საკავშირო მშენებლობად გადაიქცა ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, რომელსაც რსფსრ 100-ზე მეტი ქარხანა ამარაგებდა საჭირო ტექნიკური მოწყობილობით. საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური თანამშრომლობის შედეგი იყო ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის აგება რეკორდულ ვადებში — 15 თვის განმავლობაში. ამ ქარხანას დიდი დახმარება გაუწიეს სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმაც. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკები აწვდიდნენ უკრაინას ნავთობპროდუქტებს, ბელორუსია ხეტყის მასალებს, შუა-აზიის რესპუბლიკები — საფეიქრო ნაწარმს. უკრაინის ახალმშენებლობისათვის მზადდებოდა ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი რუსეთის ფედერაციის საწარმოებში.

საქართველოს სამრეწველო მშენებლობში ფართო მონაწილეობას იღებდნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკები. მრავალი ერის წარმომადგენლები მუშაობდნენ რიონჰესის, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მშენებლობებზე და ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ათვისებაზე.

საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალიზმის ეკონომიკური საძირკვლის აშენებაში დიდი როლი შეასრულა მასობრივმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, შემდგომ კი ნოვატორთა მოძრაობამ, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა.

კომუნისტური პარტიის გენერალურმა კურსმა — საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკის დონეთა გათანაბრების, ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებათა ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევაში რომ მდგომარეობდა, თავისი გამოხატულება პოვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიან გეგმაში. სოციალიზმის მატერიალ-ტექნიკური ბაზის აშენების პროცესში ძირითადად გადაჭრა ეროვნული რესპუბლიკების ფაქტობრივი ტექნიკურ-ეკონომიკური უთანასწორობის ლიკვიდაციის ამოცანა.

საბჭოთა სახელმწიფომ საერთო-საკავშირო სახელმწიფოსა და ეროვნული რესპუბლიკების ინტერესების შესაბამისად ომამდელ პერიოდში განახორციელა მოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობის მთელი კომპლექსების განვითარება. 20—30-იან წლებში საბჭოთა რესპუბლიკებს შორის განმტკიცებულმა ეკონომიკური თანამშრომლობისა და ძმური მეგობრობის გამოცდილებამ დიდი როლი შეასრულა დიდი სამამულო ომის ძნელ პირობებში საბჭოთა ხალხების ერთიან საბრძოლო ძალად შეკვრისა და ზურგის რაიონებში ფრონტისადმი საერთო-საყოველთაო დახმარების ორგანიზაციაში.

ამიერკავკასიისა და შუა-აზიის რესპუბლიკების, ურალისა და ციმბირის სამრეწველო საწარმოები, მათ შორის ამ რაიონებში მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიიდან ევაკუირებული საწარმოებიც შეუფერხებლად აწვდიდნენ შეიარაღებულ ძალებს საბრძოლო იარაღს, სურსათს და ტანსაცმელს. ლ. ი. ბრეჟნევი თავის წიგნში „აღორძინება“ წერს: „ყოველივეს ძლიერს საბჭოთა ადამიანებმა, ყველა სიძნელე გადაიტანეს, გაძლეს და გაიმარჯვეს უმძიმეს ომში ...მთელმა მსოფლიომ კიდევ ერთხელ დაინახა სოციალისტური ეკონომიკის ამოუწურავი რეზერვები, ჩვენი გეგმიანი ეკონომიკის შესაძლებლობანი, იმ ქვეყნის დიადი ძალა, რომელსაც ძალუძს, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა და გადააჯგუფოს თავისი ძალები, თავი მოუყაროს მას მთავარი მიმართულებით... „ზაპოროჟსტალის“ და „დნეპრჰესის“ აღდგენა საყოველთაო-სახალხო მშენებლობათა დამკვრელურ უბნებზე ძალებისა და საშუალებების კონცენტრირებული თავმოყრის კლასიკურ ნიმუშად არის აღიარებული. შემდეგში სწორედ ამ მეთოდით ხელმძღვანელობდა ჩვენი მრავალი მსხვილი მშე-

ნებლობა... ამ გამოცდილებას დღესაც იყენებენ ტიუმენელი მენავთობეები და გაზის მოპოვებლები. ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლები"[3].

ომისშემდგომ პერიოდში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ განაპირობა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი სამეურნეო ძალებით მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების, მეტალურგიული და ქიმიური კომბინატების, რკინიგზებისა და სხვა დიდი ობიექტების მშენებლობა. მაგალითად, ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის მშენებლობაზე ერთად შრომობდა 26 ეროვნების წარმომადგენელი, ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურს ერთიანი ძალებით აგებდა საბჭოთა ქვეყნის 50 ერისა და ეროვნების წარმომადგენელი. კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობას ამზადებდა 12 მოკავშირე რესპუბლიკის 820 საწარმო. მოძმე ერების დახმარებით აშენდა ტაჯიკეთში ნურეკის ჰიდროელექტროსადგური, ენგურის ჰიდროელექტროსადგური საქართველოში და სხვ. ისეთი გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტა, როგორიც იყო 50-იან წლებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, შეუძლებელი იყო მხოლოდ რომელიმე რესპუბლიკის ძალებით. პარტიის მოწოდების საფუძველზე 1954—1955 წლებში რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, საქართველოდან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან ყაზახეთში გაემგზავრა 360 ათასზე მეტი მოხალისე, რომლებმაც ადგილობრივ მშრომელებთან ერთად აითვისეს ხსენებულ წლებში და ხალხის სამსახურში ჩააყენეს მარტო ყაზახეთში 18 მლნ ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა.

ყოველდღიურად იზრდება და მტკიცდება საბჭოთა ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე. მათი შემდგომი ეკონომიკური თანამშრომლობა და დაახლოება ემსახურება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას — კომუნისტური საზოგადოების აშენების ამ ერთ-ერთი მთავარი და უპირველესი ამოცანის გადაწყვეტას. „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — იწვევს საბჭოთა ხალხების კიდევ უფრო მჭიდრო გაერთიანებას. სულ უფრო ინტენსიური ხდება ერებს შორის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გაცვლა. იზრდება თითოეული რესპუბლიკის წვლილი კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში"[4].

საბჭოთა ხალხებს შორის ძმური თანამშრომლობისა და მეგობრობის შემდგომი განვითარების თვალსაჩინო მაგალითია ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონი, რომლის ფარგლებში ხორციელდება აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარება, წარმოების კოორდინაცია, კოოპერაცია და სპეციალიზაცია, ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის მასშტაბით განხორციელდა სამივე რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემების შერგოლვა, აიგო ყარადაღ — თბილისი — ერევნის გაზსადენი, ორჯონიკიძე — თბილისის მაგისტრალური გაზსადენი, რომლითაც ერთიან სისტემად გაერთიანდა ჩრდილოეთ კავკასიისა (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები) და ამიერკავკასიის გაზსადენები და ა. შ.

ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონის დაახლოებასა და საწარმოო ძალების ოპტიმალურ გაადგილებას, რომელიც შე-

[3] ლ. ი. ბრეჟნევი, მცირე მიწა, აღორძინება, ყამირი, თბ., 1979, გვ. 71, 75.

[4] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გვ. 125.

ესატყვისება როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, ასევე ცალკეული რესპუბლიკების ინტერესებს, დიდი ადგილი დაუთმო სკკპ XXVI ყრილობამ, როგორც ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში იყო აღნიშნული „70-იანი წლების დამახასიათებელი თავისებურებაა საწარმოო ძალების განლაგებაში ძოძხდარი დიდი ცვლილებები. იქმნება ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები რუსეთის ფედერაციის ევროპულ ნაწილში, ურალში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ყაზახეთსა და ტაჯიკეთში... ქვეყნის აზიური ნაწილის ეკონომიკაში მზარდ როლს ასრულებენ საიანის, ბრატსკ-უსტილიმის, სამხრეთ იაკუტიის, ყარათაუ-ჯამბული, ჯანგიშლაყის, სამხრეთ-ტაჯიკეთის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით განვითარების დიდ შესაძლებლობებს სახავს ბაიკალ-ამურის მაგისტრალი“[5].

უკანასკნელი ათწლეული საქართველოსათვის იყო „ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობის, მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა მიხედვით საშუალო საკავშირო დონისაგან არსებითი ჩამორჩენის დაძლევის ხანა, სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ორგანიზაციასა და მართვაში ღრმა თვისებრივი გარდაქმნების განხორციელების მუშათა კლასის რეალური პრობლემებისა და საჭიროებებისაკენ სრული შემობრუნების ხანა“[6].

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში საქართველოს ამ დიდი წარმატებების დადასტურებაა რესპუბლიკის დაჯილდოება 9-ჯერ ზედიზედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1981 წლის 22 მაისს მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შედეგებს და მიუთითა, რომ „დღეს საქართველოს არსებითად დაუდგა ინდუსტრიალიზაციის ახალი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, თანაც ყველაზე დიდი ტექნიკური დონისა“, რომ „მთლიანად რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში ახლა ნიადაგ იზრდება“[7].

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ უკანასკნელ წლებში მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა, რომელთა განხორციელების საფუძველზე წყდება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის განვითარებისა და საბჭოთა კავშირის შემდგომი განმტკიცების სადღეისო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ამ დადგენილებათა შორის უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ასსრ ეკონომიკური და კულტურის განვითარების თაობაზე მიღებული დადგენილება, რომელიც წარმატებით ისახამს ხორცს.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით „ახალ ხუთწლედში და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის უნდა გაგრძელდეს მუშაობა როგორც შექმნილი, ისე ახალ რეგიონებში საწარმოო ძალების განლაგების სრულყოფისათვის. უნდა გაძლიერდეს მათი კომპლექსური განვითარება და სპეციალიზაცია,

---

[5] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, თბ., 1981, გვ. 55—56.

[6] იხ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოხსენება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლისთავზე, გაზ. „კომუნისტი“, 1981, 19 მაისი.

[7] გაზ. „კომუნისტი“, 1981 წლის 23 მაისი.

განხორციელდეს სამეურნეო კავშირურთიერთობის რაციონალური ღონისძიებანი"[8].

ამ და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი ენიჭება საბჭოთა რესპუბლიკების სამრეწველო საწარმოებთან ურთიერთკოოპერაციის შემდგომ განვითარებას, რადგან ყოველი ეროვნული რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ზრდის დაჟალებათა „საფუძველია საერთო-საკავშირო შრომის დანაწილების უპირატესობათა გამოყენებასთან მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის კომპლექსური და პროპორციული შეხამების საფუძველი. დასახულ დავალებათა შესრულება დააჩქარებს ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფარგლებში მოკავშირე რესპუბლიკათა ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების პროცესს. ასეთი მიდგომა მთლიანად შეესაბამება პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებს"[9].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმმა განიხილა და მთლიანად საბჭოთა კავშირის, ასევე ყოველი საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე დააყენა სასურსათო პროგრამის გადაჭრის ამოცანა, დასახა მისი რეალიზაციის ღონისძიებანი, ამ პრობლემის, ისევე როგორც ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სხვა ამოცანების გადაწყვეტაში დიდი როლი ენიჭება ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებასა და მათ დაახლოებას, ეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ისტორიული კანონზომიერებაა,

[8] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, 1981, გვ. 182.

[9] იქვე, გვ. 183—184.

ელვერ კუპატაძე

# საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა დიდი სამამულო ომის წლებში (1941-1945 წწ)

ისტორიამ არ იცის სახელმწიფო, რომელსაც უმოკლეს დროში იმდენი რამ გაეკეთებინოს ერთა და ეროვნებათა ყოველმხრივი განვითარებისათვის, რამდენიც გააკეთა სსრ კავშირმა — ყველა ჩვენი ხალხის სოციალისტურმა სამშობლომ. მათი ერთიანობა იწრთობოდა და მტკიცდებოდა ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის დროს, სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში მოძმე ხალხები ერთად დადგნენ სამშობლოს დასაცავად, გამოიჩინეს მასობრივი გმირობა და გამარჯვებისადმი ურყევი ნება, შემუსრეს ფაშისტი დამპყრობნი, იხსნეს მსოფლიოს ხალხები დამონებისა და განადგურებისაგან[1].

დიდ სამამულო ომში სსრ კავშირის ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა. ამ მეგობრობამ ყველა სიძნელესა და განსაცდელს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიწრთო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომში[2].

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველივე დღიდან მის დამთავრებამდე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგნლები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

ბრძოლის გრძელი და სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა კავშირის გმირმა ალექსანდრე ბიბილაშვილმა. ბატალიონი, რომელსაც ის მეთაურობდა 17 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელს აერთიანებდა[3]. ერთი საბრძოლო დროშის ქვეშ მყოფ ამ სხვადასხვა ეროვნების მებრძოლებს მხოლოდ ერთი აზრი, ერთი მისწრაფება აერთიანებდათ—გაენადგურებინათ მტერი. კაპიტანი ა. ბიბილაშვილი თავის ხელქვეითებთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო. ის საბრძოლო დავალებისა თუ ყოველგვარი წვრილმანი მითითების დროულ და კეთილსინდისიერად შესრულების მისაბაძ მაგალითს აძლევდა ჯარისკაცებს. ამიტომ სარდლობა და პირადი შემადგენლობა პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა მას. ამგვარივე გრძნობით პასუხობდა ა. ბიბილაშვილი უფროსებსა და ხელქვეითებს და განიცდიდა მათ გასაჭირს. მან მტკივნეულად აღიქვა თავისი უფროსის მაიორ მუხამედ მუსარბეკის ძე შარფოხოვის გარდაცვალება. აი რას წერდა ა. ბი-

---

[1] სკკპ ცკ-ის 1982 წლის 21 მარტის დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ", იხ. გაზეთი „კომუნისტი" 1982 წლის 21 მარტი.

[2] История Коммунистической партии Советского Союза, М., Политиздат, 1982, გვ. 490.

[3] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში იხ. შემოკლებით საქ. სსრ ორსმცა), ფ. 2514, ანაწ. 1, საქ. 631, ფურც. 15.

ბილაშვილი თავის მეუღლეს: „მე ჯერჯერობით ვცხოვრობ, ვბრძოლობ და ვიცოცხლებ, მაგრამ რომ მომზვერდროდა ტყვია და მომკვდარიყავი კარგი იყო. შეშეკითხები რატომ? იმიტომ, რომ შვიდი თვის განმავლობაში ჩემი უფროსი იყო მაიორი მუხამედ მუსარბეკის ძე მარჟოხოვი. რაც ხნისა ვარ ისეთი ამხანაგი, მეგობარი და მასწავლებელი მე არ მყოლია. ალბათ არც მეყოლება. იანვრიდან ივნისამდე ვიბრძოდი მასთან ერთად, მან ჩამინერგა ყოველივე რაც საჭიროა ფაშისტების გასანადგურებლად და რამდენადმე მისი დამსახურებაა ის სახელი, რომელიც არმიაში მაქვს. მე ვიყავი მისი თანაშემწე, ახლა კი მივიღე მისი თანამდებობა.

ჩემო ცოლშვილო და ოჯახო, მე გთხოვთ თქვენ დაწეროთ პატარა ქაღალდი და გააკრათ იქ სადაც ჩემი სურათია, ვინაიდან მე მისი სურათი არა მაქვს, ცოცხალი ვიქნები თუ მკვდარი ჩემთან ერთად ადღეგრძელეთ მაიორი მარჟოხოვი— ჩემი სული და გული, ჩემი უსაყვარლესი მეგობარი, ჩემი ხნის, ჩემსავით ცოლშვილიანი. მასაც როგორც მე ჰყავდა ორი ქალიშვილი. რამდენჯერმე მეტყოდა ხოლმე — ბიჭო, ალექსანდრე, ფრონტზე რომ მოვკვდეთ ვაჟები არ დაგვრჩებაო. მე კი ვეტყოდი ხოლმე — ჩვენ ცოცხლები ვიქნებით და მტერს გავანადგურებთ. ჩემს მეგობარს არ დაცალდა. სანამ ცოცხალი ვიქნები არ დავივიწყებ მას. თუ კი ისე წავიდა საქმე როგორც მუხამედის, მაშინ მასთან ერთად მახსენეთ. ...მე ცოცხალი ჩამოვალ და თუ მოვკვდები, მოვკვდები მხოლოდ სამშობლოსათვის, ცოლშვილისათვის, მეგობრებისათვის, სტალინისათვის“[4].

ა. ბიბილაშვილმა შეასრულა დანაპირები — იგი ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა და გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „წინ, ჩემო მეგობრებო, მე ვკვდები, მაგრამ ნაწამს გამარჯვება, დარწმუნებული ვარ რომ თქვენ იქნებით ბერლინში! ხოლო ჩემი საქართველო და მთელი საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო ამაყად იქნება“[5]. სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა გმირის მეუღლისადმი გამოგზავნილ ბარათში აღნიშნავდა: „რასაკვირველია, ქმრის დაკარგვა დიდად სამწუხაროა თქვენთვის მაგრამ იამაყეთ იმით, რომ იგი დაიღუპა მამაცთა სიკვდილით, სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში. ის იყო მამაცი მეომარი, რომელსაც სიკვდილის არ ეშინოდა. მას ნაწილში იცნობდნენ, არა მარტო კარგ მეთაურს (ის იყო წარჩინებული მეთაური), არამედ როგორც შესანიშნავ ამხანაგსაც. ამისათვის იგი ყველას უყვარდა და პატივს სცემდნენ. თქვენი ქმრისა და ჩვენი ამხანაგის სიკვდილისათვის ნაწილის მეომრები შურს ვიძიებთ. როდესაც მებრძოლებმა გაიგეს საყვარელი მეთაურის სიკვდილი ბრძოლაში წავიდნენ როგორც ვეფხვები, შეძახილებით: „შური ვიძიოთ საყვარელი მეთაურისათვის“. მათ შური იძიეს. ჩვენმა ნაწილმა განვლო სახელოვანი საბრძოლო გზა. ის პირველი შევიდა წყეული გერმანიის ტერიტორიაზე და ახლა დაუნდობლად სპობს ფაშისტებს მათ საკუთარ ბუნაგში. თქვენი ქმრის სახელს ხშირად გაიგონებთ ჩვენს ნაწილში. როცა ლაპარაკია ბრძოლაზე ამბობენ: უნდა იბრძოლო ისე, როგორც იბრძოდა ბიბილაშვილი. ყოველთვის როდესაც საუბარია მტრისადმი სიძულვილზე ამბობენ: უნდა გძულდეს ფაშისტები ისე, როგორც ისინი სძულდა ა. ბიბილაშვილსო“[6].

ა. ბიბილაშვილი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის, სამამულო

---

[4] საქ. სსრ ორსმცია, ფ. 2514, აღწ. 1, საქ. 631, ფურც. 14.

[5] იქვე, ფურც. 15.

[6] იქვე, ფურც. 16.

ომის I და II ხარისხის ორდენებით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის". სიკვდილის შემდეგ კი მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

დიდ სამამულო ომში ა. ბიბილაშვილის მთელი ცხოვრება ნათელი დადასტურებაა ქართველი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების საბრძოლო თანამეგობრობისა.

დიდ სამამულო ომში საბრძოლო თანამეგობრობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს აჯი-მუშკაის ქვის სამტეხლოების მრავალრიცხოვანი გარნიზონის უთანასწორო და გმირული ბრძოლა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

აჯი-მუშკაის კატაკომბებში ფაშისტებისაგან ალყაშემორტყმული სხვადასხვა ეროვნების მებრძოლი ცდილობდა სიცოცხლის შენარჩუნებას. მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვდა თანამებრძოლისათვის სიცოცხლეს წირავდნენ. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: აჯი-მუშკაის ქვის სამტეხლოებში მყოფთათვის საჭირო იყო წყალი. 1942 წლის 24 მაისს პოლიტხელი კლაბუხოვი და ლეიტენანტი ნოვიკოვი გაეშურნენ მათ პირდაპირ მდებარე ჭისკენ წყლის მოსატანად. როგორც მოსალოდნელი იყო, მათი ორჯერადი ცდა შეუმჩნეველი არ დარჩა გერმანელი გუშაგებისათვის და ისინი იძულებული გახდნენ უშედეგოდ დაბრუნებულიყვნენ უკან. მაშინ ლეიტენანტმა ნოვიკოვმა თხოვნით მიმართა კლაბუხოვს წყალზე მარტო წასვლის ნება დაერთო. კლაბუხოვმა ნოვიკოვის განზრახვა არ იცოდა. ოციოდ წუთში ნოვიკოვის ნასროლმა ყუმბარამ განგმირა გერმანელი ოფიცერი და გახსნა გზა წყლისკენ. ასე იხსნა ნოვიკოვმა წყურვილით სიკვდილისაგან თანამებრძოლები, თვითონ კი გმირულად დაიღუპა[7].

ომის დამამთავრებელ ეტაპზე სათვალთვალო პუნქტზე მყოფი 26-ე საარტილერიო ლეგიონის მეთაური ვ. თურქაძე (ამჟამად თადარიგის პოლკოვნიკი) მტრის ნასროლმა ჭურვმა მიწაში ჩამარხა. თანამებრძოლებმა ვ. თურქაძეს სათანადო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. როდესაც დაჭრილი გონზე მოვიდა, მან პირველ რიგში დაზვერვის უფროსი და მზვერავი მოიკითხა. რომლებიც მასთან ერთად სათვალთვალო პუნქტზე იმყოფებოდნენ. ჯერ დაუმალეს, მაგრამ შემდეგ პირდაპირ უთხრეს, რომ ისინი სამთავენი დაიღუპნენ, ასე რომ მიცვალებულთა გვამების აკრეფაც შეუძლებელი იყო და სათვალთვალო პუნქტი მათ საძმო საფლავად გადაიქცაო. ამ ამბავმა ვ. თურქაძეზე ძალზე მტკივნეულად იმოქმედა.

რამდენიმე დღეში ვ. თურქაძეს მარჯვენა თვალის მხედველობა დაუბრუნდა, ხოლო მარცხენა თვალიდან ბუნდოვნად ხედავდა. გენერალმა ლასკინმა ვ. თურქაძე მოინახულა, მიულოცა გადარჩენა, გვერდით მიუჯდა ხელი გადახვია და როგორც მამამ შვილს უთხრა: „ომის დამთავრება ახლოა, ჩემო კარგო, და ამ დროს რომ დაღუპულიყავი, შვილზე არანაკლებ დაგიტირებდიო". მან ერთხელ კიდევ შეათვალიერა ვ. თურქაძე და ჰკითხა თუ როგორ გრძნობდა თავს. — „ჯობით სიარული შემიძლია და დღესავე წამოვალ ჩემს დივიზიაში ო," — უპასუხა ვ. თურქაძემ ლასკინს[8].

ასეთი მაგალითი — გენერლებისა და ოფიცრების, მეთაურების და ჯარისკაცების ურთიერთმეგობრული დამოკიდებულებისა, რა თქმა უნდა, შემთხვევი-

---

[7] ყირიმის საოლქო პარტიული არქივი, ფ. 156, აღწ. 1, საქ. 42, ფურც. 31.

[8] ვ. თურქაძე, ქარიშხლიან გზებზე, თბ., „საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 100, 101.

თი არაა. პირიქით, მას მასობრივი ხასიათი ჰქონდა თითოეულ ფრონტზე, თითოეულ არმიაში, კორპუსში, დივიზიაში, პოლკში, ბატალიონში; ასეულში და ოცეულში. ეროვნული განსხვავებულობა თითქმის არც იგრძნობოდა. საბჭოთა ქვეყნის მრავალი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი ერთმანეთის გვერდით იბრძოდა. მათ მონოლითურ შეკავშირებას ასაზრდოებდა სოციალისტური სამშობლოსა და კომუნისტური პარტიის უსაზღვრო სიყვარული.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებების წიგნში „მცირე მიწა“ მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საბჭოთა ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის მაგალითებს ჩვენებას. იხსენებს რა ფრონტულ ამბებს ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს: „რა თქმა უნდა. ზოგჯერ ძალიან გვიჭირდა, ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით დიდ მიწას, არ გვყოფნიდა მარილი, შეფერხებებით ვიღებდით პურს. მთელ ქვედანაყოფებს ვგზავნიდით ტყეში ნიორზე. მეორე მხრივ სინესტე იყო ამ კატაკომბებში. ღამღამობით მებრძოლები სიცივით იყინებოდნენ და პოლიტგანყოფილების მუშაკები იძულებული იყვნენ ეზრუნათ გათბობისათვის, შეეკვეთათ „ბურჟუიკები“, შეეგროვებინათ შეშა. და მაინც მცირე მიწა საბჭოთა მიწად რჩებოდა, ადამიანები კი ადამიანებად რჩებოდნენ. ისინი ადგენდნენ გეგმებს, ხუმრობდნენ, იცინოდნენ, დაბადების დღეებსაც კი იხდიდნენ. მაგალითად, 15 თებერვალს, ესე იგი პირველი გადასხდომის მეთერთმეტე დღეს, ერთ-ერთ მედესანტეს შალვა თათარაშვილს 23 წელი შეუსრულდა. მისმა განუყრელმა მეგობარმა პეტრე ვერეშჩაგინმა თავისი ავტომატის დისკოდან 23 ვაზნა აჩუქა. ეს უძვირფასესი საჩუქარი იყო, რადგან ვაზნები არ გვყოფნიდა, მტრის მხრიდ იერიშს კი ველოდით“[9].

უამრავ ფაქტთაგან, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე მეტყველებენ, აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს სტალინგრადის გრანდიოზული ეპოპეიდან. კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ბრძოლის დამთავრების შემდეგ სტალინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა არმიის რჩეული გვარდიის სხვადასხვა შენაერთის მებრძოლები, რომლებიც აღფრთოვანებით შეეგებნენ ერთმანეთს: მრავალხმიანი ვაშა აგუგუნდა ბორცვებზე, მიაღწია ქალაქამდე და ვოლგის ყინულამდე. ერთმანეთისათვის უცნობი, მაგრამ სისხლით და ხორცით მახლობელი მეომრები მაგრად იკრავდნენ გულში და ჰკოცნიდნენ ერთმანეთს.

სტალინგრადისათვის ბრძოლის დღეებში მრავალეროვან წითელ არმიას წილად ხვდა უდიდესი გამოცდა. იმ დღეებში ვოლგის ქალაქის დამცველ თანამემამულეებს გაეგზავნა კოლექტიური მიმართვა საბჭოთა ზურგის სხვადასხვა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მცხოვრებლებისაგან. „სტალინგრადი — ესაა აღმოსავლეთის გასაღები. ყაზახი მეომრები სტალინგრადთან თანასწორნი არიან რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, უზბეკი, ტაჯიკი, თურქმენი. აზერბაიჯანელი, ქართველი მეომრებისა, რომლებიც იცავენ თავიანთ კერას, თავიანთ ოჯახს, თავიანთ მშობლიურ საბჭოთა მიწას. ის არ დაუშვებს, რომ მისი დედა, მისი მამა, მისი ცოლი და შვილები გახდნენ გერმანელი ბატონების მონები“ — ნათქვამი იყო ყაზახი ფრონტელებისადმი გაგზავნილ წერილში.

ამ მიმართვამ ცხოველი გამოხმაურება პოვა სტალინგრადის დამცველთა გულებში, აამაღლა მათი მორალური სულისკვეთება და განამტკიცა მტრის გარდუვალი დალუპვის რწმენა.

[9] ლ. ი. ბრეჟნევი, მცირე მიწა, აღორძინება, ყამირი, „საბჭოთა საქართველო“, 1979, 28 დეკ. 25.

საპასუხო წერილში საბჭოთა მეომრები წერდნენ: — „ჩვენ მოვედით აქ ვოლგისპირეთის სტეპებში ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მხრიდან. რუსეთის თვალუწვდენელი დაბლობებიდან, უკრაინის სტეპებიდან, ბელორუსიის ტყეებიდან, კავკასიის მთებიდან, შორეული ციმბირიდან. ...ჩვენ მოვედით აქ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხრიდან. ვიცავთ რა სტალინგრადს, თითოეულმა ჩვენთაგანმა იცის, რომ აქ ისინი იცავენ თავიანთ სამშობლოს, თავიანთ ოჯახს, თავიანთ ხალხს“[10].

ანალოგიური მაგალითების დასახელება დაუსრულებლივ შეიძლება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის მოსკოვის ან სხვა გმირი ქალაქების: ლენინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის და სხვათა დაცვის დაუვიწყარი ისტორიიდან.

ჩვენი სამშობლოს გულს—მოსკოვს გმირულად იცავდა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი. ვაჟკაცურად დაღუპულ სახელგანთქმულ 28 პანფილოველთა შორის რუსი ხალხის შვილებთან ერთად გერმანელ — ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოდნენ ბელორუსი, ყაზახი, ქართველი და სხვა ერის წარმომადგენლები.

ყველა საბჭოთა პატრიოტს ერთნაირი უფლებით შეეძლო გაემეორებინა ქართველი მებრძოლის მიხეილ ხუდიშვილის მიერ მოსკოვის დაცვის დროს წარმოთქმული სიტყვები: „მე საქართველოში დავიბადე. განა მოიპოვება ქვეყანაში ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი მხარე არ უყვარს? არა, ასეთი ადამიანი არ მოიპოვება, მაგრამ ყოველ ჩვენგანს შეგნებული აქვს, ის, თუ სად იმყოფება ჩვენი სამშობლოს გული. ჩვენი სამშობლოს გული დიად ქალაქში მოსკოვში ძგერს“[11].

მოსკოვს მთელი ჩვენი ქვეყანა იცავდა. ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიასა და კავკასიაში, ვოლგისპირეთსა და ურალში იქმნებოდა ახალი საჯარისო შენაერთები. დედაქალაქის დამცველი წითელი არმიის მრავალი სხვადასხვა ეროვნების მებრძოლები სასიკვდილოდ იდგნენ. მოსკოვისათვის იბრძოდნენ: ბატალიონები, პოლკები, დივიზიები, კორპუსები და არმიები, რომლებსაც მეთაურობდნენ: რუსი გოვოროვი, პოლონელი როკოსოვსკი, უკრაინელი ლელუშენკო; ბელორუსი დოვატორი, ქართველი ლესელიძე, აზერბაიჯანელი ასლანოვი, სომეხი მარტიროსიანი, თურქმენი გელდიევი და ლენინური პარტიის მიერ აღზრდილი მრავალი სხვა მხედართუფროსი[12].

მოსკოვისათვის ბრძოლაში ქართველ მეთაურთაგან, რომლებიც წარმატებით ხელმძღვანელობდნენ საერთო-საჯარისო ნაწილებსა და ქვეგანაყოფებს, თავი ისახელეს: პ. ჩანჩიბაძემ, კ. სუხიაშვილმა, ე. კობერიძემ, მ. კოკნაძემ, მ. მიქელაძემ, პ. ჩხობაძემ, პ. შიოშვილმა, ი. მითაიშვილმა და სხვ.

როგორც დედაქალაქის გმირული დაცვის პერიოდში, ისე კონტრშეტევის დროს განსაკუთრებით ისახელა თავი პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძის 107-ე მოტომსროლელმა დივიზიამ, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს, შემდეგ კი შემოვლითი მანევრით გავიდა მტრის მსხვილი დაჯგუფების ფლანგზე და თავისი წვლილი შეიტანა ამ დაჯგუფების განადგურებაში. საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის დივიზია გარდაიქმნა გვარდიულ შენაერთად. ასევე შეუპოვრობა გამოიჩინა 75-ე საზღვაო

[10] Народный подвиг в битве за Кавказ (сборник статей), М., 1981, გვ. 47—48.

[11] გ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძველია, თბ., 1956, გვ. 18—19.

[12] Народный подвиг в битве за Кавказ, გვ. 47.

მსროლელთა ბრიგადამ, რომელსაც პირველი რანგის კაპიტანი კ. სუჩიაშვილი მეთაურობდა. ბრძოლაში მოპოვებული დიდი წარმატებისათვის შენაერთს ეწოდა მე-3 გვარდიული მსროლელი ბრიგადა[13].

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ყოველ უბანზე ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ეროვნების მებრძოლები მამაცურად იბრძოდნენ. ამის ნათელი დადასტურებაა შავიზღვისპირეთის სიმაგრეების გმირული თავდაცვა. 1942 წლის 20 მარტისათვის ზღვისპირეთის ცალკე არმიის საბრძოლო ნაწილების რიცხობრივი შემადგენლობა (რომლებიც სევასტოპოლს იცავდნენ აღწევდა 64 971 მეომარს, რომელთაგან 28 134 იყო რუსი, 15 895—უკრაინელი, 5 234—ქართველი, 4 278—აზერბაიჯანელი, 3 639 სომეხი და 7 793 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. ...სევასტოპოლის ლეგენდარული თავდაცვის პერიოდში, გაფიფრებული სასტიკი ბრძოლების დროს განხორციელებული გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა: საზღვაო ქვეითი ნაწილების სნაიპერთა ინსტრუქტორს, ზემდეგ ნოე ადამიას, უმცროს პოლიტხელს მ. გახოკიძეს, საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონის მეთაურს კაპიტან მ. გეკე'მიძეს და საავიაციო ესკადრილიის მეთაურს მაიორ ა. წურწუმიას[14].

მრავალი ქართველი მეომარი იყო ოდესის გმირულ დამცველთა შორისაც. ისინი იბრძოდნენ არა მარტო სახმელეთო ჯარების რიგებში, არამედ საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებში, აგრეთვე ავიაციასა და გემებზე.

საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი ხალხის დიდ სამამულო ომში შეკავშირებას, მონოლითურობასა და საბრძოლო თანამეგობრობას ფაშისტური გერმანიის მესვეურები არ მოელოდნენ. პირიქით, ომის დაწყების წინ თავიანთ ავანტურისტულ გეგმებს ისინი საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთა შორის შუღლსა და სიძულვილზე აგებდნენ. ჰიტლერი პირდაპირ აცხადებდა „ხელი შევუწყოთ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხებს შორის უთანხმოებისა და განხეთქილების ნებისმიერ ფორმას".

გერინგის „მწვანე საქაღალდეში", რომელიც საბჭოთა ჯარებს ჩაუვარდათ ხელში, ნაპოვნია დირექტივა საოკუპაციო ჯარებისა და ქვეგანაყოფებისადმი, მასში ნათქვამია: „ბალტიისპირეთის ქვეყნებში... გერმანიის ინტერესებისათვის გამოყენებული იქნეს წინააღმდეგობა ლიტველებს, ესტონელებს, ლატვიელებსა და რუსებს შორის. ... სამხრეთში ჩვენი ინტერესებისათვის გამოყენებული იქნეს წინააღმდეგობანი ქართველებს, სომხებს, თათრებსა და რუსებს შორის"[15].

როგორც ვიცით, გერმანელ-ფაშისტთა გეგმები —საბჭოთა ხალხებს შორის სიძულვილის, მტრობისა და განხეთქილების შესახებ არ გამართლდა. დიდი სამამაულო ომის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ კომუნისტურმა პარტიამ შეძლო უმოკლეს ისტორიულ ვადაში საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღეზარდა სსრ კავშირის ხალხები. დიდ სამამულო ომში, როგორც ერთი ისე აღსდგა მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი საძულველი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

---

[13] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII. თბ., 1980, გვ. 92.

[14] И. П. Бабалашвили, Грузинская ССР в годы Великой Отечественной войны, Тб., 1978, გვ. 159.

[15] Народный подвиг в битве за Кавказ, გვ. 40.

თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალური დივიზიები და ბრიგადები გააგზავნეს ფრონტებზე ურალის, ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის მშრომელებმა. ციმბირის თითოეულ შენაერთში იყო 30-დან 45-მდე სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელი.

1943 წლის 1 იანვრისათვის 166 მსროლელ დივიზიაში, რომელიც აერთიანებდა 1 მლნ-ზე მეტ მეომარს, ითვლებოდა: 32 642 ყაზახი, 28 832—თათარი, 25 995—უზბეკი, 19 537 ქართველი, 18 730—აზერბაიჯანელი, 16 004—სომეხი, 10 179 მოლდაველი, 9 622—ჩუვაში, 9207—ესტონელი, 6 413—ბაშკირი, 5 580—ყირგიზი, 3 350—მარიელი, 3 239—თურქმენი, 3 186—უდმურტი, 2 680—ტაჯიკი, მრავალ ცალკე მსროლელ შენაერთში (მხოლოდ არაეროვნულ შენაერთებში) არა რუსი ეროვნების მებრძოლები შეადგენდნენ მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტს[16].

ლენინგრადის გმირული დაცვის პერიოდში საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა სახელოვანი შვილები გასაოცარ სიმამაცესა და თანამეგობრობის შესანიშნავ მაგალითებს გვიჩვენებდნენ. ლენინის ქალაქის დაცვის მძიმე დღეებში რუსი და ქართველი გვარდიელი მფრინავები ბელუკაძე და გურიანოვი შიშის ზარს სცემდნენ ჰიტლერულ საჰაერო პირატებს. საჰაერო ბრძოლაში ჩაბმულ ბელუკაძეს და გურიანოვს გადასცეს, რომ მათ მტრის ორი თვითმფრინავი უახლოვდებოდა. საბჭოთა მფრინავები მყისვე ეკვეთნენ „მესერშმიტებს“. მალე მათ მტრის ერთი მანქანა დააზიანეს. ცეცხლმოკიდებულმა თვითმფრინავმა აეროდრომს მიაშურა, ხოლო მეორე იქვე ჩამოაგდეს და იგი აფეთქდა მიწაზე დანარცხების დროს[17].

ლენინგრადისათვის ბრძოლაში მტრის საჰაერო სვავებს უშიშრად ანადგურებდა მიხეილ მაჩაბელი. ერთ-ერთი საჰაერო ბრძოლის დროს ჯგუფის მეთაურის, საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან ბატურინის, ზურგში მოექცა მტრის თვითმფრინავი. ბატურინს უცილობელი დაღუპვა ელოდა. საჭირო იყო თავგანწირვა მეთაურის გადასარჩენად. ეს მისია მ. მაჩაბელმა პირნათლად შეასრულა

„განა საჭიროა ამაზე უფრო მკაფიოდ დამადასტურებელი ფაქტი,— წერდა ბატურინი, — რომ დარწმუნდეთ თუ რა ძლიერად აქვთ შეგნებული გამანადგურებელი ავიაციის ბალტიელ მფრინავებს ვალდებულება გასაჭირის დროს ურთიერთდახსნისა. სერჟანტი მ. მაჩაბელი ამ მფრინავთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. სახელი და დიდება მამაც შევარდენს მაჩაბელს! ფაშისტებთან ბრძოლა ისე უნდა, როგორც მაჩაბელი იბრძვის“[18].

მარად დაუვიწყარი დარჩება კომკავშირელების ლავრენტი ავალიანისა და შოთა გამცემლიძის გმირობა. ისინი მსგავსად ოდინცევის, ციბულკოსა და კრასნოსელცოვისა უთანასწორო ბრძოლაში (მას შემდეგ რაც დაავსხვრიეს მტრის რამდენიმე ტანკი) ყუმბარებით მტრის მოძალებულ ტანკქვეშ შევარდნენ, აფეთქეს იგი და საკუთარი სიცოცხლის ფასად გზა გადაუღობეს მტერს.

მფრინავი ვანო გაბუნია მტერთან სასტიკსა და უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაიღუპა და სამარადისო დიდება მოუპოვა სამშობლოს. ავიაციის

[16] Народный подвиг в битве за Кавказ, გვ. 42—43.

[17] მ. ქ ო ჩ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართველი ხალხის საბრძოლო მამაცობა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, თბ.,1975, გვ. 70.

[18] მ. ქ ო ჩ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

გენერალ-მაიორი, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი ივანე კოჟედუბი, ვ. გაბუნიას გმირულად დაღუპვის შესახებ გვაუწყებდა: „არასოდეს არ დამავიწყდება ჩემი საუკეთესო მეგობრის—ქართველი ვანო გაბუნიას გმირობა. 1943 წლის გაზაფხულზე ვალუიკზე მტრის ავიაციის დიდი თავდასხმის მოგერიების დროს, გაბუნიამ ჰაერში გატარნა გერმანული თვითმფრინავი და გმირის სიკვდილით დაიღუპა, მტერი კი ობიექტთან არ მიუშვა“[19].

რუსთაველის გმირებივით ქართველმა მეომრებმა ფრონტზე გვიჩვენეს თანამებრძოლ მეგობართათვის თავგანწირვის არა ერთი უკვდავი მაგალითი. ხშირად თვითონ იღუპებოდნენ, რათა ამხანაგის სიცოცხლე ეხსნათ. აი, ერთი ასეთი ეპიზოდიც: ბაქსანის ხეობაში ბრძოლებში მძიმედ დაჭრილი სერჟანტის ჟორჟოლაძის ცეცხლის ხაზიდან ადიდებული მდინარის მეორე ნაპირზე გადმოყვანა მებრძოლმა მეგრელიშვილმა იკისრა. მან საოცარი ვაჟკაცური ამტანობით შეძლო მისი გადარჩენა, მაგრამ თვითონ მტრის ტყვიით სიცოცხლეს გამოესალმა.

ყურადღებას იმსახურებს ფრონტელი მეგობრების — ლატვიელი ერნსტ ლანგესა და ქართველი ვ. თოდრიას წერილები. ლანგე წერდა: „შეუძლებელია დაგავიწყდეს კაცი, რომელმაც სიცოცხლე შეგინარჩუნა. ბრძოლის ველზე შენ პირველმა შემიხვიე ჭრილობა გაჩაღებული სროლის დროს. შეტევაზე მიმავალ ამხანაგებთან რომ მიეშურებოდი, შეძელი მარხილი მოგეგნახა და ზურგში გამგზავნე. შენს მზრუნველობას უნდა ვუმადლოდე, რომ ცოცხალი დავრჩი“[20]. ანალოგიური მაგალითების დასახელება დაუსრულებლივ შეიძლება რუს, უკრაინელ, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად ქართველი მეომრების დიად მეგობრობაზე.

143-ე მსროლელი ლეგიონის (224-ე მსროლელი დივიზია) კომისარმა აკაკი გიორგაძემ დესანტის გადასმისას მტკივნეულად განიცადა მეთაურისა და უახლოესი მეგობრის მაიორ ვალერი ლევკოვიჩის დაღუპვა. მაგრამ წუთითაც არ დაბნეულა, მეთაურობა თვითონ იკისრა, ბრძოლა სწორად წარმართა და გარკვეული წარმატებაც მოიპოვა. მამაცი ქართველი კომისარი სოფელ ბულგანაკისათვის მტერთან შერკინებაში გმირის სიკვდილით დაეცა[21].

ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლები მოძმე უკრაინის განთავისუფლებისათვის ისევე შეუპოვრად და თავდადებით იბრძოდნენ, როგორც უკრაინელები — კავკასიისათვის. უკრაინის მიწას, მის ქალაქებსა და სოფლებს ახსოვთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნული დივიზიები, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით მიერეკებოდნენ ფაშისტებს უკრაინის წმინდა მიწიდან. ათობით ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მხედართუფროსი მეთაურობდა პოლკებსა და შენაერთებს უკრაინისათვის ბრძოლებში, მათ შორის გენერლები: კ. ლესელიძე, ს. მარტიროსიანი, კ. ჯახუა, გ. ტერ-გასპარიანი, ა. ასლანოვი, მ. მიქელაძე, გ. თუმანიანი, ნ. კალაძე, ა. კაზარიანი, ე. კობერიძე, ნ. თავართქილაძე, ნ. საფარიანი და მრავალი სხვ. საბჭოთა ხალხის მეხსიერებიდან არასო-

---

[19] ა. იოსელიანი, საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, თბ., 1952, გვ. 354.

[20] იქვე, 354—355.

[21] მხარდამხარ (ნარკვევების კრებული), თბ., 1979, გვ. 10.

დეს ამოიშლება ამიერკავკასიის შვილთა ჩადენილი გმირობა უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში[22].

წითელი არმიის მეომრები ფიცს დებდნენ, რომ იბრძოლებდნენ მტრის წინააღმდეგ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე; მშრომელებისადმი გაგზავნილ წერილებში ისინი მოითხოვდნენ ზურგის გამაგრებას. ეს წერილები უდიდეს დამრაზმველ გავლენას ახდენდნენ ფრონტისა და ზურგის ერთიანობაზე, აი მაგალითად, 1943 წლის 16 მაისს კავკასიისათვის ბრძოლების პერიოდში ქართველი მეომრების მიერ საქართველოს მშრომელებისადმი გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო: „ჩვენი წერილი იწერება ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ იგი გამოხატავს ყოველ იმ ქართველ მეომართა გრძნობებსა და ფიქრებს, რომლებიც დიდი სამამულო ომის უზარმაზარ ფრონტზე იბრძვიან. საერთოდ მტერთან წმიდათაწმიდა ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა ხალხთა მეგობრობა და ურღვევი ძმობა. ამჟამად ეს მეგობრობა შედუღაბებულია ჩვენი თავდადებული მებრძოლების სისხლით და გამოწრთობილია ომის ქურაში. ხალხთა ჭეშმარიტი მეგობრობის გრძნობა თავის ნათელ განსახიერებას პოულობს მეომართა ყოველდღიურ საგმირო საქმეებში. ჩვენი ხალხის მეგობრობა... ფოლადივით იწრთობა ბრძოლების ცეცხლში და არავითარ ძალას მსოფლიოში არ შეუძლია მისი მოსპობა. საბჭოთა ქვეყნის უძლეველი ძალა დაამსხვრევს მტრის ყოველ ცდას დაანგრიოს ეს მეგობრობა.

...ჩვენი დიადი ქვეყნის მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად ჩვენ ვიბრძოლებთ თავგანწირვით და სიცოცხლესაც არ დავიშურებთ საყვარელი სამშობლოსათვის“[23].

იმ მშფოთვარე და მძიმე დღეებში აზერბაიჯანელებმა და ქართველებმა, სომხებმა და რუსებმა, უაბარდოელებმა და ლეკებმა, თავიანთ უფროს ძმასთან — რუს ხალხთან დადებული ფიცი — დაეცვათ კავკასია, გაუვალად ექციათ მთის ყველა ბილიკი — და უღელტეხილი, გადაექციათ კავკასია ფაშისტთა სამარედ, შეასრულეს. მტერი განადგურებული იქნა კავკასიაში და საბჭოეთის მთელ ტერიტორიაზე.

ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობას მასობრივი ხასიათი ჰქონდა არა მარტო მტრისგან ოკუპირებულ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, არამედ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ავსტრიის, იუგოსლავიის ე. ი. ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთ ევროპის ხალხთა განთავისუფლების და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მ. ქანთარიასა და მ. ეგოროვის მიერ რაიხსტაგზე წითელი დროშის აღმართვა მუდამ იქნება ქართველი და რუსი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიის დაუვიწყარი მაგალითი.

საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიაში ასევე გაუხუნარ ფურცლებად დარჩება ქართველი, რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ბრძოლები გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ სახალხო პარტიზანულ და ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში.

მაშასადამე, როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წლებში გამოწრთობილმა და მრა-

[22] К. Цкитишвили, На фронтах Великой Отечественной, Тб. 1975, გვ. 406.

[23] კ. ცქიტიშვილი, დიადი გამარჯვების საწყისები, თბ., 1974, გვ. 257—258.

ვალგზის ნაცადმა საბჭოთა ხალხის ტრადიციულმა მეგობრობამ მთელი სიძლიერით იჩინა თავი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, სახალხო პარტიზანულ და ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის მოძრაობაში.

საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა დიდ სამამულო ომში ნათელი დადასტურება იყო სკკპ ბრძნული ეროვნული პოლიტიკისა, რომელიც მტკიცდებოდა სამოქალაქო ომის, უცხოელთა ინტერვენციის, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ხოლო, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების, საბჭოთა ხალხების მეგობრობის, მათი მორალურ-პოლიტიკური ერთობის უდიდესი გამოცდილება იყო. დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ყველა გამარჯვებამ, რომელშიც ღირსეული წვლილი შეიტანეს მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების ხალხებმა კიდევ უფრო განამტკიცა და შეადუღაბა საბჭოთა ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა“[24].

[24] მ. ნათმელაძე, სსრ კავშირის შექმნა, თ`., 1972, გვ. 92—93.

მერი თოგოშვილი

# საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მშრომელთა ურთიერთობა დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.)

საქართველოს ისტორიულად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოკავკასიის ხალხებთან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ამ ურთიერთობამ ახალი შინაარსი და ფორმები შეიძინა, პრინციპულად ახალ, სოციალისტურ საფუძველზე იქნა აგებული.

1941 წლის პირველ ნახევარში, საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულ თავდასხმამდე, საქართველოს სსრ ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ვითარდებოდა იმ ტრადიციულ კალაპოტში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში, განსაკუთრებით კი სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში ჩამოყალიბდა.

ჩრდილო კავკასიიდან საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შემოჰქონდა მრავალი სახის ნედლეული თუ მზა დეტალები. კრასნოდარიდან შემოდიოდა ვენური სკამების დეტალები, რომელთა მონტაჟი ხდებოდა ადგილზე. იქიდანვე შემოდიოდა პარკეტიც[1]. მაიკოპიდანაც შემოგვქონდა გრეხილი ავეჯეულობის ცალკე ნაწილები, ხოლო აწყობა მათი ხდებოდა ადგილზე[2].

ჩრდილო კავკასიიდან ხდებოდა ურმის თვლების, ღერძების და სოფლის მეურნეობაში საჭირო სხვა ინვენტარ-მოწყობილობის შემოტანა. 1941 წ. დასაწყისში მაიკოპიდან მარტო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შემოტანილ იქნა დასახელებული სახეობის ინვენტარი 40 ათასი მანეთის ღირებულებისა[3].

1941 წლის ზაფხულში, ისევე როგორც წინა წლებში, ქართველი მეცხვარეები სარგებლობენ არამარტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საზაფხულო საძოვრებით, არამედ კავკასიონის მთებისა და დაღესტნის საზაფხულო საძოვრებითაც.

საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში გადიოდა რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი პროდუქცია, მაგრამ 1941 წ. 22 ივნისს საბჭოთა ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ დროებით შეაფერხა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა მზარდი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. ჩვენს ქვეყანას უდიდესი განსაცდელი დაატყდა. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, საქართველოს და ჩრდილო კავკასიის ხალხთა მეგობრული თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ტრადიცია მკაცრი გამოცდის წინაშე დადგა.

ოქტომბრის რევოლუციით შობილმა საბჭოთა ხალხების ლენინურმა თანამეგობრობამ გაუძლო გამოცდას. კავკასიის ხალხები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ალდგნენ თავის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

წერილში ჩვენ არ შევეხებით დიდი სამამულო ომის პერიოდში კავკასიის ხალხთა საბრძოლო და შრომითი გმირობის დახასიათებას. ეს საკითხი საბ-

[1] გაზ. „კომუნისტი", 1941 წ. 16 იანვარი.

[2] იქვე, 18 იანვარი.

[3] იქვე, 2 თებერვალი.

ჭოთა ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის შესწავლილი-შეფასებული. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე შევჩერდებით, რომელთაც თემისათვის განსაზღვრული მნიშვნელობა აქვთ.

ომმა დაარღვია ნორმალური ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა სსრ კავშირის ცალკეულ ეკონომიკურ რაიონებს შორის. ეს ძალზე მტკივნეული იყო როგორც საქართველოსათვის, ასევე ჩრდილო კავკასიის ხალხებისათვისაც, რომელთა შორის ომამდელ პერიოდში შრომის კოოპერაციის გარკვეული ფორმები ჩამოყალიბდა. ომმა მოშალა ეს ფორმები. დღის წესრიგში სულ სხვა საკითხები წამოიჭრა. ერთ-ერთი ასეთი საკითხი იყო ფრონტისპირა რაიონებიდან საწარმოთა, მოსახლეობის, ქონების ევაკუაცია. ომის პირველ პერიოდში ასეთი ევაკუაცია ხდებოდა ამიერკავკასიაშიც, კერძოდ საქართველოში. მაგ., 1941 წ. დასასრულს თბილისის რკინიგზის სახელოსნო სასწავლებლის ტერიტორიაზე ევაკუირებულ იქნა ქ. ტიხორეცკის მანქანათმშენებელი ქარხანა „კრასნი მოლოტი“. მან ახალ ადგილზე მოკლე დროში აითვისა 50 მმ ნაღმების წარმოება და ფრონტის სამსახურში ჩადგა[4].

ევაკუირებულ იქნა ორჯონიკიძის ვაგონშემკეთებელი ქარხანა, ნოვოროსიისკისა და როსტოვის ორთქმავალვაგონშემკეთებელი ქარხნები. ამ ქარხნების კოლექტივები თბილისში სამხედრო დაკვეთებს ასრულებდნენ. ქუთაისში 1942 წელს ევაკუირებულ იქნა ორჯონიკიძის მინის ტარის ქარხანა, რომელმაც იქ 1944 წლის მაისიდან პროდუქციის გამოშვება დაიწყო. საქართველოშივე იქნა ევაკუირებული ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხანა. მისმა მხოლოდ ნაწილმა ნაღწია კასპამდე, რის გამოც ვერ აღადგინეს. ქარხნის ევაკუაციამდე ნოვოროსიისკელი მეცემენტენი თავდადებით შრომობდენ კასპის ცემქარხანაში[5].

1942 წ. ზაფხულისათვის გერმანიის ფაშისტურმა არმიამ მოახერხა ვოლგაზე გაჭრა, მოადგა ნოვოროსიისკს და უშუალო საფრთხე შეუქმნა ჩრდილო კავკასიას. მტერი ლამობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ხელთ ჩაეგდო ჩრდილო კავკასია, იქიდან განეხორციელებინა დარტყმა ამიერკავკასიაზე და ხელთ ჩაეგდო მდიდარი ბუნებრივი რესურსებისა და სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობის მქონე რაიონი.

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირზე თავდასხმის ჰიტლერულ გეგმებში კავკასიას დიდი როლი ეკისრებოდა. მისი დაპყრობა ფაშისტური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო.

უკრაინის, ყუბანის, ჩრდილო კავკასიის და ამიერკავკასიის დაპყრობით ფაშისტურ სარდლობას ორი პრობლემის გადაჭრა სურდა: პირველი — უზრუნველეყო თავი ბურით, ნავთობით, მადნით, მეორე — ამიერკავკასიის ტერიტორიიდან და ეგვიპტიდან (სადაც მოქმედებდა გერმანიის არმია რომელის სარდლობით) მარწუხებში მოექციათ ინგლისის მეორე არმია და დაეპყროთ შუა აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარი რაიონები. ამაში მათ უნდა დახმარებოდა თურქეთის მობილიზებული არმია 45 დივიზიის შემადგენლობით. შემდეგ დაგეგმილი იყო ინდოეთში ლაშქრობა[6].

---

[4] შ. ნოზაძე, თბილისი დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში (1941—1953), გვ. 34.

[5] ე. კუპატაძე. ევაკუირებული სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებებისა და მოსახლეობის მიღება და განლაგება საქართველოში საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.), თბ., 1978, გვ. 52, 54, 57, 61—62.

[6] К. В. Цкитишвили, Закавказье в годы Великой Отечественной войны 1941—1945 гг., Тб., 1969, გვ. 5.

ჰიტლერელებმა კავკასიას მოაყარეს თავის საუკეთესო ჯარები—700 ათასიანი თითქმის მთლიანად მოტორიზებული არმია, ეს არმია რიცხობრივადაც და შეიარაღებითაც (ტანკებით, ავიაციით, არტილერიით) სჭარბობდა ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებს, რომელთაც დაეკისრათ კავკასიის დაცვის რთული ამოცანა.

მტერმა ჩრდილო კავკასია მოსწყვიტა ცენტრალურ რაიონებს. ამას იგი დიდ იმედებს უკავშირებდა. კერძოდ, იმედი ჰქონდათ, რომ კავკასია მომარაგების გარეშე დარჩებოდა, სიძნელეების წინაშე კი კავკასიის ხალხებს შორის კინკლაობა და შფოთი ატყდებოდა, რითაც კარგად ისარგებლებდენ ისინი და თავის ვერაგულ გეგმებს იოლად შეასრულებდნენ.

მაგრამ მტერმა აშკარად გადააფასა თავის შესაძლებლობანი, ხოლო სათანადოდ ვერ შეაფასა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა. ამის ერთ-ერთი აშკარა დემონსტრაცია იყო კავკასიაში ფაშისტური ჯარების განადგურება, რომელსაც დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის საერთო გამარჯვებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

კავკასიონის მთისწინეთში სისხლისაგან დაიცალა გერმანელთა 700 ათასიანი არმია. იგი ისე ღრმად ჩაეფლო კავკასიისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლებში, რომ ვერ შეძლო სტალინგრადთან პაულიუსის არმიისათვის დახმარების გაწევა. კავკასიისათვის ბრძოლამ საბჭოთა სარდლობას შესაძლებლობა მისცა დრო მოეგო და სტალინგრადთან მტრისათვის გამანადგურებელი დარტყმისათვის სათანადო რეზერვებისათვის თავი მოეყარა. ჩაიფუშა მტრის ვარაუდი კავკასიის ხალხებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივების შესახებ. კავკასიის ხალხები ერთსულოვნად აღდგნენ თავის სამშობლოს დასაცავად[7].

ამ ისტორიულ ბრძოლაში კავკასიის ხალხების და საერთოდ მთელი საბჭოთა ხალხის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურმა თანამშრომლობამ, მათმა მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, ძმურმა ურთიერთმხარდაჭერამ განაპირობა ძლიერი და ვერაგი მტრის განადგურება. მტრის განადგურებისათვის კავკასიის ხალხთა დარაზმვისა და ორგანიზაციის საქმეს სათავეში უდგა კომუნისტური პარტია.

როცა ჩრდილო კავკასია უშუალო შემოსევის ობიექტი გახდა, დაიწყო სიმაგრეთა წყების მშენებლობა. ყიზლარის რაიონში საგანგებოდ დააჭაობეს და მტრისათვის გაუვალი გახადეს 100 კმ სიგრძის და 10კმ სიგანის ფართობი (100 ათასი ჰექტარი ფართობი), 400 კმ-იან ზოლში რეკორდულად მოკლე დროში რამდენიმე კვირაში აშენდა 100 ათასამდე თავდაცვითი ნაგებობა, მათგან 700 ათასი საცეცხლე წერტი. ტანკსაწინააღმდეგო თხრილები გაითხარა 660 კმ-ზე, ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებები — 316 კმ-ზე, ტრანშეები — 1639 კმ-ზე.

აღნიშნულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტები, ჩრდილო ოსეთის, დაღესტნის. ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინრო ნაწილები.

თავდაცვითი ნაგებობების ასაგები მასალების მომზადების საქმეს მთელი ამიერკავკასიის სამშენებლო ინდუსტრია ემსახურებოდა. მაგ., საამისოდ მომ-

[7] К. В. Цкитишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 7—9.

ზადდა 7,5 ათასი რკინაბეტონის სარქველი, 80 ათასი ტანკსაწინააღმდეგო ლითონის ზღარბი. მხოლოდ იმ მოკლე ხანში დახარჯულ იქნა 0,5 მილიონ მ³ ხეტყე, 19 ათასი ტონა ცემენტი, 14 ათასი ტონა რკინა, 830 ტონა უკლიანი მავთული და სხვ. ამ სამუშაოს შესრულებას დასჭირდა 200 მილიონ კაც-დღეზე მეტი[8].

დიდი იყო საქართველოს მუშათა კლასის წვლილი კავკასიის გმირულ დაცვაში. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს ენერგომშენებელთა საქმიანობა 1942 წ. აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერში ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებისათვის გამაგრებული პოზიციების შესაქმნელად. აღნიშნულ პერიოდში ხრამჰესელმა მუშებმა და ინჟინრებმა, ფრონტის საინჟინრო ჯარების სარდლობის ხელმძღვანელობითა და პროექტებით, საველე სიმაგრეებისა და ტანკსაწინააღმდეგო ღობურების მთელი სისტემები ააგეს ქ. ორჯონიკიძის მიდამოებში. დიდი სამუშაოები შესრულეს ხრამჰესელებმა დარიალის ხეობაში, სადაც შექმნეს სათადარიგო გამაგრებული პოზიციები — ციცაბო კლდეებში შეჭრილი სატანკო წერტები დამხმარე სათავსებითა და მისასვლელი გვირაბებით. დარიალის ხეობაში დევს უზარმაზარი ლოდი (კლდის მონაწყვეტი, რომელსაც ტურისტულ გზამკვლევებში „ერმოლოვის ქვას „უწოდებენ.— ძ. თ.), რომლის მოცულობა 5655 კუბური მეტრია, წონა კი დაახლოებით 15 ათასი ტონა. ხრამჰესელები გვირაბებით შევიდნენ ამ უჩვეულო ზომის ქვის ლოდში და შიგ გამოკვეთეს ლარსის ჭალისაკენ მიმართული მოზრდილი დარბაზი დაბალი, განიერი ამბრაზურით[9].

ათეულ ათასობით მცხოვრები გამოვიდა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე ორჯონიკიძის, გროზნოს, მაიკოპის, ტუაფსეს მისადგომებთან.

როცა მტერმა კავკასიონის ქედის ხეობებში შემოჭრა მოახერხა და ამიერკავკასიაში (საქართველოს სსრ-ში) გადმოსასვლელების ხელში ჩაგდებას შეეცადა, დაიწყო მათი გამაგრება. კავკასიონის ქედი გაუვალ ზღუდედ აღიმართა მტრის წინაშე. ელხოტოვის კარი (ქ. ორჯონიკიძეში შემოსასვლელი) ისე კარგად იყო გამაგრებული, რომ მტრის ტანკებმა მისი გადალახვა ვერ შეძლეს[10].

კავკასიის დაცვის საქმეში ამიერკავკასიამ ზურგის როლი შეასრულა. ცენტრალურ რაიონებიდან მოწყვეტამ საჭირო გახადა კავკასიის დამცველი არმიების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და რეზერვებით უზრუნველყოფა, რაც ამიერკავკასიის რესპუბლიკებს დაეკისრათ. ამიერკავკასიის მშრომელებმა — მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ მაღალი პატრიოტიზმი და შეგნებულობა გამოავლინეს და მძიმე პირობებში წარმატებით უზრუნველყვეს მათზე დაკისრებული ამოცანა. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოებმა აითვისეს სამხედრო საჭურვლის წარმოება და შეუფერხებლად აწვდიდნენ მას კავკასიის ფრონტს. თბილი ტანსაცმელი ჯარისათვის დიდი რაოდენობით იწარმოებოდა. მაგ., საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დავალებით „სარეწაო საბჭოს“ არტელებმა „ძაფმაუდმა“ და „საქნაბადმა“, აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა ნარჩენებისაგან თბილი ტანსაცმლის გამოშვება დაიწყეს, ამის შედეგად 1941—42 წწ. მკაცრ ზამთარს ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტის ჯარები სათანადოდ ეკიპირებული შეხვდნენ[11]. ჯარის თბილი ტანსაცმლით უზრუნველყოფის საქ-

[8] К. В. Цкитишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

[9] კ. ჩარკვიანი, საბჭოთა საქართველოს ენერგეტიკა, 1, 1965, გვ. 353.

[10] Б. В. Баданин, На боевых рубежах Кавказа, გვ. 41.

[11] К. В. Цкитишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

ძეში დიდი როლი შეასრულა მოსახლეობის ნებაყოფლობითმა შეწირულობებმა.

ამიერკავკასიის რკინიგზას დიდი ამოცანები დაეკისრა, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი იყო ჩრდილო კავკასიის რაიონებიდან სამრეწველო საწარმოთა და მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფა. რკინიგზაზე მატარებელთა მოძრაობის სამხედრო გრაფიკი იქნა შემოღებული. ჩრდილო კავკასიის საწარმოების ევაკუაცია, მართალია, ამიერკავკასიის გავლით ხდებოდა, მაგრამ რაკი თვით ამიერკავკასია ფრონტისპირა ზოლად გადაიქცა, ამიტომ მათ შუა აზიაში და ციმბირში აგზავნიდნენ. რაც შეეხება მოსახლეობას, პირუტყვს. ისინი უღელტეხილებით გადმოდიოდნენ საქართველოში და აქედან ნაწილდებოდნენ ამიერკავკასიასა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებში.

ევაკუირებული პირუტყვის შემოყვანა საქართველოში მასობრივად დაიწყო 1942 წლის ზაფხულში. ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს დადგენილებით ორჯონიკიძისა და კრასნოდარის მხარიდან ევაკუირებულ იქნა დაახლოებით 850 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი და 1650 ათასი სული წვრილფეხა პირუტყვი. ეს პირუტყვი შემოდიოდა საქართველოსა და ოსეთის სამხედრო გზით და ნაწილდებოდა ქართლის, კახეთის და ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოს რაიონებზე[12].

საქართველოს რესპუბლიკისა და რაიონული რგოლის ხელმძღვანელობა საგანგებო ზომებს ახორციელებდა ევაკუირებული პირუტყვის მიღების, აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

392-ე ქართულმა დივიზიამ, რომელიც ჩეგემისა და ბაქსანის ხეობებს იცავდა, 1942 წლის ზამთარში ბრძანება მიიღო დონღუზ-ორუნის გადასასვლელით ზუგდიდში გადმოსულიყო. დივიზიამ, რომელსაც თან მოჰყავდა 28 ათასი სული მსხვილფეხა საქონელი და მოჰქონდა 18 ტონა მოლიბდენი (სტრატეგიული ნედლეული), უგზოობის პირობებში დახარჯა 145 კმ სიგრძის გზა და ბრძანება ზუსტად შეასრულა.

კავკასიისათვის გამართული ბრძოლების პერიოდში, ბუნებრივია დაირღვა საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობის ბევრი ტრადიციული ნორმა. მაგ. შეწყდა საქართველოდან ცხვრის გადარეკვა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე. 1941 წ. შემოდგომაზე საქართველომ 92 ათასზე მეტი ცხვარი გადაიყვანა გამოსაზამთრებლად ყიზლარის საძოვრებზე[13]. 1942 წელს კი ასეთი შესაძლებლობა აღარ იყო.

1942 წლის ნოემბრიდან იწყება ფაშისტთა ჯარების შეტევა ჯ. ორჯონიკიძესთან და მათი თანდათანობითი უკან დახევა. მთლიანად კი კავკასიისათვის ბრძოლა, რომელიც დაიწყო 1942 წ. 25 ივლისს, დამთავრდა 1943 წ. 9 ოქტომბერს.

კავკასიაში გერმანელთა დამარცხებისთანავე საქართველოს მშრომელებმა ჩრდილო კავკასიის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ევაკუირებული პირუტყვი ნამატით დაუბრუნეს, თუმცა ხელშეკრულებით ნამატი საქართველოში უნდა დარჩენილიყო. ეს იყო საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური მეგობრობის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლენა[14].

[12] ე. კ უ პ ა ტ ა ძ ე, ევაკუირებული პირუტყვი და მარცვლეული საქართველოში, საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, XI, 1979, გვ. 146—148.

[13] გაზ. „კომუნისტი", 1941 წ. 25 ოქტომბერი.

[14] ე. კ უ პ ა ტ ა ძ ე, ევაკუირებული პირუტყვი და მარცვლეული საქართველოში, გვ. 150—151.

1943 წ. 21 აგვისტოს საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება „გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. განთავისუფლებულ რაიონებში სწრაფი ტემპით დაიწყო აღდგენითი სამუშაოები. მასში მთელი საბჭოთა ხალხი მონაწილეობდა. ეს იყო საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის-საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის და ურთიერთობის ბრწყინვალე ილუსტრაცია.

საბჭოთა ქვეყანაში ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოები ჯერ კიდევ 1942 წ. დასასრულიდან დაიწყო, როცა გერმანელებმა სტალინგრადთან განიცადეს დამარცხება და დაიწყო საბჭოთა ტერიტორიის თანდათანობითი გათავისუფლება ფაშისტური უღლისაკან.

საქართველოს მშრომელებმა ამ უდიდესი მნიშვნელობის პატრიოტულ საქმეში უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღეს.1942 წ. დეკემბერში ქ. ორჯონიკიძესა და ნალჩიკში აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საქართველოდან კავშირგაბმულობის 25 მუშაკი. ხოლო 1943 წ. თებერვალში მინვოდში. მაიკოპში და არმავირში—100 მუშაკი. სულ კი 1943 წ. აღდგენით სამუშაოებზე გაიგზავნა საქართველოს რესპუბლიკიდან კავშირგაბმულობის 429 მუშაკი[15].

საქართველოს მუშათა კლასი განთავისუფლებულ რაიონებს უგზავნიდა სხვადასხვა მოწყობილობას, მანქანებს, ნედლეულს, სურსათ-სანოვაგეს, მედიკამენტებს, ფულად თანხებს და სხვ. 1943 წ. დასაწყისში სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის მუშებმა ორჯონიკიძისა და ვოროშილოვის რკინიგზის აღდგენისათვის დაამზადეს და გაგზავნეს 3374 ძალაყინი, 3269 წერაქვი. 1226 ქანჩსაღები, 1812 ჩაქუჩი, 1786 სალიანდაგო შაბლონი, სულ 369679 მანეთის ღირებულების ინსტრუმენტები და მასალები. ამას გარდა, მათ გაგზავნეს 15 კმ რელსი, 50 კომპლექტი ისრების გადამყვანი, 8288 შპალი, 17 ხიდის ფერმა. მეორთქმავლეებმა დამატებით გაგზავნეს 25 დაზგა, 2552 ინსტრუმენტი და 131 ათასი მანეთის დეტალები, სულ 842 ათასი მან. მოწყობილობა[16].

საქართველოს სსრ დახმარება ჩრდილო კავკასიის განთავისუფლებულ რაიონებისათვის უაღრესად ქმედითი და მრავალმხრივი იყო. ომით დანგრეულ და გაპარტახებულ ჩრდილო კავკასიის რკინიგზას ამიერკავკასიის რკინიგზამ ყოველმხრივ ხელი შეუწყო ნორმალურ ექსპლოატაციაში ჩამდგარიყო. მაგ., 1943 წ. ოქტომბერში მან ჩრდილო კავკასიის რკინიგზისათვის გასაგზავნად გამოჰყო მოძრავი საშხაპო დანადგარი, რომელზეც მოწყობილი იყო მძლავრი ორთქლწარმომქმნელი აპარატი, კბილის სამკურნალო სავარძელი და საექიმო ხელსაწყოთა მთელი კომპლექტი. საექიმო სანიტარული უბნები გზის სამეურნეოებს და პოლიკლინიკებისათვის გზავნიდნენ მედიკამენტებს, ქირურგიულ ინსტრუმენტებს, შესახვევ მასალას[17].

ამიერკავკასიის რკინიგზის ძმური დახმარება ჩრდილო კავკასიის რკინიგზისადმი ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება. მან თავისთავზე აიღო ვოროში-

---

[15] კ. მუშკუდიანი, საქართველოს სსრ მუშათა კლასი საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.), საკანდ. დისერტ., თბ., 1968, გვ. 135—136.

[16] იქვე, გვ. 136.

[17] გაზ. „კომუნისტი“, 1943 წ. 17 ოქტომბერი.

ღვარძლიანობასა და ეგოისტურ შურიანობას იწვევდა ქვეყნის შიგნითა და გარეთ რეაქციის გაბოროტებულ მსახურთა შორის, მათთვის მომაკვდინებელი იყო ხალხთა მეგობრობა, ხალხთა ერთიანობა. მაგრამ ამ ძალებს გამანადგურებელი დარტყმა აგემა სოციალისტურმა რევოლუციამ, მან, ფართოდ გაუღო კარი ხალხთა მეგობრობას, მათ ინტერნაციონალურ დარაზმულობას ყველა ჯალხის საკეთილდღეოდ. მიუხედავად ამისა, კომუნისტური პარტია თვითდამშვიდებას არ მისცემია, მთელი მისი ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა მიძართულია ხალხთა შორის მეგობრობისა და ინტერნაციონალური დარაზმულობის ახალ, უფრო მაღალ საფუძველზე განვითარება-განმტკიცებისაკენ.

საქართველოში, როგორც მრავალეროვნულ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მარქსისტულ-ლენინური პარტიის ეროვნული პროგრამისა და ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელება. მისი წარმატებითი განხორციელების შედეგად საქართველო იქცა სსრ კავშირის შემადგენლობაში ერთ-ერთ ულამაზეს და უსაყვარლეს რესპუბლიკად. ჩვენს მიწაზე ვინც კი სახლობდა, მას საქართველო საიათნოვასავით მშობლიურად მიაჩნდა, მისთვის იღწვოდა, მისთვის იბრძოდა და მისთვის კვდებოდა[4].

საქართველო იყო და დღეს კიდევ უფრო არის თბილი, სტუმართმოყვარე დიდი ოჯახი, ვინც ამ ოჯახს სწვევია ყველამ გულით შეიყვარა ეს ლამაზი ქვეყანა, ქართველი ხალხი და მისი კულტურა, საქართველოს თემამ ბევრის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა[5]. უკრაინის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ვიტალი კოროტიჩი აღნიშნავს: „ქართველი ხალხი, ესოდენ თავდადებული მშრომელი და შემოქმედი უნებლიედ აღგიძრავს სურვილს უამბო მის შესახებ მთელ მსოფლიოს, მე შევეცადე საბჭოთა საქართველოს შესახებ მელაპარაკა კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სოციალიზმის ქვეყნებში; ამერიკის კანზასის შტატის უნივერსიტეტში მთელი ლექციებიც კი წამიკითხავს ამ თემაზე, მაშინ, როდესაც მთხოვდნენ მელაპარაკა ჩემს საკუთარ ლექსებზე, გულწრფელად ვუპასუხე, უსაქართველოდ ჩემი ლექსებიც არ არის მეთქი“[6].

ჩვენი რესპუბლიკა, რომელმაც საბჭოეთის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში ბრძოლისა და აღმშენებლობის სახელოვანი გზა გაჭვლო, გადაიქცა მაღალგანვითარებული ეკონომიკის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის აყვავებულ მხარედ, ახალი ცხოვრების შთაგონებული მშენებლების, ნიჭიერი, შრომისმოყვარე, კეთილშობილი და ამაღლებული სულის ადამიანების მხარედ. ქართველი ხალხი — ფასდაუდებელ სულიერ სიმდიდრეთა შემქმნელი ხალხი, რომელმაც ზოგადსაკაცობრიო საგანძური გაამდიდრა თავისი შემოქმედებითი სულის უკვდავი ქმნილებებით, — დღეს მთელი საბჭოთა ხალხების მხარდამხარ აქტიურად იბრძვის ჩვენი დიადი სამშობლოს მატერიალური და სულიერი დოვლათის გამრავლებისათვის[7].

საქართველოში არაქართველი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს

---

[5] გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ. 7 თებერვალი.

[6] სიტყვა საბჭოთა საქართველოზე, თბ., 1981, გვ. 83.

[7] კ. დემირჭიანი, საბჭოთა სომხეთი, თბ., 1980, გვ. 6.

[8] Р. К. Грдзелидзе, Межнациональное общение в развитом социалистическом обществе, Тб., 1980, გვ. 73.

ლოვის და ორჯონიკიძის რკინიგზების დეპოების მოძრავი შემადგენლობების რემონტი, ამას გარდა, მათ საჩუქრად გადაეცათ 80 ორთქლმავალი[18].

ჩრდილო კავკასიის ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის აღდგენით სამუშაოებში დახმარების აღმოჩენა სრულიადაც არ ყოფილა სტიქიური და შემთხვევითი ხასიათის. იგი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოების გეგმაზომიერი მუშაობის შედეგი და ემყარებოდა საბჭოთა ხალხების მაღალ პატრიოტულ სულისკვეთებას და მათ ლენინურ მეგობრობას.

ჯერ კიდევ 1943 წლის თებერვალში საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა განიხილეს და მიიღეს დადგენილებები ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის დახმარების შესახებ.

ამიერკავკასიის ცალკეულმა რესპუბლიკებმა და ავტონომიურმა ერთეულებმა შეფობა იკისრეს ჩრდილო კავკასიის ცალკეულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულებზე. ამ შეფობის ანგარიშში ჩრდილო კავკასიაში გაიგზავნა 177 ვაგონი სამშენებლო მასალა, 40 ავტომანქანა, 215 ტრაქტორი, 200 სათესი, 315 გუთანი. ჩრდილო კავკასიაში დაბრუნებული იქნა 35 ათასი სული პირუტყვი. კოლმეურნეებმა განთავისუფლებული რაიონებისათვის დათესეს მარცვლეული 4244,5 ჰექტარზე, სუქებაზე დააყენეს 6186 სული პირუტყვი[19].

საქართველოს ცალკეული საწარმოები შეფობას კისრულობდნენ ჩრდილო კავკასიის საწარმოებზე და ხელს უწყობდნენ მათ დროულ აღდგენას და მწყობრში ჩაყენებას. თბილისის კიროვის სახ. დაზგათმშენებელმა ქარხანამ შეფობა გაუწია მაიკოპის ფრუნზეს სახ. ქარხანას. ამავე წესით აგარის შაქრის ქარხანამ დახმარება აღმოუჩინა ყუბანის შაქრის ქარხანას[20].

როგორც კი განთავისუფლდა ქ. ნოვოროსიისკი, ქალაქში გამოჩნდნენ საქართველოდან გაგზავნილი მაღალკვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ბრიგადები, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ ქალაქის აღსადგენი სამუშაოების შესრულების საქმეში.

1943 წ. ნოემბრის თვეში ფოთის სავაჭრო ნავსადგურის კოლექტივი შეუდგა ნოვოროსიისკისათვის დახმარების გაწევას. სტახანოველთა და სპეციალისტთა დიდი ჯგუფი გაემგზავრა ადგილზე. ფოთის ნავსადგურის მუშებმა ნოვოროსიისკისათვის საჩუქრად შეაკეთეს საბურღი და სახარატო ჩარხები, 2 ელექტრო მოტორი, დაამზადეს 200 ხის ნიჩაბი და 500 კუბური მეტრი შეშა[21].

ნოვოროსიისკისათვის მშენებელთა დასახმარებლად ფოთელი კომკავშირლები აგროვებდნენ სამშენებლო მასალებს, ინსტრუმენტებს. სათადარიგო ხაწილებს. მათ შეფობა იკისრეს ნოვოროსიისკზე და გაუგზავნეს დიდი რაოდენობის მინა, ინსტრუმენტები, მოწყობილობა[22].

ტრამჰესელმა ჰიდროელექტრომშენებლებმა ფრიად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ში ბაქსანის ჰიდროელსადგურის აღდგენაში. იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი ელსადგური იყო, რომელიც ფაშისტებმა დაანგრიეს.

[18] გაზ. „კომუნისტი“. 1944 წ. 9 იანვარი.

[19] К. В. Цкитишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 367—368.

[20] იქვე, გვ. 370.

[21] გაზ. „კომუნისტი“, 1943 წ. 28 ნოემბერი.

[22] გაზ. „კომუნისტი“, 1944 წ. 4 იანვარი.

1943 წ. თებერვალში სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატის მითითებით ხრამჰესმშენს დაევალა ბაქსანჰესის დათვალიერება და მისი აღდგენის ღონისძიებათა შემუშავება. დაუყოვნებლივ გაიგზავნა სპეციალისტთა ჯგუფი ინჟინერ ა. განგიას ხელმძღვანელობით. ჯგუფმა ერთი თვის განძილზე შეიმუშავა ბაქსანჰესის აღდგენითი სამუშაოების გეგმა, შეადგინეს ხარჯთაღრიცხვა და დასახეს ღონისძიებები ამ უდიდესი მნიშვნელობის ენერგოსისტემის მოკლე დროში აღსადგენად.

1943 წ. მაისში სსრ კავშირის ელექტროსადგურების სახალხო კომისარიატმა ბაქსანჰესის აღდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელობა ხრამჰესმშენს მიანდო. ბაქსანჰესის სამუშაოთა უფროსად დაინიშნა ხრამჰესმშენის მთავარი ინჟინერი ა. გინდინი, ხოლო ცალკეული სამუშაოების ხელმძღვანელებად დაინიშნენ საუკეთესო სპეციალისტები. მაგ., საგენერატორო შენობის აღდგენის ხელმძღვანელობა დაევალა ინჟ. მ. ებრალიძეს, სამონტაჟო სამუშაოებისა — ინჟ. ა. განგიას, მაღალი ძაბვის ხაზების გაყვანისა — ინჟ. ა. მიქაბერიძეს.

ბაქსანჰესის ენერგოსისტემის (ელსადგურის და ქსელის) დროულად აღდგენას და ბრძოლაში ჩაყენებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობის აღდგენა-განვითარებისათვის. ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან მშენებლობაზე 1000-ზე მეტი კაცი მოვიდა, რომელთა 40% კომკავშირელი იყო.

მძიმე პირობებში (სიცივე, წვიმა), როცა სამუშაოების დიდი ნაწილი ხელით სრულდებოდა, დიდი შრომითი ენთუზიაზმი სუფევდა ბაქსანჰესზე. ბრიგადებს შორის გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება. შრომის მაღალ ნიმუშებს უჩვენებდა ქართველი კ. ობოლაძე, ყაბარდოელი ფ. მოლოვი და სხვ. ამ მეგობრული კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგი იყო ის, რომ 1943 წ. 25 დეკემბერს ბაქსანის ელსადგურმა პირველი სამრეწველო დენი მისცა ქვეყანას, ი. ბ. სტალინმა პარტიისა და მთავრობის სახელით მაღალი შეფასება მისცა მშრომელთა ამ წარმატებას (მისალმება ა. გინდინის, კ. ზურაბოვის და გ. ცისკრელის სახელზე)[23].

ბაქსანჰესის აღდგენითი სამუშაოები 1944 წელსაც გრძელდებოდა[24]. და იგი ქართველი და ჩრდილო კავკასიელი მშენებლებისა და ენერგეტიკოსების მეგობრული დახმარებისა და თანამშრომლობის საუკეთესო ნიმუში იყო.

1942 წ. გაზაფხულზე კრასნოდარის მხარის ვისელსკის რაიონის ს. კრუპსკაიას სახ. კოლმეურნეობის წევრები გამოვიდნენ მიმართვით გეგმის გადამეტებით დაეთესათ დამატებითი ფართობები თავდაცვის ფონდისა და ფაშისტთა ოკუპაციისაგან დაზარალებული კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების დასახმარებლად. კრასნოდარელ კოლმეურნეთა ამ მიმართვას აქტიურად დაუჭირეს მხარი გორის რაიონის სოფლებმა (შავშვებმა, ხიდარბაზევმა, ზემო და ქვემო სკრამ, ბერშუეთმა და სხვ.) და აგრეთვე მახარაძის რაიონში[25].

საქართველოს სოფლის მშრომელები ძმური დახმარების ფონდში თესავდნენ დამატებით ჰექტარებს, აგროვებდენ პირუტყვს და სხვ. 1943 წ. 20 მაისისათვის მარტო სამხრეთ ოსეთის აო-ს მშრომელებმა აღნიშნული ფონდის

---

[23] გაზ. „კომუნისტი", 1944 წ. 28 იანვარი.

[24] История Кабардино-Балкарской АССР, т. 2, М., 1967, გვ. 279.

[25] გაზ. „კომუნისტი" 1942 წ. 26 აპრილი.

ანგარიშში დათესეს 250 ჰა მარცვლეული და შეაგროვეს 1400 სული პირუტყვი[26].

1944 წ. ოქტომბრისათვის ოლქში იმავე მიზნით შეგროვდა 1442 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი[27].

საქართველოს მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ კრასნოდარის მხარის „წითელი პარტიზანების“ სახ. კოლმეურნეობის ინიციატივით დაწყებულ სოფლის მეურნეობის მშრომელთა შეჯიბრს, რომლის მიზანიც იყო 1945 წელს მაღალი მოსავლის მიღება[28].

ომის პირველ წლებში ფაშისტთა მიერ ჩვენი ქვეყნის დიდი ტერიტორიის ოკუპაციის გამო საქართველოში ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო თუ ტექნიკური კულტურების ნათესების სტრუქტურაში გარკვეულ ცვლილებებს. ეს გამოიხატა იმაში, რომ ტექნიკური კულტურების ხარჯზე გაიზარდა სასურსათო კულტურების, აგრეთვე ისეთი ტექნიკური კულტურის სათესი ფართობები, როგორიც იყო თამბაქო. იმის კვალობაზე, თუ ჩვენი ჯარები როგორ ათავისუფლებდენ ფაშისტებისაგან მეთამბაქეობის ტრადიციულ რაიონებს (უკრაინა, ყირიმი, ჩრდილო კავკასია), ხდებოდა ხელოვნურად დარღვეული ნათესების სტრუქტურის აღდგენა. ამის შედეგი იყო ის, რომ მაგ., 1944 წელს საქართველოს რესპუბლიკაში თამბაქოს ნათესები 20800 ჰა-დან 15300 ჰა-მდე შემცირდა[29].

კავკასიის ხალხთა ძმურმა ურთიერთდახმარებამ და თანამშრომლობამ დიდი როლი შეასრულა გერმანელ ფაშისტთაგან კავკასიის დაცვისა და ოკუპაციისაგან გათავისუფლებული ჩრდილო კავკასიის რაიონების სახალხო მეურნეობის აღდგენის სამეში.

საქართველოს მშრომელთა მხარდაჭერას ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომით გაპარტახებული ჩრდილო კავკასიის ხალხთა კულტურული დაწესებულებების აღდგენაში.

უკვე ომის დაწყების დროიდან საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენცია აქტიურად ჩაება მტრის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის საერთო ფერხულში. კალმით თუ ფუნჯით ისინი აღაფრთოვანებდენ საბჭოთა ხალხს სამშობლოს დაცვის წმიდათაწმიდა საქმისათვის საბრძოლველად.

ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის დადგენილებით 1942 წ. ზაფხულში მოეწყო 4 მოძრავი სამხატვრო გამოფენა, მიძღვნილი სამამულო ომისადმი. აქედან ერთ-ერთი მოეწყო თბილისში. ამ გამოფენაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილო ოსეთის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, კრასნოდარის მხარის მხატვრები და ევაკუირებული მხატვრები, რომლებიც ამ დროისათვის აღნიშნულ რესპუბლიკებში ცხოვრობდენ. 12 ივლისს გამოფენა გაიხსნა თბილისის სამხატვრო გალერეაში. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 176 სურათი, რომელთა თემაც ერთი იყო: ეჩვენებინა საბჭოთა ხალხის ურყევი გადაწყვეტილება — გაანადგუროს პირსისხლიანი ფაშიზმი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ი. თოიძის 4 ტილო:; „ტანია“, „ჰიტლერელ მძარცველთა არმია“, „არ გაგვცემს“. „ფაშისტი

[26] Партархив Юго-Осет. обкома КП Грузии, ф. I, д. 1381, л. 6.

[27] Госархив ЮО АО, ф. 7, д. 800, л. 75.

[28] К. В. Цкитишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

[29] იქვე, გვ. 330.

მკვლელები ვერ დაიმალებიან“, მ. თოიძის „წერილი ფრონტიდან“, უ. ჯაფარიძის „დაჭრილის მოწოდება“, ი. ვეფხვაძის“ „ფაშისტთა მხეცობა“ და სხვ[30].

ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა ასახეს კავკასიის დაცვისათვის ჩვენი ჯარების გმირული ბრძოლის ეპიზოდები. 1943 წ. 6 იანვარს გაზ. „კომუნისტი“ იტყობინებოდა, რომ თბილისში დაბრუნდა საქართველოს კინოქრონიკის ფრონტული ჯგუფი რეჟისორ კანდელაკისა და ოპერატორ არზუმანოვის შემადგენლობით. მათ გადაიღეს ქ. ორჯონიკიძესთან ჩვენი ჯარების შეტევის ეპიზოდები, რომელთა საფუძველზე შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი.

ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა უშუალოდ ფრონტის ხაზზე გადაიღეს (ყუბანზე, ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონებში) გერმანელ ფაშისტებთან ჩვენი ჯარების გმირული ბრძოლის მრავალი საყურადღებო მომენტი. ი. კანდელაკის და შ. ჩაგუნავას ჯგუფებმა (ოპერატორები ლ. არზუმანოვი, მ. ნარიმანაშვილი) შექმნეს კინონარკვევი „ფრონტის ხაზისაკენ“, რომელშიც ერთერთი სამხედრო ნაწილის საბრძოლო ცხოვრება იყო ასახული. ი. კანდელაკის ჯგუფმაც შექმნა ფილმები „კავკასიის დაცვა“ და „ჩვენი ჯარების დარტყმა კავკავის (ორჯონიკიძის) მისადგომებთან“. ეს უკანასკნელი ფილმი დიდი წარმატებით სარგებლობდა ქ. ორჯონიკიძეში, სადაც ხდებოდა ფილმში ასახული ამბები. ამ ფილმისათვის ი. კანდელაკი და ლ. არზუმანოვი დაჯილდოებულ იქნენ „წითელი ვარსკვლავის“ ორდენებით, ოპერატორის ასისტენტი ო. დეკანოსიძე კი მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

თბილისის კინოსტუდიამ დოკუმენტურად აღბეჭდა ფირზე ფაშისტების მხეცობა ჩრდილო კავკასიაში მინვოდის კურორტთა ჯგუფის რაიონში. ამ ფილმის სახელწოდება იყო „ფაშისტური მხეცის კვალდაკვალ“[31].

ომის მძიმე დღეებშიც არ წყდებოდა კულტურული ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორიცაა თეატრალური გასტროლები. 1943 წ. 25 მაისს ქ. სოჭში დაიწყო თბილისის გრიბოედოვის სახ. თეატრის გასტროლები. მაყურებელს უჩვენეს სპექტაკლები: „ფელდმარშალი კუტუზოვი“, „ლიუბოვ იაროვაია“, „ინჟინერი სერგეევი“, „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“, „ბარბაროსები“. „ძაღლი თივაზე“, „ავყიაობის სკოლა“ და სხვ[32]. სავსებით ბუნებრივია, თეატრალურ დადგმათა აბსოლუტური უმრავლესობა უშუალოდ სამშობლოს გმირული დაცვის, პატრიოტიზმის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და სავსებით შეესაბამებოდა იმ პატრიოტულ აღტყინებას, რომელმაც მოიცვა ფაშისტთა ურდოებთან მებრძოლი საბჭოთა ხალხი.

ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის წინ, მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდში ქართველი მეცნიერები დიდი გულისყურით სწავლობდნენ ჩრდილო კავკასიის მთიელ ხალხთა ენის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს. ომმა საბჭოთა ხალხის წინაშე სხვა, უფრო გადაუდებელი ამოცანები დასვა, მაგრამ, ამის მიუხედავად, არ შეწყვეტილა ის მეცნიერული მუშაობა, რომელსაც ომისწინა წლებში ჩაეყარა საფუძველი და რომლის ობიექტიც ჩრდილო კავკასიის ხალხები იყვნენ.

1941 წ. 18 ოქტომბერს გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სესია. იგი საგანგებოდ მი-

[30] გაზ. „კომუნისტი“, 1942 წ. 4 და 14 იულისი.

[31] იქვე, 1943 წ. 20 ივნისი.

ეძღვნა ქართველ და სხვა კავკასიელ ხალხთა ენობრივი და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პრობლემებს. სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: არნ. ჩიქობავას „ხუნძური ერგატივის ისტორია“. მან ხუნძური (ავარული) ენის ისტორია განიხილა სხვა კავკასიურ, კერძოდ ქართველურ, ენებთან ურთიერთობის ასპექტში, ვ. თოფურიას „ლაკურისა და ქართველურ ენათა ლექსიკურ-გრამატიკული პარალელები“, გ. ჩუბინაშვილის „საქართველოსა და ინგუშეთის კულტურული ურთიერთობის საკითხისათვის“. ეს საკითხი მან გააშუქა ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლის საფუძველზე[33].

1943 წ. 27 თებერვლიდან 2 მარტამდე მიმდინარეობდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესიის მუშაობა. სესიაზე პროფ. კ. დონდუამ წარმოადგინა მოხსენება „ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის სვანურში“, გ. ტურჩანინოვმა კი სესიას გააცნო „ყაბარდოული ენის პირველი ხელნაწერი გრამატიკა“, რომელიც შესრულებული იყო ყაბარდოელი განმანათლებლის შორა ბეკმურზინ ნოგმოვის მიერ[34].

როგორც ვხედავთ, ომის მძიმე წლებშიც ქართველ მეცნიერებს არ შეუწყვეტიათ ადრე დაწყებული ინტენსიური მუშაობა, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შესწავლა.

როგორც კი დაიწყო ჩრდილო კავკასიის რაიონების განთავისუფლება ფაშისტური okუპაციისაგან, საქართველოში დაიწყო მასობრივი მოძრაობა გაპარტახებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა აღსადგენად. პირველ რიგში ეს გამოიხატა ზრუნვაში ბიბლიოთეკებზე. 1943 წ. სექტემბრისათვის საქართველოში წარმატებით ჩატარდა წიგნების შეგროვების კამპანია განთავისუფლებული რაიონების ბიბლიოთეკების აღსადგენად. ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილო-ოსეთის ასსრ და სხვ. განთავისუფლებულ რაიონებში გაიგზავნა ამ დროისათვის 46 ათასი წიგნი, რომლებიც დაკომპლექტებული იყო 20 ბიბლიოთეკად — თითოეულში ორი-ხუთი ათასი წიგნის რაოდენობით[35].

1943 წ. ოქტომბრის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდნენ კრასნოდარის მხარის უსპენსკოეს სკოლის დერექტორი გ. კილესო და მშობელთა კომიტეტის წევრი მ. კორობკოვა. 4 ოქტომბერს ისინი შეხვდნენ ქალთა მეოთხე სკოლის მოსწავლეებს. სკოლამ იკისრა სასწავლო ნივთების და სახელმძღვანელოების შეგროვება უსპენსკოეს სკოლისათვის. მეორე დღეს შეგროვილი იქნა 200-მდე სახელმძღვანელო, 120 მხატვრული წიგნი, ფანქრები, კალმისტრები, რვეულები, ტანისამოსი. ქალთა მეოთხე სკოლის ინიციატივას გამოეხმაურა ვაჟთა მეოთხე სკოლაც, რომელმაც 100-ზე მეტი სახელმძღვანელო გადასცა უსპენსკოეს სკოლას. თბილისის კომკავშირის კომიტეტმა უსპენსკოეს სკოლის მოსწავლეთათვის სამი პიონერული დროშა გამოჰყო[36].

განთავისუფლებული რაიონების ბიბლიოთეკების აღდგენის საქმეში დიდი მუშაობა გასწიეს ლიტერატურის სახელმწიფო ფონდის თბილისის ფილიალმა და საქ. კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკამ. მათ 80 ათასი წიგნი შეაგ-

---

[32] გაზ. „კომუნისტი“, 1943 წ. 16 იელისი.
[33] იქვე, 1941 წ. 14, 21 ოქტომბერი.
[34] იქვე, 1943 წ. 4 მარტი.
[35] იქვე, 1943 წ. 26 სექტემბერი.

როვეს, დააკომპლექტეს 26 ბიბლიოთეკად (მათ შორის ოთხი საქალაქო-თითოეულში 5 ათასი ტომით და 22 რაიონული ბიბლიოთეკა). ეს ბიბლიოთეკები 1943 წ. დამლევისათვის უკვე გაგზავნილი იყო ჩრდილო ოსეთში, სტავროპოლის მხარეში, ყაბარდო-ბალყარეთში, კრასნოდარის მხარეში[37].

აღსანიშნავია ის დახმარება და მზრუნველობა, რასაც საქართველოს ცალკეული საბავშვო სახლები უწევდნენ ოკუპაციისაგან დაზარალებული ჩრდილო კავკასიის საბავშვო დაწესებულებებს. მახარაძის საბავშვო სახლმა (დირექტორი უ. ჭეიშვილი) შეფობა აიღო კრასნოდარის მხარის ერთ-ერთ საბავშვო სახლზე. საშეფო სახლისათვის მათ მაშინვე გამოჰყვეს ერთი ტ. სიმინდი, ერთი ტ. ხილი, ჯიშიანი ძროხა, ორი ღორი, ორმოცი ფრთა ფრინველი[38].

1944 წ. 23 თებერვლის ნომერში გაზ. კომუნისტი" იტყობინებოდა. რომ მახარაძეში ამ დღეებში ჩამოვიდნენ დონის როსტოვის ერთ-ერთი საბავშო სახლის წარმომადგენლები ა. სავინა და ო. ნეკრასოვა. მათ აღნიშნეს, რომ ურალში ევაკუირებული საბავშვო სახლი დაბრუნდა როსტოვში, მაგრამ ყველაფერი დანგრეული დახვდა. მახარაძის საბავშვო სახლმა როსტოვის საბავშვო სახლის შეფობა იკისრა და საჩუქრად გაუგზავნა 1 ტ. სიმინდი, სამი ღორი, ერთი ძროხა, ლიტერატურა, სათამაშოები, 14 ათასი მანეთი ფულად.

მახარაძის საბავშვო სახლის აღნიშნული ინიციატივა ფართოდ გაიზიარეს საქართველოს სხვა მსგავსმა დაწესებულებებმა, რომელთაც შეფობა იკისრეს როსტოვის საბავშვო სახლებსა და საბავშვო ბაღებზე და დიდ დახმარებას უწევდნენ მათ. ნავთლუღის საბავშვო სახლმა 1944 წ. 26 თებერვალს პიონერთა სასახლეში თავის ძალებით მოაწყო საღამო და მისი მთელი შემოსავალი გადასდო როსტოველ ბავშვთა დასახმარებლად[39]. სურამის ფ. მახარაძის სახ. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა და მასწავლებლებმაც გამართეს საღამო და მთელი შემოსავალი — 3180 მანეთი გაგზავნეს როსტოველ ბავშვთა სახელზე[40].

ასეთი იყო იმ დახმარების არასრული სურათი, რომელიც საქ. სსრ მშრომელებმა ომის მძიმე პირობებში საკუთარ მოთხოვნილებათა შეზღუდვის ხარჯზე, გაუწიეს ჩრდილო კავკასიის მოძმე ხალხებს, რომელთაც ფაშისტური ოკუპაციის მძიმე უღელი გადაიტანეს. საბჭოთა კავშირის კომპარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტი ამიერკავკასიის მშრომელებს მხურვალე მადლობას უხდიდა დახმარებისათვის. წერილში ნათქვამი იყო: „უბედურებაში შეიცნობა სახალხო მეგობრობა. თქვენ გვიწევთ დაუფასებელ მხარდაჭერას, გვიყოფთ ყველაფერ იმას, რაც გაქვთ.სიტყვები არ გვყოფნის გამოვხატოთ მადლობის ის გრძნობა, რასაც განვიცდით თქვენდამი... თქვენი დახმარება ძვირფასია არა მარტო იმით, რომ მალე დაგვაყენებს ფეხზე. ის ძვირფასია აგრეთვე როგორც საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობის ნათელი გამოხატულება. გავა ცოტა ხანი, სტავროპოლის მხარე კვლავ აყვავდება. სტავროპოლელთა მეხსიერებიდან აღმოიფხვრება ბევრი რამ, რაც მათ განიცადეს გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციის შავბნელ დღეებში, მაგრამ არასოდეს არ დავივიწყებთ ძმურ დახმარებას. ეს დახმარება ყოველთვის იქნება ცოცხალი მაგალითი ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელთა ფაქიზი სოლიდარობისა".

---

[36] გაზ. „კომუნისტი", 1943 წ. 10 ოქტომბერი.
[37] იქვე, 1943 წ. 25 დეკემბერი.
[38] იქვე, 1943 წ. 19 ოქტომბერი.
[39] იქვე, 1944 წ. 1 მარტი.
[40] იქვე, 1944 წ. 5 აპრილი.

ავთანდილ სონღულაშვილი

# მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ მიმართულებას ყოველთვის განსაზღვრავდა და განსაზღვრავს, სხვა ფაქტორებთან ერთად, მშრომელი მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდაც. მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს კომუნისტური აღზრდის განუყოფელ ნაწილს, რომლის მეთოდოლოგიური საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმი — ვ. ი. ლენინის უდიდესი თეორიული მემკვიდრეობა, სკკპ ისტორიული გამოცდილება, რევოლუციურ ბრძოლაში ინტერნაციონალური პრინციპების შემოქმედებითი განვითარება, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის განხორციელება[1].

ხალხთა ლენინური მეგობრობის და ინტერნაციონალური სულისკვეთების დამკვიდრება ჩვენში უზრუნველყო სსრკ შექმნამ, ერთიანი საბჭოთა სამშობლოს ჩამოყალიბებამ. „პარტიის წმიდათაწმიდა ვალია, — აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, — აღზარდოს მშრომელები საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, იმ ამაყი გრძნობის სულისკვეთებით, რომ ერთიანი დიადი საბჭოთა სამშობლოს შვილები არიან“[2].

ჩვენი რესპუბლიკის, როგორც ხალხთა დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრის შესახებ, ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „საქართველო — ეს არის დიდამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურ-კაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას“[3]. ხალხთა მეგობრული ურთიერთობა, როგორც ცნობილია, ალამაზებს ადამიანთა ცხოვრებას, კიდევ ერთხელ ადასტურებს ხალხურ სიბრძნეს — რაც რომ მტრობას დაუნგრევ-დაუქცევია, მხოლოდ სიყვარულს უშენებია. ასეთი სიყვარულითა და მეგობრობითაა შეკრულ-შედუღაბებული მრავალი ერისა და ეროვნების შვილი საქართველოს რესპუბლიკაში.

ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი ეროვნული კონგლომერატის შექმნა თავიდანვე განაპირობა ქვეყნის გეოგრაფიულ-კლიმატურმა მდგომარეობამ, მეზობელ ხალხთა ისტორიულმა ბედ-უკუღმართობამ და ქართველი ხალხის „კაცურ-კაცურმა კეთილშობილებამ“ და სტუმართმოყვარეობამ. ასე ეყრებოდა საფუძველი ჩვენი ქვეყნის მრავალეროვნულობასა და ხალხთა მეგობრობას. იგი გულ-

---

[1] Руководящая роль КПСС в условиях развитого социализма, М., 1979, გვ. 147.

[2] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 87.

[3] ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავზე (გაზ. „კომუნისტი“, 1981, 23 მაისი).

[4] გაზ. „კომუნისტი“, 1982, 7 თებერვალი.

31,2%-ს, რომლებიც ქართველების მხარდამხად აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის განვითარებაში[9]. ინტერნაციონალიზმი სასწაულებს ახდენს სულიერ ღირებულებათა შექმნის სფეროში. ეს, უწინარეს ყოვლისა, მკაფიოდ ვლინდება განვითარებული სოციალიზმის პირობებში[9]. „სასიხარულოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა საქართველოში ნამდვილი ინტერნაციონალური მეგობრობის ატმოსფერო სუფევს, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა თბილისში გამართულ საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის შექმნის 60 წლის თავის საიუბილეო სხდომაზე, — ქართველები და რუსები, აფხაზები, ოსები, სომხები და აზერბაიჯანელები, ბერძნები და ქურთები — სამოცდაათზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები ერთმანეთის მხარდამხარ იღვწიან რესპუბლიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ. თქვენი რესპუბლიკის გამოცდილება კიდევ ერთი დამაჯერებელი დასტურია ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სისწორისა“[10]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის თბილისი ყველაზე მრავალეროვანია, სადაც ცხოვრობს 60-ზე მეტი ეროვნების ადამიანი[11].

საქართველოს დედაქალაქი ოდითგანვე იყო ხალხთა მეგობრობის აკვანი, იგი იყო რუსეთის ხელისუფლების ცენტრალური პუნქტი აზიაში, მეფის ნაცელის რეზიდენცია კავკასიაში, ქვეყნის სავაჭრო მოქმედების ცენტრი, კავკასიის ხალხთა კულტურის მთავარი კერა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ის იკრებდა სხვადასხვა ეროვნების ხალხებს. აქ ერთად ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, სწავლობდნენ, იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ ქართველები და რუსები, სომხები და პოლონელები, აზერბაიჯანელები და აფხაზები, ოსები და დაღესტნელები. ასეთ სიტუაციაში ვითადებოდა მეგობრობის, სოლიდარობის, ერთიანობის გრძნობა[12].

ჩვენს დიად კავშირში შემავალ ყოველ ხალხს აქვს თავისი განსაკუთრებული ნიშან-თვისებები. თუ ქართველებზე ვილაპარაკებთ, — აღნიშნავს ეგეგნი დოლმატოვი — მათ მე მეგობრობის მებაღეებად ვრაცხ[13].

ხალხთა ლენინური მეგობრობის, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები განსაკუთრებული სიმძაფრით დაისვა უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებების საფუძველზე, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის დაუცხრომელი შრომით შეურიგებელი ბრძოლა გაჩაღდა წარსულის ზოგიერთი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, აღდგა ლენინური ნორმები და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატიც საგრძნობლად გაიწმინდა[14]. „ის ტაქტი და დაკვირვება, — აღნიშნავს ვიტალი კოროტიჩი, — რომელიც დღევანდელ საქართველოში ინტერნაციონალურ აღზრდას ახასიათებს, ჩემი აზრით, ძალზე ბევრი

[9] ე. შევარდნაძე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სსკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე (კრ. „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები“, თბ., 1979, გვ. 42).

[10] გაზ. „კომუნისტი“, 1981, 23 მაისი.

[11] Р. К. Грдзелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

[12] Деятельность коммунистических организаций Закавказья по интернациональному воспитанию трудящихся, Тб., 77, გვ. 25.

[13] სიტყვა საბჭოთა საქართველოზე, გვ. 58.

[14] გაზ. „კომუნისტი“, 1982, 28 აპრილი.

ხალხისათვის არის ჰკუის სასწავლებელი. რა თქმა უნდა, ეს უწინარეს ყოვლისა, სოციალური, სოციალისტური გამოცდილებაა, და მაინც ეს არის ერთა შორისი ურთიერთობის კულტურის ნიშანიც, რომელშიც კონცენტრირებულია დიდი ერის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, ერისა, რომელიც მრავალგზის მდგარა მძლავრი მტრის წინაშე და მუდამ გაუძლია, იმიტომ, რომ იგი და მისი მეგობრები თავად იყვნენ მძლავრნი და შეკავშირებულნი"[15]. ერთა და ეროვნებათა ასეთ ძმობასა და მეგობრობას არაერთი უცხოელი მოგზაური მოუხიბლავს და აღტაცებაში მოუყვანია. ასე მაგალითად, 1975 წელს ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი ამერიკელი ჟურნალისტი ჯეიმს უოლესი განცვიფრებით აღნიშნავდა: „ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ საქართველოში ერთიან ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ მრავალი ეროვნების წარმომადგენლები"[16]. ხოლო 1976 წელს თბილისში მყოფი რუმინელი ჟურნალისტის ფლორინე დინულესკუს სიტყვით „იშვიათია სხვა ქალაქი, სადაც ასე მეგობრულად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს მთელი მსოფლიოს ხალხებს შევხვდი ერთდროულად. ეს მეტად მოულოდნელი იყო ჩემთვის, მსგავსი ვერც წარმომედგინა და არც აქამდე მინახავს. თბილისი არის სწორედ ნათელი დადასტურება ეროვნული თანასწორობისა, რაზეც ბევრი გაგვიგონია ან წაგვიკითხავს"[17].

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ისე როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხი, ბედნიერი არიან და ამაყობენ, რომ ჰყავთ ესოდენ ბევრი ერთგული ძმა და მეგობარი: რუსი და უკრაინელი, ბელორუსი და უზბეკი, ყაზახი და აზერბაიჯანელი, ლიტველი და მოლდაველი, ლატვიელი და ყირგიზი, ტაჯიკი და სომეხი, თურქმენი და ესტონელი, 100-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენელი[18].

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა აღმოჩნდა საქართველოს ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის, მათი ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარების საუკეთესო ფორმა, პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების დიდმნიშვნელოვანი საშუალება. ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქი, თავის მხრივ, მრავალეროვანი სახელმწიფოებრივი ფორმირებაა. მაგალითად, აფხაზეთში 60-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ[19].

თუ რა ზრუნვასა და ყურადღებას აქცევს რესპუბლიკის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა არაქართველი მოსახლეობის კულტურულ განვითარებას ეროვნულ ნიადაგზე, დასტურდება შემდეგი მონაცემებითაც: საქართველოში სულ 4379 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა. აქედან დღის სწავლების ქართული სკოლაა 2829, რუსული—276, აფხაზური—60, ოსური—94, აზერბაიჯანული—175, სომხური—218: ორ ენაზე ასწავლიან 227 სკოლაში, სამ ენაზე—67, ოთხ და მეტ ენაზე—4 სკოლაში[20].

[15] სიტყვა საბჭოთა საქართველოზე, გვ. 83.
[16] საქართველო უცხოელთა თვალით, თბ., 1981, გვ. 43.
[17] იქვე, გვ. 44.
[18] ე. ა. შევარდნაძე, საბჭოთა საქართველო, თბ., 1980, გვ. 125.
[19] ე. ა. შევარდნაძე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე (კრ. „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები", თბ., 1979, გვ. 20).
[20] იქვე, გვ. 46.

საქართველოში უზრუნველყოფილია სხვა ერებისა და ეროვნებების კონსტიტუციური უფლებები სახალხო ხელისუფლების ორგანოებში. მათი ენების ინტერესების შესაბამისად აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გამოდის წიგნები, გაზეთები („აფსნი ყაფში“, „სოვეტ ირისთონი“, „სოვეტ გიურჯისტანი“, „სოვეტაკან ვრასტანი“ და სხვ.). ნაყოფიერად მუშაობენ მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა, ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირები, თეატრალური საზოგადოებები ან მათი განყოფილებები აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ეროვნული სექციები საქართველოს სსრ მწერალთა კავშირთან, გამოდის ალმანახები, კრებულები ქართულ ენაზე და რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ხალხთა ენებზე[21].

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნულ უმცირესობას. ქურთები, რომელთა სახელმწიფოს ვერც ერთ პოლიტიკურ რუკაზე ვერ ნახავთ, რადგან ქურთისტანი უფრო გეოგრაფიული მცნებაა, ვიდრე პოლიტიკური, მაგრამ იგი არსებობს. სწორედ ქურთებით დასახლებული ეს ტერიტორიაა მათი სამშობლო. ქურთისტანი გადაჭიმულია ირანის, თურქეთის, ერაყის და სირიის საზღვრების პირას[22]. თურქეთში, სადაც რვა მილიონი ქურთი ცხოვრობს, აკრძალულია ქურთულად ლაპარაკი, ქურთული მუსიკის მოსმენა[23] და ა. შ.

1970 წლის სრულიად საკავშირო აღწერით საქართველოში ქურთი მოსახლეობა აღწევდა 21 ათასამდე, მათ შორის თბილისში ცხოვრობს 18 ათასზე მეტი[24]. ქურთ მოსახლეობაში იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკის კომპარტიამ 1974 წლის 26 მარტს მიიღო დადგენილება, საქართველოს კომპარტია აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარებას სისტემატურ ყურადღებას აქცევს, რასაც ადასტურებს 1978 წლის 24 იანვრის დადგენილება, რომელიც იძლევა 1974 წლის 26 მარტის დადგენილების შედეგების შეფასებას[25]. ასეთი ყურადღების შედეგად 1978 წლისათვის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნას იღებდა 200 ქურთი ახალგაზრდა[26]. 1974 წლიდან 1978 წლამდე თბილისში მცხოვრები ქურთი მოსახლეობისათვის წაკითხული იქნა 600 ლექცია. ლექციურ პროპაგანდაში ფართოდ იყო გამოყენებული ადგილობრივი ქურთი ინტელიგენციის ძალები[27].

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი დასტური იყო საქართველოს პროფსაბჭოს თაოსნობით მოწყობილი ქურთული მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური დათვალიერებაც, რომელიც 1981 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავს მიეძღვნა და სამ დღეს გასტანა[28].

დიდი ინტერნაციონალური ოჯახის სითბო აღორძინების საუკეთესო პირობებს უქმნის ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების კულ-

---

[21] ე. ა. შევარდნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

[22] ა. მენთეშაშვილი, ქურთები და ქურთისტანი, თბ., 1977, გვ. 5.

[23] გაზ. „კომუნისტი“, 1982 წლის 16 მარტი.

[24] Коммунистическая партия Грузии в резолюциях... т 4, Тб., 1980, გვ. 238.

[25] იქვე, გვ. 751.

[26]—[27] იქვე.

[28] გაზ. „თბილისი,“, 1981, 14 მარტი.

ტურას, მათი ადამიანების სულიერ შესაძლებლობებს[29]. მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს სისტემატურად განიხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები. მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის მძლავრ სტიმულს წარმოადგენდა 1976 წლის ოქტომბერში თბილისში მოწყობილი საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე — „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე".

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები, უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებები შეიცავენ ძმობისა და თანასწორობის საფუძველზე ეროვნული ურთიერთობის შემდგომი განვითარების, ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცების, ყოველგვარი ნაციონალისტური და შოვინისტური გამოვლინების აღმოფხვრის კომპლექსურ პროგრამას[30]. ე. ა. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღნიშნავდა: „ჩვენ უფლება არა გვაქვს დავუშვათ თუნდაც უმცირესი გადახვევა ინტერნაციონალურ აღზრდაში კლასობრივი პრინციპიდან, გადაჭრით უკუვაგდებთ არაკლასობრივ, ობიექტივისტურ მიდგომას ისტორიული წარსულის შეფასებისას, არავის არ დავანებებთ ხელყოს ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი — ხალხთა ძმობა და მეგობრობა"[31]. პარტიის მიზანია აღვზარდოთ ყველა საბჭოთა ადამიანი სოციალისტური სამშობლოს გამო სიამაყის გრძნობით. სსრკ ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის, ეროვნული ღირსებისა და ეროვნული კულტურის პატივისცემით, ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის გრძნობით, რათა ხელი შევუწყოთ დიადი საბჭოთა ხალხის შემდგომ ერთობასა და შემჭიდროებას[32].

საბჭოთა საქართველოში პარტიის საიმედო ხელშია არა მარტო ქართული ენის ბედი, არამედ ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ენების ბედიც[33]. პარტია აღნიშნულ საკითხს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა, რადგან ყოველი ერის კულტურის პროგრესი განუხრელად დაკავშირებულია ეროვნული ენის განვითარებასთან[34]. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის რომ ენის ერთობა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ნიშანს, როგორც ბურჟუაზიული, ასევე სოციალისტური ერისათვის. ეროვნული ენის გარეშე არ არსებობს ერი[35]. ეროვნული ენა იბადება და ვითარდება ერის დაბადებასთან და განვითარებასთან ერთად. ის იღუპება ერის სიკვდილთან ერთად. ეროვნული ენა და ეროვნება განუყოფელია[36]. ენა არის მთავარი საფუძველი ეროვნუ-

---

[29] გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1981, 15 მარტი.

[30] ე. ა. შევარდნაძე, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, თბ., 1981, გვ. 81.

[31] იქვე. გვ. 103.

[32] Постановление ЦК КПСС о дальнейшем улучшение идеологической, политико-воспитательной работы от 26 апреля 1979 г., КПСС в резолюциях... т. 13, М., 1981, გვ. 358.

[33] ე. შევარდნაძე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე (კრ. „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები", თბ., 1979, გვ. 46).

[34] Национальные отношения в развитом социалистическом обществе, М., 1977, გვ. 270.

[35] В. С. Козлов, О формировании и развитии социалистических наций в СССР, М., 1954, გვ. 38.

[36] იქვე, გვ. 39.

ლი კულტურის განვითარებისათვის. ზემოაღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ ეროვნული კულტურის არც ერთი მხარე არ განვითარდება ენის დაუხმარებლად, რომ ყოველი ხალხის ენას აქვს თავისი სპეციფიკა და თავისებურება, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვასხვავოთ ერთი ხალხის ეროვნული კულტურა მეორე ხალხის ეროვნული კულტურისაგან[37]. როგორც ცნობილი ქართველი მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ქართულ ენაზე უფრო ძვირფასი საუნჯე ქართველ კაცს არ გააჩნია. ერთი უბრალო სიტყვის სიკვდილიც კი. მისი გადაგვარება და გადაშენება, კაცის სიკვდილივით არის... რიონი რა რიონი იქნება, ან რა იქნება კახეთის ზვარი, თუ იქ რუსთაველის ენას ვერ გაიგონებ"[38].

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა ენათა თანასწორუფლებიანობის საკითხს, იგი აღნიშნავდა: „დემოკრატიულმა სახელმწიფომ უთუოდ უნდა სცნოს სხვადასხვა ენების სრული თანასწორუფლებაა და უკუაგდოს ერთერთი რომელიმე ენის ყოველგვარი პრივილეგია. დემოკრატიული სახელმწიფო არც ერთ ოლქში, საზოგადოებრივ საქმეთა არც ერთ დარგში არ დაუშვებს თუნდაც ერთი ეროვნების დათრგუნვას, დაჯაბნას მეორე ეროვნების მიერ"[39]. „სრული თანასწორუფლებიანობა გულისხმობს, — მიუთითებდა ბელადი, — ერთ-ერთი რომელიმე ენის ყოველგვარ პრივილეგიათა უარყოფასაც"[40]. ლენინის ანდერძის ერთგული პარტია უზრუნველყოფს სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალ განვითარებას[41].

სსრ კავშირში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ვითარდება მრავალენიანობა. ორენიანობა და მრავალენიანობა ცივილიზებული ხალხების ისტორიული ტრადიციაა. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, აღორძინების ეპოქის ტიტანებმა, რომლებიც მარტო თავისი დროის ტიტანები როდი იყვნენ, იცოდნენ 5-6 ენა. მით უფრო საჭიროა ენების ცოდნა ჩვენს დროში, რადგან ხალხთა ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა, კიდევ უფრო გაძლიერდა ინფორმაციის გაცვლის საჭიროება[42].

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მიმდინარეობს ენის ფუნქციური და შიდასტრუქტურული განვითარების პროცესი. ენის ფუნქციურ განვითარებაში იგულისხმება მისი ფუნქციების გაფართოება, ე. ი. მისი გამოყენება სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში — სკოლაში, საქმისწარმოებაში, პრესაში, მეცნიერებაში, ტექნიკაში, ლიტერატურაში და ა. შ.[43]. დღეს საბჭოთა კავშირში ლაპარაკობენ 130 ენაზე და სარგებლობენ ხუთი დამწერლობით[44]. მართალია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75 მუხლით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად გამოცხადებულია ქართული ენა, მაგრამ ეს სხვა ენათა შეზღუდვას არ ითვალისწინებს. საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორ-

---

[37] В. С. Козлов, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

[38] გაზ. „კომუნისტი", 1978, 19 აპრილი.

[39] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 267.

[40] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20, გვ. 348.

[41] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1971, გვ. 168.

[42] ე. ა. შევარდნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[43] Национальные отношения в развитом социалистическом обществе, М., 1977, გვ. 207.

[44] XXVI съезд КПСС (диалоги в пресс-центре), М., 1981. გვ. 15.

განოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ არის დაშვებული[45].

რესპუბლიკის არაქართულ მოსახლეობაში ინტერნაციონალური აღზრდის საქმეს საეროვნებათაშორისო რუსულ ენასთან ერთად ემსახურება ქართული ენა, რომელიც რესპუბლიკაში მცხოვრებ არაქართველ ეროვნებათა ბევრი წარმომადგენლისათვის რუსულთან ერთად ფაქტობრივად მეორე საეროვნებათაშორისო ენა გახდა[46]. ქართული და რუსული ენების განვითარებისადმი დიდი ყურადღების შედეგი იყო საქართველოს კპ ცკ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგნილება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების შესახებ სასწავლო დაწესებულებებში[47], ხოლო უფრო ადრე, 1973 წლის 10 ივლისის დადგენილება რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ[48].

ბრძნულმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ შექმნა ყველა პირობა იმისათვის, რათა აყვავებულიყო ქართული ეროვნული კულტურა და თავის ზენიტში გათანაბრებოდა ოქროს ხანის რენესანსულ მწვერვალებს კალმითაც, ფუნჯითაც, საჭრეთლითაც და ჭედური ხელოვნებითაც[49].

ხალხთა დაახლოებისა და მეგობრული კონტაქტების განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ ერის გამოჩენილ ადამიანებს, რომელთაც ღრმა კვალი დაამჩნიეს საზოგადოების განვითარების გარკვეულ სფეროს, ეს იქნება სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, სამეცნიერო თუ ხელოვნების დარგი. სათუთად ვინახავთ მათ სახელს და ის ერი ჩვენთვის უფრო ახლობელი ხდება, რომელი ერის წარმომადგენელიც არის ეს ადამიანი. ახლობელია ჩვენთვის რუსი ხალხი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველმა ხალხმა თავისი ბედი დიდ რუს ხალხს დაუკავშირა, ახლობელია უფრო მეტად იმიტომ, რომ ცნობილი რევოლუციის გენია — დიდი ლენინი რუსეთის მიწა-წყალზე დაიბადა და გაიზარდა, რომ ლენინურმა იდეებმა პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოისა და სხვა რუსი მწერლების იდეებთან ერთად გაათბო ქართველი მშრომელი კაცის გული, სულიერად, მორალურად აამაღლა იგი და სხვებთან ერთად დააყენა დიდი ეპოქალური მოძრაობის სათავეში.

1980 წლის ოქტომბერში ჟურნალ „პარტიულ სიტყვაში“ დაიბეჭდა სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური პრემიის ლაურეატის მარიეტა შაგინიანის წერილი, სადაც მოთხრობილია საქართველოში გატარებულ წლებზე, მის ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე. მ. შაგინიანი ჟურნალის რედაქციას თხოვდა: „შეგიძლიათ დასაწყისი შეამოკლოთ, მაგრამ ნურავითარ შემთხვევაში ნუ შეამოკლებთ და ნუ შეცვლით ბოლოსო“.

აი რას გვთავაზობს მარიეტა წერილის ბოლო ნაწილში: „...ქართველ ხალხს პატივს ვცემ და სიყვარულით ვეკიდები არა მარტო იმ საქმიანი ურთი-

---

[45] საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, თბ., 1975, გვ. 27-28.

[46] ა. მუჯირი, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა განვითარებული სოციალიზმის პირობებში, თბ., 1975, გვ. 80.

[47] Коммунистическая партия Грузии в резолюциях..., т. 4, Тб., 1980, გვ. 898.

[48] იქვე, გვ. 138.

[49] გ. ნატროშვილი, ვაშა ამ ახალ საქართველოს (გაზ. „კომუნისტი“, 1981, 21 მაისი).

ერთობის გამოცდილებით, რომელიც მის კულტურასთან, მწერლობასა და პრესასთან მაკავშირებდა. საქართველოსა და ქართველ ერს პატივს ვცემ და მიყვარს იმიტომ, რომ ქალაქ გორში, ერთი უბრალო მუშაკაცის ღარიბულ ქოხში, დაიბადა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, მძლავრი ისტორიული პიროვნება, რომელიც ლენინის სიკვდილის შემდეგ ათობით წლის განმავლობაში ასრულებდა და აკი შეასრულა კიდეც უდიდესი ამოცანა, რომელიც მას დაეკისრა: გააძლებინა მსოფლიოს პირველ და მრავალი წლის მანძილზე ერთადერთ მუშათა, გლეხთა და სახალხო ინტელიგენციის სოციალისტურ სახელმწიფოს კაპიტალიზმის საშინელ გარემოცვაში, რომელიც დაღუპვას უპირებდა. წლითიწლობით ქმნიდა და აკი შექმნა კიდეც კომუნიზმის მატერიალური ბაზა; წლითიწლობით, თუმცა ცოტ-ცოტად აუმჯობესებდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას: და ბოლოს, დაიცვა იგი 1941—1945 წლების სამამულო ომში... ამის დავიწყება არ შეიძლება, არ შეიძლება მადლიერი არ იყო სტალინისა, რომელმაც სოციალისტური მამული შეგვინარჩუნა. ხალხს უყვარდა სტალინი. მხოლოდ სიყვარულმა შეიძლება აიძულოს კაცი, მკერდით გადაეფაროს მტრის ტყვიამფრქვევს სამშობლოს დასაცავად. ის დრო მსოფლიო ისტორიაში შევა, როგორც მასების დიადი შემოქმედების ეპოქა"[50].

თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში დაცულია „ვეფხისტყაოსნის" ყირგიზული გამოცემა, რომელიც უძვირფასეს რელიკვიად ატარა დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან გზებზე ყირგიზმა ჯარისკაცმა ბაქირ ბობულოვმა, ამჟამად პენსიონერმა, რომელიც ომის ოლქის ნაუკატის რაიონის კოლმეურნეობა „რუსეთის" წევრია. „ვეფხისტყაოსანი", რომელიც მებრძოლს ომის განმავლობაში არ მოუშორებია, ძალას მატებდა მას მტერთან საბრძოლველად, ახარებდა დასვენების ჟამს, მასთან ერთად იზიარებდა ფრონტის ჭირსა და ლხინს[51].

1981 წლის ივნისში მოსკოვში, ბოლშაია გრუზინსკაიას ქ. № 5-ში გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფილიალი — მემორიალური სახლი. მოსკოვში ამ სახლში მოწყობილი გამოფენა აცოცხლებს ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ისტორიულ ფესვებს და დამთვალიერებელთა ცხოველ ინტერესს იწვევს[52].

მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა უამრავი გულთბილი ჩანაწერით, აი ერთი მათგანი: „მშრომლებისაგან ვიცოდი, რომ ქართველი ხალხი ლამაზი და გამტანია. მემორიალის დათვალიერების შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ ქართველები ძალზე ნიჭიერი, მამაცი და გულღია ყოფილან. ჩემი ოცნებაა ვნახო საქართველო, უფრო ახლოს გავიცნო ქართველობა, მისი დიდებული წარსული და საოცარი კულტურა. ქართველები და რუსები ძმები იყვნენ და ასეთებად დარჩებიან სამუდამოდ". ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია ეს ჩანაწერი, რადგან იგი ეკუთვნის ქალაქ ულიანოვსკის საშუალო სკოლის მოსწავლეს იური პერვუშინს[53].

ამა თუ იმ ხალხის ხელოვნებასა და კულტურაში, ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებში, თავის გამოხატულებას პოულობს არა მარტო ადამიანთა შრომი-

[50] ჟურნ. „პარტიული სიტყვა", 1980, № 19, გვ. 12.

[51] გაზ. „კომუნისტი", 1981, 21 მაისი.

[52] თ. ბუდურაშვილი, ნეტავი ძმათა მრავალთა... (გაზ. „კომუნისტი", 1982, 7 თებერვალი).

[53] იქვე.

თი შემოქმედება არამედ მათი სოციალური და ეროვნული ფსიქოლოგია — ტრადიცია და ზნეობა, დამახასიათებელი მოცემული სოციალური თუ ეროვნული ერთობისათვის[54]. ლიტერატურისა და ხელოვნების განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ფლობენ დიდ ძალას, როგორც იდეურად, ასევე მხატვრულად ემოციურად მოქმედებენ ადამიანის შემეცნებაზე[55].

ქართული ხელოვნება შორს გასცდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს. ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლს მსოფლიოს „მერვე სასწაული“ უწოდეს უცხოურმა გაზეთებმა. ერთ-ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ისიც კი აღნიშნა, „როგორ შეიძლება ამათ ომი მოუგოს ვინმემო“[56]. საარის მხარის მმართველი ნორბერ იუნგფლაიში აღნიშნავდა, რომ საარის მხარეში საქართველოს რესპუბლიკის სახელი ამ ბოლო ხანებში უფრო ხშირად გაისმის, გაიზარდა ჩვენი ხალხის ინტერესი ქართველებისადმი. ამ საერთო საქმეში დიდი როლი შეასრულა ხელოვნებამ. ჩვენი ხალხების კეთილმეგობრული დამოკიდებულების მოპოვებას ჩვეულებრივი ინფორმაციის გაცვლის საშუალებით შესაძლოა წლები დასჭირდებოდა. ხელოვნებამ კი, ამ უდიდესმა ჰუმანურმა მოვლენამ, მინიმუმამდე შეამცირა დრო, რომელიც მოვანდომეთ დამეგობრებას[57].

რუსთაველის თეატრის გასტროლების შესახებ დიდ ბრიტანეთში ინგლისელი თეატრმცოდნე მ. ბელი აღნიშნავდა: „რაუნდჰაუზს არ ახსოვს ასეთი მჭუხარე ტაში. ინგლისელები სცენაზე მომხდარი სასწაულის მოწმენი გახდნენ. შორეული და ნაკლებად ნაცნობი საქართველოდან ჩამოსული მსახიობების ინტერპრეტაციით შესრულებულმა „რიჩარდ მესამემ“ განაცვიფრა მაყურებელი“[58]. „როცა სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ფარდა დაეშვა, ფეხზე ამდგარმა დარბაზმა თხუთმეტწუთიანი ოვაციით დააჯილდოვა სცენის ჯადოქრები. უკვე მეორე დღეს ბრიტანეთის თითქმის ყველა გაზეთმა დაბეჭდა აღტაცებული რეცენზიები“[59].

1982 წლის მაისში მეხიკოში გუანახუატოს საერთაშორისო ფესტივალზე რუსთაველის თეატრის გამოსვლების შესახებ მექსიკის რესპუბლიკის ყოფილი ელჩი, საბჭოთა კავშირ-მეხიკოს მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი კარლოს საპატალელა აღნიშნავდა, რომ „რუსთაველის თეატრის ამ სპექტაკლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მექსიკის თეატრალური სამყაროსათვის, მისი დრამატული ხელოვნების სრულყოფისათვის. ჩვენ არა მარტო დიდი სპექტაკლი ვნახეთ, არამედ დიდ კულტურასაც ვეზიარეთ. მასში ჩანს არა თუ თეატრის მაღალი დონე, არამედ თქვენი ერის მაღალი სულიერი ინტერესებიც“, „როდესაც თქვენი სპექტაკლი ვნახე — განაგრძო კარლოს საპატალელამ – დავრწმუნდი, როგორ შეუძლია თუნდაც ერთ სპექტაკლს სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრები ხალხების დაახლოება“[60].

მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს დამოყვრებული ქალაქების ურთიერთობა, რომლის მსოფლიო ფედერაცია შეიქმნა 1957 წელს საფრანგეთის ქალაქ ექს-ლე-ბენში. ფედერაცია დღეისათვის მსო-

---

[54] Р. К. Грдзелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.
[55] იქვე, გვ. 236.
[56] გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ. 4 აპრილი.
[57] საქართველო უცხოელთა თვალით, გვ. 23.
[58] იქვე, გვ. 145.
[59] იქვე, გვ. 146.
[60] გაზ. „კომუნისტი“, 1982 წ. 27 მაისი.

ფლიოს 60 ქვეყნის სამი ათასზე მეტ ქალაქს აერთიანებს. არსებობის მანძილზე დამოყვრებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციამ ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და მათი თანამშრომლობის განვითარებისათვის[61]. ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ნამდვილ სიმბოლოდ იქცა დაძმობილებული ქალაქების მსოფლიო დღე. იგი, 1963 წლიდან მოყოლებული, ტრადიციულად აპრილის ბოლო კვირას აღინიშნება[62]. დიდად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი დამოყვრებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის წევრია. ჩვენს დედაქალაქში გამართული ლუბლიანისა და სლოვენური კულტურის დღეები ყოველთვის იქცეოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სლოვენი და ქართველი ხალხების მეგობრობის დღესასწაულად.

ასე მიაბიჯებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ერთიან ძმურ ოჯახში. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობამ დროისა და ისტორიის უდიდეს გამოცდას გაუძლო და საბოლოოდ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ ინტერნაციონალიზმი, ნამდვილი დემოკრატიზმი და სოციალისტური ეთიკური პრინციპების შეუვალობა დამახასიათებელია მხოლოდ საბჭოური ცხოვრების წესისათვის[63].

[61] გაზ. „კომუნისტი", 1982, 25 აპრილი.
[62] გაზ. „თბილისი", 1982, 25 აპრილი.
[63] გაზ. „კომუნისტი", 1982, 27 თებერვალი.

შოთა ნოზაძე

# ეროვნული უმცირესობანი საქართველოში და ღონისძიებანი მათი ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის (1921—1937 წწ.)

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში, სადაც იმ დროს, ქართველებთან ერთად 50-მდე ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა, მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. მენშევიკების ბატონობის პერიოდში დაირღვა და დავიწყებას მიეცა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მშრომელთა შორის წინათ არსებული ინტერნაციონალური სოლიდარობა, რომელიც ვ. ი. ლენინს ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტის ნიმუშად მიაჩნდა[1].

საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე იყო ეროვნებათა შორის ურთიერთნდობის, პატივისცემისა და თანამშრომლობის აღდგენა და განმტკიცება, ხალხთა შორის შუღლის, მტრობის, უნდობლობის, ყველა სხვა ნაციონალისტური გადმონაშთის ძირფესვიანად აღმოფხვრა, მათი ეკონომიკური და კულტურული დონის ამაღლება.

ეს იყო რთული, ამასთან ბნელი ამოცანა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, ეყრდნობოდა რა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ, აგრეთვე ვ. ი. ლენინის მითითებებს საქართველოს თავისებურებების შესახებ, და რკპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებებს, თანამიმდევრულად ატარებდა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ეს მოითხოვდა უწინარეს ყოვლისა, მისდამი დიდ სიფრთხილეს და გამუდმებულ ყურადღებას. ამ ყურადღებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი სისტემატურად განიხილავდა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული ურთიერთობის მოგვარებასთან, პერიოდულად ამოწმებდა მიღებულ დადგენილებათა შესრულებას და პარტიულ ორგანიზაციებს პრაქტიკულად ეხმარებოდა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. მარტო ორი წლის განმავლობაში (1926—1927 წწ.) საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა 13-ჯერ განიხილა ეროვნული საკითხი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი[2]. ამ მხრივ დიდი და ნაყოფიერი შუშაობა გასწია რკპ (ბ) X ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან შექმნილმა ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილებამ, რომლის მოღვაწეობა მიმდინარეობდა დამტკიცებული დებულების შესაბამისად. ქვეგანყოფილების მთავარ ამოცანას შეადგენდა ეროვნულ უმცირესობათა კულტურისა და

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ., 35, გვ. 76.

[2] პარტიული არქივი (მოსკოვი) ფ. 17, აღწ. 32, საქ. 122, ფ. 38.

ყოფა-ცხოვრების თავისებურებათა გათვალისწინებით, მათ შორის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება და ზემდგომ ორგანოებში დაყენება, ეროვნულ-უმცირესობათა შორის ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის წარმოება და ა. შ.

ეროვნული საკითხის მოგვარებისათვის, უწინარეს ყოვლისა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციულ გაერთიანებასა და სსრ კავშირის შექმნას, რომლებმაც უზრუნველყვეს საბჭოთა რესპუბლიკებში ხალხთა შორის მშვიდობიანობა და მათი სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენა, მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა, თითოეული მათგანის ეკონომიკისა და კულტურის არნახული განვითარება.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეროვნებათა სახელმწიფოებრივობის შექმნას. ის შეეხო აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის მოსახლეობას. გათვალისწინებული იქნა რა მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ყოფითი, ეკონომიკური, ენობრივი (გარდა აჭარისა), კულტურული განვითარების თავისებურებანი და მშრომელთა სურვილები, 1926 წლის 13 აპრილიდან აფხაზეთი საქართველოს დაუკავშირდა სამოკავშირეო ხელშეკრულებით. შემდეგ იგი გარდაიქმნა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად (1931 წ. თებერვალი). აჭარა მოეწყო აგრეთვე როგორც ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა (1921 წ. ივლისი), ხოლო სამხრეთ ოსეთი—როგორც ავტონომიური ოლქი (1921 წ. ოქტომბერი).

დიდი ყურადღება დაეთმო ეროვნებათა შორის ენობრივი ურთიერთობის მოწესრიგებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახელმწიფო ენად იქცა ქართული. ამ ენაზე დაიწყო არა მარტო საქმის წარმოება სახელმწიფო დაწესებულებებში, არამედ იგი, როგორც სავალდებულო სასწავლო საგანი, შემოღებულ იქნა ყველა არაქართულ სასწავლებელში. განათლების სახალხო კომისარიატმა შესაბამისი ცირკულარული წერილიც გამოსცა. ამასთან, ახალქალაქის მაზრაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ, გაბატონებულ ენად აღიარებულ იქნა სომხური, ხოლო ურთიერთობის ენებად შესაბამის თემებში — რუსული, თურქული, ქართული და სომხური. ახალციხის მაზრაში თანასწორუფლებიან ენებად დაწესდა აზერბაიჯანული, ქართული, სომხური და რუსული. ახალციხის მაზრაში მიმოწერისათვის ქართულ ენასთან ერთად შემოღებულ იქნა მოცემული თემის უმეტესი მოსახლეობის ენა, ყველა სავალდებულო დადგენილების დაწერა — სამივე ენაზე, მშრომელთა განცხადებებზე პასუხი იმ ენაზე, რომელზედაც ისაა დაწერილი. მაზრის აღმასკომის ტექნიკური პერსონალი (აპარატი) დაკომპლექტდა შესაბამისი ენების მცოდნე პირებით, აფხაზეთში სახელმწიფო დაწესერულებებისა და ოფიციალური ურთიერთობის ენებად აღიარებულ იქნა აფხაზური, ქართული და რუსული. სამივე ამ ენაზე ქვეყნდება საკანონმდებლო აქტები, ხოლო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების კავშირი სამაზრო დაწესებულებებთან ხორციელდებოდა იმ ენაზე, რომლებზედაც მიმდინარეობდა მაზრაში საქმის წარმოება.

ასევე კონკრეტულად მიუდგნენ აღნიშნულ საკითხს სხვა, იმ მაზრებსა და ოლქებში, სადაც ეროვნული უმცირესობანი ცხოვრობდნენ (ოსეთი, ბორჩალო და სხვ.).

რესპუბლიკაში დიდი ღონისძიებები განხორციელდა რუსული ენის სწავლების მეცნიერულად და ორგანიზაციულად მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ეს ღონისძიებები მოიწონა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდებოდა აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების შესწავლისათვის.

საბჭოთა ქვეყნისათვის, როგორც ცნობილია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის განხორციელებას. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მან განაპირობა რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა დასაქმება ქალაქად მრეწველობაში, ხოლო სოფლად— კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბოლო მოუღო მიწის სავარგულებისათვის დავას გლეხებს, სოფლებსა და მაზრებს შორის, უზრუნველყო მათი მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა.

რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოები და პარტიული ორგანიზაციები თანმიმდევრულ და გეგმაზომიერ მუშაობას ეწეოდნენ რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის. ამას განაპირობებდა მთელი რიგი თავისებურებები. კერძოდ, ისე რომ ზოგიერთ ეროვნულ უმცირესობას, როგორც მაგალითად ებრაელებს, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მუშაობის ჩვევები სრულებით არ ჰქონდათ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა რომლებმაც გაითვალისწინეს ებრაელთა ეს სპეციფიკური თავისებურებანი, 1928 წლის მარტში მიიღეს დადგენილება ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის (ღარებკომის) შექმნის შესახებ,რომელსაც დაეკისრა სამრეწველო საწარმოებში ებრაელთა ჩაბმა. ამ მიზნით იგი იმავე წლიდან შეუდგა საწარმოთა ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა ებრაელი მოსახლეობის შრომითი მოწყობისათვის. კომიტეტის ინიციატივით 1929—1933 წლებში თბილისში, ცხინვალში, სურამში, საჩხერეში, ონში, ახალციხესა და ებრაელებით დასახლებულ სხვა მთელ რიგ დაბებში 136 საწარმო შეიქმნა, სადაც ებრაელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 33,5% ჩაება; ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ებრაელთა ცხოვრებაში. წინათ დაბეჩავებული და შესაბამის საშუალებას მოკლებული ებრაელის ნაცვლად, საწარმოებში იგი მოწინავე და დამკვრელი გახდა. 1931 წელს შრომის დამკვრელი იყო 171 კაცი, 1932 წელს — 929, ხოლო 1933 წელს—1748 კაცი. ამავე პერიოდში დამკვრელი ბრიგადების რაოდენობა ერთიდან 29-მდე გაიზარდა[3].

დიდი ღონისძიებები განხორციელდა რუსი, სომეხი, ბერძენი, აზერბაიჯანელი, ქურთი და სხვა ეროვნების მშრომელთა სამრეწველო საწარმოებში ჩაბმისათვის. რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა როგორც საუკეთესო მაღალკვალიფიციურმა მშენებელმა, ქვისდამმუშავებელმა, ხარატმა, დაზგის მუშამ, რომლებიც ქართველებთან ერთად წარმატებით შრომობდნენ. მაგალითად, თბილისის ორთქლავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში, სადაც სხვადასხვა ეროვნების 5 ათასამდე წარმომადგენელი მუშაობდა, საყოველთაოდ ცნობილ სტახანოველებს დ. ჭიჭინაძეს, კ. ილურიძეს, მ. გეწაძეს ტოლს არ უდებდნენ ივანე ხალაპიანი, ვარდენ ჯაგაევი, პეტრე ფილიპენკო და სხვ. მათ შორის ბევრი იყო ქალიც.

[3] საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 525, აღწ. 1, საქმე, 8, ფ. 4.

დიდი ღონისძიებები განხორციელდა სოფლად ეროვნულ უმცირესობათა საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩაბმისათვის. ეს მუშაობა, ისე როგორც მოლონად რესპუბლიკაში, ფართოდ გაიშალა ახალციხის, ახალქალაქის, მარნეულისა და სხვა ყველა იმ რაიონში, სადაც ეროვნული უმცირესობანი ცხოვრობდნენ. მთელ რიგ ადგილებზე სპეციალურად მათთვის შეიქმნა კოლმეურნეობები.

რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით 1927 წელს დაარსდა ებრაელთა მიწათმოწყობის კომიტეტი, რომელსაც დაეკისრა თავისუფალ მიწებზე ებრაელთა დასახლების ორგანიზაცია, კოლმეურნეობების შექმნა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ებრაელთა ჩაბმისათვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება.

მიწათმოწყობის კომიტეტის ინიციატივითა და რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად მთელმა რიგმა რაიონებმა გამოყვეს თავისუფალი მიწის ფართობები ებრაელთა დასახლებისა და კოლმეურნეობების შექმნისათვის. გამოყოფილ მიწებზე კოლმეურნეობები შეიქმნა ახალციხეში, წითელწყაროსა და ქობულეთში (1928 წ.), ტირიფონში (1929 წ.), კულაშში, მუხრანში, სუჯუნასა და საჩხერეში (1930 წ.), ქარელში, სურამში, ვანში, ხობში (აქვე შეიქმნა ებრაელთა დასახლება), ბანძასა და ონში (1931—1932 წწ), რომლებშიც 950 კომლი გაერთიანდა. თითოეულ კომლს, ამასთან, გამოეყო საკარმიდამო ნაკვეთები.

ეროვნულ უმცირესობათა კოლმეურნეობები შეიქმნა აგრეთვე ბერძნებისათვის (ქობულეთი, სოხუმი), გერმანელებისათვის (ასურეთი, სართიჭალა), რუსებისათვის (ბოგდანოვკა) და სხვ.

ეროვნულ უმცირესობათა კოლმეურნეობების ორგანიზაციულად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით განმტკიცებისათვის მთავრობა მათ პირველ რიგში აძლევდა კრედიტს, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, ეხმარებოდა თესლით, განუწყვეტლივ ზრუნავდა კადრებით უზრუნველყოფისათვის. ებრაელთა კოლმეურნეობებს, მაგალითად, თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ საკმაო რაოდენობის ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ჰყავდათ 259-ზე მეტი გამწევი მუშა-პირუტყვი, კოლმეურნეობებში კაპიტალდაბანდებების საერთო თანხამ სამი მილიონი მანეთი შეადგინა.

დიდი ყურადღება ეთმობოდა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, რომლებიც კოლმეურნეობებს ფართოდ და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ. ახალქალაქის სამანქანო-სატრაქტორო სადგურს თავის განკარგულებაში ჰქონდა 60 ტრაქტორი და 160-მდე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. სადგური ამუშავებდა რაიონის უმეტესი კოლმეურნეობის სავარგულებს. მარნეულის რაიონის სამანქანო-სატრაქტორო სადგური ითვლიდა სხვადასხვა მარკის 115 ტრაქტორს, 16 კომბაინს, ამდენივე სალეწ მანქანას. პარკი ამუშავებდა 54 კოლმეურნეობის 47 ათას ჰექტარ მიწის ფართობს. ამ მდიდარ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ემსახურებოდნენ სპეციალისტები, რომლებიც ტექნიკუმებსა და სხვადასხვა კურსებზე მომზადდნენ.

კოლმეურნეობების შექმნამ დღის წესრიგში დააყენა კადრების პრობლემა. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა სწორედ ეროვნულ უმცირესობებთან, რადგან ისინი ამ მხრივაც დიდად ჩამორჩებოდნენ სხვა ერებს. საკოლმეურნეო კადრების მომზადება ძირითადად მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინალურ ტექნიკუმებში, აგრეთვე კურსებზე, ამ მიზნით

ტექნიკუმები გაიხსნა ცხინვალში, მარნეულში, ახალქალაქში, ებრაელთა კოლმეურნეობებისათვის მარტო ერთი წლის განმავლობაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კურსებზე მომზადდა კოლმეურნეობის 14 მოანგარიშე, 5 ტრაქტორისტი, 8 თავმჯდომარე, 28 ბრიგადირი[4]. აზერბაიჯანულ კოლმეურნეობებისათვის თავმჯდომარეების,მოანგარიშეებისა და ბრიგადირების მომზადება სისტემატურად მიმდინარეობდა სპეციალურ კურსებზე, რომლებიც 1932 წლიდან პერიოდულად მუშაობდა თბილისში, მარნეულში, ახალციხეში. მარტო 1937 წელს კურსებზე მომზადდა და კოლმეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა სხვადასხვა სპეციალობის 1804 კაცი. ასეთივე კურსები სომხურ ენაზე მუშაობდა თბილისში, ახალქალაქში, სოხუმში.

დიდი ყურადღება დაეთმო საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სპეციალისტების მომზადებას, გაფართოვდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების ქსელი. ოცდაათიან წლებში ოთხი ათასამდე სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, ებრაელი, ბერძენი, ოსი, გერმანელი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი სწავლობდა რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. 1933—34 სასწავლო წელს 37 ებრაელი ეუფლებოდა უმაღლეს სპეციალობას, ხოლო ასზე მეტი პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას იღებდა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა იმ რაიონებს, სადაც ეროვნული უმცირესობა ცხოვრობდა, სისტემატურად განიხილავდა შესაბამის საკითხებს და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა მათ.

1931 წელს ახალქალაქის რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესწავლამ აჩვენა, რომ რაიონში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში იყო ერთგვარი წარმატებანი. კერძოდ, გადიდდა პროდუქტული პირუტყვის რაოდენობა, აშენდა რძისა და ყველის ქარხანა, ყამირი მიწების ათვისებით გაიზარდა საკვები ბალახების, ავრეთვე სათესი ფართობები. სერიოზული წარმატებით ხასიათდებოდა სასკოლო მშენებლობა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ პარტიის დირექტივების შესრულება. მიუხედავად ამისა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს მუშაობა არა საკმაოდ ჩათვალა. საჭიროდ იქნა ცნობილი მეცხოველეობის განვითარებისათვის ყურადღების შემდგომი გაძლიერება. ამ მიზნით შესაბამის რესპუბლიკურ და რაიონულ ორგანიზაციებს სათანადო მითითება მიეცათ. მეცხოველეობის კადრების მომზადებისათვის გაიხსნა ზოოვეტერინალური ტექნიკუმი[5].

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ერთი წლის შემდეგ კვლავ განიხილა ახალქალაქის რაიონის საკითხი და საჭიროდ ჩათვალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერება, ქალთა შორის მუშაობისადმი მეტი ყურადღება. თბილისიდან მობილიზაციით ახალქალაქის რაიონში სამუშაოდ გაიგზავნა კვალიფიციური მუშაკები, მათ შორის მოანგარიშეები. რაიონში დამატებით გაიხსნა საექიმო პუნქტები. რაიონში მივლინებულმა სპეციალურმა კომისიამ უზრუნველყო მიწათმოწყობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება[6].

ამასთან, ეროვნულ უმცირესობათა რაიონები სისტემატურად იღებდნენ

---

[4] სახელმწიფო საისტორო არქივი, ფ. 525 , აღწ. 1, საქ. 22. ფურც. 58—59.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 3903, ფურც. 90—91.

[6] პატიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 4438, ფურც. 39—40.

დამატებით დახმარებას. ყოველწლიურად იზრდებოდა მათი ბიუჯეტი, საჭიროების შემთხვევაში კი სახელმწიფო სარეზერვო ფონდებიდან დამატებით ეძლეოდათ თანხები და სურსათი. დამატებითი თანხები და კრედიტები მიეცათ, მაგალითად, ქობულეთის რაიონის დაგვის ბერძნულ მოსახლეობას (1923 წ.), რომლითაც შეძენილ იქნა პირუტყვი, გაშენდა ციტრუსოვანთა ბაღები, აიგო საცხოვრებელი სახლები. ებრაელთა კოლმეურნეობების მოსაწყობად 1932—1937 წლებში რესპუბლიკის ბიუჯეტიდან 3 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. გარდა ამისა, საკავშირო მთავრობამ და სახალხო კომისარიატებმა ამ მიზნით მარტო 1936 წელს დამატებით 2 მილიონამდე მანეთი გამოყვეს[7]. რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით დამატებითი თანხები გამოიყო თეთრი წყაროს მტს-ის მშენებლობისათვის, რომელიც გერმანელთა კოლმეურნეობას ემსახურებოდა .

რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა რამდენჯერმე განიხილეს საკითხები, რომლებიც შეეხებოდა აზერბაიჯანელთა, გერმანელთა, სომეხთა, ქურთ-იეზიდთა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს. ეს განხილვა იყო საქმიანი, კონკრეტული და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებამ განაპირობა ამ დარგში მნიშვნელოვანი წარმატებები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დღის წესრიგში, დადგა, ეს იყო ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების დაწინაურება. პარტია, ითვალისწინებდა რა აღნიშნული საკითხის უდიდეს მნიშვნელობას, უზრუნველყოფდა ყველა რესპუბლიკურ, საქალაქო, რაიონულ, სამაზრო და სათემო დაწესებულებებში პროპორციულად ყველა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობას. მაგალითად, 1923 წელს რესპუბლიკის 76672 მუშა-მოსამსახურიდან 23,2% რუსი ეროვნებისა იყო. ისინი მუშაობდნენ რკინიგზებზე, სკოლებში, ფაბრიკებში, სახალხო კომისარიატებში და სხვ. რკინიგზებზე მომუშავე 5 325 კაციდან 2 534 რუსი იყო. 1924 წლისათვის ცეკავშირის 217 თანამშრომლიდან სომეხი იყო 35, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის 50 თანამშრომლიდან — 11, ხოლო იუსტიციის სახალხო კომისარიატის 268 თანამშრომლიდან 58 კაცი სომეხი იყო[8]. 1925 წლისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებების, სავაჭროების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების 43 878 კაციდან 5 892 ანუ 15,4 % სომხები შეადგენდნენ[9]. ახალციხის მაზრის ყველა დაწესებულებასა და საწარმოში მომუშავე 1 254 კაციდან 335 სომეხი იყო[10]. პროპორციულად ასეთივე წარმომადგენლობა იყო სხვა მაზრებში, ქალაქებსა და რაიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობანი ცხოვრობდნენ.

კადრების ასეთი შერჩევა და განაწილება მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მშრომელთა ინტერნაციონალურ სოლიდარობას, ამაღლებდა მათ შრომით და პოლიტიკურ აქტივობას. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო: სახალხო მეურნეობისა და კულტურის სოციალისტურად გარდაქმნები, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის კოლექტივიზაცია მოითხოვს განვითარებულ, მცოდნე ადამიანს.

[7] სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 525. აღწ. 1, საქ. 343, ფურც. 109.

[8] გაზ. „კომუნისტი“, 1924, წ. 20 მარტი.

[9] პარტიული არქივი (თბილისი). ფ. 14, აღწ. 1, საქ. 2254, ფურც. 261.

[10] იქვე.

რესპუბლიკაში კი მოსახლეობის 60%-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ იდგა ეროვნულ უმცირესობათა შორის, რადგან ზოგ მათგანში წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა 90%-ს აჭარბებდა. წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი, — როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, — პოლიტიკის გარეშე დგას, ანბანის უსწავლელად კი პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ არის მხოლოდ ხმები, ჭორები, ზღაპრები, ცრურწმენა[11].

ეს მოითხოვდა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას და სახალხო განათლებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას, ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მშრომელთა, კერძოდ კი ეროვნულ უმცირესობათა ფართოდ და აქტიურად ჩაბმას.

უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობამ დღის წესრიგში დააყენა ქალთა შორის მუშაობის აუცილებლობა. იგი განპირობებული იყო იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ წარსულისაგან მემკვიდრეობით მიიღო ეროვნულ უმცირესობებში, განსაკუთრებით აზერბაიჯანელ, ბერძნულ, ქისტ და ქურთ მოსახლეობაში ქალთა განსაკუთრებული ჩამორჩენილობა, მათი მონური მდგომარეობა. ისინი ყველაზე უფრო კონსერვატიულ, დრომოჭმულ, ბარბაროსულ ჩვეულებათა და ცრურწმენათა მსხვერპლი იყვნენ. ჩადრი, მცირეწლოვანთა გათხოვება, გამოსყიდვა მუსლიმან ქალთა ტრადიციული ხვედრი იყო. ამიტომ, საერთოდ ქალთა შორის მუშაობა გაცილებით რთული და ძძიმე იყო, ვიდრე მუშაობა იმავე წრიდან გამოსულ მამაკაცთა ჩაბმისათვის სოციალისტურ მშენებლობაში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამოქვეყნებულმა დეკრეტმა ბოლო მოუღო ქალთა უთანასწორობას. მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებანი ქალთა შორის მუშაობის ორგანიზაციისათვის. ამ დადგენილებათა შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ქალთა შორის მუშაობის განყოფილება (1921 წ.). ქალთა შორის მუშაობის განყოფილებები შეიქმნა ყველა პარტიულ კომიტეტებთან. სისტემატურად იმართებოდა მშრომელ ქალთა კონფერენციები, ყრილობები. ქალთა კლუბები დაარსდა თბილისში (1922 წ.), ბათუმში (1924 წ.), ქობულეთში (1925 წ.) და სხვ. კლუბებმა, რომელთა მიზანი იყო „ქალთა შორის საზოგადო, კულტურული და შემოქმედებითი ჩვევების გამომუშავება, სადელეგატო კრებებში გაერთიანება და სოციალისტურ მშენებლობისათვის მათი მომზადება“[12], ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს. ქალთა დაწინაურებისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მათი ჩაბმისათვის უდიდესი როლი შეასრულეს ქალთა სადელეგატო კრებებმა, რომლებიც ამაღლებდა ქალთა პოლიტიკურ აქტივობას, ეხმარებოდა მათ განათლების მიღებაში, საბჭოთა კონსტიტუციისა და პარტიის როლის სწორად გაგებაში, მავნე წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტიის მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად ქალები თანდათან თავს აღწევენ ტრადიციულ ჩამორჩენილობას, იწყებენ მუშაობას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სწავლობენ წერა-კითხვას. აგრძელებენ სწავლას საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, მონაწილეობენ არჩევნებში, მუშაობენ სასოფლო, სამაზრო, რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებში, შედიან კომკავშირისა და პარტიის რიგებში. ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქალები მთელი საზოგადოების ნახევარს შეადგენდნენ.

[11] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33., გვ. 72.

[12] იხ. ჟურნ. «Женские клубы на Востоке», М., 1927, გვ. 587.

ეროვნულ უმცირესობათა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში დიდი როლი შეასრულეს კულტურის სახლებმა და კლუბებმა, მუზეუმებმა, გაზეთებმა, ჟურნალებმა, ბიბლიოთეკებმა, რადიომ, აგრეთვე დრამატულმა წრეებმა, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობდნენ სომხურ, აზერბაიჯანულ, ქართულ და სხვა ენებზე. ამ მუშაობაში მათ დიდ და ნაყოფიერ დახმარებას უწევდნენ რუსული და ქართული დრამატული თეატრები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ უმცირესობათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციას. შეიქმნა შესაბამისი სკოლების ფართო ქსელი. 1927 წლის მონაცემებით მარტო ამ წელს ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობაში წერა-კითხვის 287 სალიკვიდაციო სკოლა და პუნქტი მუშაობდა. მათ შორის 112 — სომხური, 81 — აზერბაიჯანული, 70 — რუსული, 11 — ოსური, 13 — ბერძნული[13]. სკოლებისა და პუნქტების რაოდენობა შემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, განხორციელდა სხვა შესაბამისი ღონისძიებები და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისა და გამარჯვების პერიოდში წერა-კითხვის უცოდინარობა თითქმის ლიკვიდირებულ იქნა.

ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების ქსელის გაფართოებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში (აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის გარდა) ეროვნულ უმცირესობათა 225 სკოლა იყო. 1926 წლისათვის კი 353. მათ შორის სომხური 125 (რევოლუციამდე — 88), რუსული — 69 (რევოლუციამდე — 48), ხოლო აზერბაიჯანული — 89 სკოლა (რევოლუციამდე — 30).

შემოწმებით გამოირკვა, რომ ეროვნულ უმცირესობათა სასკოლო ქსელი ჩამორჩებოდა მოსახლეობის მოთხოვნებს, ამ ქსელის გაფართოებას აბრკოლებდა კვალიფიციურ მასწავლებელთა ნაკლებობა. ამასთან ბევრი სასკოლო შენობა საჭიროებდა რემონტს, სრულიად არადამაკმაყოფილებელი იყო მოსწავლეთა უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით და დამხმარე თვალსაჩინო მასალებით, ძალზე მცირე რაოდენობით იყო აგრეთვე სოფლის ახალგაზრდობის სკოლები. მხოლოდ 9 ასეთი სკოლა მუშაობდა, არც ერთ მათგანთან ინტერნატი არ იყო, რის გამოც მეზობელი მაზრებიდან ახალგაზრდებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ აქ ესწავლათ[14].

მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ეროვნულ უმცირესობათა სკოლების რეორგანიზაცია, შემოღებულ იქნა ახალი სასკოლო პროგრამები, გამოიცა სახელმძღვანელოები, კრებულები, ჟურნალები, დამყარდა კავშირი აზერბაიჯანისა და სომხეთის განათლების სახალხო კომისარიატებთან, საიდანაც წარმოებდა სახელმძღვანელოების გამოწერა აზერბაიჯანულ, სომხურ და ქურთულ ენებზე. მოეწყო მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები და კურს-კონფერენციები. განხორციელდა სკოლების მომარაგება რუკებით და სხვა თვალსაჩინო საშუალებებით. სახელმძღვანელოები შემოჰქონდათ აგრეთვე რუსეთის რესპუბლიკიდან. მთელ რიგ ადგილებზე გაიხსნა საბავშვო ბაღები და სახლები, მათ შორის ინტერნაციონალური სახლები ახალციხესა და თეთრწყაროში. თბილისში მუშაობა დაიწყო პედაგოგიურმა ტექნიკუმ-

[13] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 1755, ფურც. 788.

[14] პარტიული არქივი (მოსკოვი), ფ. 17, აღწ. 16, საქ. 318, ფურც. 37.

მა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით (1931 წ. აგვისტო) ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში სამუშაოდ გაიგზავნენ ის პირები, რომლებსაც პედაგოგიური განათლება ჰქონდათ, მაგრამ სპეციალობით არ მუშაობდნენ. გაძლიერდა ეროვნულ უმცირესობათა მაზრების დაფინანსება. მაგალითად, 1926—29 წწ. ქართული მოსახლეობის ოზურგეთის (მახარაძე) და სენაკის (ცხაკაია) მაზრებში სახალხო განათლების ხარჯები საშუალოდ გაიზარდა 74,6%-ით, ახალქალაქის, ახალციხისა და ბორჩალოს (მარნეულის) მაზრებში კი — 163,1%-ით[15].

ეროვნულ უმცირესობათა სახალხო განათლებისათვის კომპლექსური და თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელებამ გადაჭრით გააუმჯობესა საყოველთაო სახალხო განათლების მდგომარეობა. დიდად გაიზარდა სასკოლო ქსელი. მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა. 1937—38 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკაში მუშაობდა სახალხო განათლების (დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლა, პედაგოგიური სასწავლებელი) 344 რუსული, 269 სომხური და 359 აზერბაიჯანული სკოლა, სადაც 1926 წელთან შედარებით სწავლობდა 11-ჯერ მეტი რუსი, 2,5-ჯერ მეტი სომეხი და 8-ჯერ მეტი აზერბაიჯანელი მოსწავლე ვიდრე 1926 წელს.

შედარებით განსხვავებული ვითარება შეიქმნა განსაკუთრებულ, მცირერიცხოვან ეროვნულ უმცირესობებთან.

სპეციალურმა კომისიებმა შეისწავლეს გერმანული, ბერძნული, ქურთული, ასირიული, ლაზური, ესტონური და ყაზანელი თათრების სკოლების მუშაობა. გამოირკვა, რომ ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ მოსწავლეთა, მშობელთა და საზოგადოებრიობის მოთხოვნებს. მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას არ ჰქონდა სახელმძღვანელოები მშობლიურ ენაზე, სკოლები მოკლებულნი იყვნენ კვალიფიციურ პედაგოგთა კადრებს და ა. შ.

ეროვნულ უმცირესობათა მოსწავლეები ქალაქის ყველა კუთხეში ცხოვრობდნენ, შესაბამისი სკოლები კი რამდენიმე ან ერთეულები იყო. ზოგიერთი სკოლის (მაგ. ბერძნულ, ქურთულ და სხვ.) მოსწავლეთა უმრავლესობამ თვითონ არ იცოდა ის ენა, რომელიც აქ ისწავლებოდა და მათთვის მშობლიურად ითვლებოდა. აჭარაში შესაბამისი სკოლების კონტიგენტი ძალზე მცირე იყო. მაგალითად, სოფელ ფერიის აზერბაიჯანული სკოლის სამივე კლასში მხოლოდ 15 მოსწავლე იყო, ქვარიატის სკოლის დაწყებით კლასებში კი 24 მოსწავლე ირიცხებოდა. ზოგი სოფლის (ჭარნალი, კაპანდოპი, ქვარიატი, ახალშენი და სხვ.) მცხოვრებლებმა და მოსწავლეებმა, რომლებიც ქართველთა გარემოცვაში ცხოვრობენ, არ იცოდნენ აზერბაიჯანული ენა, ვერ ითვისებდნენ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალებს. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის ენის უცოდინარობის ვამო არ იყო პერსპექტივა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მათ მიერ სწავლის გაგრძელებისა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა სკოლებშიც. გუდაუთის რაიონის ლაზურ დაწყებით სკოლაში, სადაც 21 მოსწავლე იყო, მეცადინეობა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, შემდეგ უთარგმნიდნენ ლაზურ ენაზე, რომელზედაც არც სახელმძღვანელოები იყო. ქართულ ენას არ ასწავლიდნენ სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. მშობლები და მასწავლებლები მოითხოვდნენ ქართულ სკოლას.

---

[15] უ. ობოლაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1961, გვ. 197.

გათვალისწინებულ იქნა რა აღნიშნული მდგომარეობა, დიდი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, განხორციელდა აღნიშნული სკოლების რეორგანიზაცია. იგი შეეხო 111 ბერძნულ, 18 გერმანულ, 18 ქურთულ, 3 ასირიულ, 5 ესტონურ, 7 ლაზურ და 1 ყაზანელი თათრების სკოლას, სასწავლებელსა და ტექნიკუმს, სულ—163 სკოლასა და სასწავლებელს, სადაც 16 536 მოსწავლე ირიცხებოდა. ისინი რეორგანიზებულ იქნენ 82 ქართულ და 44 რუსულ სკოლებად. დანარჩენი შეუერთდა 37 რუსულ და ქართულ სკოლებს[16].

ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში მეცადინეობა დადგა სწორ მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებზე. ზემოთ აღნიშნული რეორგანიზაცია განხორციელდა მშობელთა და ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნის შესაბამისად.

ინდუსტრიალიზაციამ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ და კულტურულმა რევოლუციამ ძირეულად შეცვალა ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა.

უწინარეს ყოვლისა, მშრომელები შეძლებულნი გახდნენ, ამასთან სახე იცვალა სოფლებმა. მაგალითად, სოფელ კარზახში (ახალქალაქი), რომელიც უკვე ელექტროფიცირებული იყო, გაიხსნა საშუალო სკოლა 900 მოსწავლისათვის, საავადმყოფო, საექიმო პუნქტი, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიოკვანძი. მნიშვნელოვნად გაიზარდა (31%-ით) კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულება. ახალქალაქის რაიონის 4 კოლმეურნეობა, მეცხოველეობის 2 ფერმა და 16 მოწინავე კოლმეურნე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდა (1937 წ.).

დიდად გაიზარდა მოსავლიანობა მარნეულის რაიონში. 1937 წლისათვის აქ ბამბის მოსავალმა ჰექტარზე შეადგინა 14 ცენტნერი, თამბაქოსი—15, ხოლო მარცვლეულისა — 18 ცენტნერი, მაშინ როდესაც წინათ ბამბის მოსავალი არ აღემატებოდა 2—3, თამბაქოსი—3—4 ცენტნერს. ასევე ძალზე დაბალი იყო მარცვლეული კულტურების მოსავალი.

ქობულეთის რაიონის ბერძნული სოფ. დაგვის კოლმეურნეობის შემოსავალმა მილიონ მანეთს მიაღწია, შრომადღის ღირებულებამ კი 15 მანეთს გადააჭარბა. ბევრმა ოჯახმა მარტო შრომადღეებზე 25 ათასი მანეთი მიიღო (1936 წ.).

დიდ წარმატებებს მიაღწიეს ებრაელთა კოლმეურნეობებმა. 4 მათგანი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდა. კოლმეურნე იაკობ კრიხელმა (წითელგორა) 1935 წელს გამოიმუშავა 420 შრომადღე და კოლმეურნეობიდან მიიღო 2100 კგ. მარცვლეული, 44 კგ. კარტოფილი, 19 კგ. მზესუმზირის ზეთი და სხვ. პროდუქტი, აგრეთვე 1600 მანეთი ფულად. ამასთან საკარმიდამო ნაკვეთიდან აიღო 400 კგ. სიმინდი, 650 კგ. კარტოფილი, გარდა ამისა 33 კგ თაფლი, 72 კგ. ზეთი, ყავდა 2 ძროხა და სხვა პირუტყვი, ფრინველი[17]. მაღალი შრომითი მაჩვენებლები ჰქონდათ არა მარტო ამ სოფლის კოლმეურნეებს, არამედ ვანის, საჩხერის, კულაშის, სურამის, ხობის, ახალციხის, მუხრანისა და ყველა სხვა სოფლის კოლმეურნეთა ოჯახებს.

ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად არაჩვეულებრივად ამაღლდა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური შეგნებულობა. ეს მკაფიოდ ჩანდა იმ დიდ პოლიტიკურ აქტივობაში, რომელსაც ისინი იჩენდნენ ადგილო-

[16] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1 (ნაწ. VI), საქ. 9334, ფურც. 38—39.

[17] სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 525, აღწ. 1, საქ. 220, ფურც. 38—39.

ბრივი და უმაღლესი საბჭოების არჩევნებში, როცა ისინი ერთსულოვნად ხმას აძლევდნენ არა მარტო ეროვნულ უმცირესობათა დეპუტატობის კანდიდატებს, არამედ კომუნისტებისა და უპარტიობის ურღვევი ბლოკის ყველა კანდიდატს.

ეროვნული უმცირესობანი ფართო მონაწილეობას იღებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში. სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ იყო გაშლილი არა მარტო რესპუბლიკის შიგნით, არამედ ისინი ეჯიბრებოდნენ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებს. მაგალითად, ახალქალაქის რაიონის სოფელ კარზახის კოლმეურნეობა ეჯიბრებოდა აზერბაიჯანის სსრ ყაზახის რაიონის აზიზბაილის კოლმეურნეობას და შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებელს აღწევდა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ფართო მონაწილეობა მიიღეს იმ შეჯიბრებაში, რომელიც ამიერკავკასიისა და ყირიმის ოლქის კოლმეურნეთა შორის გაიშალა და მიეძღვნა საქართველოში გიორგი დიმიტროვის ყოფნას (1933 წ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდ წარმატებებს აღწევდნენ თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები, რომელთა შორის მამაკაცებთან ერთად სახელი გაითქვეს ქალებმა. მათ შორის იყვნენ ამალია ასტვაცატუროვა, მარია კრავცოვა, შარლოტა სტეპანოვა, ვარვარა ალექსეენკო, არუსიკ ბუდაგიანი, ანაიდა ზუბიევა და მრავალი სხვ[18].

ამრიგად, სოციალიზმის მშენებლობისა და გამარჯვების პერიოდში (1921—1937 წწ.) ლიკვიდირებულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა. არაჩვეულებრივად ამაღლდა მათი ცხოვრების პირობები, კულტურული დონე, ჩადგნენ სოციალიზმის მშენებელთა რიგებში. გამოიზარდა და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა ებრაელ, ქურთ, აზერბაიჯანელ, სომეხ და სხვა ეროვნულ უმცირესობათა ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი. მათ შორის იყვნენ მეცნიერები, პედაგოგები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი. სოციალისტური გახდა მათი ყოფა და ცხოვრება, ფართო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარბიელზე გამოსვლამ, თანასწორუფლებიან საბჭოთა სახელმწიფოში ცხოვრებამ შექმნა ყველა ეროვნებისა და მათ შორის ეროვნულ უმცირესობათა თანამშრომლობისა და მეგობრული თანაცხოვრების ყველა პირობა, ბოლო მოეღო ძათ შორის წინათ არსებულ შუღლს, მტრობასა და უნდობლობას.

ძმური და მეგობრული ცხოვრება, რაც მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში, ერთხელ კიდევ მიუთითებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფლობაზე. ამასთან ერთად, გვიჩვენებს ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების სიცრუესა და უმწეობას ჩრდილი მიაყენონ სკკპ ეროვნულ პროგრამასა და პოლიტიკას.

საქართველოში ეროვნული საკითხის შესწავლა იმასაც გვიჩვენებს, რომ ამ ერთ-ერთ მრავალეროვან რესპუბლიკაში ეროვნული მშვიდობიანობა და თვითოეული მათგანის ეკონომიკური და კულტურული განვითარება შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხორციელებლად, ვ. ი. ლენინის მითითებათა შეუსრულებლად.

---

[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 236, აღწ. 1, საქ. 328, ფურც. 48.

Н. В. КОМАХИДЗЕ

# ТУРЕЦКО-ЛИВИЙСКИЕ ТОРГОВО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

Турецкая республика переживает острые социально-экономические и политические неурядицы. Несмотря на усилия буржуазных правительств, в том числе и военных властей, пришедших к руководству страной в результате военного переворота в сентябре 1980 года, стимулировать экономический рост с помощью жесткой финансовой политики, расширенного экспорта и новых иностранных капитальных вложений, экономика этой страны остается слабой, недоразвитой.

В прошлом 1981 году уровень инфляции составил примерно 40%. Неудержимо растет стоимость жизни. Только за 10 месяцев 1981 года индекс оптовых цен возрос на 40%, цены на промтовары — на 41%, на сельскохозяйственную продукцию в среднем на 48%[1]. За истекшие месяцы текущего года рост стоимости жизни достиг 35%. зарплата же трудящихся не была увеличена[2]. Растет и внешнеторговый дефицит страны. В 1981 году он достиг 4 миллиардов долларов. Как и в предыдущие годы, большая часть этого дефицита приходится на долю стран Общего рынка, которые проводят по отношению Турции политику жесткого диктата и дискриминации[3]. По данным газеты «Барыш» за 19 лет, прошедших со времени вступления Турции в Общий рынок на правах ассоциированного члена, ее дефицит в торговле со странами ЕЭС превысил 11 млрд. долларов. Только за один прошлый год Турция закупила в Западной Европе товаров на один миллиард долларов больше, чем смогла продать. Если в 1964 г. на каждые 100 долларов товаров, закупленных Турцией на Западе, приходилось 89 долларов товаров турецкого экспорта, то в 1981 году эта цифра снизилась более чем вдвое и составила 42 доллара[4]. Турецкая лира из года в год не выходит из разряда одной из самых обесцененных валют. Введение под давлением МВФ и ЕЭС т. н. «плавающего курса» турецкой лиры усугубило экономическое положение страны. Подсчитано, что курс лиры, стремительно падая, за последние месяцы понизился на 36% по отношению к основным валютам западных держав, что отрицательно отразилось на внешней торговле страны. Усиливается процесс разорения мелких предпринимателей, что турецкие экономисты связывают с валютно-кредитной политикой Запада. Не выдержав конкуренции, только в 1981 году обанкротились 2,330 мелких компаний. В 1980 году было свернуто производство на одной тысячи предприятиях[5].

---

[1] «Milliyet», Istanbul 11. X. 1981.

[2] «За рубежом», 1982, № 19, с. 14

[3]. «Правда», 18. II. 1982 г.

[4] «Baris», Ankara, 22. III, 1982,

[5] «Cumhuriyet», Istanbul, 25. I. 1982.

Невыносимой становится задолженность иностранным государствам и нехватка валюты. Без внешних инъекций национальное хозяйство не может функционировать, что корыстно используется западными кредиторами.

Экономические планы развития, как и прежде, строятся с учетом привлечения иностранного капитала и получения широкой финансово-экономической помощи со стороны Запада, которая, как показывает опыт, далеко не бескорыстна. Выдачу новых кредитов, отсрочку платежей по старым займам или оказание других видов помощи Турции западные кредиторы обусловливают требованиями, исходящими из собственных политических и экономических целей и ущемляющими интересы страны. Внешний долг Турции на конец 1981 года составлял 19 млрд. 862 млн. долларов, тогда как на начало истекшего года он равнялся 17 млрд. 775 млн. долларов[6].

В прошом году Турция должна была выплатить в качестве процентов за иностранные кредиты 1 млрд. долларов[7]. Экономическая политика правительства в значительной мере зиждется на ориентации на американские капиталы и вашингтонскую «помощь». Эта «помощь», составившая в 1981 году 450 млн. долларов, должна достичь в 1982 г. 700 млн. долларов[8].

Неиспользуемые мощности промышленности и сельского хозяйства наносят серьезный ущерб стране.

Так, многие из предприятий работают на 50—70 процентов своих возможностей из-за нехватки импортных запасных частей, сырья и капиталовложений. Разрыв между потенциальными возможностями и фактическим уровнем производства сельскохозяйственной продукции все еще остается очень большим.

Отсутствуют возможности для удовлетворения растущих энергетических потребностей. С. Бингель — министр энергетики и природных ресурсов отмечает, что одна из главных причин нынешнего энергетического кризиса в Турции — явно неудовлетворительное использование природных ресурсов. Как он заявил, гидроэнергетический потенциал Турции реализуется лишь на 11%[9]. Для развития турецкой экономики жизненно важное значение имеет разведка собственной нефти. Удовлетворяя внутренние потребности в «черном золоте» за счет собственных ресурсов лишь на одну шестую часть, страна вынуждена тратить на приобретение нефти и нефтепродуктов за рубежом львиную долю своих валютных поступлений. Разрыв между потенциальными возможностями и фактическим уровнем производства сельскохозяйственной продукции все еще остается очень большим. (Генеральный директор турецкого акционерного общества нефти И. Кафесчиоглу считает, что в нынешнем году потребности Турции в нефти и нефтепродуктах превысят 16 млн. тонн[10]. Неразработанность собственных нефтяных месторождений вынуждает Турцию импортировать из-за рубежа нефть в количестве 250 тысяч баррелей (1 баррель — 159 метров) в день для удовлетворения местных потребностей.

Одной из острейших социальных проблем сегодняшней Турции остается жилищный кризис. По подсчетам специалистов, к 1983 году в жилье будут нуждаться 1,5 млн. турецких семей. Как указывает

[6] «Hürriyet» Istanbul, 13. X. 1981.

[7] «Cumhuriyet», Istanbul, 3. XI. 1981.

[8] «Le Monde», Paris, 30. XII. 1981.

[9] «Milliyet», Istanbul, 24, XI. 1981.

[10] «Milliyet», Istanbul, 23, II. 1982.

турецкая пресса, большинство этих семей относится к категории малообеспеченных и не может воспользоваться кредитом на строительство дома[11]. Крайне затруднительно положение настоящей бедноты, живущей в полуразвалившихся трущобах, т. н. «Геджеконду» (по-турецки «построенные ночью»), на окраинах всех городов Турции.

Бичом для трудящихся является растущая безработица. По официальным данным Государственной организации планирования Турции в конце 1981 года в стране, где давно сложилась крайне тяжелая ситуация в области занятости, насчитывалось около 3 миллионов «лишних людей» (более 15% трудоспособного населения)[12]. В апреле т. г., по данным министерства труда, в стране было 3 116 000 безработных[13].

Безработица наряду с инфляцией руководством страны признается одной из серьезнейших проблем Турции, где каждый год армия безработных пополняется 500 тысячами человек. (По подсчетам газеты «Терджюман» Турция должна каждый год обеспечить работу одному миллиону молодых людей)[14].

В условиях, когда европейские государства, переживающие экономический спад, уменьшили импорт турецких товаров и ограничили въезд турецких рабочих, для турецкой экономики увеличилось значение арабских стран.

Западные союзники вытесняют Турцию с рынков Европы и Америки. Поэтому вполне естественно, что Анкара стала развивать деловое сотрудничество со странами Ближнего и Среднего Востока, которые помогают ей преодолевать финансово-экономические неурядицы, говорится в статье, опубликованной на страницах крупной буржуазной газеты «Миллиет»[15].

Известный турецкий журналист-международник С. Кохен среди предпосылок активизации делового сотрудничества Турции со странами Ближнего и Среднего Востока называет большие возможности для расширения внешней торговли, экономического сотрудничества путем осуществления совместных проектов, приобретения новых рынков и расширения сферы приложения сил для турецких бизнесменов и рабочих[16].

Важность Ближнего Востока для Турции в экономическом плане основывается на том, что она ввозит более 80% всей необходимой ей сырой нефти главным образом из Ирака, Ирана и Ливии. И что не менее важно, Ближний Восток стал емким рынком для турецких товаров. Например, в 1981 году Турция намеревалась осуществить поставки мяса в арабские страны на сумму в 65 млн. долларов[17]. Открываются дополнительные возможности для экспорта турецких промышленных товаров и пшеницы[18].

Экономические контакты способствуют улучшению политических взаимоотношений. Правительство Турецкой республики, заявил премьер-министр Б. Улусу в интервью анкарской газете «Дейли Ньюс», выступает на стороне арабских народов, отстаивающих свою неза-

---

[11] «Азия и Африка сегодня», 1982, г., № 2, с. 45.

[12] «Правда», 18. XII. 1981 г.

[13] «Cumhuriyet», Istanbul, 19. IV. 1982. г.

[14] «Tercüman», Istanbul, 31. V. 1981. г.

[15] «Milliyet», Istanbul, 24. IV. 1982 г.

[16] «Milliyet», Istanbul, 25. III. 1982. г.

[17] Там же.

[18] «Milliyet», 13. VIII. 1981.

висимость и безопасность[19]. В первые 8 месяцев 1981 года доля арабских государств в турецком экспорте возросла до 40% с 20% в предыдущем году[20]. 335 турецких компаний заключили в арабских странах контракты общей стоимостью в 7 млрд. долларов и ожидалось, что к концу прошлого года стоимость турецких контрактов в арабских странах должна была достигнуть 10 млрд. долларов. В Ближневосточных странах сейчас работает около 200 тысяч турецких рабочих[21]. Турция прилагает немало усилий для того, чтобы богатые нефтедобывающие арабские страны стали источниками получения финансовой помощи на цели стабилизации и развития экономики.

Турецкая сторона проявляет особую заинтересованность в развитии торгово-экономического сотрудничества с Ливийской Джамахирией, правительство которой во главе с М. Каддафи последовательно претворяет в жизнь курс на создание независимой национальной экономики.

В наследство от коррумпированного монархического режима нынешнему ливийскому руководству досталась отсталая экономика. Республиканский режим нанес удар по политическим и экономическим позициям Запада, страна освободилась от военного присутствия империализма, были национализированы иностранные банки и страховые компании, под национальный суверенитет поставлены все природные ресурсы страны и их разработка.

Усилиями народа создаются современные промышленные предприятия нефтехимической, строительной и легкой индустрии, системы общественного образования и здравоохранения.

В плане на 1981 — 1985 г. г. на развитие промышленности выделены самые крупные ассигнования — 3,93 млрд. ливийских динаров (13,27 млрд. американских долларов) или 23% от общей суммы расходов. Ливия делает ставку на тяжелую промышленность (2,73 млрд. динаров). Крупные средства вкладываются в аграрный сектор, который всегда был слабым звеном экономики Ливии. Валовый национальный продукт растет в год примерно на 10%. Сооружаются школы, современные больницы и поликлиники, высшие учебные заведения, детские учреждения и т. д.

В течение последних лет турецкие частные компании заключили с ливийской стороной контракты на осуществление в Ливии проектов в областях благоустройства и строительства на общую сумму в 5 миллиардов долларов[22]. Только турецкая строительная фирма «Кастель Иншаат» подписала соглашение с ливийскими организациями на строительство в Ливии жилых домов, больниц и школ на сумму в 600 млн. долларов[23].

Были приняты меры с целью облегчения морского сообщения между двумя странами. Начались регулярные рейсы судов в Ливию, завершена работа по организации совместной морской компании и строительству верфи. Тесно связанная со строительно-кредитным Банком Турции турецкая строительная фирма «Байындырлык ишлери А. Ш.», которая выполняет государственные заказы по строительству крупных гидротехнических сооружений, плотин и ГЭС, участвовала в реконструкции порта в Триполи[24].

[19]. «Правда», 5. III. 1982 г.

[20] «Milliyet», 2. XII. 1981 г.

[21] «Milliyet», 14. IX. 1981. г.

[22] «International Herald Tribune», Paris, 2. XII. 1981 г.

[23] «Dünya», Ankara, I. VI. 1981 г.

[24] Н. Г. Киреев, Развитие капитализма в Турции. К критике теории «смешанной экономики», М., 1982 г., с. 248

Подписаны турецко-ливийские соглашения о создании совместного турецко-ливийского банка, а также на паритетных началах смешанного акционерного общества в области сельского хозяйства и животноводства[25].

27 мая 1980 года в Турецком официозе «Ресми газете» был опубликован и вступил в силу турецко-ливийский торговый протокол, подписанный в соответствии с заключенным ранее «Соглашением о торгово-финансовом строительстве» этих государств. В соответствие с протоколом, Турция обязалась поставить в 1980 г. Ливии 300 тысяч тонн пшеницы, 100 тыс. тонн ячменя, 100 тысяч тонн муки, 15 тысяч тонн томатной пасты, 5 тыс. тонн оливкового масла, 150 тысяч голов овец, 2400 тонн баранины и 10 тысяч тонн фруктов.

Кроме того, турецкие строительные фирмы приступали к строительству в Ливии 300 сборных жилых домов, зданий школ, рассчитанных на 2.000 учебных классов, и прокладке дороги Тархума-Муселлах протяженностью 45 км. Предусматривались значительные льготы при выполнении таможенных формальностей обеими сторонами[26].

С Арабским ливийским банком зарубежных операций в Триполи в 1981 г. достигнуто соглашение о предварительном финансировании турецкого экспорта на 100 млн. долларов. Выплаты в счет погашения займа будут производиться поставками продукции государственных табачных предприятий Турции[27]. Торговля между Анкарой и Триполи переживает период стремительного роста и Ливия стала вторым по величине (после Ирака) торговым партнером Турции на Ближнем Востоке. Так только за первые 4 месяца 1981 года Ирак закупил турецких товаров на 513 млн. долларов, Ливия — на 95 млн. долларов, а Иран, занимающий третье место, — на 80 млн. долларов[28]. Создана турецко-ливийская торговая палата. Как правило, положительно разрешаются предложения сторон о взаимном погашении долгов, возникающих в связи с трудностями в их оплате[29].

Турция пытается добиться согласия Ливии на осуществление ряда мер по экономическому сотрудничеству, для выполнения которых потребуются большие капиталовложения в Турции. Среди предложенных объектов сотрудничества — строительство дорог, ирригационных систем, объектов химической, бумажной и машиностроительной промышленности, системы коммуникаций, социальных и медицинских центров и центров отдыха. Еще в июне 1979 года в Анкаре состоялись переговоры с ливийской промышленной делегацией, на которых были обсуждены вопросы участия Ливии в строительстве ряда промышленных объектов в Турции, в частности, завода по производству легких дизельных двигателей в Аксарае, трансформаторного завода в Элязыге, завода по производству гидротурбин и насосов в Диярбакире, Черноморского бумажно-целлюлозного завода, тракторного завода и завода по производству тракторных двигателей в Конье, а также завода по производству строительных машин в Полатлы[30].

Турция намерена просить Ливию увеличить поставки нефти с 3 до 5 млн. тонн в год. В частности, перспективность такого соглаше-

[25] «Milliyet», Istanbul, 5. V. 1981 г.

[26] «Miliyet», Istanbul, 14. V. 1980 г.

[27] «Cumhuriyet», Istanbul, 24. VIII. 1981 г.

[28] «Millyet» Istanbul, 29. VI. 1981 г.

[29] «Milliyet», Istanbul, 8, 1982 г.

[30] «Barış», Ankara, 26. VI. 1979 г.

ния зондировалась в мае 1981 года, в период визита в Анкару секретаря народного комитета по иностранным делам Ливии (т. е. министра иностранных дел) Абдуллатифа Эль-Убейди в Анкару и в ноябре 1981 г., во время ответного визита вице-премьера Турции Тургута Озала в Триполи[31].

Вступив в эру промышленного развития, Ливийская республика столкнулась с проблемой нехватки рабочей силы, которая привлекается из других стран. Прежде, с 1962 по 1978 год, труженики из Турции, где, как уже отмечалось, острейшей является проблема занятости, в поисках куска хлеба с помощью местного Общества по обеспечению работой и рабочей силой преимущественно отправлялись в Западную Европу (в основном в Зап. Германию). К середине 1978 г. 11 процентов иностранных рабочих в Западной Германии составляли турки[32]. Турецкие иммигранты, покинувшие родину в поисках лучшей доли, здесь пользуются правами людей «второго сорта»[33]. Затем наметился спад, обусловленный значительными трудностями капиталистической экономики западно-европейских стран.

Экономический спад в Западной Европе привел к тому, что турецкие рабочие стали «нежелательными лицами» в странах Общего рынка и в прошлом 1981 году в эти страны выехало всего 260 человек. Теперь, гонимые нуждой, большей частью они устремляются на Арабский Восток и в первую очередь — в Ливию. Так, свыше 53 тысяч турецких рабочих выехали в поисках работы за рубеж, причем подавляющее большинство из них отправилось в арабские страны.

По данным стамбульской газеты «Гюнеш» в списке «импортеров» турецкой рабочей силы на первом месте стоит Ливия, где получили работу 27,5 тысячи турецких граждан[34]. Конкретизируя эти данные, стамбульская «Милли газете» сообщила, что из 53.353 рабочих в ФРГ выехало 261, Голландию — 31, Бельгию — 13, Францию — 6. В это же время в Ливию выехало 27.522, Саудовскую Аравию — 13.067 и Ирак — 9.624 рабочих[35]. В настоящее время в Ливии работают 100 тысяч турецких граждан. Ливийская сторона заботится о семьях турецких рабочих. Под заголовком «Для детей турецких рабочих, работающих в Турции, будут открыты школы» турецкая газета «Барыш» сообщала несколько месяцев тому назад: «В Триполи завершилась конференция общества ливийско-турецкой дружбы, (Türk-Libya Dostluk Cemiycti), после которой народный Совет Ливии (Libya Halk Konsey), отметив, что турецкие рабочие по количеству занимают первое место среди зарубежных рабочих, занятых в Ливии, решил открыть для их детей общеобразовательные бесплатные школы т. н. «школы Ататюрка» (Atatürk okillari [36]). 30 турецких строительных фирм в Ливии осуществляют объем строительства, который превышает 2,5 млрд. долларов. В Ливию выезжает на работу по контрактом большое число турецких инженеров и квалифицированных рабочих.

Вывоз рабочей силы имеет известные социально-экономические последствия в самой Турции как стране-экспортере. Знакомство с революционной действительностью новой Ливии, в недавнем прош-

---

[31] «Barisş, Ankara», 28. V и 19. XI. 1981.

[32] «Bağimsiz, Ankara, 31. V. 1978 г.

[33]. «Правда», 16. XII. 1981 г.

[34] «Güneş», Ankara, 5.IV.1982 г.

[35] «Milli gazete», 4.II.1982 г.

[36] «Barişş», Ankara, 2.XII.1981 г.

лом «Страны тысячи и одной проблемы», созидающей деятельностью ее руководства, целеустремленно и настойчиво осуществляющего курс прогрессивных социально-экономических преобразований в интересах широких народных масс, способствует росту классового сознания представителей турецкого рабочего класса, побывавших в Ливии. Возрастает критическое отношение этих рабочих к политике своего правительства, которые начинают все более пристрастно сравнивать обстановку в Турции с их опытом жизни за границей. Это подтверждено и нашими личными наблюдениями в Турции при посещениях павильона Ливии на Измирской международной ярмарке и беседах с его рядовыми турецкими посетителями в июле—сентябре 1979 года.

Растет организованность этих рабочих и создаются благоприятные предпосылки для того, чтобы они вплотную подошли к осознанию своей экономической и социальной значимости, к пониманию своих классовых интересов и задач.

Представлена Институтом востоковедения им. Г. В. Церетели АН ГССР

Н. В. ГЕТАШВИЛИ

# ПОСТАНОВКИ К. А. МАРДЖАНИШВИЛИ В ТЕАТРЕ КОМИЧЕСКОЙ ОПЕРЫ

## (Пространственные и декорационные решения)

В 1920 году в Петрограде К. А. Марджанишвили приступает к осуществлению своей давнишней мечты — созданию синтетического театра, в спектаклях которого должен был быть воплощен «праздник жизни»[1]. Заметим и подчеркнем, что в основу своей творческой программы Марджанишвили ставил искусство, «овеянное бодростью и радостью»[2]. В его понимании сказанное ни в коем случае не означало искусства просто развлекательного; прежде всего оно должно было нести в себе мажорное ощущение новой эпохи.

Таким именно театром и предстояло стать Театру комической оперы.

Руководство музыкальным театром было закономерным результатом творческих поисков Марджанишвили в области комической оперы и оперетты. Но ближайшим поводом, который помог созреть и окрепнуть замыслу о создании нового театра, можно считать его постановки в Петроградской Большой коммунальной опере «Пиковой дамы» П. И. Чайковского, «Демона» А. Рубинштейна и «Сказок Гофмана» Ж. Оффенбаха в январе и феврале 1920 года. Согласимся с Э. Гугушвили, когда она говорит, что «спектакли эти не стали событием в театральной жизни Петрограда, да и для самого Марджанишвили были «проходными»[3]. Думается только, что, «проходя», они конечно же оставили след в воображении и памяти художника, ибо уже в марте в Петроградском отделе Народного комиссариата просвещения лежала его докладная записка о создании Театра комической оперы.

Был и еще один предтеча у петроградского начинания: рожденная в самом конце переломного для Марджанишвили 1919 года на сцене московского бывшего Никитского театра «Маскотта», та самая любимая режиссером оперетта Э. Одрана, которую он намеревался ставить еще летом в Киеве.

Фразой «спектакль имел успех» лишь приблизительно можно определить впечатление, которое он оставлял на зрителей. Для театра же «гастроль Марджанова» оказалась единственным аргументом для оправдания своего существования под градом критических упреков в «движении с подмостков... духа всяческого мещанства и дурного вкуса». А когда он вскоре был закрыт по причине явного «налета пошлости» на всем, что шло на его сцене, «Маскотта» вспоминалась все же как одно из самых отрадных явлений тогдашней теат-

[1] Выражение Н. А. Луначарской-Розенель. Сб. «К. А. Марджанишвили. Творческое наследие», Тб., 1964, с. 323.

[2] Сб. «К Марджанишвили. Творч. наследие», 1958, с. 95.

[3] Э. Гугушвили, Котэ Марджанишвили, М., 1979, с. 240.

ральной жизни[4]. Более того, после постановки Марджанишвили оказалось, что «Маскотту» без страха и сомнения можно смело включить в тот революционный репертуар, об отсутствии которого печалятся многие»[5].

Тогда же параллельно с «Маскоттой», но уже с труппой Нового театра, Марджанишвили готовил постановку «Периколы», но, уехав в Петроград, не закончил ее.

Итак, мысль о необходимости создания нового театра созрела не на голом месте. Кроме того, она созрела ко времени; Марджанишвили и здесь, в своих настойчивых исканиях новых принципов постановок музыкальных спектаклей, проявил редкую прозорливость. Г. Крыжицкий[7] и Э. Гугушвили[8] достаточно последовательно показали, что Марджанишвили стоял у самых истоков рождающегося стремления русской режиссуры к обновлению форм музыкального театра.

«Дочерью площадей, спутницей революций» — так назвал одну из своих статей об опереттe М. Кузмин[9] и доказывал в ней, что пики расцвета оперетты, как правило, совпадали с периодами народных волнений и социальных преобразований. Трудно поверить, что подобная «историческая» концепция могла экстраполироваться на «настоящий момент» и «место действие» — настороженный, голодный Петроград 20—21-х годов. Ведь тот же Кузмин и в то же время записал, как определил их В. Милашевский, «жуткие строки»:

«. . . . . .
Уж взбухнувшие пальцы треснули
И развалились башмаки».

«Это не заумь, — поясняет Милашевский, — а точный этюд с натуры. Как я помню эти болезненные ощущения! Но таким настроениям, как в этом стихотворении, предавались, оставаясь наедине с самим собой. А на людях не унывали и острили, острили, острили...»[10].

Остроты и смех были питательнейшей надбавкой к суровому петроградскому пайку. Именно так ощущали в то время не только постоянный рецензент Театра комической оперы М. Кузмин и один из его художников В. Милашевский, но и его главный режиссер. «Он работал весело, — вспоминал Л. Никулин — смеялся, смешил актеров, спорил с художниками, с осветителями; он был моложе всех, моложе самых молодых»[11]. С неистребимым энтузиазмом молодости Марджанишвили берется за создание нового предприятия.

В докладной записке режиссера «О реформе театра комической оперы» мы находим следующее заявление: «У автора настоящей записки зародилась мысль, с которой он носился давно, о создании в России настоящей комической оперы и оперетты и о подготовке такой почвы в области слова, музыки и жеста, которая вернула бы актера к синтезу и тем дала бы возможность литератору и композитору творить комическую оперу и оперетту без боязни быть когда-либо выявленным на сцене». Как к одной из важнейших для себя

[4] Журн. «Вестник театра», 1920 № 50.

[5] Там же, 1919 № 44.

[6] Там же, 1919, № 47.

[7] Сб. «К Марджанишвили. Творческое наследие», 1958, с. 490—491.

[8] Э. Гугушвили, указ. раб., с. 248, 251, 252.

[9] М. Кузмин, Условности, Пгр., 1923, с. 125.

[10] В. Милашевский, Вчера-позавчера. Л., 1972, с. 158.

[11] Сб. «К Марджанишвили. Творческое наследие», 1958, с. 459.

целей, режиссер стремился «восстановить синтетический театр, без которого не мыслится комическая опера и оперетта»[12].

Важно, что вновь возникшее понятие синтетизма в творчестве Марджанишвили было подвергнуто пересмотру по сравнению с тем, как понимал его в 1913 году создатель Свободного театра. На этот раз, по мысли Марджанишвили, синтетический театр должен был основываться на всесторонней профессиональной подготовке актера-универсала. Подробнее об этом скажем ниже, сейчас же заметим только, что синтетический театр таким образом, в понятии Марджанишвили, рождался из синтетических спектаклей. Какая же роль в них отводилась режиссером художественному оформлению?

В одной из своих речей того времени Марджанишвили, со свойственным ему стремлением одушевлять любимые понятия, называет искусство «прекрасной невестой труда». «Как она многолика, — говорит он, — эта прекрасная возлюбленная: она — музыка, она — живопись, она—слово, она —танец, она—театр»[13].

Свой синтетический театр режиссер не мыслил без перечисленных им ликов искусства. Естественно поэтому, что и «живопись», т. е. в данном случае декорационное оформление, становилось неотъемлемой частью спектакля. Оно играло незаменимую роль в создании зрелища; тесно связанное с музыкой и словом, оно усиливало акценты и укрупняло внутренние характеристики, которые выделялись в музыкальном и драматургическом материале постановщиком, и, в то же время, в его власти было внести свой подтекст, свое параллельное содержание, обогащающее образ спектакля.

Может возникнуть вопрос — стоит ли особо говорить о роли декорации в музыкальных спектаклях Марджанишвили, разве в драматических спектаклях ее роль иная, тем более, что режиссер насыщал музыкой и их? Стоит, потому что Марджанишвили являлся одним из редких для своего времени режиссеров, которые в смысловую основу музыкальной постановки клали партитуру и главным своим союзником для утверждения этой основы считали дирижера.

Вникая в тонкости партитуры произведений, которые он выбирал для репертуара своего театра, Марджанишвили чувствовал себя словно первооткрывателем, да зачастую им и являлся, обнаруживая в них новые, скрытые до сих пор качества. По тому времени он решал задачу благородную и сложную, осуществляя в двадцатом году постановки четырех «классических» комических опер: «Дон Паскуале» Доницетти, «Тайный брак» Чимарозо, «Бронзовый конь» Обера и «Похищение из сераля» Моцарта. Мастерство, с которыми были поставлены эти оперы, подтвердило их значительность и принадлежность к высокому искусству, а значит, их право на существование на советской сцене. При этом Марджанишвили менял, совершенствовал либретто, заменяя обильные текстовые повторы, характерные для такого жанра, развернутыми содержательными вставками. В 1921 году Марджанишвили первый познакомил русского зрителя с еще одной оперой Моцарта «Cosi fan tutte» («Так поступают все»). В репертуар театра, помимо собственно комических опер, входили также комедии, действие которых Марджанишвили строил на специально для них заказанной музыке, а со второго сезона — и оперетты, ибо последние давали, по заключению режиссера, большую возможность для сатиры на сцене. Работая над постановками комических опер и опе-

[12] «К Марджанишвили. Творч. наследие», 1964, с. 7, 8.

[13] «К. Марджанишвили. Творч. наследие», 1958, с. 104

ретт, Марджанишвили не только заменял старые переводы либретто, но и стремился найти в давно «запетых» вещах новые содержательные ценности.

Поэтому декорации в его постановках нужно было устанавливать в первую очередь связи с музыкой, и эта дополнительная зависимость становилась прочной опорой, на которой выстраивалось все «здание» оформления. Поэтому Марджанишвили требовал от художника на предварительном этапе работы точного знания партитуры.

Такое знание не только достоинств и недостатков мелодического строя музыкального произведения, но и мыслей и чувств, волновавших композитора при его создании, должно было отразиться в готовой работе художника; из понимания партитуры должно было рождаться общее стилистическое решение спектакля. Тут режиссер не шел на компромисс, и если художнику не удавалось отстоять свой вариант эскизов, то приходилось переделывать их до тех пор, пока выбранный им ключ к стилю будущего оформления не переставал сопротивляться режиссерскому видению вещи. Иногда приходилось менять не только эскизы, но и художника. Так случилось с постановкой «Похищения из сераля» Моцарта.

Заказывая художнику «турецкие» декорации для оперы, Марджанишвили ни в коем случае не требовал «турецкой» этнографии. Более того, ему не нужен был и Восток, который мог быть созданным воображением художника. Он просил показать ту Турцию, какую «могли себе представить... Моцарт и его либреттист»[14]. Конечно же, такая просьба содержала сложнейшую задачу. Для ее исполнения создатель оформления должен был иметь незаурядные стилизаторские способности в соединении с неподдельной эмоциональностью, чтобы легко, без натяжек подчинить свою стилизацию музыке, вернее, естественно отталкиваться от нее. Такими способностями художник Болдырев (а именно эта фамилия значится на эскизе, не принятом к постановке) не обладал. Он слишком поверхностно понял свою задачу и взялся воспроизвести «рокайльную» форму XVIII века, но не его дух, поэтому эскизы и были отвергнуты режиссером как «конфетные»[15].

На единственном сохранившемся картоне с указанием авторства Болдырева изображен уголок сераля — часть ротонды с видом на море. Ее белые колонны сплошь покрыты мелким резным орнаментом в «мавританском» стиле. Сцену обрамляют пышные драпировки, а к ним прикреплены огромные «букеты» из перьев с изящными цветными пятнышками-глазками, как на павлиньем оперении. Все вместе — краски, мелочная, аккуратная манера письма и ее слащавая серьезность действительно напоминает отделку бомбоньерки. Нелепость подобных декораций при постановки оперы Моцарта очевидна.

Незадолго до премьеры Болдырева заменил А. Радаков. Спектакль пользовался успехом у критики и зрителей и успехом заслуженным. Однако художник Радаков оказался к этому успеху мало причастным. Сегодня, рассматривая эскизы Радакова, находящиеся в музее

[14] «К Марджанишвили. Творческое наследие», 1964, с. 277.

[15] Там же.

[16] Для описания выберем два эскиза, которые были реализованы в спектакле. На одном из них художник изображает «сад перед дворцом Селима». Сцену фланкируют две белые башни с желтой черепицей и красным декором, архитектурой своей напоминающие минареты. В середине сцены, чуть сдвинутое влево, находится громадное дерево с чешу-

театра им. Марджанишвили[16], мы можем полностью согласиться с рецензентом спектакля, который, замечая, что «может быть, сами по себе декорации Радакова, тщательно выполненные, ...хороши», упрекает их в грубоватости, лубочности и тусклости, «несмотря на пестроту»[17]. Последнее заявление становится ясным, если иметь в виду музыку оперы. Манера А. Радакова, судя по его эскизам, явилась порождением определенных исканий русской живописи десятых годов нашего столетия: искусства бубнововалетовцев, Кустодиева, Гончаровой, Ларионова, Шевченко и др. Балаганная экспрессия красок, упрощенность форм, вероятно, по мнению автора эскизов, должны были оказаться близкими новому зрителю — народной массе. Такой подход, естественно, трудно соотносился с музыкальным контекстом. «Конфетности» в работе художника не было, но в ней отсутствовало и поэтическое изящество, лиризм, романтизм, которыми дышала музыка. Корпусно покрытые клеевой краской локальные цветовые поверхности декораций действительно выглядели «тусклыми» в сравнении с тонкостью музыкальной фразировки Моцарта.

При всем этом эскизы Радакова обладают рядом с эскизом Болдырева ценнейшим преимуществом: с первого же взгляда они легко обнаруживают свою принадлежность к стихии комического. Именно этой особенностью работа Радакова и могла импонировать режиссеру.

Как правило, в постановочных решениях спектаклей Театра комической оперы очень четко прослеживается тенденция к акцентированию сатирических моментов.

Оформление да и общее режиссерское решение спектакля-экзамена[18], которым открылся новый театр, «Дон Паскуале» Доницетти было выдержано, по выражению одного из зрителей, «в стиле гравюр Тулуз-Лотрека». Удивляли «одежды слуг, престарелый мажордом в ярко-красном фраке, странные кормилицы неродившихся детей...»[19]. Отчего вдруг сложилось такое парадоксальное сравнение? Откуда возникло это сближение? Что общего может быть у искусства Тулуз-Лотрека с оперой Доницетти? Ведь и сочная живописная манера М. Домрачева, зафиксированная в его эскизах, ничуть не похожа на стиль французского художника. Привычного ко многим театральным революциям зрителя нашего века трудно удивить наивными хитросплетениями комедий прошлого. Для искушенного зрителя подобные музыкальные произведения интересны именно музыкой, вокалом, действию же уделяется обычно лишь снисходительное внимание «постольку, поскольку». Марджанишвили, приступая к работе над своим спектаклем, хотел видеть в нем не просто старинную безделушку вековой давности. Он «прочел» оперу словно впервые, и

йчатой коричневой корой и густой кроной, усеянной громадными же плодами; среди листвы расположились две «жар-птицы». Первый свободный план сцены огорожен от второго, изображающего спокойную синюю морскую гладь, низким парапетом. В правой части сцены за парапетом виден корабль с треугольным парусом и балдахином. На втором эскизе интерьер покоя во дворце паши с проемами почти во всю высоту задника, сквозь которые виден горный пейзаж, и с «меблировкой», состоящей из занавесей, ковров, подушек и тахты в центре.

[17] М. Кузмин, Условности, с. 137.

[18] От успеха первой постановки зависило, будет ли субсидирован театр государственными средствами. Подготовка к спектаклю шла в студийном порядке, и, как бы мы сказали сегодня, на общественных началах. Премьера состоялась 5 июня 1920 года.

[19] С. Кара-Мурза, К Марджанишвили. Пути режиссерского творчества. (Рукописный отд. Библиотеки им. В. И. Ленина, ф. 501, к. XII).

эта непосредственность «первого взгляда» дала ему возможность и право утрировать характеры, подчеркивать всю странность, необычность положений и ситуаций, которые уже давно стали называться просто забавными, а в общем, широко пользоваться регистром гротеска. Поэтому темпераментная ритмика музыки, ее контрастная, прихотливая мелодика, стремительное развитие сюжета оперы-буфф в интерпретации режиссера и художника оказались вполне сопоставимы с общей причудливостью мира Лотрека и экспрессивной формой его выражения, так часто приближавшейся к гротеску.

Успеху спектаклей Театра комической оперы способствовали безупречная вокальная их сторона и целый каскад режиссерских находок, связанных со сценическим действием. Сценическому действию, как одному из компонентов театрального синтеза, режиссер уделял особое внимание, последовательно и прочно связывая его с принципом ансамблевости. Сегодня подобное требование, предъявляемое режиссером, работающим в музыкальном театре, кажется само собой разумеющимся. Но в первые десятилетия века, когда в драматическом театре существование такого принципа уже имело свою историю, в театре музыкальном еще прочно сохранялись традиции «солирования». В брошюре 1925 года В. И. Немирович-Данченко очень четко формулирует создавшееся положение в России, не упомянув, правда, что «крепость» уже была поколеблена музыкальными постановками Мейерхольда, Санина и Марджанишвили: «Музыкально-сценическое искусство находится в первобытном состоянии, предоставляя много простора для работы. Имеются первоклассные певцы, прекрасные хоры и оркестры, налицо все данные, необходимые для искусства, а настоящего искусства нет»[20]. Основное средство для преодоления застоя в развитии музыкального театра Немирович-Данченко усматривал в воспитании нового типа певца-актера и в соединении воедино всех элементов музыкально-сценического действия.

Таким образом, мы видим, что Марджанишвили был среди пионеров в поисках прогрессивных форм музыкального театра. Заметим также, что в отношении работы Марджанишвили в оперетте Г. Ярон выразился вполне определенно: «Первым большим мастером-художником, принесшим в оперетту искусство режиссуры, был Марджанишвили»[21].

Режиссер ставил мизансцены, исходя из трактовки им сценической ситуации, психологии и характеров действующих лиц. Для вокалистов такие задания подчас становились труднейшими задачами, да и не каждый обладал физическими данными для их исполнения. Певцы с устоявшимися привычками собственного существования на сцене отказывались работать с Марджанишвили, не желая создавать себе «непонятные» жизненные трудности. Поэтому режиссер так любил заниматься с молодежью, свято верившей ему. Эта вера и интерес распространялись и на признанных мастеров, истинных артистов, не закостеневших в своем творческом развитии, всегда готовых к поиску утверждению нового. Для таких актеров, зрелых квалифицированных художников, так же как и для молодежи, сотрудничество с Марджанишвили превращалось в увлекательнейший творческий процесс, приносило огромное удовлетворение и запоминалось надолго[22]. В спектаклях Театра комической оперы, помимо та-

[20] Музыкальная студия МХАТ: К гастролям в Ленинграде, изд. Губпрофсовета,

[21] Г. Я р о н, О любимом жанре, М., 1960, с. 216.

[22] Сказанное можно смело отнести и к работе Марджанишвили с актерами драматического театра, художниками, музыкантами.

лантливой молодежи, принимали участие такие выдающиеся певцы, как Н. Ф.Монахов[23], Н. И. Тамара[24], Б. А. Горин-Горяинов, М. А. Ростовцев, Е. П. Корчагина-Александровская, Г. М. Ярон.

Всесторонний анализ работы Марджанишвили с актерами выходит далеко за рамки нашей статьи. Здесь же следует привести несколько примеров того, с какими задачами приходилось сталкиваться «певцам-актерам» в спектаклях Театра комической оперы.

...С балкона по навесной лестнице в центр зрительного зала должны были спуститься Перикола и Пикилло, исполняя свой выходной дуэт так спокойно, словно они шествуют по мостовой. Г. Крыжицкий, сопостановщик спектакля, вспоминает, каких трудов стоило исполнительнице главной роли Н. И. Тамаре преодолеть свой страх и непринужденно держаться в этой сцене[25].

Г. Ярону, играя Вун-Чхи в «Гейше», за спектакль пришлось «раз двадцать бегать вверх и вниз» от чайного домика на сцене к ложам, где обитали гейши, и к домику Мимозы. «Это был очень трудный спектакль», —сознавался артист[26].

По поводу «Похищения из сераля» Г. Крыжицкий писал: «Певцы, привыкшие исполнять арии и дуэты, стоя у рампы и пожирая глазами дирижера, здесь пели в самых причудливых позах. Так, например, Констанца пела свою чудесную арию «Сон мой тих, как шепот грезы», лежа»[27].

Совершенно естественно, что художнику в процессе работы над спектаклем предъявлялся режиссером особый счет не только как создателю оформления, но и как одному из организаторов сценического действия, его ритма. Специальное внимание обращалось на декорационные детали, которые использовались по-разному. Часто они помогали создавать остроумные мизансцены.

В «Похищении из сераля» непокорные жены Селима были посажены на колья — к головами артисток хора были прикреплены остроконечные клинья. Создавалось впечатление, будто жены-ослушницы проткнуты насквозь, а Осман, сидя на дереве, отбивался от Педрилло огромными грушами, которые тут же и срывал.

«Великолепно разработал он (Марджанишвили — Н. Г.), — пишет Г. Крыжицкий о постановке оперы Чимарозо «Тайный брак», — первую, открывающую спектакль сцену в сапожной лавке Джеронимо—примерка обуви. Это была живая бытовая картинка, полная юмора, насыщенная действием. Ростовцев-Джеронимо катался по прилавку, влезал куда-то наверх, доставал с высоких полок всевозможную обувь»[28]. Эскиз М. Домрачева к этому действию демонстрирует лавку Джеронимо со всей ее торгашеской роскошью. Здесь и стеллажи с модельными башмаками, и шкаф красного дерева со стеклянными витринами, наполненный обувью, и огромная стойка, за которой — сам хозяин, и белая дверь, отделанная золотом. Разрабатывая

[23] «Наиболее ярким олицетворением отечественной оперетты можно считать творчество Монахова», — пишет Ярон в своей книге «О любимом жанре», с. 216). Упомянем,что именно Марджанишвили первый заметил незаурядное драматическое дарование опереточного актера. В 1920 году параллельно с работой в Комической опере Монахов играл на сцене Большого драматического театра роль короля Филиппа в спектакле «Дон Карлос» по Шиллеру.

[24] До встречи с Марджанишвили — исполнительница цыганских романсов.

[25] Г. Крыжицкий, Дороги театральные, М., 1976, с. 197.

[26] Сб. «К Марджанишвили. Творческое наследие». 1964, с. 543.

[27] Сб. «К Марджанишвили. Творческое наследие, 1958, с. 478.

[28] Сб. К Марджанишвили. Творческое наследие», 1958, с. 476.

детали интерьера, художник стремился не только показать зажиточность и вкусы стремящегося потрафить богатым клиентам лавочника, но и изобличить его и посмеяться над ним: дверь фланкируют две кариатиды, несущие на своих плечах по сапогу, а на огромной картине на центральной сцене новоявленный Парис предлагает трем богиням в кринолинах вместо яблока башмачок; естественно, ведь для Джеронимо все ценности мира заключены в его обуви.

На эскизах этого же художника к опере Николаи «Виндзорские проказницы» Н. Ушина к мольеровскому «Мещанину во дворянстве» подробно зарисованы те предметы, которые мы называем на сцене бутафорией, начиная от пивных кружек и кончая раками, осетрами, арбузами, роскошно убранными блюдами с поросятами и фазаном с единственным длинноым пером на гузке. Важно отметить, что вещи и снедь были сделаны гораздо крупнее своей натуральной величины — на эскизах аккуратно проставлены размеры для бутафоров исполнителей. Такое «преувеличение» не только привлекало внимание зрителей к присутствию каждой вещи на сцене, но и создавало комический эффект.

В последнем действии «Игры интересов» Х. Бенавенте (художник Н. Ушин) сцену торопливо пересекали «служители правосудия», деловито толкавшие перед собой тачки с наваленными на них громадными грудами бумаг — линия судебного бюрократизма и крючкотворства была режиссером и художником доведена до логического конца, то есть до абсурда, показана во всей своей агрессивности, безумности. Гипербола рождала здесь гротеск, и смех, который вызывали в зале своим приемом режиссер и художник, развенчивал дутый пафос чиновничества, его кажущуюся многозначительность, его энергию, возникающую на пустом месте и распыляющуюся в пустоте[29].

И все же в приведенных выше примерах все перечисленные предметы, повествуя, намекая, предоставляя зрителю широкие возможности для ассоциаций, обозначали лишь сами себя — сапог оставался сапогом, кружки кружками, а тачки с бумагами тачками. Но подчас игровая стихия в спектаклях Театра комической оперы достигала той мощи, когда и от вещи на сцене требовалось перевоплощаться. Конечно, «игра» вещей была возможна лишь при органичном, на грани импровизации, поведении актеров, обладавших высокой пластической культурой.

Так в «Игре интересов» Криспин и Леандр выезжали на сцену на обыкновенных палочках, как дети на своих «лошадках»[30], а в «Бронзовом коне» Обера луна превращалась в обычную зажигалку, стоило только Бутафору поднять руку и запалить об нее папиросу.

---

[29] Вспомним, что в своем киевском спектакле «Фуэнте Овехуна» Марджанишвили в сцене даров Командору использовал подобный прием «преувеличения». А в 1917 году В. Мейерхольд и художник А. Головин в «Маскараде» прибегнули к такому же средству для создания гротеска трагического.

[30] Уместно упомянуть, что в марте 1921 года, спустя десять дней после премьеры «Игры интересов» по распоряжению Марджанишвили была снята с генеральной репетиции опера М. Мусоргского «Сорочинская ярмарка». Одной из причин такого решения было присутствие на сцене пары муляжей, долженствующих изображать волов. В данном случае оказалась утерянной театральная природа изображаемого. Палки в руках Криспина и Леандра воспринимались зрителем как самые настоящие лошади, а «волы», хоть и выглядели вполне «натурально», рядом с актерами казались скорее экспонатами паноптикума, но никак не участниками событий в Сорочинцах или театрального действия, представляющего таковые.

Э. Гугушвили совершенно права, проводя аналогию между «Игрой интересов» в постановке Марджанишвили и вахтанговской «Принцессой Турандот»[31]. Пожалуй, только аналогию следует расширить: постановочные принципы не одного, а многих спектаклей Театра комической оперы находились в общем русле с задачами, которые решались Е. Вахтанговым в его прославленной «Турандот»[32]. В этих спектаклях обнаруживается множество общих черт и главная из них — яркая, обнаженная театральность приемов[33], умение заставить зрителя уверовать в реальность и естественность любых сценических превращений, заразить его своей непосредственностью, пробудить в нем творческую потенцию.

Непосредственно и свободно Марджанишвили обходился и со сценическим пространством. «Место действия» часто лишалось своей статики, возникало и исчезало на глазах у зрителей, когда это было необходимо постановщику. В том же спектакле «Бронзовый конь», по свидетельству Крыжицкого[34], «во время плавания принца, он разворачивал свернутую рулоном панораму с изображением берегов реки, по которой якобы скользила ладья»[35].

Излюбленным приемом Марджанишвили в Театре комической оперы стало применение ширм. Ширмы в «Тайном браке», «Бронзовом коне», «Гейше», «Игре интересов» членили пространство, перестраивали его, превращая планшет в нечто эластичное, мягкое или угловатое, но всегда подвижное. По сцене при открытом занавесе грациозно и ритмично двигались, в зависимости от драматургического материала, то арапчата, то мусмэ, то ценни, внося, убирая или передвигая ширмы разных силуэтов или цветов.

Разновидностью ширмы можно назвать знаменитый ленточный занавес Н. Ушина к «Игре интересов». Здесь пространство просачивалось из заграждения сквозь ленты, сквозило игриво и весело, обволакивая подвешенные за веревочки подрагивающие фигурки представителей нечистой силы и действующих лиц постановки. Пьеса предназначалась драматургом для театра марионеток, и художник не только сумел намекнуть об этом обстоятельстве при создании сво-

---

[31] Э. Гугушвили. указ. соч., с. 246.

[32] Напомним, что постановка была осуществлена Вахтанговым в 1922 году.

[33] Приемы комедии дель арте, от которой отталкивался в своих поисках Вахтангов, были использованы и Марджанишвили... Неудача его киевской постановки 1919 года «Четырех сердцеедов» К. Миклашевского заставила режиссера глубже понять смысл искусства комедиантов прошлого. Если драматический материал пьесы Миклашевского возрождал лишь внешнюю форму комедии масок, то в спектаклях Комической оперы режиссер трактовал суть комедии дель арте более свободно—как совершенную независимость существования актера на сцене, способного на глазах у зрителя как бы устанавливать и изменять «правила игры».

[34] См. «К Марджанишвили. Творческое наследие», 1958, с. 479.

[35] Композитор Б. Асафьев, рецензируя спектакль, замечает в нем «непрестанное наличие связи между ритмом музыкального движения и сценического действия. Объединение движения звука и жеста дано не в заранее данном, совершенном, предуказанном наперед синтезе, а раскрывается непрестанно во взаимотяготении и влиянии в течение самого действия». Заключение это распространяется и на «игру с вещами». Чудеса, которыми режиссер наполнил спектакль, его постановочное решение, оказались настолько впечатляющими, что рецензент не удержался от восклицания: «Любопытству некогда отдохнуть!» (См. «К Марджанишвили. Творч. насл.», 1958, с. 465).

их необычных персонажей, но и воплотил следующую сентенцию автора: «Куклы, как и люди, приводятся в движение грубыми нитками: интересами, мелкими страстями, обманами и всеми жалкими условиями своего существования»[36]. Что же касается основной мысли пьесы, которая, конечно же, была дорога и близка режиссеру, мысли о том, что только любовь «делает людей богами... и говорит нам, что не все фарс в фарсе, что есть еще что-то в нашей жизни, что правдиво и вечно и не может кончиться, когда кончается фарс»[37], то художник выразил ее в легкости, воздушности фактуры своего занавеса, изяществе его формы, праздничной нарядности колорита, создающих радостную и теплую атмосферу, в которой невозможна победа недоброго начала. Справа от зрителя на занавесе чернела запятая (по выражению Криспина, «чудесная запятая, великая запятая»)[38], обеспечившая для главного героя положительный исход судебного разбирательства, а, значит, и счастливую развязку комедии. Н. Ушин здесь выворачивал наизнанку саму идею занавеса как завесы, нечто скрывающей. Наоборот, он открывал все сразу, одним изобразительным «аккордом», и эта открытость была в прямом родстве с приемами актерской игры, а потому служила цельности спектакля.

Игровое пространство в спектаклях Театра комической оперы осваивало не только глубину сцены, но и высоту ее. Действие переносилось часто на мезонинчики («Малабарская вдова»), чердак («Бронзовый конь»), балкон («Тайный брак»). И наконец, словно не в силах оставаться в рамках зеркала, сценическое пространство выплескивалось по воле режиссера в зрительный зал.

Домик Мимозы в «Гейше» был расположен под потолком зала, и от него до сцены над креслами зрителей был сооружен изящный мостик, предусмотренный текстом оперетты (но вряд ли либреттист мог предположить столь необычную реализацию своей безобидной ремарки); другие гейши располагались в углублениях за ложами зрительного зала. Газета «Жизнь искусства», отзывавшаяся на каждую постановку Комической оперы, писала: «Излюбленная публикой, столько лет не сходящая со сцены «Гейша» предстала... в совсем новом свете. Не только сцена и зрительный зал (как теперь часто делается), но и купол театра использован Марджановым для театральных эффектов. Зритель оказался вовлеченным в самую гущу действия: перед ним, за ним, над ним — везде идет действие»[39]. Чего такое участие стоило зрителю, можно судить по замечанию Ф. И. Шаляпина, присутствовавшего на одном из спектаклей: «Чудесный спектакль, но я себе свернул шею»[40].

С тем же пространственным размахом оформлялись и «Птички певчие». В помещении «Паласа», где шел спектакль, не было ярусов. На большой высоте с трех сторон помещался балкон, с которого Марджанишвили спустил лестницу на игровую площадку в центре партера, куда сходили Перикола и Пикилло. Чтобы передать атмосферу праздника, весь зал не только был украшен флажками и фонариками, но и вместил в себя «площадь городка» (центральная площадка в партере, пандус над оркестром) вместе с кабачком «Трех сестер». На сце-

---

[36] Х. Бенавенте. Изнанка жизни, с. 51 (год и место изд. не указаны).

[37] Там же.

[38] Там же, с. 49.

[39] 1921 г. № 770—772.

[40] Г. Крыжицкий, Дороги театральные, М., 1976, с. 195.

не находился лишь небольшой павильончик, а все остальное ее свободное пространство использовалось для массовок.

Огромная изобретательность и творческая активность были необходимы художникам марджанишвилевского театра при создании одежды героев его спектаклей. Одежда несла в себе львиную долю гротеска, если это требовалось по постановочному решению («Тайный брак»), могла менять в восприятии зрителя время действия (герои «Периколы» были облачены в костюмы современного покроя). Часто, заказывая художнику эскизы костюмов, Марджанишвили ставил перед ним задачи, которые как в фокусе отражали общий подход режиссера к своим спектаклям того периода: каждая мелочь, каждая деталь на сцене должна была быть пропущена сквозь призму мировоззрения человека своей эпохи, умеющего не только видеть лежащие на поверхности факты и явления, но и, анализируя с позиции современности, вскрывать их глубинный смысл. Вот как говорил об этом. В. Милашевский, отвечая на недоуменное восклицание О. Мандельштама по поводу того, что художник находит в себе силы заниматься работой в такое время (тревожные дни Кронштадтского мятежа): «Марджанов нажимает. Переделываю кавалеров для «Cosi fan tutte». Марджанов первый вариант забраковал начисто. Этак, говорит, срисовать костюмы с увражей всякий сможет. Нет! Подавай ему «fleur de pois»* — выжимку, эссенцию XVIII века. Все надо довести до грани невероятного, до сумасшедшинки... Вот этот розовый цвет камзола может быть похож на шиповник, что растет в палисаднике у сельского попа, но это слишком невинно. Для этих кавалеров все ведь кончилось гильотиной. Надо придать цвету нечто этакое, постараться выскочить за грань скучных «обыкновенностей». Цвет влагалища тихоокеанской раковины! Вот оно найденное определение цвета: «злое розовое»[41]. Таким образом, в музыке Моцарта Марджанишвили слышал лязг гильотин и требовал у художника актуальности и историзма от розового цвета.

Работа Марджанишвили в Театре комической оперы оставила заметный след в истории советского театра на самом раннем этапе его развития. Однако художественные искания и опыт работы режиссера в музыкальном театре не утерял свою актуальность и поныне, что заставляет с особенным интересом вглядываться в его творческое наследие.

Представил Музей дружбы народов АН ГССР

* (франц.) — цвет общества.

[41] В. Милашевский, Вчера-позавчера, с. 210.

ვახტანგ გოილაძე

# ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში

## (მირიანის შესახებ ლეონტი მროველის ზოგიერთი ცნობის განმარტებისათვის)

IV ს-ის 70-იანი წწ. დასასრულს აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნებში სასანიანების გაბატონებას, ჩრდ. კავკასიისა და შავი ზღვის ჩრდ. ველებზე ცენტრალური და შუა აზიიდან მოსული ჰუნ-თურქების მიერ ახალი, ძლიერი პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნა დაემთხვა. ამ დროიდან მოკიდებული ირანისა და ბიზანტიის მმართველთა წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა კავკასიონის ძთებს გადაღმა მომთაბარე ჰუნ-თურქთა გაერთიანებებისათვის ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი ზეკარების ჩაკეტვის აუცილებლობის საკითხი.

ჰუნ-თურქთა მრისხანე ძალის როგორც მოსაგერიებლად, ისე საკუთარი მიზნებისათვის გამოსაყენებლად საჭირო იყო კავკასიონის ზეკარებზე ციხე-სიმაგრეთა ძლიერი სისტემების შექმნა, მათში მუდმივი გარნიზონების ჩაყენება. სწორედ ზეკარების ასეთმა მნიშვნელობამ განაპირობა ირანის ჩრდ. საზღვრის დასაცავად და დაპყრობილი ხალხების მორჩილებაში მოსაყვანად აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნებში სასანიანთა მიერ შექმნილი სამხედრო ორგანიზაციისა და შესაბამისად—მმართველობის ხასიათი.

ამიერკავკასიაში სასანიანთა მიერ შექმნილი მმართველობის ქართულ საისტორიო ტრადიციაში ასახვას სანამ შევეხებით, უნდა გაირკვეს: იმიერკავკასიაში მომთაბარე ჰუნ-თურქთა პოლიტიკური გაერთიანებებისათვის კავკასიონის ზეკარების ჩაკეტვის აუცილებლობამ რა როლი შეასრულა ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკურ სტატუსზე (როგორი მმართველობა შექმნეს სასანიანებმა ამიერკავკასიაში); რით უნდა აიხსნას ქართულ საერო საისტორიო წყაროებში ქართლის მარზპანთა მოუხსენებლობა[1]; იყო თუ არა მემკვიდრეობითი ამიერკავკასიაში მოსამსახურე ირანელ მოხელეთა სახელო და რომელი ირანული დიდგვაროვანი ოჯახი ფლობდა მას.

ჩრდ. კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმოსასვლელ ზეკარებს შორის უმნიშვნელოვანესი ალბანეთში მდებარე დარუბანდის კარი იყო. ჰუნ-თურქთა ექსპანსიის შესაჩერებლად პირველ რიგში სწორედ მისი ჩაკეტვა იყო აუცილებელი. დარუბანდის კარმა განაპირობა სასანიანთა დიდი ინტერესი ალბანეთისადმი. დიდი თავდაცვითი ნაგებობანი აღდგენილ იქნა ან აიგო სწორედ დარუბანდის კარის, ამიერკავკასიასა და ირანისაკენ მომთაბარეთა ამ ნაჩვევი გზის ჩასაკეტად[2]. ალბანეთი ამიერკავკასიაში ჩრდილოელ მომთაბარეებთან

---

[1] ქართლის მარზპანთა შესახებ „აბიბოს ნეკრესელისა“ და „ევსტათი მცხეთელის“ მარტვილობათა ცნობები რომ არ გვქონდეს შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქართლის სინამდვილისათვის უცხო იყო მარზპანთა ინსტიტუტი.

[2] М. М. Дьяконов, Очерк истории древнего Ирана, М., 1961, გვ. 314.

საბრძოლველად სასანიანთა შეიარაღებული ძალების თავმოყრის ერთ-ერთი პუნქტი შეიქმნა[3].

სასანიანები თავიანთი იმპერიის ჩრდ. საზღვრის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში არანაკლებ მნიშვნელობას ჩრდ. კავკასიიდან ქართლში გადმომავალ დარიალის გზას ანიჭებდნენ. ქართლში გაბატონებისთანავე მათ თბილისში პიტიახში ქრამ ხუარ ბორზარდი გამოგზავნეს და ქართლი, სომხეთი, სივნიეთი და გუასპურაგანი „მისსა ხარკსა შედგა“[4]. ირანელი პიტიახში დასახელებული ქვეყნების გამგებელი და მთავარსარდალი იყო. ერთი მოხელის ხელში ასეთი დიდი ძალების თავმოყრა იმ ხანად დარიალის კარის დაცვა-ჩაკეტვის განსაკუთრებული საჭიროებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახები[5].

დარუბანდის კარის დაცვას რადგანაც სასანიანები ყველაზე მეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ქრამ ხუარ ბორზარდის შემდეგ, **ალბანეთის მარზპანს მათ ქართლის სამხედრო ძალებიც დაუქვემდებარეს (რან-ქართლის მარზპანის ძირითადი რეზიდენცია ქ. ბარდავი გახდა[6]). ბარდავში მჯდომ ირანელ მოხელეს ემორჩილებოდა კავკასიონის ყველა კარში, მ. შ. დარიალში მდგომი გარნიზონები**[7]. კავკასიონის ზეკარების დაცვა სავალდებულო გახდა სასანიანთა ქვეშევრდომი ამიერკავკასიის ხალხებისათვის[8].

კავკასიონის ზეკარების დასაცავად და აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნების მორჩილებაში მოსაყვანად სასანიანთა მიერ შექმნილი სამხედრო ერთეულებიდან ერთ-ერთი რან-ქართლი (VI ს-ის 30-იანი წწ. ბოლოს ქართლში მეფობის გაუქმების[9] შემდეგ, ბარდავთან ერთად რან-ქართლის მარზპანის რეზიდენცია თბილისიც გახდა) იყო. ცალკე სამარზპანო ქვეყანა იყო სომხეთი (ცენტრი ქ. დვინი). ირანის იმპერიის ჩრდ. მხარის საერთო ცენტრი კი ატრპატაკანის მთავარი ქალაქი განძაკი (აქვე მდებარეობდა ზოროასტრული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი წმინდა ცეცხლი—ადჰურ გუშნასპი) იყო[10]. გან-

[3] С. Т. Еремян, Сюния и оборона Сасанидами кавказских проходов, Известия Ак. наук СССР — Армянский филиал, № 7 (12), Ереван, 1941, გვ. 34.

[4] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 92.

[5] თბილისი დიდხანს არ დარჩენილა სასანიანთა მმართველობის ერთ-ერთ ცენტრად ამიერკავკასიაში. ქრამ ხუარ ბორზარდის შემდეგ ქართლში ცალკე ირანელი მოხელე აღარ ჩანს.

[6] შაჰ კავად I (488—531) დროს ბარდავი ჰუნების თავდასხმების მოსაგერიებელ ერთ-ერთ მძლავრ ციხესიმაგრედ გადააქციეს. მას პეროზ-კავადი ეწოდა (J. Marquart, Ēranšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenac'i, Berlin, 1901, გვ. 118). ქ. ბარდავის ახალი სახელწოდება უნდა ჰქონდეს მხედველობაში ლეონტის (იხ. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 67—68) როცა წერს „გარდმოვლეს ოვსთა ფეროშ და კავტა და განრყნეს ქართლი“.

[7] С. Т. Еремян, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 39.

[8] ამიერკავკასიიდან გაყვანილ მოლაშქრეებს სასანიანები შუა აზიაშიც იყენებდნენ. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 86—87.

[9] იხ. ჩვენი საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი — Политическое развитие Картли с начала VI в. до конца 30 гг. VII в., Тб., 1979, გვ. 13. უფრო ადრე 428 წ. სასანიანებმა სომხეთში მოსპეს მეფობა და ქვეყნის გამგებლად ირანელი მარზპანი ვეჩ მიჰრ შაპუჰი დანიშნეს. 510 წ. ალბანეთის მეფის ვაჩაგან III გარდაცვალების შემდეგ, ქვეყნის მმართველობა აქაც უშუალოდ მიჰრანთა გვარის მარზპანთა ხელში გადავიდა (იხ. А. И. Колесников, Иран в начале VII в., «Палестинский сборник», в. 22(85), Л., 1970, გვ. 99). დასახ. ქვეყნების უშუალო დამორჩილების შემდეგ, ჩრდ. საზღვრების დასაცავად სასანიანებმა მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარეს, რაზეც მიუთითებენ ქართული (იხ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, გვ. 94) და უცხოენოვანი წყაროები (იხ. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, в. 31, Тифлис, 1902, გვ. 15, 11).

[10] История Азербайджана, I, Баку, 1958, გვ. 93.

ძაკში იჯდა ჩრდ. მხარეში შემავალი დაახლ. 13 ქვეყნის[11] საერთო გამგებელი და ამ ქვეყნების ჯარების მთავარსარდალი—სპაჰბედი. ჩრდ. მხარე სამარზპანოებს გარდა „უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად—შაჰრებად იყოფოდა"[12]. მაგ. რან-ქართლის სამარზპანოში შაჰრის სახით უნდა ყოფილიყო შესული კამბეჩოვანი (ცენტრი ხორანაბურჯი)[13]. და შესაძლოა დარუბანდიც, რადგან 450/51 წწ. ანტიირანული აჯანყების თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი ელიშე, ამ აჯანყებისას ჩორის (დარუბანდის) მარზპანად სებუჰტს (მიჰრ სებუჰტი) ასახელებს[14]. ს. ერემიანის თანახმად, 443 წ. სებუჰტი იეზდიგერდ II-ემ ქართლის მარზპანად დანიშნა ვასაკ სივნელის მაგივრად[15].

V ს-ის დამდეგისათვის დაახლ. ასეთი სახე უნდა ჰქონოდა ირანის ჩრდ. ნაწილში (ხოსრო I 531—579, რეფორმების შემდეგ ირანის ჩრდ. ქუსტაკი) შემავალ ალმ. ამიერკავკასიის ქვეყნებში სასანიანთა მიერ შექმნილ მმართველობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობთ მართალი უნდა იყოს ნ. ადონცი, როცა იგი ირანის ოთხ საგამგეო ურთეულად დაყოფას, ხოსრო I-ის მიერ გატარებული სამხედრო-ადმინისტრაციულ რეფორმებზე უფრო ადრეულ ხანას აკუთვნებს. ნ. ადონცის თანახმად, სომხური გეოგრაფიის მოკლე რედაქციაში და ზოგ არაბ ავტორთან ირანის ჩრდ. მხარის ქვეყნებიდან მხოლოდ ატრპატაკანი რომაა დასახელებული, ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ირანის ოთხ მხარედ დაყოფა წინ უსწრებდა სასანიანთა მიერ ირანის ჩრდ. ქუსტაკში შემავალი ამიერკავკასიის ქვეყნების დამორჩილებას[16]. მ. დიაკონოვის თანახმადაც, მართალია ხოხრო 1-მა სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმებით მოსპო ერან-სპაჰბედის თანამდებობა და ირანის ჯარი ოთხი მხარის სპაჰბედს დაუმორჩილა, მაგრამ ირანი ოთხ ნაწილად ამ რეფორმამდე იყო დაყოფილი[17].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ძველ ქართულ წყაროთა მითითება V ს-ის დამდეგიდან რან-ქართლის ერთი ირანელი მოხელისადმი დაქვემდებარების შესახებ სანდოდ უნდა იქნას მიჩნეული. ქართულ წყაროთა მონაცემები ამ მხრივ სირიული აგიოგრაფიული ძეგლის ცნობით დასტურდება. ძეგლში VI ს-ის დამდეგიდან რან-ქართლის გამგებლად ერთი პიროვნება — ფირან გუშნასპი (მიჰრანი) არის დასახელებული[18].

წყაროთა ასეთი მონაცემების მიუხედავად, სასანიანთა მფლობელობის

---

[11] J. Marquart, დასახ. ნაშრომი, გვ. 94—136.

[12] Очерки истории СССР III—IX вв., М., 1958, გვ. 219.

[13] ვ. გოილაძე, VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის, „მაცნე" ისტორიის... სერია, 1979, № 1, გვ. 116—117. კავად I და ხოსრო I დროს აშენებული ზაქათალის დიდი კედელი (იხ. Е. Пахомов, Закатальская «длинная стена», Труды азер. гос. ун-та, серия историческая, в. I, Баку, 1950, გვ. 90) კამბეჩოვანის მარზპანის ხელმძღვანელობით უნდა აგებულიყო.

[14] Егише, О Вардане и войне армянской, Ереван, 1971, გვ. 76—77.

[15] ლ.-ნ. ჯანაშია უარყოფს ამ მოსაზრებას. იხ. მისი, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 132.

[16] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, изд. второе, Ереван, 1971, გვ. 218, შენიშვნა № 1.

[17] М. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 312.

[18] G. Hoffmann, Auszüge aus syrischen Akten persischen Märtyrer. Abhandlungen für die kunde des Morgenlandes, Leipzig, 1880, გვ. 80.

ხანაში ქართლის პოლიტიკური სტატუსის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული.

სასანიანთა ქვეშევრდომობაში მოქცევის შემდეგ, — წერდა ს. ჯანაშია, — ქართლის გამგებელი პიტიახში თბილისში იჯდა და თავდაპირველად სპარსელი იყო. შემდეგში, როცა სპარსეთის მთავრობამ ქართლის დიდ აზნაურებში ძოწბრეები გაიჩინა, შაჰები ქართლის პიტიახშებად უკვე ქართველებს ნიშნავდნენ დიდ აზნაურთაგან. ბოლოს პიტიახშობა შთამომავლობით დაიმკვიდრეს ქვემო ქართლის მთავრებმა არშუშას სახლიდან[19].

კ. კეკელიძე არ დაეთანხმა ქართლის მმართველობის ასეთ განსაზღვრას. აქ, — წერს იგი, — ორი კატეგორიის პიტიახშებია ერთმანეთში არეული ერთნი, რომელნიც ბარდავაში ისხდნენ და მეორენი ქვემო ქართლისა. მისი სიტყვით, ქრამ ხუარ ბორზარდის წასვლის შემდეგ, მეფობის გაუქმებამდე ქართლს ბარდავს მსხდომი („კავკასიის კუსტაკის გამგე") პიტიახშები მართავდნენ. 368 წლიდან მოყოლებული თითქმის V საუკუნის ბოლომდე ეს პიტიახშები მხოლოდ ირანელები იყვნენ, ვახტანგ გორგასალის „ცხოვრებით" იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ვარსქენმა მოახერხა ამ თანამდებობის დაკავება. მეფობის გაუქმების შემდეგ ამ მმართველთა სახელწოდებაა „მარზპანი", ხოლო რეზიდენცია თბილისი[20].

კ. კეკელიძემ, როგორც ვხედავთ, რან-ქართლის გამგებლები კავკასიის კუსტაკის უფროსებად მიიჩნია (ამავე თვალსაზრისისა იყვნენ ვ. დონდუა და ს. კაკაბაძე[21]). ა. ბოგვერაძემ არ გაიზიარა კ. კეკელიძის მოსაზრება ქართულ წყაროებში რან-ქართლის გამგებლად დასახლებულ პირთა „კავკასიის კუსტაკის გამგედ" მიჩნევის შესახებ და აღნიშნა, რომ ისინი ალბანეთის პიტიახშები იყვნენ. მათი მეშვეობით ცდილობდა შაჰის ხელისუფლება ქართლისა და სომხეთის მორჩილებაში მოყვანას, როცა მიზანს მიაღწია, მათ თავთავისი შარზპანები დაუნიშნა[22].

წყაროთა მითითებას ქართლის რანის მარზპანისადმი მორჩილების შესახებ, ლ.-ნ. ჯანაშიამაც მიაქცია ყურადღება, მაგრამ კ. კეკელიძისაგან განსხვავებით ჩათვალა, რომ რანის მარზპანთა ხელისუფლებას ქართლის მიმართ დროებითი ხასიათი ჰქონდა. ქრამ ხუარ ბორზარდის შემდგომ, — წერს იგი, — ქართლის გამგებლის ფუნქცია ადგილობრივ მმართველებს დაეკისრათ „თავისი ძუდმივი მოხელე ქართლში ირანელებს არ ჰყოლიათ", მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში აგზავნიდნენ მარზპანს — ასეთი იყო IV ს-ის 30-იან წ-ში „სომეხი დიდებული ვასაკ სიუნი"[23].

ქართლში სასანიანთა ბატონობის მთელ მანძილზე ქრამ ხუარ ბორზარ-

---

[19] საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 104, 107.

[20] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, აშუშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაგებისათვის, ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, თბ., 1949, გვ. 129.

[21] საქართველოს ისტორია, I (მაკეტი), თბ., 1956, გვ. 82; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959, გვ. 12, 8, 13, 55; პროფ. მ. ლორთქიფანიძის თანახმად, ალბანეთის მარზპანებს „მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია ემორჩილებოდა". იხ. მისი, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 36—37.

[22] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკე. 35, თბ., 1963, გვ. 58—59. დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ მარზპანები იმთავითვე თბილისში ისხდნენ. იხ. მისი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1, თბ., 1977, გვ. 200.

[23] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 81.

დის თბილისიდან წასელის შემდეგ (ვასაკ სიუნელის გარდა) წყაროებში ქართლის მარზპანებად მხოლოდ ირანელები ჩანან, ამიტომ ვერ დავეთანხმებით ლ.-ნ. ჯანაშიას თითქოს იმ მოვალეობას, რომელსაც ადრე ქრამ ხუარ ბორზარდი ასრულებდა შემდეგში სასანიანებს „ადგილობრივი მმართველებისათვის დაეკისრებინოთ“ და რანის მარზპანთა ხელისუფლება ქართლის მიმართ „დროებითი ხასიათისა“ იყო. ქართულ წყაროთა მითითებაში ქართლის რანის მარზპანისადმი მორჩილების შესახებ ლ-ნ. ჯანაშიამ იმ მხრივ შეიტანა ეჭვი, რომ ასეთი საგამგეო ერთეული მხოლოდ VI ს-ში შეიქმნა, მაგრამ როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ხოსრო I-ის რეფორმები არსებულის დაკანონება უნდა ყოფილიყო.

მეფობის გაუქმებამდე ქართლის სახელმწიფოს პოლიტიკური სტატუსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ვფიქრობთ მკვლევართა ნაწილი სამართლიანად უცხადებს ნდობას ქართულ წყაროთა მონაცემებს მეფობის გაუქმებამდე ქართლის რანის მარზპანისადმი მორჩილების შესახებ. მაგრამ მეფობის გაუქმების შემდეგ ქართლი, რომ ცალკე სამარზპანო ერთეული იყო, როგორც ზემოთ ვნახეთ კ. კეკელიძეს ეჭვი არ ეპარებოდა. ამავე აზრისაა ივ. ჯავახიშვილი[24], ს. ჯანაშია[25], ვ. დონდუა[26], ა. ბოგვერაძე (იხ. ზემოთ), ძ. წოწელია[27] და სხვანი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ის აგიოგრაფიული ძეგლები, რომლებშიც მეფობის გაუქმების შემდგომ ხანაში ქართლის მარზპანებია დასახელებული ასეთი დასკვნისათვის საფუძველს არ იძლევიან. მაგ., „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ ქართლის მარზპანად დასახელებული პიროვნება არ ჩანს ვინ არის[28], ხოლო „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის მიერ ქართლის მარზპანებად დასახელებული არვანდ გუშნასპი და ვეჟან ბუზმირი ქართლში იშვიათად ჩანან. ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ მეფობის გაუქმების შემდგომ ხანაში ქართლის გამგებელი მარზპანები ძირითადად მაინც ბარდავში იმყოფებოდნენ. ქართლში მეფობის გაუქმების შემდგომი ხანის მარზპანთა შესახებ არსებული მასალის გაანალიზების შემდეგ ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ რანი და ქართლი კვლავ ერთ საგამგეო ერთეულად დარჩა (იხ. ჩვენი საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, გვ. 14—17). როგორც ჩანს, გარკვეული სახეცვლილებით ამ ერთეულმა არაბთა ბატონობის ხანაშიც განაგრძო არსებობა (არაბებმა ქართლში ცალკე ამირა დანიშნეს). რის დამადასტურებლად მიგვაჩნია X ს-ის არაბი გეოგრაფის ალ-მუკადასის მიერ თბილისის არანში შემავალ ქალაქად დასახელება[29]. მსგავსი ცნობა აქვს იბნ ჰაუკალს (X ს.), იბნ ფაკიჰს, X ს-ის ანონიმ ავტორს[30]. არსებულ ცნობებს ვფიქრობთ მხარს უჭერს სუმბატ დავითის ძის მიერ აშოტ კუ-

---

[24] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 280.

[25] საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 111.

[26] საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 106.

[27] М. Цоцелия, Восточная Грузия (Картли) в III—VII вв. и ее связи с державой Сасанидов (автореферат канд. дисс.) Л., 1975, გვ. 6.

[28] ლ. მელიქსეთ-ბეგის თანახმად აგიოგრაფი როცა მარზპანზე წერს, მხედველობაში ქვემო ქართლის პიტიახში აქვს. იხ. მისი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმიკის შესწავლისათვის, „მარქსისტული ენათმეცნირებისათვის“, თბ., 1934, გვ. 37, 43.

[29] Сведения арабских географов IX и X веков. Перевод Н. А. Караулова, Тифлис, 1907, გვ. 6,3.

[30] იქვე, გვ. 92, გვ. 11; „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978, გვ. 28.

როპალატის სამთავრო ქვეყნად და სახლად „ბარდავისა და ტფილისის“ დასახელება მის გარშემო მდებარე ქვეყნებით[31] (სუმბატის ამ ცნობის კომენტარი იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 450).

ამრიგად, ძირითადად ჩრდილოელ მომთაბარეთაგან კავკასიონის ზეკარების ჩაკეტვის აუცილებლობამ განაპირობა, სასანიანებმა ქართლი ალბანეთის მარზპანს რომ დაუმორჩილეს. რან-ქართლის გამგებელთა უმეტესწილად ბარდავში ყოფნის გამო ქართლში მათი ყოფნა ქართულ საისტორიო წყაროებში არ აისახა.

ახლა რაც შეეხება დიდ თანამდებობათა მემკვიდრეობითობის საკითხს. დიდ თანამდებობებს ცნობილი საგვარეულოები ჯერ კიდევ პართიის სახელმწიფოში ფლობდნენ მემკვიდრეობით[32]. სასანიანთა ირანმა კი ადმინისტრაციული მძართველობის მხრივ ბევრი რამ მიიღო არამარტო პართიის, არამედ აქემენიანთა სახელმწიფოდანაც. სასანიანების დროს დიდ თანამდებობებზე მემკვიდრეობითობის უფლება ისე იყო განმტკიცებული, რომ როცა კავად I-მა სიკვდილით დასაჯა ხორასნის მმართველი გუშნასპადი, ეს სახელო მაინც სიკვდილით დასჯილის ნათესავს გადასცა[33]. ალ-ფაკიჰის ცნობით ტაბარისტანის მმართველს დაკავებული თანამდებობა გარდაცვალებამდე ეჭირა. თანამდებობა შემდეგ გარდაცვლილის ძეზე გადადიოდა. თუ ძე არ ჰყავდა, მაშინ ამ თანამდებობაზე სხვას აგზავნიდნენ[34]. სპაჰბედობა, მარზპანობა და სხვა დიდი სახელოები, რადგანაც ძირითადად სამხედრო-ადმინისტრაციულ სამსახურს ითვალისწინებდა (ომის დროს მათ ევალებოდათ ჯარის სარდლობა), ალბათ ამიტომ გარდაცვლილის ქალიშვილი ამ სახელოს მემკვიდრედ არ ითვლებოდა. ად-დინავარის (X ს.) ცნობიდან ჩანს, რომ ირანის ტახტზე ახლად ასული შაჰი დიდი სამხედრო-ადმინისტრაციული სახელოს მქონე პირებს ადრე დაკავებულ თანამდებობაზე ხელახლა ამტკიცებდა[35]. მარზპანთა სახელოს მემკვიდრეობითობის შესახებ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჯუანშერის ცნობები, რადგან ისინი სწორედ რან-ქართლის მარზპანთა სახელოს მემკვიდრეობითობას ეხება. ჯუანშერის თანახმად, როცა რან-ქართლის გამგებელი ბარზაბოდი გარდაიცვალა „...მის წილ დაადგინა სპარსთა მეფემან ძევე მისი ვარაზ-ბაკურ“[36]. მართალია, რან-ქართლის მარზპანთა სახელოს მემკვიდრეობითობის შესახებ ჩვენ სხვა ცნობა არა გვაქვს, მაგრამ თუ ზემოთქმულ მასალასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ეჭვი არ შეგვეპარება, რან-ქართლის მარზპანთა სახელოც რომ მემკვიდრეობითი იყო და მას ერთი საგვარეულო ფლობდა[37] (იყო გამონაკლისი შემთხვევა, როცა დიდი თანამდებობა შაჰის ოჯახის წევრს, ან ადგილობრივ დიდებულს ეჭირა. მაგ, ვასაკ

---

[31] სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 376.

[32] Н. Адонц, დასახ. ნაშრომი, გვ. 441.

[33] М. М. Дьяконов, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

[34] Ас-Савад и Табаристан по Мешхедской рукописи труда Ибн Ал-Факиха Ал-Хамадани, Издание арабского текста, перевод и примечания О. В. Цкитишвили, Тб., 1977, გვ. 46.

[35] Русский перевод арабского текста из «Книги длинных известий» Абу Ханифы ад-Динавари, «Палестинский сборник», в. 22(85), გვ. 125.

[36] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 145.

[37] რადგან ამიერკავკასიაში მოსამსახურე ირანელი მოხელეები ძირითადად მიჰრან-გუშნასპების გვარისა იყო, ბარზაბოდი და ვარაზ-ბაკური ჩვენ apriori მივიჩნიეთ მიჰრანებად.

სივნელი). ირანის ჩრდ. მხარეში ყველა დიდი თანამდებობა მიჰრან-გუშნასპთა სახლის წარმომადგენლებს ეჭირათ. რან-ქართლის მარზპანებიც ამ საგვარეულოს განეკუთვნებოდნენ მაგრამ, სანამ რან-ქართლის მარზპანთა სიას მოკიდებთ ერთი საკითხიც უნდა გავარკვიოთ. კ. კეკელიძემ, როგორც ზემოთ ვნახეთ ვარსქენი წყაროებში „რანის ერისთავად" მოხსენიების გამო „კავკასიის კუსტაკის გამგედ" (რომელსაც 13 ქვეყანა, მ. შ. ალბანეთი, ქართლი და სომხეთი ემორჩილებოდა) მიიჩნია. შემდეგში კ. კეკელიძის მოსაზრება გაიზიარა ს. კაკაბაძემ[38], ვ. დონდუამ[39], თ. პაპუაშვილმა[40]. ა. ბოგვერაძე[41] და მ. ლორთქიფანიძე[42] კი ვარსქენს, „რანის ერისთავად" (ალბანეთის მარზპანი, რომელსაც ქართლიც ემორჩილებოდა) თვლიან და ამ მოსაზრებას იმითაც ასაბუთებენ, რომ ამ თანამდებობაზე ვარსქენის ყოფნის სავარაუდებელ წლებში სხვა პიროვნება ცნობილი არაა[43]. ვარსქენის მიერ ამ სახელოს მიღებას ისინი 466/468 წ. რან-ქართლის მარზპანის ვარაზ-ბაკურის დაღუპვას უკავშირებენ[44]. ამ წელს ვარსქენმა თუ მართლა დაიკავა აღნიშნული სახელო, მისი ამ თანამდებობიდან გადაყენების შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს, აქედან გამომდინარე, ეს თანამდებობა მას სიკვდილამდე — 482[45] ან 483/484 წ.[46] უნდა სჭეროდა. ისე რომ, 481 წლიდან, როცა სომხეთი და ალბანეთი, შემდეგ ქართლიც (482 წლიდან) ანტიირანული აჯანყების ალში იყო გახვეული ვარსქენს კვლავ „კავკასიის კუსტაკის გამგის" (ე. ი. უფრო დიდი თანამდებობა, ვიდრე რან-ქართლის მარზპანი იყო) თუ არა რან-ქართლის გამგებლის სახელო მაინც თუ ეჭირა, იგი აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა გამორჩენილიყო. მაგრამ 481 წ. აჯანყებული სომხების წინააღმდეგ მებრძოლ ჯარს სომხეთის მარზპანი ატრვშნასპ იოზმანდიანი სარდლობდა[47]. იმავე ხანებში კი რან-ქართლის მარზპანად **მიჰრანი** (483 წ. ჰარმანიანის ველზე ქართველებისა და სომხების წინააღმდეგ იგი იბრძოდა) ჩანს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, ვარსქენს, რომ ასეთი თანამდებობა სჭეროდა ლაზარე ფარპეცის მხედველობიდან არ გამორჩებოდა.

ვარსქენის „რანის ერისთავად" დასახელება თუ ძველი ტრადიციის განმეორება არაა (ფეროზს, რომელიც ვარსქენის წინაპრად არის მიჩნეული ლეონტი „რანის ერისთავს" უწოდებს), მაშინ ვარსქენის „რანის ერისთავობის" საკითხში სიცხადე უნდა შეიტანოს იმის გარკვევამ, თუ რა ტერიტორიას მოიცავდა მაშინ რანი.

ვ. ბარტოლდის თანახმად, რანი თავდაპირველად აღნიშნავდა მთელ მი-

---

[38] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[39] საქართველოს ისტორია (მაკეტი), თბ., 1956, გვ. 84—86; 1958 წ. გამოცემაში ვ. დონდუამ ვარსქენი მხოლოდ „კავკასიის ერთი ოლქის უფროსად" მიიჩნია (გვ. 93).

[40] თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 104—105.

[41] ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 64; 1979 წ. გამოცემულ ნაშრომში (ქართლის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება IV—X სს., გვ. 43, 44) ა. ბოგვერაძემ შესაძლებლად მიიჩნია ვარსქენი მხოლოდ ჩორის მარზპანი ყოფილიყო.

[42] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61—62.

[43] იქვე; ა. ბოგვერაძე, ქართლს სოციალ-ეკონომიური... გვ. 45.

[44] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

[45] ლ.-ნ. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

[46] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 240, 279; საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 96.

[47] ლ.-ნ. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 147—148.

წაწყალს დარუბანდიდან თბილისამდე[48]. მ. ლორთქიფანიძის სიტყვით კი „...ქართული წყაროების „ჰერეთი" ნიშნავს როგორც კლასიკურ ალბანეთს. ასევე ქართულ ჰერეთს"[49]. ამასთანავე „...გეოგრაფიული ტერმინი „რანი" იხმარებოდა მარჯვენა ნაპირის ალბანეთის აღსანიშნავად (მტკვრისა და არაქსს შუა რომ მდებარეობდა)"[50]. რადგან რანი იყო ტერიტორია „დარუბანდიდან თბილისამდე", „ქართული ჰერეთი", „მარჯვენა ნაპირის ალბანეთი" — ე. ი. საპიტიახშოს მოსაზღვრე მიწები, მაშინ წყაროთა მითითება ვარსქენის „რანის ერისთავობის" შესახებ, როგორც ამას აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, იმაზე მიგვითითებს, რომ „ჰერეთის ერთი ნაწილი ვარსქენის სამფლობელოში შედიოდა"[51]. მართლაც, უფრო სარწმუნოა, რომ ვარსქენს ქრისტიანობის უარყოფის სანაცვლოდ სწორედ ჰერეთის ერთი ნაწილი მიეღო. რაც შეეხება საპიტიახშოს — ეს მათი ოჯახის სამემკვიდრეო სახელო იყო და ვარსქენს იგი სჯულის გამოუცვლელადაც ერგებოდა. „ჩორ"-ში (დარუბანდში) ვარსქენის ხშირი სიარული კი იმით უნდა აიხსნას, რომ ვარსქენი, ისე როგორც ირანის ქვეშევრდომი ყველა მოხელე ვალდებული იყო კავკასიონის ზეკარების დაცვაში მიეღო მონაწილეობა. არა თუ ირანის **კავკასიის ჭუსტაკის სპაჰბედის** (კ. კეკელიძის გამოთქმით „კავკასიის კუსტაკის გამგე"), გაცილებით მცირე — რან-ქართლის მარზპანის თანამდებობას ვარსქენი იმიტომაც ვერ მიიღებდა, რომ აღნიშნულ სახელოებს მემკვიდრეობით ფლობდა მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულო. როცა ვარსქენის რან-ქართლის მარზპანად ყოფნა ივარაუდება, იმ წლებში დასახელებული სახელო მიჰრანს ეკავა.

ქვემოთ მოგვყავს **რან-ქართლის მარზპანების** (რომლებიც ჩვენი ვარაუდით მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულოს წარმომადგენელები იყვნენ[52]) არასრული სია:

| | |
|---|---|
| ბარზაბოდი | V ს-ის 20—30-იანი წ-ში |
| ვარაზ-ბაკური | V ს-ის 40-იანი წ-დან 467/468 წლამდე |
| მიჰრანი | 467/468 წ-დან 483 წლამდე |
| არვანდ-ფირან გუშნასპი (მიჰრანი) | VI ს-ის დამდეგიდან 542 წლამდე (?) |
| მიჰრანი (ფირან გუშნასპის ძმა) | 542 წლიდან (?) |
| დენშაპუჰ ნახორაგანი[53] | 554 წ. შემოდგომიდან 555 წ. შემოდგომამდე |
| სემა გუშნასპი (გუშნასპი) | დაახლ. 628 წელს იხსენიება რანის მარზპანად[54]. |

როგორც ვნახეთ, აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნებში გაბატონებისთანავე, სასანიანებმა, ძირითადად კავკასიონის ზეკარების ჩასაკეტავად, შექმნეს რან-ქართლის სამარზპანო. რომლის გამგებელს ზოგჯერ სომხეთის სამხ. ძალებიც

---

[48] В. В. Бартольд, Соч., т. III, М., 1965, გვ. 334.

[49] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117, შენიშვნა № 19.

[50] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, გვ. 108; თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

[51] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 461.

[52] რაც შეეხება სომხეთის მარზპანებს, ჩვენ მიჰრან-გუშნასპთა გვარისად შემდეგნი მიგვაჩნია: ვეჰ მიჰრ შაპუჰი (428—443); ატრვშნასპ (ადჰურ გუშნასპ) იოზმანდიანი (451—481); შაპუჰ მიჰრანი (483—485); დენშპუჰ ნახორაგანი (548—552); ბაჰრამ გუშნასპ-მიჰრანი (552—558); სურენი ჰიჰოერ გუშნასპი (564—572); ვარდან გუშნასპი (572 წლიდან — ?).

[53] ნახორაგანი ირანში ტიტული იყო. იხ. ჩვენი, VI საუკუნეში ქართლის..., გვ. 120, შენ. № 84.

[54] სემა გუშნასპი რომ რან-ქართლის მარზპანი იყო, ამის სასარგებლოდ ისიც უნდა მიუთითებდეს რომ 628 წ. თბილისის დამცველთა შორის მარზპანი არ ჩანს.

ემორჩილებოდა. რან-ქართლის, სომხეთის და საერთოდ ირანის ჩრდ. მხარეში მოსამსახურე ყველა ირანელი მოხელე ძირითადად მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულოს განეკუთვნებოდა. ქვემოთ სწორედ ამ საგვარეულოს წარმომავლობის, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა ქართლში მოსვლისა და მემკვიდრეობითი სამსახურის საისტორიო ტრადიციაში ასახვის საკითხს შევეხებით. შევეცდებით პასუხი გავცეთ ლეონტი მროველის ზოგიერთ ცნობას ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის—მირიანის შესახებ.

ძველ ავტორთა ცნობით, მიჰრანთა საგვარეულოს სამშობლო რეი იყო ჩრდ. ირანში[55]. ატ-ტაბარი გარდა იმისა, რომ მიჰრანთა სამშობლოდ რეის ასახელებს, რეი მას სპანდიატთა რეზიდენციად მიაჩნია[56]. საერთოდ სპანდიატები და მიჰრანები იმ ცნობილ შვიდ საგვარეულოს განეკუთვნებოდნენ, რომლებიც სასანიანთა ხანის ირანში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ და თავს პართიის სამეფო დინასტიის — არშაკუნიანთა[57] შთამომავლად თვლიდნენ[58]. V ს-ის ირანის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე მიჰრ-ნარსეჰი, რომლის სახელი ჯარგად არის ცნობილი სომხეთ-ალბანეთ-ქართლის ისტორიაში სპანდიატის გვარისა იყო[59]. ასევე ბაჰრამ ჩუბინს, რომლის მიჰრან-გუშნასპთა სახლისადმი კუთვნილება ეჭვს არ იწვევს, VII ს-ის სომეხი ისტორიკოსი სებეოსი სპანდიატად იხსენიებს[60].

რადგანაც ამიერკავკასიის ქვეყნებში მარზპანებად მიჰრან-გუშნასპები (იგივე სპანდიატები) ჩანან, ქართლში მათი მოსვლა და სამსახური გარკვეულად უნდა ასახულიყო, როგორც უცხოურ ისე ქართულ საისტორიო ტრადიციაში.

ნ. ადონცის თანახმად, „სპარსთა ჯარი ზოგიერთი ნიშნის მიხედვით სპანდიატთა საგვარეულოს ხელში იყო“[61]. „ირანულ ეპოსში... მას ალანთა კარის აშენება და რკინის ქალაქის ციხესიმაგრის აღება მიეწერება... მოვსეს კალანკატვაცი მას... ღმერთ ტენგრი ხანს ადარებს, რომელსაც ჰუნები ცხენებს სწირავდნენ მსხვერპლად. სპანდიატისადმი შეწირული მსხვერპლი მას ატროპატენში მდებარე მიჰრანების ცეცხლის კულტ aϑr-všnsp-თან ანათესავებს.

---

[55] Ф е о ф и л а к т С и м о к а т т а, История. Перевод. С. П. К о н д р а т ь е в а, М., 1957, გვ. 93; რეიდან იყო რან-ქართლის მარზპანი ფირან გუშნასპი (მიჰრანი). იხ. G. H o f f m a n n., Auszüge..., გვ. 78.

[56] Th. N ö l d e k e, Geschichte der Perser und Araber zur Zeit der Sasaniden. Aus der Arabischen Chronik des Tabari, Leiden, 1879, გვ. 270.

[57] აკად გ. მელიქიშვილმა, როცა ლეონტი მროველის ცნობებს შეეხო, აღნიშნა: „ყველა მიჰრანის სპარსელად ანდა მათ მიერ აღზრდილად გამოცხადება შემთხვევითი არ არის. ყოველივე ეს, როგორც ჩანს, ემყარება იმ ფაქტის გააზრებას, რომ „მიჰრანი“ არშაკიდულ და სასანიდურ ირანში სპარსელი დიდგვაროვნების ერთ-ერთი გავლენიანი გვარის სახელწოდება იყო“. იხ. მ ი ს ი, დასახ. ნაშრომი, ეკ. 40.

[58] Ф е о ф и л а к т С и м о к а т т а, გვ. 93—94; ამ საგვარეულოების არშაკუნიანებისაგან ჩამოშავლობაზე ეჭვი შეაქვთ (იხ. მ. დიაკონოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 406, შენიშვნა 109), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რომ „გუშნასპი“ (Adhur Guš.asp—გუშნასპის ცეცხლი) მაზდეანური რელიგიის სამი წმინდა ცეცხლიდან ერთ-ერთის სახელი იყო, ხოლო მიჰრანი (მიჰრ—მითრა) მზის ღვთაებას განასახიერებდა, მაშინ ასეთი დაეჭვებისათვის ნაკლები საფუძველი გვექნება.

[59] გ. მ ა მ უ ლ ი ა, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის წყაროები, მაცნე, 1964, № 4, გვ. 264.

[60] История епископа Себеоса. Перевод Ст. М а л х а с я н ц а, Ереван, 1939, გვ. 33.

[61] Н. А д о н ц, დასახ. ნაშრომი, გვ. 447.

სპანდიატი არშაკიდული წარმოშობისაა". შემდეგ ნ. ადონცი კითხვას სვამს „ცხენების შეწირვა ხომ არაა სიმბოლო სპანდიატთა გვარის, როგორც კავალერიის უფროსისა"[62].

ირანულ ეპოსში გადმოცემულ ამბავს სპანდიატის მიერ „ალანთა ციხის" აშენების შესახებ არაბი გეოგრაფი ალ-მასუდიც (გ. 956) იმეორებს და უმატებს, რომ ციხეში მდგომი ჯარის მოვალეობას „ალანთაგან კავკასიის გზის ჩაკეტვა შეადგენდა"[63]. რაც განსაკუთრებით საინტერესოა, კონსტანტინე პორფიროგენეტი (905—959) სპანდიატს უკვე ქართველ გმირად ასახელებს[64]. აკად. ს. ყაუხჩიშვილის თანახმად, პორფიროგენეტთან მოხსენიებული სპანდიატი, რომელმაც ალანთა ციხე (დარიალი) ააშენა უხსოვარ დროს სპარსეთის მეფედ ითვლებოდა[65].

პორფიროგენეტი სპანდიატის შესახებ უეჭველია ქართულ საისტორიო ტრადიციას ეყრდნობოდა, რომელშიც X ს-ის დამდეგისათვის ძველირანული გმირი უკვე ქართველად უნდა ყოფილიყო მოხსენიებული. რადგანაც, აღნიშნულმა სიუჟეტმა ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში შეაღწია და აისახა, ცხადია, გარკვეულ კვალს იგი ქართულ საისტორიო ლიტერატურას დაამჩნევდა.

ძველირანული ეპოსის ლეგენდარული გმირის — სპანდიატის შესახებ არსებულ მასალათა გაანალიზების შემდეგ გ. მამულია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „...უკვე სასანიანთა ხანაში არსებობდა ლეგენდის ციკლი სპანდიატის მიერ დარიალის კარის შებმის შესახებ"[66]. ირანიდან ქართლს შემოსული სპანდიატის ლეგენდის ფალაური ეპოსის ქართულ ვერსიად ჩამოყალიბება, მისი ვარაუდით III ს-ის II ნახ. და IV ს-ის I ნახ-ში უნდა მომხდარიყო[67], ხოლო მისი ლიტერატურული რედაქცია IV—V ს-ებში[68]. „იგი ლეონტის ქართულ წყაროს წარმოადგენდა"[69].

ვფიქრობთ, ძველ წყაროებში ასახული ამბავი „სპანდიატის მიერ დარიალის კარის შებმის შესახებ" ლეგენდა კი არაა, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნებში, მ. შ. ქართლში სპანდიატთა (იგივე მიჰრან-გუშნასპ—არშაკუნიანთა) ხანგრძლივი სამსახურის ისტორიულ რეალობას ემყარება. ამ რეალობაზე დაყრდნობით შექმნილი როგორც ქართული საისტორიო ტრადიცია, ისე მისი ლიტერატურული რედაქცია სასანიანთა ირანის დაცემის შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო, რადგან ამ საგვარეულოს წარმომადგენელები რან-ქართლში 628 წლამდე რეალურად მსახურობდნენ. გ. მამულია მიუთითებს, რა სპანდიატთა საგვარეულოს იმ ცნობილ შვიდი გვარისადმი კუთვნილების შესახებ, რომლებიც ირანის სახელმწიფო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდნენ, ვარაუდს გამოთქვამს: „...ვინ იცის, შესაძლოა III საუკ. ქართლის წინააღმდეგ ლაშქრობას სწორედ სპანდიატთა გვარის რომელიმე წევრი მოთაყეობდა და ამ მიზეზით ისტორიულ სპანდიატს ლეგენდარული სპანდიატი შეენაცვლა"[70].

---

[62] Н. Адонц, დასახ. ნაშრომი, შენიშვნა № 3.
[63] Сведения арабских географов, გვ. 53.
[64] გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, გვ. 257.
[65] იქვე, შენიშვნა № 1.
[66] გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.
[67] იქვე, გვ. 254.
[68] იქვე, გვ. 243, 255—256.
[69] იქვე, გვ. 243.
[70] იქვე, გვ. 264.

ჩვენ საეჭვოდ არ გვეჩვენება, რომ ჯერ პართიის, შემდეგ კი სასანიანთა სახელმწიფოს ყველა სამხედრო კამპანიას ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ სწორედ მიჰრან-სპანდიატები ხელმძღვანელობდნენ. ქართლის უძველესი ისტორიის გადმოცემისას ლეონტი შემთხვევით არ მოგვითხრობს სპარსთა მეფის ძის „...სპანდიატ-რვალის ქართლისა და ხომხეთის წინააღმდეგ ბრძოლას“ და სპანდიატის ძის — არდაშირის დროს „ქართველთა მის მოხარკედ გახდომას“[71]. მართალია, ლეონტის ცნობა არდაშირის (არდაშირ I—224—241, უნდა იგულისხმებოდეს) დროს ქართლის ირანის მოხარკედ გახდომის შესახებ უზუსტობაა, მაგრამ ამ ფაქტს ამჯერად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მიჰრან-გუშნასპ-სპანდიატთა საგვარეულოს წარმომადგენლები უძველესი დროიდან ირანის აღმ. ნაწილში ხორასანში ასრულებდნენ სამხედრო სამსახურს და მათ ძირითად მოვალეობას ირანში აღმოსავლეთიდან შემოჭრილი მტრების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. ამ საგვარეულოს წარმომადგენლები, რადგანაც ძირითადად სამხედრო საქმეში იყვნენ დაკავებულნი, რა თქმა უნდა, დიდ როლს შეასრულებდნენ ქართლში ჯერ პართიის ექსპანსიის, შემდეგ კი სასანიანთა გაბატონების საქმეში. ამით უნდა აიხსნას, ის რომ, შორეულ ბალხეთში — თურქების წინააღმდეგ მებრძოლ „ლეგენდარულ სპანდიატს“ ახ. წ. I—II ს-ში „...კავკასიის მხრიდან მოსული მტერი იბერ-ალანთა საბით გამოუჩნდა და სპარსთა ეს საყვარელი ლეგენდარული ფალავანი იბერ-ალანთა რაზმებს საბრძოლველად მოუბრუნდა“[72]. ამ დროიდან მიჰრან-გუშნასპ-სპანდიატებმა, როგორც ჩანს ირანის ჩრდ. ნაწილშიც (მ. შ. ქართლში) მოიპოვეს მემკვიდრეობითი სამსახურის უფლება, რაც სასანიანთა სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე შეინარჩუნეს. ამიერკავკასიასა და ქართლში მიჰრან-სპანდიატთა სახლის წარმომადგენელთა ხანგრძლივ სამსახურზე დაყრდნობით შექმნილი საისტორიო ტრადიცია უნდა ედოს საფუძვლად ძველ ავტორთა ცნობებს სპანდიატის მიერ „ალანთა ციხის აშენების“ შესახებ. ასევე ცხადია, რომ სასანიანთა ხანის ქართლის ისტორიის გადმოცემისას ლეონტის ირანის ისტორიის ამსახველ წყაროსთან (ასეთად გ. მამულია „ხოდაი ნამეს ერთ-ერთ არაბულ კომპენდიუმს“ თვლის) ხელთ უნდა ჰქონოდა ქართული წყარო, რომელშიც მიჰრან-გუშნასპ-სპანდიატები უკვე ქართველ გმირებად იქნებოდნენ მოხსენიებულნი[73]. სწორედ ასეთ წყაროთა სინთეზზე უნდა იყოს დაფუძნებული ლეონტის ცნობები ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის — მირიანის შესახებ.

ლეონტის ცნობით, ქართლის მეფე ასფაგურის გარდაცვალებით „...დაესრულნეს მეფენი ქართლისანი ფარნავაზიანნი“. ამის შემდეგ ქართლის ერისთავებს ირანის შაჰისათვის უთხოვიათ „ძე მისი მეფედ“. ქართველთა თხოვნის შემდეგ შაჰი უპირველეს ყოვლისა ქ. მცხეთით დაინტერესებულა და როცა „...უთხრეს სივრცე და სიმაგრე მისი და მახლობლობა ხაზართა და ოვსთა“. შაჰმა მხოლოდ ამის შემდეგ „შეიწყნარა ქართველთა ვედრება“ და თა-

---

[71] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, დასახ. თხზ, გვ. 10.

[72] გ. მ ა მ უ ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 253.

[73] ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ქართული თქმულების გმირის — ამირანის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო „ამიჰრან“, რაც ძველი მხრივ, „ამითრან“-ს, „მითრას“ უდრის. იხ. მ ი ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.]

ვის შვიდი წლის ძეს „რომელსა ერქვა სპარსულად მიჰრან, ხოლო ქართულად მირიან“ შერთო ასფაგურის ასული აბეშურა. ქართლის სამეფო ტახტზე დასმული მირიანი ლეონტის ცნობით შაჰმა „...ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანის და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად გამოაცხადა და მახლობლად ჩრდილოთა მტერთა, რათა ჰბრძოდის მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა“. მირიანი განსაკუთრებით ყურადღებით უნდა მოჰკიდებოდა „ქართა“ და „ციხეთა“ დაცვას.

ქართლში გამეფებული მირიანი როცა 15 წლისა გახდა „მოკუდა ასული ქართველთა მეფისა და... დაესრულა ქართლსა შინა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა“. შემდეგში მირიანის მამა ირანის შაჰი გარდაცვლილა და მირიანს, როგორც უფროს ძეს ირანის ტახტზე განუცხადებია პრეტენზია. მაგრამ მას, როგორც მიჰრანის გვარის მხევალი ქალისაგან ნაშობს ტახტზე უარი უთხრეს, სამაგიეროდ კი ჯაზირეთი, შამის ნახევარი და ადარბადაგანი მისცეს (გვ. 64—67).

როგორც ვხედავთ, ლეონტის კონცეფციით მირიანი (იგივე მიჰრანი) ირანელი უფლისწული იყო. რაც მთავარია მის ძირითად მოვალეობად ლეონტი „ჩრდილოელ მტერთა“ წინააღმდეგ ბრძოლას და „ქართა“ დაცვას ასახელებს[74]. იგი განაგებდა „ქართლს, სომხეთს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს, ეგრს“ (გვ. 65, 67, 70) „და მის კერძოთა ყოვლისა ქვეყნებს“, შემდეგ კი ირანის იმპერიის დიდი ნაწილის მფლობელიც გახდა.

ლეონტის თხზულებიდან ზემომოყვანილი ცნობების გაანალიზებისას შემდეგი საკითხები ისმება: ა. აბეშურას გარდაცვალებით მართლა შეწყდა ქართლში ფარნავაზიანთა სამეფო დინასტია; ბ. იყო მირიანი ირანელი უფლისწული (მიჰრანის გვარის ქალისაგან ნაშობი); გ. ლეონტი რატომ ასახელებს ქართლში გამეფებული ირანელი უფლისწულის შოვალეობად იმ პირობებს, რაც როგორც ზემოთ ვნახეთ რან-ქართლის მარზაპანთა სახელოს წარმოადგენდა; დ. ვის შეიძლებოდა მიეღო ჯაზირეთი, შამის ნახევარი და ადარბადაგანი.

მირიანის ირანული წარმომავლობის შესახებ ლეონტის მიერ მოთხრობილმა ამბავმა, რა თქმა უნდა, იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. აკად. გ. მელიქიშვილის თანახმად, ლეონტის ცნობები მირიანის შესახებ „...შეიძლება გვიანდელი შენათხზი იყოს და დიდი წინაპრის ძებნის საფუძველზე აღმოცენებულ მოვლენას წარმოადგენდეს“[75] (ეს მოსაზრება გაიზიარა ლ.-ნ ჯანაშიამ და ნ. ლომოურმა[76]). საერთოდ კი იგნორირებული იქნა ლეონტის ცნობა ასფაგურის უძეოდ გარდაცვალების შესახებ და მითითებული იქნა, რომ რადგანაც ბუზანდაცი მირიანის მეფობის შემდგომ ხანაში ქართლში კვლავ იხსენიებს ფარ[ნ]ავაზიანებს (ბუზანდაცის ცნობით მუშელ მამიკონიანმა ქართლში ამოხოცა როგორც ფარნავაზიანთა სახლის წევრები, ისე გუგარქის პიტიახშთა საგვარეულო), ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტო-

---

[74] შდრ. მირიანის „...უფროისი ლაშქრობა... იყვის დარუბანდს“ (გვ. 66); „...მრავალგზის სისხლით ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან“ (გვ. 67); „...მირიან წარვიდა შველად დარუბანდისა“ (გვ. 68).

[75] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ისტორიის ინ-ტის შრომები, IV, ნაკეთ. I, თბ., 1958, გვ. 162.

[76] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 60; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1975, გვ 42—43.

რი ნირიანის მამად ლევს (რევს) ასახელებს, ამასთანავე ჯუანშერის ცნობით მირიანის ერთ ძეს რევი ერქვა (როგორც ჩანს, შვილიშვილი პაპის სახელს ატარებდა), ქართლში არ შეწყვეტილა ფარნავაზიანთა დინასტია და ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე რევის ძე უნდა ყოფილიყო და არა ირანელი უფლისწული[77].

მართლაც, დაუჯერებელია IV ს-ის 60—70-იან წ-ში სომეხთა სარდალს მცხეთაში მჯდომი ფარნავაზიანთა სამეფო სახლის წევრები ამოეწყვიტა. ამ მხრივ ბუზანდაცის ცნობის სიყალბე აშკარაა[78]. ისე რომ, მირიანის შემდგომი ხანის ქართლში კვლავ ფარნავაზიანთა დინასტია რომ განაგრძობდა არსებობას ამის დასამტკიცებლად ბუზანდაცის ცნობა არ გამოგვადგება. მეორე მხრივ, არავითარი საფუძველი არა გვაქვს უარვყოთ ლეონტის ცნობა ასფაგურის უძეოდ გარდაცვალებისა და მისი ასულის — აბეშურასათვის მირიანის შერთვის წესახებ. ამასთანავე, რადგანაც, მირიანი ქართველი უფლისწული (რევის ძე) ჩანს, გასარკვევია რა დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო ფარნავაზიანთა ის სახლი, რომელსაც მირიანი განეკუთვნებოდა ასფაგურის შტოს ფარნავაზიანთა სახლთან.

ლეონტის ცნობით, მირიანი შაჰის ძე იყო. ლეონტიმ ისიც იცოდა ირანის შაჰები სასანიანთა საგვარეულოს რომ განეკუთვნებოდნენ[79]. აქედან გამომდინარე მირიანი სასანიანი უფლისწული იყო. იმ დროისათვის ირანის იმპერიაში უფრო სახელოვანი საგვარეულო არ არსებობდა. მაგრამ, ამიერკავკასიაში მოსამსახურე მიჰრანთა საგვარეულოს შესახებ ჩვენს მიერ მოტანილი მასალების შემდეგ ნათელია მირიანისათვის „დიდი და სახელოვანი წინაპრის" ძოძებნით დაინტერესებულმა ავტორმა რატომ დააკავშირა მირიანი მიჰრანთა და არა სასანიანთა საგვარეულოსთან; რატომ მიიჩნევს მას მთელი ამიერკავკასიის მმართველად.

ის ისტორიული ვითარება, რომელზე დაყრდნობითაც ლეონტიმ შეთხზა ცნობები მირიანის შესახებ ასე გვესახება: გამორიცხული არაა ასფაგურს მართლაც არ დარჩა ძე. ამიტომ მაშინდელი ქართლის პოლიტიკოსთა წინაშე დაისმებოდა საკითხი აბეშურასათვის საქმრო მოეძებნათ. რადგან ლეონტის ცნობა აბეშურას საქმროდ ირანელი უფლისწულის მოყვანის შესახებ არ დასტურდება და მირიანის შემდეგ ქართლის ტახტზე კვლავ ფარნავაზიანები ჩანან, უნდა ვივარაუდოთ, ქართლის ერისთავებმა აბეშურას საქმრო ქართლშივე შეურჩიეს, ისევ ფარნავაზიანთა სახლის ჩამომავალი (ფარნავაზიანთა სახლის წევრებს შორის ქორწინება დასაშვებად ითვლებოდა[80]). როგორც ჩანს, III ს-ის დასასრულისათვის ქართლში ფარნავაზიანთა სამეფო სახლის გვერდით, ფარნავაზიანთა სხვა სახლიც არსებობდა (ფარნავაზიანთა მეორე შტო ქართლში ორმეფობის[81] შემდეგ უნდა შემორჩენილიყო). აკად. გ. მელიქიშვილის

---

[77] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 61—62.

[78] ა. ბოგვერაძე, ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გაყოფის საკითხისათვის, ძიებანი საქ. და კავკ. ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 94—95. უფრო მისაღები ჩანს ფავსტოსის ცნობა მეშველ მამიკონიანის მიერ გუგარქის პიტიახშთა საგვარეულოს ამოწყვეტის შესახებ, რადგან ქართული საისტორიო ტრადიცია საპიტიახშოს წარმოქმნას მირიანის სახელთან აკავშირებს. ა. ბოგვერაძის თანახმად, ეს 387 წ. მახლობელ ხანაში უნდა მომხდარიყო (იხ. მისი, ქართლის პიტიახშთა... გვ. 66, შენიშვნა № 60).

[79] ლეონტი მროველი, დასახ. თხზ., გვ. 64.

[80] ჯუანშერი, დასახ. თხზ., გვ. 151.

[81] ორმეფობის შესახებ იხ. გ. მელიქიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

შენიშვნით, მართალია არც „პეტრე იბერის ცხოვრებამ“ და არც ქართულმა წყაროებმა არაფერი იციან ქართლში ორმეფობის შესახებ, მაგრამ „...სწორედ ამ მოვლენის განსაზიერებას უნდა წარმოადგენდეს ის დახლართული სურათი ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრეობისა, რომელიც წარმოდგენილია ამ წყაროებში“[82].

ქართლის სამეფოში არსებულ მეფის შემდგომი მეორე პირის ინსტიტუტს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ნათელი გახდება მცხეთაში მჯდომი ასფაგურაბეშურას ფარნავაზიანთა სამეფო სახლის უძეოდ გადაგების შემდეგ ქართლის ტახტზე რატომ ჩანან ისევ ფარნავაზიანები.

მირიანი არმაზში მჯდომი მეფის შემდგომ მეორე პირების — ქართლის სპასპეტების[83] (რომელთაც „პოლიტიკური გათიშვის შემთხვევაში“ „მტკვრის სამხრეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მიწა-წყალი“ რჩებოდათ) ფარნავაზიანთა სახლის ჩამომავალი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ასფაგურის უძეოდ გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტზე მირიანის სახით ფარნავაზიანთა არმაზული შტოს წარმომადგენელი დაჯდა, როგორც ჩანს მირიანის ორი ძიდან ერთმა (ალბათ რევმა) ძველი ტრადიციით ქართლის სპასპეტის სახელო მიიღო[84], რის დამადასტურებელია ამიანუს მარცელინუსის ცნობა 369 წ. საურმაგისა და ასფაგურის მიერ ქართლის ორად გაყოფის შესახებ (ა. ბოგვერაძე მათ მირიანის შთამომავლებად თვლის. იხ. მისი, ქართლის პოლიტიკური... გვ. 23). ამ გაყოფისას საურმაგს ქართლის ის ნაწილი შეხვდა, რომელიც ადრე მირიანის წინაპარ, ქართლში მეორე პირებს — სპასპეტებს ეკუთვნოდათ[85].

მირიან-საურმაგის კუთვნილი ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობდა ჭვემო ქართლის საპიტიახშო (სომხ. გუგარქი). საპიტიახშოს წარმოქმნის დროდ ძვ. წ. I ს. ითვლება, სომხური წყაროები გუგარქის პიტიახშს ქართლის პიტიახშსაც უწოდებენ. სომხური გეოგრაფიის (VII ს.) ცნობით (მათში უფრო ძველი ვითარებაა ასახული), გუგარქის საპიტიახშო მთლიანად მოიცავდა ქართლის სამეფოს სამხრეთ პროვინციებს კლარჯეთიდან ხუნანამდე[86]. ტერიტორია „კლარჯეთიდან ხუნანამდე“ (დაახლ. ქართლის ეს ნაწილი ერგო 369 წ. საურმაგს) კი ქართლის ის ნაწილია, ადრე მეფის შემდგომ მეორე პირებს, არმაზში მჯდომ

---

[82] გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

[83] არაა მართალი პ. ინგოროყვა, როცა შიდა ქართლის პიტიახშებს (?) სამეფო გვარის ჩამომავლებად თვლის და მათ რეზიდენციად არმაზს მიიჩნევს. იხ. მისი, ძველი ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, თხზ., ტ. IV, თბ., 1978, გვ. 541, 544, 546—547.

[84] მირიანის შემდგომი ხანის არმაზელ სპასპეტთა ერთ-ერთი ჩამომავალი უნდა ყოფილიყო ფარსმან მეფის (VI ს. 30-იანი წ-ში) თანამედროვე ეუაგრე, რომელიც იყო „შემდგომად მეფისა გამგებელ სამეფოჲსა ქართველთაჲსა და... სპასპეტი“. ქართლში მეფის არყოფნის ჟამს კი „მცველი სამეფოჲსა“. იხ. ასურელ მოღვაწეთა, ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 108—109.

[85] საურმაგს მირიანის შთამომავლად თვლის ა. ბოგვერაძე. იხ. მისი, ქართლის (იბერიის)..., გვ. 89, 98 და ლ.-ნ. ჯანაშია. იხ. მისი, ლაზარ ფარპეცის.., გვ. 80—82.

[86] იხ. სტატია — გოგარენე, ქსე, ტ. III. ხორენაცი (გვ. 59) გუგარქის საპიტიახშოს წარმოქმნას ალექსანდრე მაკედონელის სახელთან აკავშირებს. სომხურ წყაროებში გუგარქის პიტიახშის ქართლის პიტიახშად მოხსენიება, მართალია იმ ხანზე უნდა მიგვითითებდეს, როცა ისინი მეფის შემდგომ მეორე პიროვნებას წარმოადგენდნენ, მაგრამ არ არის მართალი კ. გრიგოლია V—VI სს. პიტიახშებს მთელი ქართლის პიტიახშებად რომ მიიჩნევს. იხ. მისი, V—VI საუკუნეთა ქართლის პიტიახშები და მათი სახელოს საკითხისათვის, მნათობი, 1959, № 4, გვ. 172.

ქართლის სპასპეტებს — პიტიახშებს (ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით ქართლის აღწერისას სტრაბონის მიერ ნახსენები ὁ δεύτερος — მეორე პირი სამეფოში იგივე სპასპეტი, პიტიახში უნდა იყოს[87]), რომ ეკუთვნოდა[88].

მირიანის წინაპარი ფარნავაზიანების (ქართლის სპასპეტ-პიტიახშების) კუთვნილი ქართლის ნაწილი, სადაც შემდეგში ქვემო ქართლის საპიტიახშო ჩამოყალიბდა, II ს-ის შემდეგ სომხეთის სამეფოში მოექცა. ვფიქრობთ, სწორედ აღნიშნულით უნდა აიხსნას ხორენაცი მირიანს „იბერიის მმართველად“ და „გუგარქის პიტიახშად“ რომ იხსენიებს. რაც შეეხება, იმას ხორენაცი მირიანს „მიჰრანს“ რომ უწოდებს, მას სომხეთის მეფის — თრდატის ქვეშევრდომად და ჩრდილოეთის ჯარის სარდლად (ხორენაცისავე ცნობით, „მიჰრანი“ ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ხალხებთან ბრძოლაში დაიღუპა) თვლის[89] — პირველ შემთხვევაში ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც მირიანის წინაპარი თაობის ფარნავაზიანთა სახლის წევრები ფლობდნენ, რეალურად არსებული ვითარება არის ასახული. რადგან, ეს ნაწილი ქართლმა 387 წ. (ე. ი. მირიანის ქართლის ტახტზე ასვლისას საპატიახშო კვლავ სომხეთში შედიოდა) დაიბრუნა[90]. მირიანის „მიჰრანად“ და ჩრდ. ჯარის სარდლად დასახელებას კი, მიჰრანთა საგვარეულოს მარზპანთა უფლება-მოვალეობანი უნდა ედოს საფუძვლად (მსგავსი ვითარება გვაქვს ლეონტისთანაც).

ახლა რაც შეეხება ლეონტის ცნობას მირიანის მიერ ირანის იმპერიის დიდი ნაწილის მემკვიდრეობით მიღების შესახებ. ლეონტის ამ ცნობათა ახსნა ლ.-ნ. ჯანაშიამ სცადა. თავი რომ დავანებოთ მირიანის ირანული ჩამომავლობის ლეგენდარულობას, — წერს იგი, — იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაცია სავსებით გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ქართლის მეფეს ჯაზირეთი (წუამდინარეთი), ადარბადაგანი და შამის (სირიის) ნახევარი სჭეროდა. „არადამაჯერებლად გამოიყურება ისიც, თითქოს მირიანს ქართლის გარდა სჭეროდეს ეგრისი, სომხეთი, რანი, ჰერეთი და მოვაკანი, ე. ი. მთელი ამიერკავკასია“. შემდეგ ვარაუდს გამოთქვამს: შესაძლებელია მირიანი ირან-რომაელთა ომის მსვლელობაში, ირანელებთან ერთად გამოვიდა და ომის პირველ პერიოდში, როცა ირანელებმა ხელთ იგდეს რომის იმპერიის ტერიტორიის ნაწილი, სომხეთი, თუ მისი რომელიმე ოლქი ირანელებმა საგამგეოდ ჩააბარეს კიდეც მირიანს. რაც შეეხება რანს, ჰერეთსა და მოვაკანს არ ჩანს, რატომ უნდა გაევრცელებინათ ირანელებს მირიანის უფლება ამ ქვეყნებზეც[91]. ა. ბოგვერაძის თანახმად, ლეონტის მოთხრობაში, რომ მირიან მეფეს ეჭირა მთელი ამიერკავკასია, ჯაზირეთი, ადარბადაგანი და შამის ნახევარი, ბევრი რამ

[87] თ. გამსახურდია, პიტიახშთა ინსტიტუტის საკითხისათვის, მაცნე, 1970, № 6, გვ. 74, 73; კ. კორშის ეტიმოლოგიით „პიტიახში“ არის ირანული bitya—xšara—„მეფის შემდგომ მეორე“. იხ. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 538, 546.

[88] შდრ., გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 119, 121; М. В. Цоцелия, Из истории взаимоотношений Картли с сасанидским Ираном, Тб., 1975, გვ. 10.

[89] История Армении Моисея Хоренского, перевод Н. Эмина, М., 1893 გვ. 146; შდრ. გვ. 131, 132, 147, 149, 150.

[90] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80, 146 და სხვ. ა. ბოგვერაძის თანახმად, საპიტიახშო ტერიტორია ქართლმა უფრო ადრე დაიბრუნა. იხ. მისი, ქართლის (იბერიის) სამეფოს..., გვ. 98.

[91] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 62—63.

შეთხზულია, მაგრამ ეს ცნობა რეალური სინამდვილის ანარეკლი ჩანს[92]. მაგრამ საიდან ჩანს, რომ ლეონტის ცნობები რეალური სინამდვილის ანარეკლია ა. ბოგვერაძე არაფერს წერს.

ლეონტის ცნობას მირიანის მიერ ირანის ზემოდასახელებული ტერიტორიების მემკვიდრეობით მიღების შესახებ შემდეგი ისტორიული რეალობა უნდა ედოს საფუძვლად:

პირველი სასანიანი შაჰები, ტრადიციისამებრ უფლისწულებს სამართავად აძლევდნენ ირანის იმპერიის სხვადასხვა ნაწილს. შაბურ I-ის დროს განაპირა მხარეების მეფის ტიტულს შვიდი კაცი ატარებდა, მათგან ოთხი თვით შაბურის ძე იყო[93]. დაახლ. 274 წლიდან შაბურ I-ის მესამე ძე — ნარსე „სომხეთის მეფის ტიტულით“ განაგებდა „სპარსულ სომხეთს“, რომელშიც აზერბაიჯანიც შედიოდა[94]. ნისიბისის ზავამდე (298) ქართლი რადგან ჯერ კიდევ ირანის მოკავშირედ ითვლებოდა[95], ნარსესათვის სამართავად მიცემულ „სუფლისწულოში“ ქართლიც უნდა ყოფილიყო გაერთიანებული. ამიტომ, უეჭველია, როცა ირანელ დიდებულთა ერთი ნაწილის მხარდაჭერით სომხეთში მჯოფი ნარსე 293 წ. ირანის ტახტზე ასულ მცირეწლოვან ვარჰარან III-ს აუჯანყდა, მის მომხრეთა შორის ქართლის მმართველიც იქნებოდა.

ქტეზიფონისაკენ მიმავალმა ნარსემ, თავისი მომხრეების შეხვედრის აღსანიშნავად ამოკვეთა პაიკულის წარწერა. წარწერაში ნარსეს მომხრე დიდებულთა შორის მეოთხე ადგილზე მოხსენიებული პიტიახში პაპაკი[96] და მცხეთაში — არმაზისხევში აღმოჩენილ თასის წარწერაში ნახსენები პიტიახში პაპაკი იდენტურ პირებად არიან მიჩნეულნი[97]. რ. ნ. ფრაის შესაძლებლად მიაჩნია პიტიახში პაპაკი ირანის შაჰინ-შაჰის სახლის წევრი ყოფილიყო[98].

თუ „პიტიახშ პაპაკს არდაშირის ძეს“ (როგორც ჩანს იგი პაპის სახელს ატარებდა) სასანიანთა სახლის წევრად მივაჩნევთ, მაშინ სავარაუდებელია სწორედ იგი იყო დედით მიჰრანი ირანელი უფლისწული. როგორც წარწერიდან ჩანს, პაპაკს აქტიური მონაწილეობა მიუღია 293 წ. ნარსეს ბრძოლაში (სავარაუდებელია ქართლის ჯარით) ირანის ტახტის დასაკავებლად[99], მაგრამ მას როგორც უფლისწულს ირანის ტახტზე თვითონაც ექნებოდა პრეტენზიები, ამიტომ ვფიქრობთ, ლეონტის მიერ დასახელებული ტერიტორიები სწორედ მას უნდა მიეღო ნარსესაგან. პიტიახშ პაპაკის სახით ჩვენ საქმე გვაქვს

---

[92] ა. ბოგვერაძე, ქართლის (იბერიის) სამეფოს.., გვ. 96.

[93] В. Г. Луконин, Иран в эпоху первых Сасанидов, Л., 1961, გვ. 14.

[94] В. Г. Луконин, Иран в III веке, М., 1979, გვ. 6—7; III ს-ში საუფლისწულოები მემკვიდრეობით არ გადაიცემოდა (იქვე, გვ. 12).

[95] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 62.

[96] В. Г. Луконин, Иран в III веке, გვ. 66, 25.

[97] В. Г. Луконин, Иран в эпоху..., გვ. 63. ე. ჰერცფელდი პაიკულის წარწერაში მოხსენიებულ პიტიახშ პაპაკს შაბურ I-ის ძედ თვლიდა და მას ქართლის მეფე მირიანთან აიგივებდა (იქვე). კ. თუმანოვის თანახმად მირიანი ირანელი უფლისწული კი არ იყო, არამედ მიჰრანთა გვარის შთამომავალი (იხ. C. Toumanoff, Studies in Christian Caucasian History, Georgelown University Press, 1963, გვ. 83). აკად. შ. ამირანაშვილმა მეფე მირიანი—მიჰრანთა საგვარეულოს მიაკუთვნა, ხოლო მის საკუთარ სახელად ბაკური მიიჩნია (იხ. მ ი ს ი, არმაზისხევში გათხრების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი, „თბილისი 1500“ საიუბილეო კრებული, თბ., 1958, გვ. 93).

[98] В. Г. Луконин, Иран в эпоху.., გვ. 62.

[99] შდრ., М. В. Цоцелия, Из истории..., გვ. 13.

სასანიანთა ხნის ქართლში ირანელ პიტიახშთა ერთ-ერთ პირველ წარმომადგენელთან.

ქართლის რომელიღაც ირანელ გამგებელს, მართლაც რომ მიუღია საგანგებოდ ჯაზირეთის ნაწილი, ამის შესახებ ლეონტის ცნობა ჯუანშერის მონაცემებით დასტურდება. ჯუანშერის ცნობით, ირანის შაჰი თვით აგონებს ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლ ვახტანგ გორგასალს, რომ ჯაზირეთი „ნახევარი, განწესებული მამათა ჩუენთა, შენი არს ხუედრი“[100].

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგ შეიძლება დავასკვნათ:

1. ქრამ ხუარ ბორზარდის თბილისიდან წასვლის შემდეგ (439—443 წწ-ში ქართლში ვასაკ სიენელის მარზპანობის გარდა) ქართლი ცალკე სამარზპანო ქვეყანა არ ყოფილა. რან-ქართლის გამგებელი ირანელი მარზპანები ძირითადად ბარდავში იმყოფებოდნენ (მათ ერთ-ერთ რეზიდენციად თბილისიც ითვლებოდა). ამიტომ არ აისახა მათი ქართლში მარზპანობის ამბავი ძველ ქართულ საერო-საისტორიო წყაროებში. აგიოგრაფიულ ძეგლებში მარზპანთა მოხსენიება ვათმა უმაღლესმა იურიდიულმა უფლებებმა (მხოლოდ ვათ შეეძლოთ დაბალი ფენების წარმომადგენლებისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა[101]) განაპირობა.

2. ირანის იმპერიის ჩრდ. ნაწილში შემავალი რანისა და ქართლის ერთი მოხელისადმი დაქვემდებარება ამ ქვეყნების განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. კავკასიონის ზეკარების დაცვა ჰუნთურქებისა და კავკასიის გადაღმა მომთაბარე სხვა ხალხებისაგან რან-ქართლის მარზპანთა უპირველესი მოვალეობა იყო.

3. ირანის ჩრდ. ნაწილში (შემდეგში კავკასიის ქუსტაკი) შემავალ ქვეყნებში დიდ სამხ.-ადმინ. სახელოებს მემკვიდრეობით ფლობდა მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულო. ამიტომ ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი არა თუ „ირანის ჩრდ. კუსტაკს“ უფრო მცირე — რან-ქართლის მარზპანის სახელოსაც კი ვერ მიიღებდა. მისი „რანის ერისთავად“ მოხსენიება თუ ძველი ტრადიციის განმეორება არ არის, მაშინ მას შაჰისაგან (საპიტიახშოს გარდა) ჰერეთის (რანის) ერთი ნაწილი უნდა მიეღო სამართავად.

4. „სპანდიატ-რვალის ქართლისა და სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლას და ქართველთა მის მოხარკედ გახდომას“, ასევე „სპანდიატის მიერ დარიალის კარის შებჭის“ შესახებ ძველ ავტორთა მიერ მოთხრობილ ამბავს საფუძვლად უდევს ქართლში სპანდიატთა (იგივე მიჰრან-გუშნასპ→არშაკუნიანთა) სავგარეულოს მხედართმთავართა მიერ დასახელებული ქვეყნების დაპყრობა და შემდეგ ამ ქვეყნებში ხანგრძლივი (628—წლამდე) მემკვიდრეობითი სამსახურის ისტორიულ რეალობაზე შექმნილი საისტორიო ტრადიცია. ამ ტრადიციის ქართული ვერსია და მისი ლიტერატურული რედაქცია, რომელიც ლეონტის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა, სასანიანთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ უნდა ჩამოყალიბებულიყო.

5. მირიანი ფარნავაზიანთა იმ სახლის უფლისწული უნდა ყოფილიყო, რომელსაც ქართლის სამეფოში მეფის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფებოდნენ და პიტიახშ-სპასპეტებად (სტრაბონის ὁ δεύτερος) იწოდებოდნენ. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფისათვის „დიდი და სახელოვანი წინაპრის“ მოძებნით დაინტერესებულმა ლეონტიმ მირიანი დედით ირანელ მიჰრანთა გვარის შთამო-

[100] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, დასახ. თხზ., გვ. 182.

[101] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.

მავალ სასანიან უფლისწულად მიიჩნია. სახელ მირიანს („მიჰრანს") მან ორიგინალურად დაუკავშირა ამიერკავკასიის ქვეყნებში მიჰრან-სპანდიატთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ხანგრძლივ მემკვიდრეობითი სამსახურის რეალურ ფაქტზე შექმნილი, მის დროისათვის უკვე ქართველიზირებული საისტორიო ტრადიცია (რომელსაც გარკვეული დოზით საფუძვლად ედო ამიერკავკასიასა და ქართლში მოსამსახურე მიჰრანთა და სასანიანთა სახლის წევრებთან მირიანის წინაპარი ფარნავაზიანების ნათესაური კავშირი)[102] და მირიანის უფლება-მოვალეობანი რან-ქართლის მარზპანთა სახელმძღვანელოდ განაკრცო.

6. ჯაზირეთი, შამის ნახევარი და ადარბადაგანი ქართლში მოსამსახურე ირანელ უფლისწულს — პაპაკ პიტიახშს 293 წ. ირანის ტახტზე ასული შაჰ ნარსესაგან უნდა მიეღო, მისთვის ირანის ტახტის დასაკავებლად გაწეული დახმარების სანაცვლოდ[103].

В. И. ГОИЛАДЗЕ

## ПРАВЛЕНИЕ САСАНИДОВ В ЗАКАВКАЗЬЕ И ГРУЗИНСКАЯ ИСТОРИЧЕСКАЯ ТРАДИЦИЯ

Резюме

В статье показано, что для защиты Кавказских проходов от вторжения гунно-тюркских племен и господства над покоренными народами Закавказья, сасаниды, начиная с V в., концентрировали свои военные силы в Албании (Рани). После иранского питиахша Крам Хуар Борзарда сасаниды подчинили албанскому марзпану и Картли (центром Ран-Картлийского марзпанства был г. Бардави, а после упразднения царской власти в Картли им стал и Тбилиси). Картли не была отдельным марзпанством (исключение составляет период марзпанства в Картли Васака Сюнского — 439—443 гг.).

В марзпанстве Ран-Картли, как и в других странах, входящих в северную часть Ирана (впоследствии «Кавказский кустак») военно-административными должностями по наследству владели представители рода Мигран (Гушнасп).

С именем картлийского царя Мириана (Миграна) Леонти связывал реальный факт продолжительной наследственной службы представителей рода Мигран в марзпанстве Ран-Картли. Потому он объявил Мириана сыном сасанидского шаха (рожденного от женщины из рода Мигран), распространив его права и обязанности на марзпанстве Ран-Картли.

Мириан, по нашему мнению, был членом царствующего дома Парнавазианов в Картли, которые владели территорией от «Кларджети до Хунани» (с центром в Армази). Представители этого дома были вторыми лицами в царстве, выполняя функции питиахша-спаспета.

[102] შდრ., М. В. Цоцелия, Из истории..., გვ. 13.

[103] არმაზისხევში აღმოჩენილ თასს 293 წ. შემდგომი ხანით ათარიღებენ. იხ. მ. წ ო წ ე ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ნანული მაისურაძე

# ქართული მუსიკალური დიალექტების შესახებ

საქართველოს თითოეული კუთხის[1] სასიმღერო შემოქმედებას ახასიათებს როგორც საერთო ქართული, ისე სპეციფიკური ნიშნები. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა თავდაპირველად, ქვეშეცნეულად ქართული ხალხური სიმღერების გამოქვეყნება შესაბამისი კუთხის მინიშნებით. მათ შორის საყურადღებოა ზ. ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილი და ნოტებზე გადატანილი სიმღერები გამოცემული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ[2]. შემდეგში დ. არაყიშვილის შრომებში[3] უკვე საუბარია არა მარტო რომელიმე კუთხის, ან ერთად აღებული კუთხეების სიმღერებზე, არამედ გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათ ერთი დასაბამი აქვთ „საიდანაც კლიმატური, გეოგრაფიული, ისტორიული თუ სხვა ფაქტორების წყალობით ხალხური შემოქმედების ეს სხვადასხვანაირი ნაკადი აღმოცენებულა“[4]. ცხადია, აქ ლაპარაკია ამ ნაკადთა, შტოთა, ან მუსიკალურ დიალექტთა საერთო ძირიდან მომდინარეობაზე. უფრო გვიან, სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეული ადგილი დაეთმო ქართულ მუსიკალურ დიალექტთა კლასიფიკაციას. ასე მაგალითად, გრ. ჩხიკვაძე ერთ-ერთ თავის ნაშრომში შემდეგ დიალექტებს გამოყოფს: ხევსურული, თუშური, ფშაური, მოხეური, მთიულური, ქართლ-კახური, მესხური — აღმოსავლეთ საქართველოში, და იმერული, გურული, მეგრული, რაჭა-ლეჩხუმური, სვანური, აჭარული, ჭანური ან ლაზური — დასავლეთ საქართველოში[5]. შემდეგში მან ნაწილობრივ შეცვალა ზემოაღნიშნული სქემა, კერძოდ, ქართლური და კახური დამოუკიდებელ მუსიკალურ დიალექტებად განიხილა[6]. მკვლევრის აზრით, ქართული მუსიკალური დიალექტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო სიუჟეტების, ჟანრებისა და სამუსიკო სტრუქტურის მხრივ, არამედ სტილისტური თავისებურებებისა და მათი გამოვლენის ფორმათა მიხედვით. ამა-

---

* წინამდებარე ნაშრომის ნაწილი სახელწოდებით „ქართული ხალხური მუსიკალური ტერმინები („ჰმა“, ქილო“), წაკითხულია ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა რესპუბლიკურ სესიაზე ქ. ბათუმში, 1981 წელს.

[1] ეთნოგრაფიაში მიღებული ტერმინის „ეთნოგრაფიული ჯგუფის“ (იხ. ა. რობაქიძე, ტერმინ „ეთნოგრაფიული ჯგუფის“ მნიშვნელობისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1982, № 4, გვ. 164—174).

[2] სალმური, სახალხო სიმღერები, გადაღებული ნოტებზე ზ. ი. ჩხიკვაძის მიერ, თბილისი, 1896.

[3] დ. არაყიშვილის მიერ ჩაწერილი და ნოტებზე გადატანილი ქართული ხალხური სიმღერები გამოკვლევებითურთ იხ. „Труды МЭК. т. I, Москва, 1933; т. II, Москва, 1916; აღსანიშნავია აგრეთვე მისი, «Народные песни горцев Восточной Грузии. 1. Хевсуры», Советская музыка, Москва, 1939; „რაჭული სიმღერები“, თბილისი, 1950; „სვანური სიმღერები“, თბილისი, 1950 და სხვ.

[4] დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, ქუთაისი, 1925, გვ. 5.

[5] Гр. Чхиквадзе, Народная песня. იხ. Грузинская музыкальная культура, М., 1957, გვ. 31.

[6] გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, იხ. ქართული ხალხური სიმღერა, I, გრ. ჩხიკვაძის რედაქციით, თბ., 1960, გვ. XIV.

თან ერთად, თითოეული დიალექტი ზოგადქართული სასიმღერო შემოქმედების ცალკეულ ტოტს წარმოადგენს[7]. ცალკეული მუსიკალური დიალექტების ჩხიკვაძისეულ დახასიათებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია, ერთი მხრივ, ქართულმა და კახურმა, მეორე მხრივ,—გურულმა და აჭარულმა დიალექტებმა[9]. ქართლ-კახურის შესახებ მკვლევარი აღნიშნავს, რომ „...სოციალურ-ისტორიული მოვლენების, ჩვეულებათა, საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების ერთობლიობა გახდა საწინდარი მათ შორის მხატვრული შემოქმედების ერთიანი და მსგავსი ტრადიციების შექმნისა"[9]. აჭარულ და გურულ სიმღერებს გრ. ჩხიკვაძე ერთი და იმავე ძირის განშტოებად მიიჩნევს. მისი აზრით, როგორც გურული, ისე აჭარული (განსაკუთრებით ქობულეთური) საგუნდო სიმღერა ემყარება ზოგადქართული ხალხური პოლიფონიური მრავალხმიანობის პრინციპს. თითოეული მათგანის მთელ რიგ თავისებურებათა მიუხედავად, ერთნაირია სიმღერაში მონაწილე ხმათა ურთიერთდამოკიდებულება, მათ შორის ფუნქციის განაწილება, სიმღერის შესრულების მანერა, ცალკეულ ხმათა ინტონირება. ერთი და იგივე სიუჟეტზეა აგებული რიგი სასიმღერო ნიმუშებისა. მაგრამ ამავე დროს მკვლევარი წერს „ეს იმას არ ნიშნავს, რომ გურული და აჭარული სასიმღერო შემოქმედება ამ ნიმუშებში ერთმანეთს იმეორებდნენ და ამ მხრივ როგორც ერთს, ისე მეორეს თავისი სახე არ ჰქონდეს. ცხადია, ყოველ მათგანს ახასიათებს თავისებური შემოქმედებითი ფანტაზია, საშემსრულებლო ხერხების გამოყენების ოსტატობა, სიმღერის გაშლა, განვითარების უნარი და სხვ. ყველაფერი ეს გვაგონებს მსგავსება-განსხვავების ანალოგიურ შემთხვევას ქართლურ და კახურ სიმღერებს შორის"[10]. მრავალხმიანობის ფორმების შესაბამისად, მკვლევარი ქართული მუსიკალური დიალექტების ორ ჯგუფს გამოყოფს: აღმოსავლურს და დასავლურს. გრ. ჩხიკვაძის მსჯელობიდან ნათელია, რომ ქართულ მუსიკალურ დიალექტთა კლასიფიკაცია მუსიკალურ პრინციპს ემყარება. აქვე დავძენთ, რომ მუსიკალური მონაცემები, დიალექტოლოგიური თვალსაზრისით, მეტწილად ემთხვევა ლინგვისტურ მონაცემებს. ეს ბუნებრივია, რადგან სამეტყველო ენა და მუსიკალური ენა მჭიდრო ინტონაციურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

ქართულ მუსიკალურ დიალექტთა კლასიფიკაციას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი შ. ასლანიშვილის ნაშრომში „Народные основы гармонии грузинских композиторов"[11]. ავტორი წარმოგვიდგენს დიალექტთა სამ ჯგუფს 1. სვანური, გურული, აჭარული და მეგრული; 2. ქართლ-კახური, მოხეური და მთიულური: 3. ფშავ-ხევსურული, თუშური, მესხური: იმერული და რაჭული (ან რაჭა-ლეჩხუმური) გარდამავალი დიალექტებია, რომლებიც შეიცავენ პირველი და მეორე ჯგუფის ნიშნებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ დიალექტებს აქვთ როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო ქართული სტილისტური ნიშნები[12]. ზემოხსენებულიდან ნათელია, რომ ქართულ მუსიკა-

---

[7] გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. XIV.

[9] იქვე, გვ. XX—XXII; მისივე, ქართული ხალხური მუსიკა, თბ., 1965, გვ. 28—32.

[9] გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. XX.


[10] გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური მუსიკა, გვ. 28.

[11] იხ. Грузинская музыкальная культура, გვ. 410—445.

[12] იქვე, გვ. 411.

ლურ დიალექტთა ასლანიშვილისეულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს აგრეთვე მუსიკალური პრინციპი.

ქართული მუსიკალური დიალექტების შესახებ მსჯელობას ვხვდებით ვ. გვახარიას ნაშრომში, რომელიც ეძღვნება ქართულ მუსიკალურ დამწერლობას[13]. მუსიკალური თვალსაზრისით დიალექტების საკითხს მკვლევარი ენისაგან განსხვავებულად წარმოგვიდგენს. მისი აზრით, „კახური ქიზიყურისაგან არ განსხვავდება, გურული — აჭარულისაგან, მესხურ-ჯავახურში, თურქ დამპყრობთა წყალობით, უხვადაა შეპრილი აღმოსავლური მუსიკალური ინტონაციები, მძლავრი გავლენა ეტყობა მის მუსიკალურ აზროვნებასაც. აზერბაიჯანული მუსიკის კვალი ეტყობა ინგილოურს. დიალექტოლოგიური სხვაობა არ ეტყობა მთიულურს მოხეურთან შედარებით, მოხეურს კი ფშაურთან შედარებით... სვანური და მეგრული, რომლებიც ენობრივად განირჩევიან, დიალექტოლოგიურ-მუსიკალური თვალსაზრისით არ განირჩევიან ერთმანეთისაგან. მეგრული სვანურთან დგას ახლოს, ჭანური აჭარულ-გურულთან, სვანური კი, — დასავლური კილოების ყველაზე უფრო არქაულ სახეობას გვიჩვენებს. რაჭული, ერთი მხრივ, უახლოვდება დასავლურს, ხოლო იგი აგრეთვე ბევრს საერთოს პოვებს აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებთან“[14]. ვ. გვახარია ქართულ მუსიკალურ დიალექტთა ორ დიდ წრეს გამოყოფს, აღმოსავლურს და დასავლურს, რომლებიც მრავალხმიანობის ფორმებით, ჰარმონიულ-პოლიფონიური აზროვნებით, მხოლოდ დიალექტური ოდენობით განირჩევიან ერთმანეთისაგან[15]. ამავე დროს იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს ყველა კუთხის სასიმღერო შემოქმედებას საფუძვლად უდევს „ერთიანი მუსიკალური ქართული ფუძე“. უფრო გვიან გამოქვეყნებულ წერილში[16] ვ. გვახარიამ წარმოადგინა ქართულ მუსიკალურ დიალექტთა შემდეგი სქემა:




[13] ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962, გვ. 4.

[14] იქვე.

[15] იქვე.

[16] ვ. გვახარია. ქართული და ევროპული მუსიკის წყობათა უძველესი ერთიანი საფუძველი, Შრომები. XI (140). თბ., 1971, გვ. 107—123.

[17] ვ. გვახარია. ქართული და ევროპული მუსიკის...

ეს სქემა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში წარმოდგენილია დიალექტთა შორის არსებული ურთიერთკავშირები.

ქართულ მუსიკალურ დიალექტთა ზემოთ ჩამოთვლილ კლასიფიკაციებში გათვალისწინებულია მრავალხმიანობის ფორმები (ბურდონული და კომპლექსური). აქვე დავძენთ, რომ შ. ასლანიშვილმა, ქართული მრავალხმიანობის ფორმებს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა[18]. მისი აზრით, მრავალხმიანობის ეს ორი ტიპი, ბურდონული და კომპლექსური, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ამავე დროს, მათ შორის არსებობს საერთო საფუძველი და ისტორიული კავშირი[19]. ქართული მუსიკალური დიალექტების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით საყურადღებოა ო. ჩიჯავაძის ნაშრომი კახური სიმღერების შესახებ[20]. ავტორი კახურ სიმღერებს განასხვავებს ქართლურისაგან სიმღერის შინაგანი ბუნებისა და შესრულების მხრივ[21].

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა მ. შილაკაძის სტატია „ქართული მუსიკალური დიალექტები"[22]. შესავალში აღნიშნულია, რომ „სტატიის მიზანია ქართულ მუსიკალურ დიალექტებზე არსებული მოსაზრებების შეჯერება-შეჯამება და ზოგიერთი საკითხის დაზუსტება". ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიქცია ავტორის მიერ დასმულმა შემდეგმა საკითხებმა: 1. ემყარება რა შ. ასლანიშვილის მიერ ფშავ-ხევსურულ სიმღერებში დადგენილ საეროო ნიშნებს, მ. შილაკაძე ამ ორი კუთხის სიმღერებს ერთი მუსიკალური დიალექტის ორ კილოკავად მიიჩნევს. მის ამ ვარაუდს — როგორც თვითონ შენიშნავს, — საფუძველს უმაგრებს ნ. მაისურაძის დასკვნა იმის შესახებ, რომ „ფშავ-ხევსურეთი ისტორიულ წარსულში ერთი მუსიკალური დიალექტის მატარებელი იყო ფხიურის სახით, ხოლო დროთა ვითარებაში ორად გაიყო (ნ. მაისურაძე გულისხმობს ორ დიალექტს, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ აქ ერთი დიალექტის ორ კილოკავთან გვაქვს საქმე)"[23]. 2. ემყარება და იზიარებს რა კვლავ შ. ასლანიშვილის მოსაზრებებს, მ. შილაკაძე მუსიკალურ დიალექტთა კლასიფიკაციის პრინციპად მიიჩნევს მრავალხმიანობის ფორმებს და „ინტონაციურ ნორმებს". იქვე შენიშნავს იგი, რომ ასეა ნაგულისხმები შ. ასლანიშვილისეულ კლასიფიკაციაში. მ. შილაკაძე ქართულ მუსიკალურ დიალექტთა შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს:

კომპლექსური მრავალხმიანობა
(დასავლეთ საქართველო)
სვანური
მეგრული
გურულ-აჭარული
იმერული

რაჭა-ლეჩხუმური

ბურდონული მრავალხმიანობა
(აღმოსავლეთ საქართველო)
ქართლ-კახური
მოხეური
მთიულური
ფშავ-ხევსურული
ოუშური
მესხური

---

[18] შ. ასლანიშვილი, მრავალხმიანობის ფორმები ქართულ ხალხურ სიმღერაში, იხ. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1956, გვ. 3—89.

[19] იქვე, გვ. 16

[20] ო. ჩიჯავაძე, ქართული (კახური) ხალხური სიმღერები, თბ., 1962.

[21] იქვე, გვ. 5.

[22] იხ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XX, თბ., 1979, გვ. 85—91.

[23] იქვე, გვ. 88—89.

ავტორი შენიშნავს: „ეს კლასიფიკაცია შეიძლება არ იყოს საბოლოო, მას ამის პრეტენზია არც აქვს. ჩვენი მიზანი იყო ყურადღება გაგვემახვილებინა კლასიფიკაციის პრინციპზე და გვეჩვენებინა, რომ მას საფუძვლად უდევს მუსიკალური პრინციპი"[24]. 3. სტატიის ავტორი ითვალისწინებს რა, რომ დიალექტის სალიტერატურო ენასთან მიმართების მიხედვით, მუსიკალური დიალექტების ეტალონად მიიჩნევს, ერთი მხრივ, ქართლ-კახურს, მეორე მხრივ— გურულს, რომელიც შესაბამისად მრავალხმიანობის ორი სხვადასხვა ფორმის წარმომადგენლებიც არიან, და ამასთანავე, გამოხატავენ მაღალგანვითარებულ დიალექტებს (შ. ასლანიშვილი)[25].

ავტორის დასკვნებს საფუძვლად დაედო სხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს, პირდაპირ თუ არაპირდაპირად გამოთქმული ცალკეული მოსაზრებანი. კერძოდ, მუსიკალური დიალექტი გეოგრაფიულად უფრო ფართე არეს მოიცავს, ვიდრე ენის დიალექტი (ვ. გვახარია) მუსიკალურ დიალექტთა კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა ედოს მუსიკალური პრინციპი—მრავალხმიანობის ფორმები და „ინტონაციური ნორმები", რომელთა ერთობლიობა ქმნის „ერთიან ქართულ მუსიკალურ ფუძეს[26] (შ. ასლანიშვილი, ვ. გვახარია).

ქართული მუსიკალური დიალექტების დღემდე წარმოდგენილი კლასიფიკაციის ყველა ვარიანტს, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ჩვენი აზრით, საფუძვლად უდევს მუსიკალური პრინციპი. მრავალხმიანობის ფორმების მიხედვით დიალექტები დაყოფილია ორ ჯგუფად, აღმოსავლურქართული და დასავლურქართული. სქემაში, რომელსაც მ. შილაკაძე გვთავაზობს, გარკვეული კუთხეების სიმღერები ერთ მუსიკალურ დიალექტშია გაერთიანებული. მაგალითად, ფშაური და ხევსურული, ქართლური და კახური, გურული და აჭარული. თავის დროს, როდესაც ხევსურული და ფშაური სიმღერების შესწავლას შევუდექით, ჩვენ ვეყრდნობოდით შ. ასლანიშვილის გამოკვლევას აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეების სიმღერების შესახებ (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი)[27]. მათ შორის ფშავ-ხევსურულ სიმღერებს ნაშრომის პირველი ნაწილი ეძღვნება. საყურადღებოა, რომ მასში მკვლევრის მიერ წარმოდგენილია ამ ორი კუთხის სიმღერებისათვის დამახასიათებელი როგორც საერთო ჰიმნები, ისე ის თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს ფშაურს ხევსურულისაგან განსხვავებით[28]. საერთო ნიშნების ჩამოთვლის შემდეგ შ. ასლანიშვილი აღნიშნავს, რომ ფშავ-ხევსურული სიმღერების განხილვისას მუდამ გათვალისწინებული იყო მათ შორის არსებული საერთო ნიშნები, მაგრამ „ამავე დროს, ცალკე ფშაურ და ცალკე ხევსურულ სიმღერებს ახასიათებს აგრეთვე მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშნები. ეს მოვლენა შემჩნეული იყო ჯერ კიდევ დ. არაყიშვილის მიერ"[29]. ფშაური სიმღერების მელო-ინტონაციურ და ჰარმონიულ თავისებურებათა შესახებ მსჯელობის შემდგომ, მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფშაური ხევსურულ სიმღერასთან შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე

[24] მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, გვ. 90.

[25] იქვე.

[26] იქვე, გვ. 91.

[27] შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II. თბ., 1956.

[28] შ. ასლანიშვილი, ქართული (ფშავ-ხევსურული) სიმღერა, იხ. ნარკვევები... II, გვ. 42—45.

[29] იქვე, გვ. 42.

დგას, რომ ხევსურულ და ფშაურ სიმღერებს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება, რომ ფშაური სიმღერა ქართული ხალხური მუსიკის განვითარების უფრო გვიანდელ პერიოდს ასახავს, განსხვავება აგრეთვე ფშავი ხალხის ინდივიდუალურ მუსიკალურ თვისებაში უნდა ვეძიოთ[30]. ხევსურულ და ფშაურ სიმღერებზე ჩვენი უშუალო დაკვირვებისა და შ. ასლანიშვილის ზემოხსენებული მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე, ფშავ-ხევსურთა სასიმღერო შემოქმედება, მათი მუსიკალური აზროვნების განვითარების საფეხურების შესაბამისად, გარკვეულ პერიოდებად დავყავით, რომელთაგან პირველი, ჩვენი აზრით ფშავ-ხევსურთა საერთო მუსიკალური დიალექტის არსებობის ხანას მოიცავდა, ხოლო მეორე — მისი ცალკეულ (ფშაურ და ხევსურულ) მუსიკალურ დიალექტებად ჩამოყალიბების ხანას[31]. ჩვენს ამ მოსაზრებას საფუძველს უმაგრებდა ისტორიული წყაროები[32]. ეს იყო ქართული მუსიკალური დიალექტების ანუ კილოების ისტორიულ განვითარებაში წარმოდგენის პირველი ცდა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, დასაზუსტებელი გახდა, თუ რა თავისებურებებს ითვალისწინებს მუსიკალური დიალექტი.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „დიალექტი ზოგადი ცნების გამომხატველია და მოიცავს ერთი საერთო ენის დიფერენციაციის შედეგად მიღებულ განშტოებებს — კილოს, კილოკავს, თქმასა და ქცევას. ამათგან კილო ყველაზე მსხვილი ერთეულია. კილოს განშტოება კილოკავებია, კილოკავისა — თქმები, ხოლო თქმისა — ქცევები"[33]. განმარტებიდან ნათელია, რომ დიალექტის ცნება გაიგივებულია კილოს ცნებასთან. ცხადია, მუსიკალურ დიალექტში აგრეთვე მუსიკალური კილო იგულისხმება. რა ნიშნების შემცველია მუსიკალური დიალექტი?

საერთო ქართული მუსიკალური ენის, ფუძეენის[34] თანდათანობითი განვითარების და ამავე დროს დიფერენციაციის, ცალკეულ მუსიკალურ დიალექტებად ჩამოყალიბების პროცესი ყველაზე უკეთ, თანმიმდევრულად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სიმღერებში ჩანს. ქვემოთ, სანიმუშოდ მოვიტანთ აღმოსავლეთ საქართველოს მთის მუსიკალურ დიალექტთა სქემას.


სქემაზე მუსიკალური დიალექტები ისტორიულ განვითარებაშია წარმოდგენილი. სიმღერების ინტონაციურ-ჰარმონიული ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ დიალექტოლოგიური თვალსაზრისით თუშეთი იმთავითვე დაცილდა აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა დანარჩენ კუთხეებს. სახელდობრ, თუშური სიმღერებისათვის დამახასიათებელია სეკვენციები[35], რომლის ჩანასახი ძველ თუშურ სიმღერებში, მათ შორის საფერხულოებში ჩნდება. ბგერათა სეკვენტური მოძრაობა ძალზე მკრთალად, ეპიზოდურად ხევსურულ და ფშაურ საფერხულო სიმღერებშიც შეინიშნება, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრეულ ეტაპზე, მელოდიაში ბგერათა მისწრაფება სეკვენტური მოძრაობისაკენ საერთო დამახასიათებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო

---

[30] შ. ასლანიშვილი, გვ. 46—47.

[31] ნ. მაისურაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური (ვოკალური) კულტურა, თბ., 1971, ვ. 76.

[32] Н. Мар, Кавказские племенные названия и местные параллели, Петроград, 1922, გვ. 4—5; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 38; 46; ს. ჯანაშია, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 209




რომელიც შემდეგში მხოლოდ თუშურ სიმღერებში გამოიკვეთა; სიმღერებში კვინტის დიაპაზონის განსაკუთრებული მნიშვნელობა (მელოდიური მიმოქცევების გაფართოება ფრაზებამდე ძირითადად კვინტის დიაპაზონში მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ დიაპაზონი სექსტას და სეპტიმასაც აღწევს). სიმღერის კვადრატული აღნაგობა, რაც გამოიხატება წინადადების ოთხ თანაბარ ფრაზად დაყოფაში[36]; მუსიკალური აზრის დამაბოლოებელ ფრაზაში ტონიკური ბგერის მრავალჯერადი გამეორება; მელოდიის განვითარება ორი მიმართულებით დაღმავალი და აღმავალი (მელოდიის დასაწყისში ბგერათა მოძრაობა კილოს ტერციიდან კვინტაში, ხოლო შემდეგ კვლავ დაღმავალი მოძრაობა კილოს ტონიკაში). ამ ნიშნებით თუშური გამოეყო აღმოსავლეთ საქართველოს მთის სხვა დანარჩენი კუთხეების სასიმღერო შემოქმედებას. აღსანიშნავია ის თავისებურება, რომელიც წოვა-თუშების მიერ შესრულებულ სიმღერებს აქვთ, კერძოდ, მოჭარბებული მელიზმატიკა და ფრაზების მრავალჯერადი გამეორება. როგორც ჩალმა-თუშები განმარტავენ „წოვა თუშებმა ჩახვეულად ჩახუჭუჭებულად იციან მღერა"[37]. თუშურისაგან განსხვავებით, ფშაური, ხევ-

[33] ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქაეთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, წინასიტყვაობა, გვ. XIX.

[34] საერთო ქართული მუსიკალური ენის, ფუძეენის შესახებ იხ. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური სიმღერების ინტონაციურ-ჰარმონიული განვითარების უძველესი საფეხურების შესწავლისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 106, № 2, 1982, გვ. 437—440. გამოქვეყნდა შემოკლებით: მისივე, ქართული ხალხური სიმღერების ინტონაციურ-ჰარმონიული განვითარების ძირითადი ეტაპები (ხელნაწერი).

[35] შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II, გვ. 117

[36] იქვე, გვ. 119.

[37] ცნობა მოგვაწოდა მეცნიერ თანამშრომელმა ნ. აზიკურმა, რის გამოც მადლობას მოვახსენებთ მას.

სურული, გუდამაყრული, მთიულური და მოხეური სიმღერების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მელოდიის დაღმავალი ტალღისებური, ზიგზაგისებური ან სწორხაზოვანი მოძრაობა კილოს უმაღლესი ბგერიდან ტონიკამდე. უფრო მოგვიანებით, ეს საერთო ნიშანი მეტ-ნაკლებად ქრება, მელოდიის დასაწყისში ჩნდება ბგერათა აღმავალი მოძრაობა კილოს ტერციიდან, კვარტიდან, კვინტიდან, ფართე მელოდიური სვლები, ნახტომები, ყალიბდება პარმონიულ ელემენტთა ურთიერთმიმართების ახალი ფორმები. გარდა ზემოხსენებულისა, დასახელებული კუთხეების საერთო ნიშნად მიგვაჩნია ბანში VII საფეხურის გაფართოების ერთგვაროვანი გზა[38]. გარკვეული პერიოდიდან ფშაური და ხევსურული სასიმღერო შემოქმედება სცილდება გუდამაყრულს, მთიულურს და მოხეურს. მათგან განსხვავებით ფშავ-ხევსურულ სიმღერებში გაბატონებულია ფრიგიული კილო; სიმღერებისათვის დამახასიათებელია ფრაზების ბოლოს კილოს მეორე საფეხურის რიტმული სიმყარე და გადიდებული კვარტის ჟღერადობა კილოს კვინტასა და დადაბლებულ მეორე საფეხურს შორის[39]. შემდეგში, ფშაურ სიმღერებში ჩნდება გარკვეული თავისებურებანი, მათ შორის—რიტმულად მყარი საკადანსო საფეხურების ხელმეორედ გამეორება, რაც სიმღერის ძირითად ნაწილთან ერთიანობაში თავისებურ ინტონაციურ საქცევს ქმნის. ამ საკადანსო ინტონაციური საქცევის განვითარებული ფორმაა საკადანსო ფრაზა, რომელიც განმტკიცებს წინა ფრაზას ან დამბოლოებელ მელოდიურ მიმოქცევას, რაც ხევსურულისათვის არ არის დამახასიათებელი. ფშაურ სიმღერებში ჩნდება ფრიგიული კილოს ვარიანტები[40]. შემთხვევითი როდია, რომ ფშაველთა ყოფაში დამკვიდრებულია სიმღერის სახელწოდება „ფშაური“ ან „ფშაური კილო“, რაც განსაზღვრავს ფშაური სიმღერების სპეციფიკას. „ფშაურები“ ამავე სახელწოდებით გავრცელებულია ხევსურეთში, გუდამაყარსა და მთიულეთში. ხევსურულისაგან განსხვავებით ფშაური სიმღერები მდიდარი ორნამენტიკით — ფართე მელოდიური სვლებით, ნახტომებით გამოირჩევა, რომელთა შევსება ხდება ბგერათა დაღმავალი სეკუნდური მოძრაობით, რთული რიტმული ნახატებით. გუდამაყრულ, მთიულურ და მოხეურ სიმღერებში, ზემოთ დასახელებული ორი კუთხისგან განსხვავებით, ბანის VII საფეხურზე ჩნდება ახალი მუსიკალური ნაგებობა, რომელიც განვითარების პროცესში ავიწროებს, თავდაპირველ, ძირითად მელოდიას და მის ადგილს იჭერს[41]. თავის მხრივ, მოხეურ სიმღერებში შეჭრილია აღმოსავლეთ საქართველოს ბარის, კერძოდ, ქართლური სიმღერების ძლიერი ნაკადი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოხეურ სიმღერებში მელოდიისა და ჰარმონიულ ელემენტთა შემდგომ განვითარებაში. მოხეურ სიმღერებში შეინიშნება „იავ-ნანას“ მელოდიის გავლენა[42]. „იავ-ნანას“ მელოდიამ, ჩვენი აზრით, განსაკუთ-

---

[38] ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური სიმღერების ჰარმონიის ზოგიერთი საკითხი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXI, 1981.

[39] შ. ასლანიშვილი, ნარკვევები... II, გვ. 39; ფშაურ სიმღერებში გადიდებული კვარტის არსებობაზე მიუთითებს დ. არაყიშვილი; იხ. მისი, Обзор народной песни Восточной Грузии, Тб., 1948, გვ. 9.

[40] ფრიგიული კილოს ვარიანტების შესახებ იხ. გ. ასლანიშვილი, ნარკვევები... II, გვ. 44—45, 46; გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. XVIII.

[41] ნ. მაისურაძე, მელოდიის განვითარების საკითხისათვის ქართულ ხალხურ სიმღერებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 106, № 3, 1982, გვ. 657—660.

[42] შ. ასლანიშვილი, ნარკვევები..., I, გვ. 101.

რებული როლი შეასრულა მოხეური სიმღერების ინტონაციურ განვითარებაში. იგი, ერთი მხრივ გავრცელებულია საწესო საფერხულო სიმღერის სახით, ხოლო მეორე მხრივ დალექილია მოხეური სამხმიანი სიმღერების მეორე, შუა ხმაში („სმური“, „მთიბლური“, „საფერხულო“ და სხვ.). მოხეური სიმღერების დამახასიათებელ თავისებურებად მიჩნეულია ფართედ განვითარებული მელოდია, რომელიც გაშლილია სიმღერის მთელ სტროფზე[43]. ამგვარად, მოხეური სიმღერები ინტონაციურად და ჰარმონიულ ელემენტთა სირთულის თვალსაზრისით სცილდება მთიულურ და განსაკუთრებით გუდამაყრულ სიმღერებს. მთიულურ სიმღერებში შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც შეინიშნება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სიმღერების გავლენა, რის გამოც ჰარმონიულ ელემენტთა სირთულის თვალსაზრისით გარკვეულ კავშირს ავლენს მოხეურთან. მთიულურ სიმღერებში გავრცელებულია რიგი ქართლური სიმღერებისა „ბერი კაცი“, „ჩაეუხტეთ ბარათაშვილსა“, „გაფრინდი შავო მერცხალო“ და სხვ.[44] ამ ნიშნებით და ბანის VII საფეხურზე წარმოქმნილი მუსიკალური ნაგებობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, მთიულური სიმღერები სცილდება გუდამაყრულს. გარდა ზემოხსენებულისა, მთიულურ სიმღერებს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურება, რითაც იგი განსხვავდება გუდამაყრულისაგან და მოხეურისაგან. კერძოდ, სიმღერაში ყოველი მეორე წინადადება ბანში ემყარება გაფართოებულ VII საფეხურს, რომელიც განაპირობებს წინარე წინადადებაში მოცემულ ბანის VII საფეხურს და ამავე დროს წარმოქმნის მუსიკალურ დიალოგს პირველ წინადადებასთან მიმართებაში. მთიულური სიმღერების სტილისტურ თავისებურებად მიჩნეულია ჰანგის ძირითადი ბგერების შემკობა მელიზმებით[45]. გუდამაყრული სიმღერები მრავალხმიანობისა (ორი და სამხმიანია) და ბანის VII საფეხურზე წარმოქმნილი მუსიკალური ნაგებობის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, შორდება ხევსურულ და ფშაურ სიმღერებს, მეორე მხრივ, ჰარმონიულ ელემენტთა შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ჩამორჩება მთიულურს და მოხეურს. აქვე დაეძენთ, რომ გუდამაყრულ სასიმღერო შემოქმედებაში გარკვეული ადგილი ეთმობა ხევსურულ სიმღერებს. გუდამაყარში გავრცელებული „ფშაურები“ სტრუქტურულად ხევსურულ „ფშაურებს“ იმეორებს.

ანალიზის შედეგებმა ნათლად დაგვანახა, ერთი მხრივ, ქართული ხალხური სიმღერების საერთო ინტონაციურ-ჰარმონიული განვითარების პროცესი, ხოლო მეორე მხრივ—თითოეული კუთხის მიერ გამომუშავებული ინტონაციურ-ჰარმონიული თავისებურებანი. გამოჩნდა ის დიდი წვლილი, რომელიც ყოველი კუთხის სასიმღერო შემოქმედებამ შეიტანა საერთო ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. სქემაზე წარმოდგენილ მუსიკალურ დიალექტებს ანუ კილოებს შორის ფშაური და ხევსურული ახლო მდგომი კილოებია. ასეთივე ახლო მდგომ კილოთა რიგს მიეკუთვნება გუდამაყრული, მთიულური და მოხეური. ამ კილოთა შორის ინტონაციურ-ჰარმონიული ურთიერთმიმართების კონკრეტული ფორმების მეტი სიახლოვე მეღავნდება. ბუნებრივია, რადგან გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში ისინი ერთ მუსიკალურ დიალექტს შეადგენდნენ.

---

[43] გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. XVIII.

[44] იქვე.

[45] იქვე, გვ. XIX.

ზემოთ აღვნიშნეთ ჰარმონიულ ელემენტთა იმ თავისებურებების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეულ მუსიკალურ დიალექტებს ანუ კილოებს. მაგრამ მუსიკალური კილოს განსაზღვრა მარტოოდენ ჰარმონიულ ელემენტთა თავისებურებებით საკმარისი არ არის, რადგან თითოეული კუთხის სიმღერებს, ერთად აღებულს, გარდა ინტონაციურ-ჰარმონიული თავისებურებისა, აქვთ შესრულების ინდივიდუალური, კუთხური ხასიათი, კერძოდ ის ინტონაციური თავისებურება, რომელიც ენის დიალექტურ თავისებურებასთან ერთიანობაში განიხილება. ამაზე გარკვევით მიგვანიშნებს მუსიკალური ტერმინების „ხმა" და „კილო" ხალხური გაგება. ამ ტერმინებმა იმთავითვე მიიქციეს ივ. ჯავახიშვილის ყურადღება.

დიდი მეცნიერი ჩამოთვლის ფანდურზე შესასრულებელ თუშურ ხმებს „ჯარი ხმაჲ", „ჯოყოლას ხმაჲ, (იგივე „ჯარის ხმაჲ), „აყრის ხმაჲ", „სიმღერის ხმაჲ", „თამაშობის ხმაჲ", „ტირილის ხმაჲ" („წოვა დიაცის ხმა", „ჩაღმა დიაცის ხმა"). „შამილის დაჭერის ხმაჲ", „ახალთაობის ხმაჲ", „დალაობის ხმაჲ", „მემცხვარის ხმაჲ"[46].

ზემოთ ჩამოთვლილი ხმების მიხედვით ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ „ჴმა" ერთი მხრივ, ჰანგთა მთელი ჯგუფის გარკვეული წყობის გამომხატველია. კერძოდ, თამაშობის, ტირილის, დალაობის, ჯარის და აყრის ხმები ერთმანეთისაგან მხოლოდ სიტყვებით კი არა, არამედ მუსიკალური შინაარსით, გრძნობით, წყობით და რიტმით განსხვავდებიან. მეორე მხრივ,—ჯოყოლას ხმაჲ", „წოვა დიაცის ხმაჲ, „ჩაღმა დიაცის ხმაჲ", „შამილის დაჭერის ხმაჲ" და „ახალთაობის ხმაჲ", ცალკეულ პირთაგან შეთხზულ სიმღერას ნიშნავს[47]. უფრო გვიან, ივ. ჯავახიშვილის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი თუშური ხმები შ. ასლანიშვილმა ჩაიწერა და მუსიკალური ტექსტების ანალიზიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ ისინი წარმოადგენენ ხალხური სიმღერების ტრანსკრიფციას ფანდურისათვის. გარდა ამისა, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ „ხმა" ჰანგის გამომხატველი სიტყვაა, ხოლო ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „წოვა დიაცის ხმაჲ", „ჩაღმა დიაცის ხმაჲ" და სხვა, ცალკეულ პირთაგან გამოთქმული ვარიანტია და არა ძირითადი მელოდია[48].

ტერმინ კილოსთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილს მოაქვს ნაწყვეტები ხალხური პოეზიის ნიმუშებიდან და აღნიშნავს, რომ იგი შეიცავს საინტერესო გამონათქვამებს, როგორიცაა სიტყვის ანუ ლექსების თქმა კილოზე, სიმღერაზე კილოს გამობმა, მაგრამ იქვე დასძენს, რომ თითოეული მათგანის მნიშვნელობა ძნელი გასარკვევია[49]. დიდი მეცნიერი ზემოთ დასახელებულ ტერმინებს მი-

---

[46] ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 283—284.

[47] იქვე, გვ. 284.

[48] შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, II, გვ. 94; შ. ასლანიშვილის განმარტებით, დალაობის საკმაოდ განვითარებული მელოდიის შესრულება ფანდურზე შეუძლებელია, მით უმეტესად, რომ ამ სამგლოვიარო საგალობელს ფანდურის თანხლებით არ ასრულებენ (დასახ. ნაშრომი, გვ. 95). „დიკლოს აოხრებას" ანუ „დიკლოს აყრის სიმღერას" (გვ. 179, № 22), მკვლევარი „აყრის ხმად" მიიჩნევს (გვ. 95). აქვე დაძენთ, რომ „შამილის დაჭერის სიმღერა", „დიკლოს აოხრება" და „ახალთაობის სიმღერა" (გვ. 93, 178, 179, №№ 21, 22, 23) ერთი და იმავე პირის მიერ არის შესრულებული და მელოდიურად ეს სიმღერები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ შორის მხოლოდ უმნიშვნელო რიტმული სხვაობა შეინიშნება.

[49] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

მოიხილავს ძველ ქართულ წერილებით წყაროებში, XVIII—XIX საუკუნეების საზოგადო მოღვაწეთა შრომებში (სულხან-საბა ორბელიანი, იოანე ბატონიშვილი, დ. მაჩაბელი, პ. კარბელაშვილი)[50].

ახლა ვნახოთ, თუ რა დროიდან მომდინარობენ „ხმა“ და „კილო“, როგორც მუსიკალური ტერმინები. ივ. ჯავახიშვილი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების, მათ შორის დაბადების მიხედვით აღნიშნავს, რომ ბგერის ზოგადი ცნების გამომხატველ ტერმინად ძველ ქართულში მხოლოდ ხმაჲ ან ხმა გვხვდება. ამავე დროს იგი მუსიკალური ბგერის (ხმიერი და საკრავიერი) გამომხატველი იყო[51]. ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში „ხმა“ დიატონური გამის მნიშვნელობით იხმარებოდა[52]. „ჰმეანი გალობა“ ანუ რვა ხმაზე გაწყობილი გალობა, როგორც ე. მეტრეველი მიუთითებს, ქრისტიანული ეკლესიის პრაქტიკაში V საუკუნიდან გავრცელდა. VII საუკუნის ბერძნული ლიტურგიკული ძეგლის „იერუსალიმის ლექციონარის“ ქართულ თარგმანში ჰმეან ტროპარებს გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი[53]. რაც შეეხება ტერმინ „კილოს“, იგი ნახსენები აქვს იოანე დამასკელის ცხოვრების ავტორს. VII—VIII საუკუნეების საბაწმინდური ჰიმნოგრაფიული სკოლის მოღვაწეთა, იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის მიერ შექმნილი „კეთილად შეწყობილი“ გალობის ხასიათის გარკვევისა და დასადებლის თხზვის პროცესის ჩვენების მიზნით ე. მეტრეველს მოაქვს იოანე დამასკელის ცხოვრების ავტორის შემდეგი ცნობები: „უფროჲსღა უბიწოებითა და სიწმიდისაჲთა მათ თანა მკვდრად აქუნდა ღმერთი, რომელი-ესე ზედა-მიწევნით ისწავების და იცნობების აღწერაცთაგანცა მათთა და მართლმადიდებლობისა შჯულთა და სწავლათაგან, რომელნი—იგი მათ საზომითა მარცულედოვნითა აღწერნეს და ღმრთივ-შუენიერებითა (!) კილოებითა შეამკუნეს“; „იოანემ... მყის გამოთქუა დასდებელი ესე: ჰეშმარიტად ამაოება არს ყოველივე, ხოლო საწუთროჲ ესე სიზმარ და აჩრდილ, და რამეთუ ცუდად შურების ყოველი მიწით შობილი..., შემდგომად გამოთქმისა (დასდებლის—ე. მ.), კილოს დებდა რაჲ იოანე და გალობდა, დაემთხვია ზედმოსლვაჲ...“[54]. ამ ნაწყვეტებიდან გამომდინარე ე. მეტრეველი აღნიშნავს, რომ იოანე დამასკელი დასდებელს ჯერ „მარცვლედოვანი საზომით“ გამოთქვამდა, ხოლო შემდეგ დებდა მას კილოზე, რომელიც „ჰმეანობის“ ჩარჩოებით იყო რეგლამენტირებული[55]. ე. მეტრეველი კილოს ძლისპირის მელოდიის მნიშვნელობით ხმარობს. მასზე სრულდება გალობათა თუ სტიქარონთა ტროპარები. კილოს ამგვარ გაგებას იგი საფუძვლად უდებს X საუკუნის ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის შემდეგ განმარტებას: „საყუარელნო, უკეთუ ერთსა ძლისპირსა ზედა რომელიმე კილოჲ ერთი ორგუარად იყოს აღნიშნულ, ნუ უცხო გიჩნს, ნუცა ურთიერთას წინააღმდგომ; რამეთუ რომელიმე მრავლისა ძლისპირისა ერთი კილოჲ ორგუარად არს მეხურად, ხოლო შენ რომელი გინე, ბრძანე. რამეთუ ორივე ჰეშმარიტ არს“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, I, 1960, გვ. 545). ე. მეტრეველი მიუთითებს აგრეთვე კილოს ვარიან-

---

[50] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7—18, 240—243.

[51] იქვე.

[52] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ძლისპირნი, თბ., 1971, გვ. 037.

[53] იქვე, გვ. 038.

[54] იქვე, გვ. 043, 044.

[55] იქვე, გვ. 044.

ტებზე, რომელთა შესახებ აღნიშნულია მიქაელ მოდრეკილის იადგარის ამ მონაკვეთში[56].

XVIII საუკუნის საზოგადო მოღვაწის იოანე ბაგრატიონის ქართული ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკალური ნიშნების სახელმძღვანელოს განხილვისას, ვ. გვახარია საგანგებოდ ჩერდება კილოს განმარტებაზე. იგი აღნიშნავს, რომ „კილო“ იოანე ბაგრატიონის გაგებით არის „ხასიათის, ტონალობის, ჰანგის სპეციფიკის მიმცემი“[57].

ამგვარად, ქართული წერილობითი ძეგლებიდან ნათელია, რომ „ხმა და „კილო“ მუსიკალური ტერმინების სახით ძველი დროიდან მომდინარეობენ. ხალხურ ყოფაში „ხმა“ სხვადასხვა გაგებით იხმარება. მოვიტანთ ერთ-ერთი თუში მთხრობლის განმარტებას: „მე ჩემი საკუთარი ხმა მაქვს, „ჰეჭოს“ ხმას ეძახიან. სიმღერაც ჩემია. სხვა ხმაზე რომ იმღერონ, ეტყვიან, ნუ ცელი ხმასაო. ჩემი სიმღერა სხვა ხმაზე არ იმღერება. მე და შენ შეიძლება ერთ რომელიმე ხმაზე შევასრულოთ სიმღერა, მე სხვანაირად მოვუქციო, შენ სხვანაირად, მაინც ერთი ხმაა. თუ ვინმეს გამოთქმული ხმა მოგეწონა, შეგიძლია გადაიღო, მაგრამ სიმღერა უნდა შეუწყო. თუ ხმა არ მიუდგება სიმღერას, მაშინ მაგალითად, გარმონზე დაუკრავენ და შენ ლექსად უნდა თქვა“[58]. ნათქვამიდან ნათელია, რომ „ხმა“ და „სიმღერა“ განსხვავებული შინაარსის ცნებებია. სიმღერაში იგულისხმება ლექსის დამღერებით თქმა. სიმღერის ამგვარი გაგება უკანასკნელ დრომდე შემორჩათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს, რაზეც მიუთითებს აკად. ა. შანიძე. იგი წერს, რომ სევსურული „სიმღერე“ ლექსის სიტყვებით, გალობით წარმოთქვამს, ფანდურზე დამღერებას ნიშნავს, ხშირად მესამე ელემენტთან — პლასტიკასთან შეერთებით[59]. „ხმა“ „სიმღერისაგან“ განსხვავებით მარტოოდენ ჰანგს ნიშნავს. იგი მელოდიის რიტმო-ინტონაციური თავისებურების გამომხატველია. მაგრამ ჩვენი ასეთი განმარტება პირობითია, რადგან ამა თუ იმ პირის მიერ შექმნილი ყოველი ასეთი „ხმა“ ერთი ძირითადი მუსიკალური თემის სახეშეცვლილ გამეორებას, ვარიანტს წარმოადგენს. „ხმის“ სხვადასხვანაირად მოქცევაც შეიძლება, მაგრამ იმ რიტმო-ინტონაციურ ჩარჩოებში, რომელიც ამა თუ იმ „ხმას“ აქვს. „ხმა ყოველგვარ ლექსს ვერ შეეწყობა, რადგან „ხმის“ მეტრი მისი შესაბამისი ლექსის მეტრს ეთავსება. „ხმის გადაღება“ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მას სასურველი ლექსის მეტრი შეეთავსება. ზემოთქმულიდან ნათელია, რომ „ხმა ამ შემთხვევაში კონკრეტული გაგებით იხმარება. მაგრამ ამ ტერმინს ფართო გაგებაც აქვს. თუშები ერთმანეთისაგან განასხვავებენ „სამღერალ“, „სატირალ“ და „სათამაშო ხმებს“. მაგალითად, თუ ვინმე „სატირალ ხმაზე“ იწყებს მღერას, მას ეტყვიან „რა ტირილის ხმაზე მღერი“, სამღერალ ხმაზე იმღერეო“[60]. ეს სამი ჯგუფი ხმებისა ერთიმეორისაგან განსხვავდება რიტმო-ინტონაციური თავისებურებით და განსაკუთრებით კი, შესრულების ხასიათით. „სამღერალ ხმაში“ იგულისხმება ჯგუფი სიმღერებისა (ისტორიულ-საგმირო, საყოფაცხოვრებო, სატრფიალო), რომლებიც ცალკეული პირების მიერ არის გამოთქმული, ასევე „სატირალი ხმაც“ აერთიანებს ცალკეულ პირთაგან გამოთქმულ სამგლო-

[56] ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 045.

[57] ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962, გვ. 38.

[58] ავტორის საველე დღიურები, ახმეტის რაიონი, 1976 (ხელნაწერი).

[59] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931, გვ. 022.

[60] მასალის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ მეცნიერ თანაშრომელს ნ. ახიკურს.

ვიარო ხასიათის სიმღერებს, როგორიცაა „წოვა დიაცის ხმა“, „ჩაღმა დიაცის ხმა“ და სხვ. საყურადღებოა „ხმის“ მნიშვნელობა ხევსა და მთიულეთში. ვ. ითონიშვილს მოხეური ფერხისას ბარბარეს ან აბარბარეს შესახებ მსჯელობისას მოაქვს ნაწყვეტი ალ. ყაზბეგის ნაშრომიდან, რომელიც შეიცავს ჩვენთვის საინტერესო ცნობას „ხმის“ განმარტებისათვის: „ამას გარდა არის კიდევ ერთი განსხვავებითი ფერხული, რომელშიაც ერთი პირობა ძირს დააბამს და მეორე კი მხრებზედ შედგებიან და ისე მღერიან. ამ სიმღერას ჰქვიან „ბარბარე“ და ხმა ცოტათი მიემსგავსება „მუმლი მუხას“ ხმას[61]. მთიულეთში საწესო სიმღერის „ლომისურის“ შესახებ (რომელიც ჩავიწერეთ მლეთაში, დღეობა მარიამობას, ადგილის დედის სალოცავში) მთხრობლებმა შენიშნეს, რომ იგი მესრულდა მთიულური „ჯვარის წინას“ ხმაზე. ამგვარად, „ხმა“ გამოხატავს კონკრეტული სიმღერის რიტმო-ინტონაციურ თავისებურებას. „ხმას“ ჰანგის მნიშვნელობა აქვს გამოთქმაში „ხმის გატეხვა“. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ნაწყვეტს გუდამაყრელი მთხრობლის საუბრიდან: „ფერხისაში პირველად ხმას გაიტეხდა დეკანოზი, წინწინ მღერას არავინ დაიწყებდა, ვიდრე დეკანოზი არ შამღერებდა. „ხმის გატეხვა“ ერქვა მაგას. მემრე უფროსები ვინც სხედან, ხატიონნი გაიმეორებენ დეკანოზის სიტყვებს, ბანს ყველა დასძახებს[62]. არ იქნებოდა ურიგო გაგვეხსენებინა „ფანდურის გატეხვის“ წესი ხევსურეთში, რაც გულისხმობს ჭირის პატრონის მიერ ფანდურზე დაკვრას და დამღერებას: „ჭირის პატრონი გამოიტანდა ფანდურს და პირველი თვითონ იმღერებდა და შემდეგ ითამაშებდა კიდეც, რომ შემდეგში სხვებს მისი ხასიათით მხიარულებაში ხელი აღარ შეშლოდა. იმღერებდა მოკლე სიმღერას და მოიგონებდა მრავალ მთიელ გმირებს“[63]. ამგვარად, „ფანდურის გატეხვა“ ჭირის პატრონის მიერ ფანდურზე დაკვრას და დამღერებას, სიმღერის თქმას ნიშნავდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში გავრცელებული ნატირლების ერთ-ერთი სახეობის „ხმით ტირილის“ სახელწოდებაში შესაძლოა შემორჩენილია „ხმის“ როგორც ჰანგის, დამღერებით ტირილის გამომხატველი სიტყვის მნიშვნელობა, რაზეც მიგვანიშნებს აგრეთვე „ხმით ტირილის“ მუსიკალური ტექსტების ინტონაციური მხარე. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ხმით მატირალი ფასდებოდა მის მიერ გამოთქმული სიტყვიერი ტექსტის შინაარსით: „დიაცები ჯმით მატირალს იმით შააფასებენ რო დედათ ატირებსავ ძალიანავ. მართლაც ას ზოგი სატირელ სიტყვებს იძახსად ზოგი ვერ“[64]. ხმით მოტირალი ტირილის დროს თხზავდა ლექსებს და მათ ტირილის მსგავსად მღეროდა... მის ყოველ წინადადებას დამსწრე მოტირალი ქალების საერთო დაქვითინება მოყვებოდა[65]. „ხმით ნატირალისაგან“ განსხვავებით „ძახილით ტირილში“ „ყველანი იძახან თავთავის სიტყვებს, ბოლოს ჯმის გაგრძელებით, ზოგი ტალავარს იღებს ჯელჩი, აბრუნებს ერთზე სხოზედა. ჯმამაღლად

---

[61] ალ. ყაზბეგი, მოხევეები და იმათი ცხოვრება, თხზულებანი, V, გვ. 47; იხ. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ.: 264

[62] ავტორის საველე დღიურები, მთიულეთი, 1976 (ხელნაწერი).

[63] $M^{1}_{32}$, ალ. ოჩიაური, რელიგია ბუდეხევსურეთსა და შატილის თემში (VIII), 1940, რე. 54, გვ. 862.

[64] $M^{1}_{17}$ ალ. ოჩიაური, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, ბუდეხევსურეთი, I, 1939, რე. № 7; გვ. 136.

[65] გ. ჩიტაია, წინასიტყვაობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკ. III, თბ., 1940, გვ. XII – XIII

იძახს, ტირის, ჩახედავს იმის იარაღსად, ტალავარს. მეორე, მესამეიდ' ეესრ. მაკეთები ყველა იძახს. ასეთ ტირილს „ძახილი" ხქვიან. ჯმასაც კი ამშვენებენ ძახილში რო უფრო ლამაზ გამოუვიდას ტირილი... ძახილით ტირილში კაც თუ არ ყორობსად' ერთ-ერთის ძახილს არ იგონებს კი ვერ გაარჩევს, ცხრა-ათამდე დიაცი ყველა ჯმამაღლად ტირისად' იძახს თავის სიტყვებს რო უცხო კაცი აქ ვერცრას ვერ გაიგონებსად' ვერას გაარჩევს"[66]. „ძახილით ტირილი" განსხვავდება „ხმით ნატირალისაგან", თუმცა მის შესრულებაში შეინიშნება მუსიკალურ-ინტონაციური მხარეც, რაზეც მიუთითებს აგრეთვე „ძახილით ტირილის" მუსიკალური ტექსტი.

ხალხურ ყოფაში „ხმის" გვერდით გვხვდება ტერმინი „კილო". ალ. ოჩიაური თავის ხელნაწერში კილოს შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის: „სხვადასხვა კილო არის. მღერა ქვიან ძველ საგმირო სიმღერების დამღერებას, ჯმამაღლადა, გაგრძელებული კილოთ. ლექსობა კი მოკლე და დაბალი ხმით სრულდება და სატრფიალო ლექსებით"[67]. „კარზე რომ იმართებოდა მღერა, აქ ფანდურსაც სხვა კილოზე უკრავდნენ და მღერაც საგმირო სიმღერებისა იყო.. ახალუხალში სხვანაირად უკრავდნენ ფანდურსაც და ლექსობას უწოდებდნენ აქ დამღერებას"[68]. „...ლექსობა უფროსებთან არ შეეძლო ახალგაზრდებს, უფროსებთან იყო მარტო ძველებური სიმღერების მღერა ხმამაღლა, და სადაც უფროს ხალხი არ იქნებოდა, იქ კი ახალგაზრდობა სატრფიალო ლექსებს მღეროდა, არა იმ კილოზე, როგორც საგმირო სიმღერებს იმღერდენ ხმამაღლა. ამ მღერას ქვიოდა მღერა და ახალგაზრდობა რო საზანდრულ კილოზე მღეროდა, ამას ერქვა ლექსობა"[69]. „ცელის ტარზე ჯმით ნატირლებს იმღერდეს. საკუთარ სიმღერეებიც კი იყვ ცელის ტარზე სამღერლები. ერთი მარტო კაციც იმღერდად' შაიძლებოდ რო ჯერ ერთი იმღერებდად, მემრ სხო: მეორე გაიმეორებდ ამავ სიტყვებს, ესეთითავ კილოთ. ისრაც იცოდეს ეს მღერა რო, თუ ჯმას გაიგონებდ თუნდა სიტყვისთავ ვერ გაგერჩიავ, წინა მამღერალ რო სიტყვასად' ჯმის გაგრძელებას გაათავებდ გაჩუმდებოდ, მეორე მთიბელ იმღერებდ მთიბლურად შორს რო ჯმა კი მოდიოდად' სიმღერის კილო"[70]. ზემოხსენებულ ნაწყვეტებში კილო, ერთი მხრივ, სიმღერების გარკვეული ჯგუფის რიტმო-ინტონაციური თავისებურების გამომხატველია, მეორე მხრივ, კონკრეტული სიმღერის, მელოდიის თავისებურებაზე მიუთითებს. „კილო" მსგავსი გაგებით იხმარება ქართლში: „ურმის კილო სხვა არის, სუფრის კილო სხვა არის. კალოს კილო სხვა არი და გუთნის კილო სხვა არის"[71]. მაგრამ კილოს უფრო ფართე გაგებაც აქვს . მაგალითად, ხევსურებში გავრცელებულია ფშაურ კილოზე მღერა: „სოფლის ჯარზე, გარდა ფანდურზე მღერისა, სხვა მხიარულობა არ შეიძლებოდა, აქ კი, მეკვლეთ რაც შეეძლო მეტს მხიარულობდნენ, მღეროდნენ,

---

[66] $M^1_{17}$ ალ. ოჩიაური, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, ბუდეხევსურეთი, I, რვ. № 7, გვ. 130—131.

[67] $M^1_{17}$ ალ. ოჩიაური, დასახ. ხელნაწერი, რვ. 5, გვ. 78—79.

[68] $M^1_{32}$ ალ. ოჩიაური, რელიგია ბუდე—ხევსურეთსა და შატილის თემში (VIII), რვ. 48; გვ. 785—786.

[69] $M^1_{17}$ ალ. ოჩიაური, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, II, ბუდეხევსურეთი (ბაცალიგო), 1938, რვ. 23, გვ. 430.

[70] $M^1_{17}$ ალ. ოჩიაური, დასახ. ხელნაწერი, რვ. № 28, გვ. 530.

[71] წერილი ხელოსნობისა და შინამრეწველობის ისტორიისათვის საქართველოში, მასალები შეკრებილი ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, 1935—37 წლებში. ზ/ქართლი, საკრავები, სასიმღერო ჰანგი და საკრავები, გვ. 959 (ხელნაწერი).

თამაშობდნენ და სხვ"[72]. „ჯვარიენები მიდიოდნენ და გზადაგზა მღეროდნენ ფშაური მღერის კილოზე. სიმღერე ანუ ლექსი შეიძლებოდა ყოველგვარი ემღერა, საგმირო, სიკვდილის შესახებ, სატრფიალო და სხვ."[73] „მადიოდეს გზადა-გზაედ' იმღერდეს მშაურად ზოგი კიოდ, ზოგი თოვლს აშლიდ ერთუცს, ზოგი თამაშობდ გზაგზათ, სრუ ესრ ხუმრობით წავიდოდეს"[74]. ალ. ოჩიაური ფშაურ კილოს შემდეგნაირად განმარტავს: „...ერთი თავისებური კილოა, მხოლოდ ზოგი აგრძელებს ამ კილოს, ზოგი მოკლედ გამოთქვამს. ლექსობასაც ფშაური კილო აქვს. ბანით რომ არ სრულდებოდეს, არ ვიტყოდი, რომ ფშაური კილოა..."[75] ბიჭურ ბადრიშვილი ფშაურ კილოს ასე განასხვავებს ხევსურულისაგან: „ხევსურების და ჩვენი ლაპარაკი ხო განსხვავდება, ისე ჩვენი კილო ძაგათაგან. ეგენი ისე ვერ უქცევენ ფშაურად. ჩვენ სიმღერას „-შაურს" ვეძახით, მაგრამ ფერკისაც ფშაურია და ლექსობაც ფშაურ კილოზე იმღერება" (სოფ. შუაფხო)[76]. საყურადღებოა აგრეთვე ფშაველი მზექალა თათარაშვილის ნათქვამი: „ხევსურმა ხო სხვანაირი ლაპარაკი იცის, სიმღერაც სხვანაირი იცის. ფშაველ კაცს ის ვერ შეუქცევს" (სოფ. უძილაურთა)[77]. განმარტებებიდან ნათელია, რომ „კილოს" ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმება არა კონკრეტული სიმღერის ან სიმღერათა ჯგუფის მელოდიური თავისებურება, არამედ ერთი გარკვეული კუთხის სიმღერების რიტმო-ინტონაციური თავისებურება. ეს უკანასკნელი ამავე დროს ითვალისწინებს ენის დიალექტურ ანუ კილოებრივ თავისებურებას. კახეთში ქართლისაგან განსხვავებით „კილოს" ნაცვლად დამკვიდრებულია „ხმა". კახელები ქართლელებზე იტყვიან: „იგეთნაირ ხმაზე მღერიან, რომ ჩვენებურ ხმას არ ჰგავო. ჩვენკენ ჩახლართული მღერა იციან, ქართლში— არა. კახელები სიმღერის ერთ მონაკვეთს რომ შეასრულებენ, უცებ შეწყვეტა იციან, ქართლში ეს არ იციან. კახელებმა უფრო თამამად, ფართედ იციან მღერა. ქართლელი კაცი სხვანაირად ლაპარაკობს, კახელი — სხვანაირად. ქართლელები სხვანაირად უქცევენ"[78]. ამგვარად, ხალხურ ყოფაში დამკვიდრებული „ხმა" და „კილო" ერთი და იგივე შინაარსის მქონე მუსიკალური ტერმინებია იმ განსხვავებით, რომ „ხმა" არა მარტო სიმღერის, სიმღერათა ჯგუფის თუ სიმღერების კუთხური თავისებურების გამომხატველია, არამედ იგი ამა თუ იმ პირის მიერ გამოთქმული სიმღერის აღმნიშვნელიც არის. მაგალითად, გამოთქმაში „ჩალმა დიაცის ხმა", „წოვა დიაცის ხმა" და სხვა, აქ „ხმას" გაკვეული თვალსაზრისით შემორჩენილი აქვს „ხმის" როგორც ზოგადად ბგერის გამომხატველი სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა. „კილო" კი, მარტოოდენ ჰანგის თავისებურების გამომხატველია დამოუკიდებლად მისი შემქმნელისაგან, მთქმელისაგან. „კილოს" როგორც სიმღერის კუთხობრივი თავისებურების აღმნიშვნელი მუსიკალური ტერმინის ხალხური გაგება უეჭველად გულისხმობს შესრულების ინდივიდუალურ, კუთხურ ხასიათს, იმ ინტონაციურ თავისებუ-

[72] $M^1_{33}$ ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, რელიგია ბუდეხევსურეთსა და შატილის თემში, (VIII) რვ. 54, გვ. 843.

[73] იქვე, რვ. 50, გვ. 817.

[74] ალ. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურული ხალხური დღეობების კალენდარი, II, ბუდეხევსურეთი (ბაცალიგო), რვ. 24, გვ. 436—437.

[75] ნ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70—71.

[76] იქვე, 71.

[77] იქვე.

[78] მასალა მოგვაწოდა მეცნიერ თანამშრომელმა ბ. ნაწობაშვილმა, რის გამოც მას მადლობას მოვახსენებთ.

რებას, რომელიც ამა თუ იმ კუთხის ენის კილოებრივ თავისებურებასთან ერთიანობაში ყალიბდება[79]. ამიტომ ბუნებრივია საქართველოს ყოველი კუთხის სასიმღერო შემოქმედების გამოყოფა მუსიკალური დიალექტის ან კილოს სახით. ამგვარი დაყოფა უფრო ნათლად გამოხატავს იმ დიდ წვლილს, რომელიც თითოეულ კუთხეს შეუტანია ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის განვითარებაში. მუსიკალურ კილოკავებად კი უნდა მივიჩნიოთ ერთ რომელიმე კილოში არსებული განშტოებანი (მაგალითად, წოური — თუშურის კილოკავი, ქიზიყური —კახურის და ა. შ.) ამგვარად, ამა თუ იმ კუთხის სიმღერების მრავალხმიანობის ფორმის, ინტონაციურ-ჰარმონიული თავისებურების და შესრულების ინდივიდუალური, კუთხური ხასიათის ერთობა მუსიკალური კილოს განმსაზღვრელია. რაც შეეხება მუსიკალური დიალექტების ეტალონს, ქართლურს და კახურს, ერთი მხრივ, ხოლო გურულს მეორე მხრივ, ქართული მუსიკალური დიალექტების ეტალონად ვერ მივიჩნევთ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მაღალგანვითარებულნი არიან, მაინც ვერ სცილდებიან დიალექტის დონეს და სხვა დანარჩენი მუსიკალური დიალექტების გვერდით თანაარსებობენ. სიმღერების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მუსიკალური დიალექტების ეტალონად უნდა მივიჩნიოთ ის ინტონაციურ-ჰარმონიული ნორმები, რომლებიც საერთოა ქართული ხალხური სიმღერების ყველა განშტოებისათვის.

Н. В. МАЙСУРАДЗЕ

## О ГРУЗИНСКИХ МУЗЫКАЛЬНЫХ ДИАЛЕКТАХ

Резюме

Грузинские музыкальные диалекты определяются формой многоголосья, интонационно-гармонической особенностью песен и характером их индивидуального исполнения. В последнем подразумевается та интонационная особенность, которая формируется в непосредственной связи с диалектной особенностью речевого языка.

Изучение музыкальных диалектов в историческом развитии дает возможность проследить процесс их постепенного формирования. Анализ музыкальных текстов показал, что эталоном музыкальных диалектов являются общие для всех ветвей грузинских народных песен интонационно-гармонические нормы.

[79] ყურადღებას იქცევს ტერმინ „კილოს“ კავშირი „კილ“-თან. სულხან-საბას განმარტებით, „კილი ხვარბლის ბუდე“ (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი) მაგალითად, ცნობილია ხორბლის კილიანთა ანუ ასლისებურთა ჯგუფი, რომლის მარცვალი მჭიდროდ ზის განსაკუთრებულ ბუდეებში — კილებში (ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 36—37). „კილოს“ ი. აბულაძისეული განმარტებებიდან საყურადღებოა: 1. კილო — ნაპრალი; 2. კილო—ყულფი, ღილის გადასაცმელი (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1972, გვ 199). ნათელია, რომ „კილი“, „კილო“ ბუდეს, ჩარჩოს, შემოსაზღვრულს ნიშნავს. შესაძლოა სიტყვის ამ მნიშვნელობიდან მომდინარეობს მუსიკალური ტერმინის „კილოს“ გაგება, როგორც სიმღერის რიტმო-ინტონაციური თავისებურების, შეიძლება ითქვას, ინტონაციური მოდელის გამომხატველისა.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

გესარიონ ჯორგენაძე

# ჟალეთის მთის არქეოლოგიური ძეგლები

ქართულ საისტორიო წყაროებში ხშირად არის მოხსენიებული ტოპონიმი ჟალეთი[1]. ჟალეთის ქვეყნის არქეოლოგიური ძეგლების გამოსაკვლევად და ამ მხარის ცენტრის ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით 1963—64 წწ. ივრის ხეობაში მოაწყო საგანგებო არქეოლოგიური ექსპედიცია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა (ხელმძღვანელი უფროსი მეცნიერ თანამშრომელი დ. მუსხელიშვილი)[2].

ექსპედიციამ ყურადღება გაამახვილა მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე ნასოფლარ ჭიოტაანთკარის თავზე ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან აღმართულ მთაზე, რომელიც ჟალეთის სახელწოდებითაა ცნობილი (თიანეთის რაიონი).

ჟალეთის მთა, რომლის თხემის სიგრძე 700 მეტრს აღწევს, სიგრძივაა დამხრობილი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილთან შედარებით ამ მთის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე უფრო ფართოა და მოვაკებული. თხემი ზღვის დონიდან 1368 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

ჟალეთის მთა ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მთებიდან გამოყოფილია ღრმა ხევით, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ფერდები მკვეთრად ეშვება მდ. ივრისკენ. ჩრდილო-დასავლეთ მხრიდან ამ მთას აქვს ხელოვნური ყელი, კლდეკარისებრი გასასვლელით, სადაც თავს იყრის ივრისპირებიდან და შიდა კახეთიდან ამომავალი რამდენიმე გზა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟალეთის მთის გარშემო მრავლადაა შემორჩენილი ნამოსახლარების და ხატების ნაშთები, ხშირია შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენებიც. ეს აშკარა მოწმობაა იმისა, რომ აღნიშნული ტერიტორია ხანგრძლივი დროის მანძილზე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული.

ჟალეთის მთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შედარებით მოვაკებულ ადგილას, აგებულია გალავანშემოვლებული ეკლესია და კოშკი. ეს კომპლექსი XIX-ს-ის მეორე ნახევარში უნახავს რუს არქეოლოგს პ. უვაროვას[3].

---

[1] ე. თაყაიშვილი. სამი ისტორიული ხრონიკა. ტფ., 1890, გვ. 19; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 89; ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 126, 311; ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 392; ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 530—531.


[2] ექსპედიციის საველე მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: რ. რამიშვილმა, კ. მელითაურმა, გ. ნასიძემ, ც. ჩიკოიძემ, მ. ჩხატარაშვილმა, მ. კოზლოვსკიმ, დ. ცხაკაიამ, ნ. ვარაზაშვილმა. კამერალური ფოტო და სამხატვრო სამუშაო შეასრულეს: ვ. თულაშვილმა, ვ. ასტახოვმა, რ. ჩიქოვანმა, ნ. თოფურიძემ, კ. არაბულმა. ჩვენ უშუალო მონაწილეობა მივიღეთ ამ ორწლიან მუშაობაში, ხოლო ექსპედიციის ხელმძღვანელმა მასალა გადმოგვცა შესასწავლად, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[3] П. С. Уварова, Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию,—Материалы по археологии Кавказа, вып. 10, М., 1904, გვ. 4.

აღნიშნული კომპლექსის ხასიათის დასადგენად, სტრატიგრაფიული სურათის გასარკვევად და, საერთოდ, ჟალეთის მთის სიძველეთა გამოსავლენად ამ მთის თხემზე და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე სხვადასხვა ადგილას გაიჭრა ცხრამეტი საძიებო თხრილი თუ ზონდაჟი[4]. მათი სიგრძე მერყეობდა 4 მ-დან 22 მ-მდე, ხოლო სიგანე 1 მ-დან 3 მ-მდე. ყველა ზონდაჟი ითხრებოდა კლდოვან ნიადაგამდე.

ზონდაჟი № 2 გაიჭრა ჟალეთის მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, გალავნის ქვემოთ, პატარა ტერასაზე. ორწლიანი მუშაობის შედეგად იგი გაფართოვდა (ზონდაჟს ეწოდა თხრილი I) და მისმა ფართობმა შეადგინა დაახლოებით 100 მ².

თხრილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა სათავსი № 1. ამ ნაგებობის ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლინდა კედელი მიმართული აღმოსავლეთიდან-დასავლეთით. კედელი ნაგები იყო ფლეთილი ქვებით დუღაბზე, ორპირი წყობით. შემორჩენილი სიგრძე—4,5 მ, სიგანე—0,7 მ. ამ კედლის აღმოსავლეთ ბოლოდან სამხრეთისკენ მიმართულია ძლიერ დანგრეული მეორე კედელი. პირველი კედლის სამხრეთით, დაახლოებით 3 მ-ის დაშორებით, გამოვლინდა მისი პარალელური მესამე კედელი. სათავსი № 1-ის სამხრეთი კედელი აგრეთვე ორპირი წყობითაა ნაგები, მაგრამ უფრო პატარა ზომის ფლეთილი ქვებით. ეს ნაგებობა საცხოვრებელი დანიშნულებისაა.




სურ. 1

[4] დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი, ჟალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის ანგარიში. — XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლო-

სათავს № 1-ს ჩრდილოეთი მხრიდან თავისუფალი არე ჰქონია, რომელსაც პირობითად ეზო ეწოდა. აქ აღმოჩნდა კერის ნაშთი — ნაცარ-ნახშირის წრიული ლაქა. როგორც ჩანს ეზოში გამართული ყოფილა ღია კერა.

თხრილ 1-ში აგრეთვე გამოვლინდა წრიული კონტურის ნაგებობა (სათავსი № 2), უფრო სწორად ამ ნაგებობის ქვის ცოკოლი. იგი ნაგები იყო ცალპირი წყობით, საშუალო და დიდი ზომის კირქვებით. სათავსი № 2 გეგმაში შეუკვრელი წრეხაზის ფორმისაა (სურ. 1). ამრიგად, აღნიშნული შენობა წარმოადგენდა მიწურ, ან ნახევრად მიწურ, ალბათ სამეურნეო დანიშნულების მცირე მოცულობის ნაგებობას.

თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სათავსი № 2-ის მახლობლად აღმოჩნდა ჩაკირული ქვევრი, რომელსაც ბრტყელი სწორკუთხა ფილა ეხურა (სურ. 1).

თხრილში გამოვლენილი ნაგებობების და ქვევრის სტრატიგრაფიული განლაგება შემდეგნაირია. სათავსი № 1 ზის კულტურული ფენის იმ შრეში, რომელიც უშუალოდ კლდოვან დედაქანზე დევს. ამავე შრეშია აგებული სათავსი № 2. აქედან გამომდინარე ეს ორივე სათავსი თანადროული უნდა იყოს. რაც შეეხება ქვევრს, ის ჩადგმულია იმ ფენაში, რომელიც წარმოიქმნა სათავსების დანგრევის შემდეგ. ქვევრი ისე ახლოა მიდგმული სათავს №2-სთან, რომ მათ შორის თითქმის არ იყო გამყოფი მიწის შრე. აქედან გამომდინარე ქვევრი უფრო გვიანდელი ჩანს. სათავსებთან გამოვლენილი თიხის ჭურჭლის ნატეხები ძირითადად XI—XIII სს მიეკუთვნება.

გარდა № 1 თხრილისა გალავნის გარეთ მდებარე ზონდაჟებში №№ 1,3, 4, 6, 7, 9, 10 კომპლექსის სამხრეთით და დასავლეთით, გამოვლინდა თიხის ჭურჭლის მცირეოდენი ნატეხები, ძირითადად განვითარებული შუა საუკუნეებისა.

ექსპედიციის ძირითადი სამუშაო კონცენტრირებული იყო გალავნის შიგნით, სადაც გაიჭრა ზონდაჟები №№ 8, 8-ა, 8-ბ, II—15, ხოლო ზონდაჟი № 16— გალავნის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთით გამოვლენილი აკლდამის ადგილას[5].

ქალაქის მთის ციხე-სიმაგრის გალავანს ორი კარიბჭე აქვს, ერთი სამხრეთ ნაწილში, ხოლო მეორე—ჩრდილო-დასავლეთით. ამჟამად გალავნის ქვედა ნაწილია შემორჩენილი, რომლის სიმაღლე ზოგან 1,8 მ აღწევს. აგებული ყოფილა დუღაბით კლდის სხვადასხვა ზომის ქვებით. გალავანთან გავრილი ზონდაჟებით ირკვევა, რომ ის აგებული იყო თხელ კულტურულ ფენაზე, რომელიც დედაქანს (კლდეს) გადასდევს ზემოდან.

შემოზღუდული ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია სამხრეთი მინაშენით (სურ. 2), რომელიც დამახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეებისათვის. ეკლესია გადახურული ყოფილა კრამიტით, რომლებიც შემკულია რელიეფური ორნამენტით.


გალავნის დასავლეთ კედელში ჩაშენებულია სწორკუთხა კოშკი. კედლე-

---

გიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 3—6 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი); დ. მუსხელიშვილი, ქახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში, 1964, ხელნაწერი; რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, „მაცნე", ისტორიის სერია, 1977, № 4, გვ. 168—169; В. Л. Джорбенадзе, Средневековые археологические памятники бассейна р. Иори, — Автореферат дисс. канд. ист. наук, Тб., 1981, გვ. 15—17.

[5] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 2.

ბის ზედა ნაწილი და გადახურვა ჩამონგრეულია. კოშკის შიგნით ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელში გამოვლინდა თავდაპირველი კარი (სურ. 3). მისი ზღურბლის დონეზე კოშკის ჩრდილოეთ კუთხეში დადასტურდა მოტკეპნილი იატაკის ნაშთი. გაურკვეველი მიზეზების გამო ეს კარი შემდგომში გაუქმებულა და მასზე გარედან მიუშენებიათ ოვალური ბურჯი (სურ. 3). ახალი კარი გაუჭრიათ სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში. ამ კედლის გასამაგრებლად გარედან მიუშენებიათ ოვალური ბურჯი პატარა გასასვლელით (სურ. 3). კოშკს ეს ვადაკეთება ალბათ მაშინ შეეხო, როდესაც მან თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა და მხოლოდ თავშესაფრად გადაიქცა.




სურ. 2

გალავნის სამხრეთი კარის აღმოსავლეთით გათხრამდე, შიგნიდან, ჩანდა გალავნის პერპენდიკულარულად მიბჯენილი კედლის ნაშთი, რომელიც, როგორც გათხრებისას გამოვლინდა, ეკუთვნოდა პატარა სწორკუთხა სათავსს, შესასვლელით ჩრდილოეთ კედელში. სათავსის კედლები შედგებოდა ხურდა ქვით ნაგები ორპირი წყობისგან, რომელიც დაკავშირებული ყოფილა დუღაბით. კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი (0,5—1,8 მ), ხოლო სიგანე 0,52—0,68 მ. სათავსი გადახურული ყოფილა კრამიტით.

გალავნის შიგნით, ზონდაჟებში გამოვლინდა ქვევრები და ხარო. ქვევრები ალბათ გამოიყენებოდა როგორც ღვინის, ასევე წყლის შესანახად, ხარო კი მარცვლეულისათვის.

ჟალეთის ციხე-სიმაგრის შემოზღუდულ ტერიტორიაზე გაითხარა 14 სამარხი ხოლო მის გარეთ 1 სამარხი, რომელიც მიშენებული ყოფილა გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე. სამარხები თავიანთი აღნაგობით ოთხ ტიპად იყოფა: **1.** ორმოსამარხი, **2.** ქვისსამარხი, **3.** ამოშენებულკედლიანი სამარხი, **4.** აკლდამა. სამარხები დამხრობილია დასავლეთიდან-აღმოსავლეთით. დაკრძალვის წესი ქრისტიანულია. სამარხები კოლექტიურია, საგვარეულო, გარდა ბავშვებისა, რომლებიც ინდივიდუალური წესით არიან დაკრძალულნი. სამარხები თავისი აღნაგობით დამახასიათებელია განვითრებული და გვიანი შუა საუკუნეებისათვის და ემსგავსებიან აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში გათხრილ სამარხებს[6]. ჟალეთის სამარხებში ინვენტარის თითქმის უქონლობა აძნელებს მათი თარიღის დაზუსტებას. მხოლოდ № 6 სამარხში აღმოჩნდა მი-

[6] რ. რამიშვილი, იერის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, I, სიონი, თბ., 1970, გვ. 86—90; ლ. ჰილაშვილი, ძველი გავაზი, თბ., 1975, გვ. 44—54; ბ. ჯორბენაძე, ჯ. წიკლაური, „ნაჭალაჭარის“ სამაროვნის თხრის პირველი შედეგები. — ქინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბ., 1975, გვ. 28 — 30.




სურ. 3

ნის მოლურჯო, სადა სამაჯურის ნატეხი (№ 337) და № 7 სამარხში — რკინის, ბრტყელი სამაჯურის ნატეხი (№ 334). აღნიშნული სამარხეული ინვენტარი დამახასიათებელია XI—XIII სს. და მსგავსებას იჩენს ანალოგიურ მასალებთან რუსთავიდან, ივრის სიონიდან, ჟინვალიდან და სხვ[7].

ჟალეთის ხუროთმოძღვრული კომპლექსის დათარიღებაში თავისებური სიცხადე შეაქვს იმ არქეოლოგიურ მასალას, რომელიც გამოვლინდა თხრისას ზონდაჟებში და თხრილში.


არქეოლოგიური მასალა უპირატესად წარმოდგენილია კერამიკით. მათში გამოიყოფა მოუჭიქავი, მოჭიქული და ფაიანსის ჭურჭლის ნატეხები.

მოუჭიქავი კერამიკა დანიშნულების მიხედვით წარმოდგენილია: სამზარეულო, სასუფრე, სამეურნეო ჭურჭლით და სამშენებლო კერამიკით.

სამზარეულო ჭურჭელი წარმოდგენილია ქოთნების (№№ 2, 52, 166, 198, 200, 203) და ბადიების (№№ 30, 192, 276) ნატეხებით.

ქოთნები (სურ. 4) დამზადებულია უხეში, მინარევიანი, არასრულად გამოშწვარი თიხისგან. ჭურჭლები გამომწვარია მონაცრისფრო ან შავად. ქოთნებს აქვთ მომრგვალებული ბაკო, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, ბრტყელი ყური და ბრტყელი ძირი. ზოგიერთი ფრაგმენტი შემკულია კონცენტრული წვრილი ღარებით და ორ პარალელურ ღარს შორის მოქცეული ტალღისებური ნაჭდევით. ამ ქოთნების დათარიღებაში ძალიან გვეხმარება ჟინვალის ნაქალაქარის და ნასოფლარების XI—XIII სს ფენებში გამოვლენილი ანალოგიური მასა-

[7] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, — მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1955, გვ. 194; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958, გვ. 140; რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები..., I, გვ. 103—105, 124—125; რ. დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები. — მუზეუმის მოამბე, 1969, ტ. XXVIII—B, გვ. 98—115; ბ. ჯორბენაძე, ჟინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვანი 1974—75 წლების განათხარების მიხედვით, — ჟინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები). თბ., 1980, გვ. 44.



სურ. 4

ლა[8]. ამდაგვარი ქოთნები ასევე მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებზე[9].

ბადიების მეტად ფრაგმენტული ნატეხებია შემორჩენილი. ისინი გამომწვარია მოწითალოდ და მონაცრისფროდ. აქვთ ბრტყელი, გადმოწეული ბაკო. ერთ ნატეხზე შემორჩენილია ბაკოში გამოყვანილი ტუჩი. მსგავსი ბადიები ეხვდება XI—XIII სს. ფენებში.


სასუფრე ჭურჭელი წარმოდგენილია ხელადებით (№№ 3, 56, 175, 176, 201, 219, 238, 288, 297) და მოუჭიქავი ჯამებით (№№ 21, 64, 69, 221).

ყალურ კერამიკაში ყველაზე მრავალრიცხოვანია ხელადების ნატეხები. მათ შორის არის სამტუჩა მოყვანილობის, რომლებიც გამომწვარია მოწითალოდ და მოყავისფროდ. ისინი დამზადებულია მინარევიანი თიხისგან. ყურები გვხვდება ბრტყელი, ოვალურგანივკვეთიანი. ზოგიერთი ნატეხი პირის ქვემოთ შეძკულია რელიეფური წიბოთი.

აღსანიშნავია მოშავო გამომწვარი ხელადის ნატეხები (სურ. 5), რომლის ზედაპირს შემოუყვება კონცენტრული ღარები და შემკულია სიგრძივი შავპრიალა გაცვილული ზოლებით. ამ ტიპის ჭურჭლების ყური ბრტყელია.

[8] მ. მარგველაშვილი, ქინვალის „ნაქალაქარი“, —ქინვალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), თბ., 1975, გვ. 40—41; გ. რჩეულიშვილი, „დევებიანისა“ და „დიდრუეის“ ნასოფლარები, — ქინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1980, გვ. 61.

[9] ვ. ჯაფარიძე, კერამიკული წარმოება XI—XIII სს საქართველოში, თბ., 1956, გვ. 18, ტაბ. I; ც. ჩიკოიძე, ქალაქი თელავი, თბ., 1979, გვ. 46—47.



სურ. 5

ცალკე ჯგუფად გამოიყოფა თეთრკეციანი ხელადები, რომლებიც დამზადებულია წმინდა და კარგად განლექილი თიხისგან. მათ აქვთ კოპებით შემკული მუცელი. აღსანიშნავია ბრტყელი ყურის ერთი ფრაგმენტი ზედ დაძერწილი თიხის დაღარული წიბოთი, რომელსაც ორივე მხრივ გასდევს მრგვალი მეჭეჭების თითო მწკრივი.

ხელადებს შორის არის ფეხიანი ხელადების ფრაგმენტები. ისინი დამზადებულია მინარევიანი თიხისაგან, ხოლო გამომწვარია მოწითალოდ. ფეხები წარმოადგენენ ძირის წიბოზე მიძერწილ მრავალწახნაგა შვერილებს.

პირის მოყვანილობის მიხედვით ცალკე გამოიყოფა წითლად ვამომწვარი ხელადის ფრაგმენტი ზემოაწეული ტუჩით.


ქალურ ხელადებს მრავლად ეძებნება ანალოგია აღმოსავლეთ საქართველოს ნაქალაქარების XI—XIII სს ფენებში.

მოუჭიქავი ჯამები გამომწვარია წითლად, მოვარდისფროდ, მოყავისფროდ და მოჩალისფროდ. მათი თიხა მსხვილმარცვლოვანიცაა და განლექილიც. ზოგიერთი ჯამის კალთა წახნაგითაა გამოყვანილი, ზოგი ძირისკენ დაქანებულია. ჯამებს შორის არის უქუსლო, ძირბრტყელი და ბორბლისებურქუსლიანი ცალები. გვხვდება აგრეთვე ოდნავ ქუსლგამოყვანილი ძირბრტყელი ჯამები.

მსგავსი ჯამები მოპოვებულია რუსთავში, დმანისში, თბილისში, თელავში, ჟინვალში და სხვ. სასუფრე ჭურჭლების თარიღი განსაზღვრულია XI—XIII სს.

სამეურნეო ჭურჭელი წარმოდგენილია ჩაფების (№№ 11, 62, 63, 244), დერგების №№ 159, 205, 218), სადღვებლების (№ 10,85) და ქვევრების (№ 32, 135) ნატეხებით.

სამეურნეო ჭურჭლებს შორის გვხვდება განვითარებული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ჩაფების მცირეოდენი ნატეხები. ისინი დამზადებულია მოწითალოდ და მოშავოდ გამომწვარი მინარევიანი თიხისგან. ჩაფის პირის ერთ ნატეხს (№ 11) ბაკოს ქვემოთ შემოუყვება რელიეფური ფართე წიბო, ხოლო ყელის ზედაპირი შემკულია ტალღისებური ნაჭდევებით. ყურების ფრაგმენტები ბრტყელოვალურია, ხოლო ზოგიერთი მათგანი შემკულია განივი და სიგრძივი ნაჭდევებით.



სურ. 6


ჟალური დერგების ნატეხები (სურ. 6) მოშავოდ და მოვარდისფროდაა გამომწვარი და მეტწილად დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. დერგების მუცლის ზედაპირს შემოუყვება რელიეფური წიბო და ზოგიერთი მათგანი შემკულია ფრჩხილისებური და ურთიერთგადამკვეთი ნაჭდევებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის დერგები გამოვლენილია აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ნაქალაქარის და ნასოფლარის თხრისას.

განათხარ მასალაში არის ბრტყელი, მოზრდილი ყურის ორი ნატეხი, რომელიც სადღვებელს უნდა მიეკუთვნოს. ერთი მათგანის ზედაპირი შემკულია წვრილი, მოგრძო ნაჭდევებით.

ჟალეთის სიმაგრეული კომპლექსის თხრისას გამოვლენილია მთლიანი ჩაკირული ქვევრები. ისინი გამოიყენებოდა როგორც ღვინისათვის, ისევე წყლის მარაგის შესანახად. სპეციალიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით საქართველოში ქვევრების ჩაკირვა XI ს-ის დასასრულიდან იწყება[10]. ამიტომ ზემოთ აღნიშნული ქვევრებიც XI ს-ის მომდევნო პერიოდს უნდა მიეკუთვნოს. არის ქვევრის რამდენიმე ფრაგმენტიც, რომლებიც ალბათ მცირე მოცულობის ქვევრს — ქოცოს მიეკუთვნება.

სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია კრამიტებით (№№ 29, 74, 99, 117, 154, 369—372).

ჟალეთის კომპლექსის თხრისას და, განსაკუთრებით, გალავნის შიგნით დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კრამიტის ნატეხები. როგორც ჩანს, კრამიტით ყოფილა გადახურული სათავსები, კოშკი და თვით წმ. გიორგის ეკლესია.



სურ. 7

[10] ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ., 1963, გვ. 141—144.

ეკლესიის სახურავს ეტყობა არაერთი შეკეთების კვალი. სახურავზე დაფიქსირებულია ღარიანი კრამიტები შემკული გეომეტრიული და სტილიზებული რელიეფური ორნამენტებით. ამ ტიპის კრამიტმა თავისი შემკულობის გამო მიიღო სახელწოდება „ჟალურბ“. მსგავსი კრამიტებით გადახურულია ივრის ხეობის არაერთი ეკლესია (საყარაულოს, პირიმზისა და სხვ.).

კრამიტებს შორის, რომლებიც მოწითალოდაა გამომწვარი, გვხვდება ღარისებრი და ბრტყელი.

ღარისებრი კრამიტების (სურ. 7) უმეტეს ნაწილს აქვს მაღალი ქედი, თავთან რელიეფური სამკუთხა მოყვანილობის საბჯენი შვერილი. ამ ტიპის თითქმის ყველა კრამიტის ზედაპირი შემკულია რელიეფური ორნამენტით.

ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტები სადა ზედაპირიანია. მარტო ორ ნატეხზეა შემორჩენილი რელიეფური წარწერა შესრულებული ნუსხურით, რომელშიც ინიციალი არის ასომთავრული[11]. ერთზე იკითხება „სტეფა“..., ხოლო მეორეზე „სტ...“. ორივე წარწერა ერთი ყალიბითაა შესრულებული და შესაძლოა ხელოსნის სახელი იყოს. წარწერები თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით დამახასიათებელია X საუკუნისათვის, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ის გადადიოდეს XI საუკუნეშიც[12].

ბევრ კრამიტზე შემორჩენილია დუღაბის კვალი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისინი სახურავზე დუღაბით ყოფილა დამაგრებული.

კრამიტების უმეტესი ნაწილი აღმოჩენილია XI—XIII სს. კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტებთან ერთად. ჟალური კრამიტის მსგავსი მასალა მრავლადაა აღმოჩენილი აგრეთვე განვითარებული შუა საუკუნეების ჟინვალის ნაქალაქარზე.

აქვე უნდა გავიხსენოთ ის მოსაზრება, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში, საქართველოში ვრცელდება წარწერიანი და სხვა გამოსახულებიანი კრამიტი[13].

მოჭიქული კერამიკა გამოვლენილი ჟალეთის განათხარ მასალაში შემკულობის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა: ერთფერად მოჭიქული (№ 1/2), მრავალფერად (№№ 23, 46, 206, 251) ან ანგობით მოხატული და მოუჭიქავი ჭურჭელი (№№ 170/1, 189, 246).

ერთფერად მოჭიქული ჭურჭლების ჯგუფი წარმოდგენილია ჯამის ძირის ერთი ნატეხით (სურ. 8, № 1/2), რომელიც მოხატულია თეთრი ანგობის ზოლებით და გადაკლებული აქვს ცისფერი ჭიქური. ამ ტიპის ჭურჭლები ძრავლად გვხვდება განვითარებული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე და ძირითადში დამახასიათებელია XI საუკუნეებისათვის[14].

მრავალფერად მოჭიქული კერამიკა წარმოდგენილია მოწითალოდ გამომწვარი ჯამების ნატეხებით (სურ 8). მათი ზედაპირი ძირითადად შემკულია რტოყლორტოვანი და გეომეტრიული ორნამენტით და აგერთვე ფრინველის (მტრე-


---

[11] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, სურ. 3.

[12] ექსპედიციის ხელმძღვანელმა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა დ. მუსხელიშვილმა საველე დღიურში აღნიშნული წარწერა მიაკუთვნა XI—XII სს, ხოლო თარიღი დაზუსტდა. ზ. ალექსიძის და ნ. შოშიაშვილის კონსულტაციით.

[13] ჯ. ჯღამაია, სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 87.

[14] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24, ტაბ. XIV, 2; მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX—XIII სს., თბ., 1969, გვ. 28—30.



სურ. 8

დის) გამოსახულებით. აღნიშნული ჯამები ანალოგიური მასალებით დათარიღებულია XII—XIII სს[15].

თიხის ჭურჭლების ძალზე საყურადღებო ტიპია ანგობით მოხატული და მოუჭიქავი ჯამები, რომლებიც ამ ბოლო დროს მრავლად გამოვლინდა განვითარებული შუა საუკუნეების განათხარ მასალაში (რუსთავი, თელავი, იყალთო, კვეტერა, ივრის სიონი, ჟინვალი და სხვ.). ამ ტიპის ჯამების პირ-კალთის და ძირების ნატეხები აღმოჩენილია ქალეთის კომპლექსის მასალაშიც. ჯამების თიხა მოწითალოდ და მონაცრისფროდაა გამომწვარი. მათ აქვთ გამოყვანილი ქუსლი, ზოგი შეღარული და ზოგი კოპით. ჯამების შიდა პირი ალაგ-ალაგ მოხატულია თეთრი ანგობით და ზედ დალვენთილია მწვანე ჭიქურის „ხალები".

ფაიანსი წარმოდგენილია ჯამის კალთის და ძირ-ქუსლის ნატეხებით. ქალური ფაიანსი შემკულობის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად და ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურადაც განსხვავდება. ორივე ჯგუფის ფაიანსი მოხატულია და დაფარულია გამჭვირვალე ჭიქურით.

პირველი ჯგუფის ჯამების ნატეხების (№№ 250, 289) შიდა და გარეთა პირი მოხატულია შავი საღებავებით და გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

[15] З. Майсурадзе, Грузинская художественная керамика XI—XIII вв., Тб., 1954, გვ. 19—31; ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28—35; მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი..., გვ. 33—52; მისივე, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1979, გვ. 48—69.

ასეთი ჯამები მიჩნეულია სულთანაბადის სახელოსნოს ნაწარმად და დათარიღებულია XIII ს-ის მეორე ნახევრით[16].

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ჯამის ნატეხები (№ 252), რომელიც მოხატულია ლურჯი საღებავით და გადავლებული აქვს უფერული გამჭვირვალე ჰიქური. ისინი წარმოადგენენ ჩინური ფაიფურის მინაბაძს და მიჩნეულია სეფიანთა ირანის ნაწარმად (XVII ს-ის მეორე ნახევარი)[17].

ძვლის ნაწარმი წარმოდგენილია წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის ერთი კვირისტავით (№ 268). ძვლას კვირისტავები უძველეს დროიდან გამოიყენებოდა საფეიქრო საქმეში და ფართოდ იყო გავრცელებული XI—XIII საუკუნეებშიც[18].

გარდა ამისა, გამოვლენილია შვლის და ირმის რქები (№№ 103—105, 216)[19], რომლებსაც ეტყობა დამუშავების კვალი. სხვადასხვა დანიშნულების მსგავსი ნივთები გვხვდება განვითარებული შუა საუკუნეების ნაქალაქარების განათხარ მასალებში[20].

სხვადასხვა დანიშნულების ნივთები გამოვლინდა ჟალეთის სიმაგრეული კომპლექსის ტერიტორიაზე ზედაპირულად და ზონდაჟებში თხრისას. მათ შორისაა მინის მძივი, სამაჯურის და ჭურჭლის ნატეხები (№№ 130, 167–ა, 173) რკინის დანები, რგოლი, აბზინდა, გასაღები, კირკალი (№№ 106, 341, 296, 242), სპილენძის ზარი და ეჟვანი (№256, 292). აღნიშნული ნივთები დამახასიათებელია განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებისათვის.

ჟალეთის კომპლექსის სამხრეთი გალავნის საძირკველთან, შიდა მხრიდან (XV ზონდაჟი), მიწის ზედაპირიდან 0,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მოწითალოდ გამომწვარი ქილა (№ 303), რომლის სიმაღლეა 13,5 სმ. მასში აღმოჩნდა განძი (№№ 304—327): ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭდები, საყურეები, რგოლები, ყელსაბამი, ღილები, ჯვრები რუსული წარწერით, მონეტები და გაურკვეველი დანიშნულების ნივთების ნაწილები (სურ. 9). ჟალეთის განძში გაერთიანებული შვერილიანი და ბურთულამინაძერწიანი საყურეების მსგავსი მასალა აღმოჩენილია მატნის განძში, რომელიც XVI—XVII საუკუნეებითაა დათარიღებული[21]. ერთმანეთის მსგავსია აგრეთვე ვერცხლის ღილები. ყელსაბამის ჯაჭვისებრი დეტალები ანალოგიურია მთიულეთის არაგვის ხეობაში, ნასოფლარ ფიტავის წმ. გიორგის ეკლესიის განძის ვერცხლის საწინამძღრო ჯვრის წვეროებზე ჩამოკიდებული ჩაფრასტებისა. ეს ჯვარი დათარიღებულია XVIII ს-ის დასასრულით და XIX ს-ის დასაწყისით[22]. რუსული ორი ჯვარი XIX საუკუნის პირველი ნახევრისაა[23].

განძში აღმოჩნდა შემდეგი მონეტები: № 305. თურქული, აყჩე სულეიმა-

---

[16] ნ. მამაიაშვილი, ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 34—35.

[17] იქვე, გვ. 68—70.

[18] თ. კერესელიძე, ძვლის ნივთების კატალოგი, თბ., 1978, გვ. 38—40.


[19] განსაზღვრა ეკუთვნის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, აწ განსვენებულ ა. ციციშვილს.

[20] თ. კერესელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21—22, 83—97.

[21] რ. რამიშვილი, იაღსრის ნამოსახლარი და მღაშვების გორის მარანი, — ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 149, ტაბ. VII, 2.

[22] ნ. მუხიგულაშვილი, ფიტავის წმ. გიორგის ეკლესიის განძი. — ხელნაწერი მოხსენებისა წაკითხული არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სესიაზე, 1977, გვ. 5.

[23] განსაზღვრა ეკუთვნის მოსკოველ არქეოლოგს ტ. ნიკოლაევას.



სურ. 9

ნის, XVI—XVII სს; № 306. სეფიანი აბას II-ის, 1642—1667 („შაჰი"); № 307. ქართული, კონსტანტინე II-ის, 1478—1505[24].

ჟალეთის განძში შემავალი ნივთები თავისი შემადგენლობით მსგავსია მატნის და ჟინვალის ნაქალაქარის XXIII უბანზე აღმოჩენილი განძებისა[25]. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს იმაზე, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ამ ბოლო დროს გამოვლენილი გვიანი შუა საუკუნეების განძები თავიანთი შემადგენლობით თითქმის ერთგვაროვანია. ჟალეთის განძის ნივთები დამახასიათებელია XVI—XVIII საუკუნეებისათვის. ის შენახული უნდა ყოფილიყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რაზედაც მეტყველებენ ყველაზე გვიანდელი ნივთები — რუსული ჯვრები.

ჟალეთის მთის არქეოლოგიურმა შესწავლამ დაგვანახა, რომ იქ არ არის განვითარებულ შუა საუკუნეებზე უფრო ადრინდელი კულტურული ფენები. არქეოლოგიური მასალის ძირითადი ნაწილი მიეკუთვნება XI—XIII საუკუნეებს. აქ მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა ცხოვრება. ამაზე მეტყველებს გვიანი შუა საუკუნეების ფაიანსის ჯამის და განძის აღმოჩენა და აგრეთვე ზოგიერთი ქვევრი და სამარხი. აქვე უნდა გავიხსენოთ ფიტავის განძის XVII—XVIII სს. ვერცხლის თასის წარწერა. ის გვაუწყებს, რომ თასი შეწირულია ჟალეთის წმ. გიორგისათვის თვით ხატის დეკანოზის მიერ[26].

[24] მონეტები განსაზღვრა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ი. ჯალაღანიამ.

[25] რ. რამიშვილი, იაღსრის ნამოსახლარი..., გვ. 149; Р. Рамишвили, В. Джорбенадзе, З. Каландадзе и др., Археологические изыскания в Арвгвском ущелье. — Полевые археологические исследования в 1974 году, Тб., 1976, გვ. 76.

[26] ნ. მუხიგულიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

ამრიგად, ჟალეთის მთაზე მდებარეობდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე, რომელიც შედიოდა ივრის ზემო წელის თავდაცვით სისტემაში. აქვე გადიოდა ერთ-ერთი „...უმოკლესი გზა, რომელიც კახეთს (და ჰერეთს) უკავშირებდა ქართლ-თრიალეთს"...[27].

ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ჟალეთის ქვეყანა დაახლოებით მოიცავდა დღევანდელი სიონის წყალსაცავის ტერიტორიას. ის მდებარეობდა თიანეთს და ერწოს შორის. მისი ადმინისტრაციული ცენტრი ადრე შუა საუკუნეებში, როგორც ეს დაგვანახა უკანასკნელმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ივრის ხეობაში უნდა ყოფილიყო სიონის ბაზილიკის მახლობლად. ქართული საისტორიო წყაროების შეჯერება არქეოლოგიურ მასალებთან საშუალებას იძლევა მხოლოდ სიონის ტერიტორიაზე ვივარაუდოთ საქალაქო ტიპის სამოსახლოს არსებობა[28].

თვით ჟალეთის ქვეყანაში ტოპონიმი ჟალეთი სხვაგან არსად არ გვხვდება, გარდა ჟალეთის მთისა, სადაც არქეოლოგიური მონაცემებით შეუძლებელია ვივარაუდოთ მსხვილი სამოსახლო პუნქტი, მით უმეტეს, ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი და „ჟალეთის ეკლესიისა", რომელიც დატბორილ სოფ. საყარაულოსთანაა. ორივე პუნქტში არსებული ძეგლები გაცილებით უფრო მოგვიანო ხანისაა, ვიდრე სიონის ბაზილიკა. ამჟამად ძნელია დაბეჯითებით რაიმე ითქვას ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე, მაგრამ ამაში არაფერი არ უნდა იყოს განსაკუთრებული, რომ ქვეყნის სახელწოდება ერთ ან რამდენიმე კერძო პუნქტში იყოს „დალექილი". ამ მხრივ საინტერესო შესადარებელ მაგალითს წარმოადგენს „წობენი"-ს ქვეყანა, არაგვის ხეობაში, სადაც ტოპონიმი წობანი-წობენი — ორ სხვადასხვა ადგილასაა ფიქსირებული[29].

В. А. ДЖОРБЕНАДЗЕ

## АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ЖАЛЕТСКОЙ ГОРЫ

### Резюме

В 1963—1964 гг. экспедиция Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили (руководитель — старший научный сотрудник Д. Л. Мусхелишвили) провела раскопки на горе Жалети (левый берег р. Иори).

Вне крепостной ограды, в траншее № 2, выявлены остатки зданий жилого и хозяйственного назначения.

Основные раскопки были сосредоточены внутри Жалетской кре-

[27] დ. მუსხელიშვილი, კახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის..., გვ. 2.

[28] რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები..., I, გვ. 142—145; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 180.

[29] ირ. ბედუკაძე, არაგვის ხეობის ისტორიისათვის უძველესი დროიდან არაგვის საერისთაოს წარმოქმნამდის, — დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, პირველი სამეცნიერო სესია, სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1965, გვ. 30; ჯ. გეასალია, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" წობენის ლოკალიზაციისათვის, — აკადემიის მოამბე, 66, № 3, 1972, გვ. 749—751. ამ საკითხთან დაკავშირებით სათანადო მასალები აგრეთვე შეაგროვა ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თავისი მუშაობის პირველსავე წელს.

пости, которая имела два входа, а в западной части — прямоугольную башню. В северо-восточной части крепости находилась церковь зального типа с южной пристройкой, характерная для развитого средневековья. Выявлены остатки здания, винные сосуды, ямы для хранения зерна и погребения.

Археологический материал в основном представлен керамикой: обломками неполивных, поливных и фаянсовых сосудов, которые датируются XI — XIII вв. По назначению неполивная керамика представлена кухонной и столовой посудой, хозяйственной тарой и строительной керамикой. На двух плоских черепицах частично сохранилась древнегрузинская надпись X—XI вв. с именем мастера. Желобчатые черепицы имеют геометрический и растительный рельефный орнамент.

Поливная керамика (чаши) по характеру украшения делится на сосуды одноцветные, многоцветные и разрисованные ангобом без поливного покрытия.

Найден клад серебряных предметов и монет, датируемых XVI—первой половиной XIX в.

Изученные на Жалетской горе археологические памятники в основном относятся к XI—XIII вв. Жизнь здесь продолжалась и в позднем средневековье. Жалетская крепость в развитом и позднем средневековье входила в систему обороны региона верховьев реки Иори, здесь проходили торговые пути, связывающие Кахети с Картли. Упоминаемая в исторических источниках «квекана» («земля») Жалети находилась между Эрцо и Тианети и занимала территорию нынешнего Сионского водохранилища. В результате сопоставления грузинских исторических источников с археологическими материалами из Сиони (Р. М. Рамишвили) можно считать установленным, что административный центр «квекана» Жалети в раннем средневековье находился на территории Сиони.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ადრე შუა საუკუნეების ხანის არქეოლოგიის პრობლემურმა ლაბორატორიამ

გონელი არახამია

## „ძეგლი ერისთავთა“-ს ერთი წყაროს საკითხისათვის

ცხრაზმის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, — „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც შედგენილია ლარგვისში XV ს-ის დასაწყისში, გადმოსცემს ცხრაზმის ერისთავების, — ქვენიფნეველთა საგვარეულოს ისტორიას VI საუკუნიდან XV საუკუნის დასაწყისამდე. წყაროები, რომლებსაც ემყარებოდა ავტორი ასეთი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მოვლენებისა და ფაქტების აღწერისას, ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოვლენილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძეგლის დასაწყისი (უძველესი) ნაწილის წყაროების საკითხი, იმ ნაწილისა, სადაც აღწერილია ცხრაზმაში საერისთავოს წარმოშობა და ქვენიფნეველთა გაერისთავება, სადაც აგრეთვე, დაცულია უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები სოციალური ურთიერთობის შესახებ, რომელთაც არა მარტო კონკრეტული, არამედ ზოგადისტორიული მნიშვნელობაც ენიჭებათ[1].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია წყაროთმცოდნეობითი ხასიათის შენიშვნები, რომელთა თანახმად ძეგლის დასაწყისი ნაწილი უმეტესწილად აგებულია ზეპირგადმოცემებზე[2]. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დასტურდება ცხრაზმის ერისთავებისა და საერისთავოს წარმოშობის შესახებ არსებული ზეპირგადმოცემების განსხვავებული ვარიანტები, რომლებიც ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო მონაცემებს შეიცავენ. ეს გარემოება, ბუნებრივია, წამოჭრის იმის საჭიროებას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში გაირკვეს, კონკრეტულად რომელი ვარიანტი დაედო საფუძვლად ავტორის მსჯელობას მატიანის უძველეს ნაწილში (ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება ძეგლის ცნობების წარმომავლობისა და სანდოობის საკითხს). ამ მიზნით შევეცდებით, განვიხილოთ ზეპირგადმოცემები ქვენიფნეველთა საგვარეულოს შესახებ და მათი მიმართება ძეგლის დასაწყის ნაწილთან.

აღნიშნული ზეპირგადმოცემები ფიქსირებულია როგორც დოკუმენტურ წყაროებში, ასევე XVIII—XIX სს. ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში, ზოგან ფრაგმენტულად, ზოგან კიდევ შედარებით სრული სახით.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი წერი-

---

[1] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, „შრომები“, II, თბ., 1949, გვ. 163.

[2] მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, I., ტფ., 1895, გვ. 91—92; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 404; გ. მელიქიშვილი, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხები, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 581; ე. ხოშტარია, „ძეგლი ერისთავთა“-ს ზოგიერთი რეალიის გაგებისათვის, „მრავალთავი“, VII, თბ., 1980, გვ. 149.

ლობითი წყარო, სადაც დაცულია ქვენიფხეველთა შესახებ ზეპირგადმოცემების ფრაგმენტი, დათარიღებულია 1460 წ. ესაა ე. წ. „ჟურულიანთ გვარის სიგელი“[3]. ასევე ფრაგმენტის სახით გვხვდება იგი 1470 წლით დათარიღებულ შალვა ერისთავ ქვენიფხეველის სიგელში[4]. ზეპირგადმოცემების შედარებით ვრცელი ვარიანტები შესულია იოანე ბაგრატიონის[5], სულხან ბარათაშვილისა[6] და ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის[7] თხზულებებში.

ე. წ. „ჟურულიანთ გვარის“ სიგელი (1460 წ.). გაცემულია გიორგი VIII-ის (1446—1466) მიერ ქვენიფხეველთა სახლის ერთ-ერთი შტოს ჟურულთა საგვარეულოს წარმომადგენლისადმი. სიგლის გამცემი მასში აღნიშნავს: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი (ე. ი. ჟურულის—გ. ა.), ვქენით მოკითხული და ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრაზმა და თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხისა შვილი და მჭონებელი“-ო[8].

მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, რომ იმ დროს არსებული თვალსაზრისის თანახმად, ქვენიფხეველთა საგვარეულოს წარმომადგენლები ძველთაგანვე ცხრაზმის მონაპირე, — ე. ი. განაპირა მხარის ერისთავები არიან, ამავე დროს მათი სახლი ცხრაზმაში „მონასტრის შვილი“ და „ციხის მჭონებელი“ ყოფილა. ზეპირგადმოცემის ფრაგმენტის ამ ცნობებს უდავო სიახლოვე ახასიათებს ძეგლის დასაწყისი ნაწილის მონაცემებთან, რომელთა თანახმად ცხრაზმაში ქვენიფხეველთა საგვარეულოს ფუძემდებელი, — როსტომ ბიბილური ცხრაზმაში დამკვიდრების პერიოდში „საყდრისშვილი“ და „ციხეთა და სახლებისა დიდ-დიდებისა“ მჭონებელი ხდება[9]. მართალია, სიგელში ქვენიფხეველთა სახლისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ატრიბუტების („მონასტრისშვილი“, „ციხის მჭონებელი“, „ცხრაზმის მონაპირე“) შესახებ ლაპარაკია სტატიკური ფორმით, ხოლო ძეგლში კი ყველაფერი ეს გადმოცემულია თხრობის დინამიკაში, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ორივეგან დასტურდება ფაქტების იგივეობა.

ზეპირგადმოცემის შედარებით მოზრდილი ფრაგმენტი ფიქსირებულია შალვა ერისთავის ლარგვისისადმი შეწირულობის წიგნშიც 1470 წ., სადაც ნათქვამია: „შევამკვე მონასტერი ესე ჩუენი საძუალე და საუკუნო სამკვიდრებელი... პირველით გან... ისტჳნიანესაგან ბერძენთა მეფისა და თჳთმპყრობელისა აღშენებული და ჩუენთა ჩამომაეალთა ერისთავთა ნათესავთათჳს საძვალედ ბოძებული“[10].

---

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II. ტფ., 1897, გვ. 280.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 140—143.

[5] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—550, გვ. 7—8.

[6] С. Баратов, История Грузии, тетрадь II—III, СПб, 1871, გვ. 47—48; ს. ბარათაშვილი, საქართველოს სამეფალო საეკუნეთა ისტორია, რე. II, ნათარგმნი ს. ხუნდაძის მიერ, ქუთაისი, 1895, გვ. 83—84.

[7] ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მეფის ირაკლის მეორის დროის ცოტა ამბები ანუ ზოგიერთნი მაშინდელნი პირნი, 1866. პუბლიკაცია ეკუთვნის სარგის კაკაბაძეს, იხ. მისი, „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის“, წ. I, ტფ., 1914, გვ. 44.

[8] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 280.

[9] ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 345.

[10] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 140.

იმავე დოკუმენტში სხვა ადგილას ვკითხულობთ: „...ბერძენთა მეფისა ისტჳნიანესაგან საღმრთოჲთა გამოცხადებითა აშენებული ეკლესიაჲ და ჩუენთა პაპ[ა]თათჳს საძუალედ ბოძებული, აღშენებია, შემოჭკვია და გამომდიდებია“[11].

სიგელში დაცული გადმოცემის ძეგლის დასაწყის ნაწილთან შედარება ცხადყოფს, რომ მათ შორის თანხმობა მდგომარეობს შემდეგში: ძეგლის მიხედვით, იუსტინიანემ როსტომ ქვენიფნეველს (ერისთავობასთან ერთად) მიუბოძა „განსაგებელნი ეკლესიისანი“ და თვით ეკლესია, რითაც საბოლოოდ სანქციონირებულ იქნა ცხრაზმისხველების მიერ როსტომისთვის ლარგვისის ეკლესიაში საფლავის მიცემის ფაქტი[12]. გადმოცემის თანახმად, ქვენიფნეველებისათვის ლარგვისის ეკლესია უბოძებია იუსტინიანეს. ძეგლის მონაცემებით, იუსტინიანე ლარგვისის „აღმშენებელია“[13]. გადმოცემით ლარგვისის თავდაპირველ ამშენებლად გამოცხადებულია იუსტინიანე კეისარი („პირველთაგან ისტჳნიანე ბერძენთა მეფისა აღშენებული“). ნიშანდობლივია, ავრეთვე, ორივეგან იმპერატორის სახელის ერთი და იგივე ფორმით („ისტჳნიანე“) გადმოცემა.

ზემოთ დასახელებულ ორ სიგელში ფიქსირებულია ქვენიფნეველთა საგვარეულოში დაცული ზეპირგადმოცემა მათი ცხრაზმაში დამკვიდრებისა და სოციალური აღზევების შესახებ. ეს გადმოცემა ქვენიფნეველთა საგვარეულოში რომ ყოფილა შემუშავებული, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული გადმოცემა შემონახულია ერისთავ-ქვენიფნეველთა საგვარეულო სიგელებში. გადმოცემის სხვა ვერსიებისაგან განსასხვავებლად მას შეიძლება ვუწოდოთ „ოფიციალური ვარიანტი“, სადაც ასახულია ქვენიფნეველთა საგვარეულოს თვალსაზრისი მათი უძველესი ისტორიის შესახებ.

გადმოცემის ერთ-ერთი ვარიანტი შესულია სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიაში“, სადაც ვკითხულობთ: „ქსნისა და არაგვის ერისთავთა წინაპრების შესახებ არსებობს შემდეგი, ამ პერიოდის (ავტორს მხედველობაში აქვს VI ს. — **გ. ა.**) ამსახველი გადმოცემა. მდინარეების — არაგვისა და ქსნის ხეობათა მცხოვრებნი წმინდა გიორგის ეკლესიის (რომელიც აღმართულია ამ ორი ხეობის გამყოფი ქედის ერთ-ერთ მაღლობზე) დღესასწაულზე ნიადაგ იმაზე დავობდნენ, თუ რა ადგილი დაეჭირა და რა უფლებებით ესარგებლა თითოეულ მათგანს ამ დღესასწაულის დროს, რასაც ყოველთვის მოსდევდა საშინელი სისხლისღვრა. მაგრამ ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულზე გარედან მოსულ მლოცველთა შორის მოვიდნენ ორნი ძმანი, ოსეთის თავადები დუდარუკები, რომლებმაც ბოლო მოუღეს მათს კინკლაობას და მათ შორის ზავის პირობები დადვეს. პატივისცემის ნიშნად, ერთი მათგანი, სიდამონი არაგვის, ხოლო მეორე, — როსტომ ქსნის ხეობის საზოგადოებამ მოიწვიეს თავიანთ ხეობათა მამასახლისებად. საქართველოს მეფემ კი მას შემდეგ, რაც მხედველობაში მიიღო მათი დამსახურება და წარმომავლობა, ერისთავობა მიანიჭა. ასე იწყება ამ ორი საგვარეულოს კავშირი საქართველოსთან“[14].

იგივე ვერსია შედარებით სრული სახით ფიქსირებულია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის თხზულებაში, სადაც ავტორი წერს: „ქვენიფნეველთა გვარი პირველად რომ საქართველოში მოვიდა, მგონია ან მეექვსე ან მეშვიდე სა-

[11] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 143.

[12] ძეგლი ერისთავთა, დასახ. გამოცემა, გვ. 346.

[13] იქვე, გვ. 345.

[14] С. Баратов დასახ. ნაშრომი, გვ. 47—48.

უკუნე იყო. ოსეთითგან ორნი თუ სამნი ძმანი გადმოვიდნენ ლომისის ეკლესიის დღესასწაულში მთიულეთს, სადაც შფოთი იყო მთიულეთის და ქსნისხეველეების ხალხში. რომელთაც ამ ყმაწვილ კაცთა დაამშვიდეს და დებულება დაუდეს, რომ ამათში შფოთი აღარ იყოს და შემდგომ იმისა აქამომდე აღარც მოხდენიათ. ამის მადლობისთვის უფროსი ძმა სიდამონ მთიულეთის ხალხმა წაიყუანეს, იქ არაგვის ერისთავად დაისუეს და მეორე უმცროსი ძმა როსტომ ქსნის ხალხმა ქსნის ერისთავად. ეს ორნი ძმანი მგონია თაგაურები უნდა იყვნენ, დუდაროები ოსეთის შეფის ჩამომავლობისა. გამიგონია, მითამ ჩერქეზითგან დუდარუკოების გუარისანი იყვნენ. დუდარუკოები სადაც დგანან, შორს არის და ამის გამო მე უფრო დუდაროები მგონია“[15].

როგორც ვხედავთ, ს. ბარათაშვილთან და ალ. ჯამბაკურ-ორბელიანთან დაცულია შინაარსობრივად ერთმანეთთან ახლო მდგომი ვერსიები ქსნის ხეობაში ქვენიფნეველთა გვარის დამკვიდრების დროისა და ვითარების შესახებ. სიუჟეტი ორივე ვერსიისა ერთი და იგივეა, დასტურდება განსხვავება ერთ დეტალში. ეს შეეხება როსტომის თავდაპირველ სტატუსს ცხრაზმაში. ბარათაშვილისეული ვერსიით, როსტომი ჯერ მამასახლისი ხდება, ხოლო ერისთავობას მხოლოდ ამის შემდგომ მიიღებს საქართველოს მეფისაგან. ორბელიანისეული ვერსიის თანახმად კი — როსტომს უშუალოდ ერისთავად დასვამენ ქსნისხეველები. სხვა დანარჩენში ორივეგან სრული თანხმობა გვაქვს. უეჭველია, რომ როგორც ს. ბარათაშვილთან, ასევე ალ. ჯამბაკურ-ორბელიანთან დაცულია შინაარსობრივად ერთი და იგივე გადმოცემა. ამასთანავე, ორივე ავტორისათვის ინფორმაციის წყარო სხვადასხვაა. შინაარსის იგივეობის გამო ორივეს ვაერთიანებთ და პირობითად გადმოცემის მეორე ვარიანტს უწოდებთ.

გადმოცემის ეს ვარიანტი საგრძნობლად განსხვავდება როგორც ე. წ. „ოფიციალური ვარიანტისაგან“, ასევე ძეგლის თხრობისაგან. მეორე ვარიანტის თანახმად, როსტომი მთიულებსა და ქსნისხეველებს შორის ჩამოვარდნილ ხანგრძლივ დავას აწესრიგებს, ხოლო ძეგლის მიხედვით, როსტომი ძმებითა და თანმხლები შეიარაღებული რაზმით ჩაებმება ცხრაზმელებსა და გრუსხეველებს შორის ატეხილ ბრძოლაში ცხრაზმელების მხარეზე[16]. როგორც ვხედავთ, განსხვავებულადაა წარმოდგენილი როსტომის ცხრაზმაში გადმოსვლისა და დამკვიდრების ვითარება. მეორე ვარიანტით, როსტომის აღზევება ქსნისხეველებისა და საქართველოს მეფის წყალობით ხდება, ძეგლით კი — როსტომის დაწინაურებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ბიზანტიის კეისარი იუსტინიანე[17]. ეს უკანასკნელი მეორე ვარიანტში საერთოდ არ ჩანს.

ძეგლისა და გადმოცემის მეორე ვარიანტის ცნობებს შორის თანხმობა გამოიხატება იმაში, რომ 1. ერისთავთა საგვარეულოს ფუძემდებელი ქსნის ხეობაში არის როსტომი; 2. როსტომი ქართლის მთიანეთში გადმოდის ოსეთიდან; 3. ის წარმოშობით ოსეთის დიდგვაროვანთა წრეს ეკუთვნის; 4. ქსნის ხეობაში მისი დამკვიდრება დათარიღებულია VI საუკუნით.

ზეპირგადმოცემის რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი ფიქსირებულია იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წ. შედგენილ თხზულებაში „შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, სა-

[15] ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[16] ძეგლი ერისთავთა, დასახ. გამოცემა, გვ. 344—345

[17] იქვე, გვ. 346.

დაც ქსნის ერისთავის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „თავადი ქსნის ერისთავი. ძველთა დროთანი არვინღა არიან, რომელნიც მოსულნი იყვნენ თურქისტანის ძხრიდგან, ავარიელნი ხალხნი, რომელთაც დაიპყრეს კასპიის ზღვიდგან შავ ზღვამდის და დაეშენენ მუნ დროსა საქართველოს მეფისა გვარამ ბაგრატიონისასა. მეფე ესე მარადის ბრძოდა და ავნებდა მათ, რათა დაეტევებინა ადგილი იგი და მაშინ მივიდნენ ბეგნი ამათნი წინაშე კეისრისა იუსტინიანესა და სთხოვეს შუამდგომლობა მეფისა თანა საქართველოსა და ალუთქვეს მსახურობა ვითა ქვეშევრდომთა და მაშინ თხოვეს მეფესა საქართველოსასა კეისარმან ზავყოფა მათთანა და ამან ინება და რომელიმე დაასახლა მთასა შინა კავკასიისა... უჩინებულესი მათგანი მოიყვანნა და დაასახლა ქართლსა შინა და იყვნენ თავადობისა ხარისხითა. ამის შთამომავლობათაგან დაიდგინა მთავრად შიდა ქართლისა კონსტანტინე...და მერმე ამისა შთამომავლობითგან თორნიკე დაიდგინა ერისთავად ქსნისა... შემდგომად ამისა იყუნენ მონათესავენიცა მათნი ერისთავად, გარნა ასწყდნენ ივინიცა. მაშინ მართვიდნენ ქსანსა სხუადასხუა მოხელენი მთისანი და სხუანი თავადნი სხვათა და სხვათა დროთა შინა. უკანასკნელ მეფისა რუსუდანისასა იქმნა რა ალრეულობა საქართველოსა შინა და ბრძოლაი ნოინთაგან, მაშინ მოვიდნენ ეს აწ წოდებულნი, ერისთავთა წინაპარნი სამეფოსა ოსეთის ხეობითგან, რომელ არს ნარად წოდებული ადგილი, რომელნიც იყვნენ გვარით გორჭიანნი, რომელნიცა აწცა არიან ნარსა შინა გუარნი მათნი. ამათნი უკუე მოვიდნენ ორნი მამანი: პირველსა ეწოდა ბიბილა, მეორესა რატი, რომელნიცა დაეშენენ ქსნისა ხეობასა შინა, წელსა ქ-ეს აქეთ 1235. ბიბილა უკუ დაესახლა ადგილსა წოდებულსა ქვენა ფხვენს, რომელი აწ იწოდების იფნევად. რატი დაესახლა ჟამურის ხეობას შინა და უკანასკნელ დროსა მეფობისა კონსტანტინესა მსახურებისათვის მიიღეს თავადობისა ხარისხი წელსა 1412-სა წინა და იწოდენ ბიბილურები ქვენაფხოველებად გუარითა და იყვნენ ნაიბად ერისთავთა და შართვიდენ ადგილთა მათ. შემდგომად რა მიიღო მეფობა სვიმონ მეფის ძმამან დაუთხანად წოდებულმან, ამან იმოყუარა ელიზბარ ქვენაფხოველი და დაუმტკიცა ერისთობა... წელსა ქ-ეს აქეთ 1569 და მუნითგან იწოდებიან გვარნი ამათში ერისთავად, რომელიც ამით შთამომავლობათა შინა იქმნებოდა პირველი, იგი მიიღებდა მხოლოდ ერისთობასა“[18].

იმავე გადმოცემის ნაწყვეტი იოანე ბაგრატიონს შეუტანია თავის „ისტორია ქართლისაში“: ქსნის ერისთავი „იყო გუარით ბიბილური, რომელნიც მოვიდნენ ორნი ძმანი ნარადამ ოსებნი. ერთსა ეწოდა ბიბილა, ხოლო მეორესა რატი, ბიბილა უკუ დაესახლა ქსანზედ ქვემოფხოვს. აწ რომელსა ეწოდების იფნევი, ხოლო რატი ჟამურში, და მერე განძლიერენ და იწოდა ბიბილა ერისთავად ქსნელთაგან ალრეულობისა გამო თათართა“...[19].

უნდა ითქვას, რომ იოანე ბაგრატიონის თხზულებაში გვაქვს ზეპირგადმოცემის არა უცვლელი სახით ფიქსაცია, არამედ ერთგვარი რედაქტირებული ვარიანტი ფიქსატორისეული ჩანართებით. ეს შეეხება, პირველ ყოვლისა, გად-

---

[18] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S—550, გვ. 7—8; დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 59—60.

[19] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H—2134, ფ. 745 რ..

მოცემაში მოთხრობილი ამბების კონკრეტულ თარიღებს, რომელებიც უდაოდ იოანეს ეკუთვნის.

გადმოცემის რედაქტირებულ ვარიანტსა და მატიანის დასაწყის ნაწილს შორის თვალსაჩინო სხვაობაა, რაც გამოიხატება იმაში, რომ პირველის მიხედვით ერისთავთა წინაპრების ქსნის ხეობაში მოსვლა მომხდარა XIII საუკუნეში (1235 წ), მეორის თანახმად — VI საუკუნეში. რედაქტირებული ვარიანტით ერისთავთა გვარის მამამთავრის სახელია ბიბილა ,ძეგლით — როსტომი.

გარდა სხვაობისა, რედაქტირებული ვარიანტის მონაცემები ზოგიერთ დეტალებში ემთხვევა ძეგლის ცნობებს, სახელდობრ: გვარი ქვენიფნეველი ნაწარმოებია ადგილის სახელწოდებიდან — ქვენიფნევი; ქვენიფნეველის გვარის მიღებამდე ერისთავა წინაპრები ბიბილურებად იწოდებოდნენ; ბიბილურები წარმოშობით ოსეთიდან არიან.

ამრიგად, ჩვენთვის ხელმისაწვდომ წერილობით წყაროებში ფიქსირებულია ზეპირგადმოცემათა სამი ძირითადი ვარიანტი. ამ ვარიანტებს შორის ადგილი აქვს როგორც მსგავსებას, ასევე სხვაობას. მათგან „ძეგლი ერისთავთა“-ს ტექსტთან ყველაზე ახლოს დგას ე. წ. „ოფიციალური ვარიანტი“, — ერისთავთა საგვარეულოში დაცული ტრადიცია, რომლის დღემდე შემორჩენილი ფრაგმენტული მონაცემები სავსებით ემთხვევა ძეგლის ცნობებს. ნიშანდობლივია, რომ ქვენიფნეველთა აღზევების დაკავშირება ბიზანტიის კეისრის იუსტინიანეს სახელთან გვხვდება ზეპირგადმოცემათა მხოლოდ ამ ვარიანტში, რაც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს მის სიახლოვეს ძეგლის შინაარსთან.

საგვარეულო ტრადიციაში დასტურდება როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური ხასიათის ცნობები, რომლებიც მთლიანად ეთანხმებიან ძეგლის მონაცემებს. ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ძეგლი ერისთავთა“-ს დასაწყისი ნაწილის ერთ-ერთი წყაროა ერისთავთა საგვარეულოში დაცული გადმოცემა. მართლაც, ბუნებრივია, რომ მატიანის ავტორი პირველ რიგში დაყრდნობოდა გადმოცემას, რომელიც გავრცელებული იყო იმ საგვარეულოში, რომლის ისტორიის აღწერასაც ისახავდა იგი მიზნად.

Г. М. АРАХАМИЯ

## ОБ ОДНОМ ИСТОЧНИКЕ «ПАМЯТНИКА ЭРИСТАВОВ»

Резюме

Грузинская родовая летопись цхразмийских эриставов — «Памятник эриставов» («Дзегли эриставта»), составленная в начале XV века, повествует об истории цхразмийских эриставов из рода Квенипневели и охватывает события VI — начала XV вв.

Сравнительное изучение данных вышеупомянутой летописи и устных преданий, сохранившихся в древнегрузинских письменных материалах и касающихся вопросов основания и возвышения рода Квенипневели в Цхразмийском ущелье, явствует, что источником для начальной части летописцу послужил один из вариантов названных преданий, созданный, вероятно, среди эриставов Квенипневели.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

Академик АН Азербайджанской ССР
З. М. БУНИЯТОВ

# ЕЩЕ ОДНА НЕИЗВЕСТНАЯ СТРАНИЧКА ИЗ ИСТОРИИ СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ

В 1937 году в журнале «Дер Ислам» была опубликована источниковедческая статья Иосифа фон Сомоги[1]. Анализируя сочинение Шамсад-Дина Абу Абдаллаха Мухаммада аз-Захаби (1274—1348) «Тарих ал-ислам» («История ислама»), И. фон Сомоги обратил внимание, что среди цитируемых аз-Захаби источников (Ибн ал-Асир, Сибт ибн ал-Джаузи, ан-Насави и др.), есть несколько фрагментов из сочинения Муваффак ад-Дина Абу Мухаммада Абд ал-Латифа ибн Йусуфа ибн Мухаммада ибн Али ибн Абу Са'ида ал-Багдади, известного как Ибн ал-Лаббад («сын валяльщика войлока»), умершего в 1232 г.

Муваффак ад-Дин ибн ал-Лаббад был всесторонне одаренным ученым, имевшим обширные познания в грамматике арабского языка, богословии и, особенно, в медицине, в которой он весьма преуспел[2]. Он побывал в Сирии, Египте, Палестине и Анатолии, где находился на службе у владетеля Арзинджана ал-Малика Ала ад-Дина Давуд-шаха II ибн Бахрам шаха (1225—1228) и объездил почти все города Анатолии. Записывая все, что он видел сам и слышал от надежных людей, Муваффак ад-Дин ибн ал-Лаббад написал две книги по истории — «Китаб ат-тарих» и не дошедшее до нас сочинение «Хабар ат-татар» («Сообщения о татарах»)[3].

Аз-Захаби включил в свое сочинение несколько отрывков из «Истории» Муваффак ад-Дина. Один из них содержит сообщение о первом вторжении монголов в Азербайджан, Арран и Грузию. Отрывок этот изложен на лл. 190б—191а рукописи сочинения аз-Захаби «Тарих ал-ислам», хранящейся в библиотеке Британского музея под № 1640.

События в отрывке излагаются после того, как монгольские войска вторглись в Хорасан и повели дальнейшее наступление на запад. Ниже приводится арабский текст и русский перевод сообщения Муваффак ад-Дина с примечаниями.

---

[1] Iosef von Somogyi, Ein arabischer Bericht über die Tataren im «Tarich al-Islam» von ad-Dahabi. — «Der Islam», Bd. 24, heft 2, 1937, с. 105—130.

[2] Биографию Муваффак ад-Дина ибн ал-Лаббада см.: Ибн Абу Усайби'а, Уйун ал-анба' фи табакат ал-атибба', Каир, 1882, ч. I, с. 201—213.

[3] Муваффак ад-Дин является автором более 160 сочинений по разным отраслям науки.

## II. Auszug aus der Handschrift des British Museum Nr 1640, von Fol. 190b, Z. 6 bis Fol. 192, Z. 16.

وقال الموفق عبد اللطيف انشعب من التتار فرقتان كما ينشعب من جهنم لسانان فرقة قصدت آذربيجان واران ثم بلاد الكرج وفرقة اتت على همذان واصبهان وخانطت حلوان تقصد بغداد اما الاولى فافسدت البلاد التى مرت عليه[1] فلما وصلوا الى بلاد الخزر جمع الكرج جموعهم وقاتلوهم فانهزموا بغى[2] الكرج وقتل من صميمهم ثمانية الاف ومن الاتباع والفلاحين عدد كثير وتقنط ملك الكرج فتداركه الامراء فاستنقذوه من انيابهم العضل[3] واعتصم ببعض القلاع والتتر يموجون فى البلاد بالافساد ويفيظون[4] على من سلم الاناامل من الغيظ انفرد منهم فارس فقال ملك الخزر اما عندنا من يخرج اليه فانتخى رجل[5] من الكرج وخرج اليه فما عتم ان قتله التترى واقتاد فرسه ورجع رويدًا واخذ يفر الفرس ليعلم سنّه فعجب ملك الخزر وقال انظروا كأنه قد وزن فيه الثمن ثم حشد الكرج نوبة اخرى واستنجدوا بعسكر ارزن الروم وقال الناس انهم لا يرجعون فلما اشتدت شوكة الكرج رجع التتر بغير امر معروف ولا سبب مخوف بل لسعادة لحكت وايام بقيت وكان هذا فى سنة ثمان عشرة وانا بارزن ورجع التتر الى شروان فاخذوها بالسيف وقتلوا اهلها وتجاوزوا الدربند قسرًا بالسيف و عبروا الى امم القفجق واللان فقتلوهم بالسيف ثم مات ملك الخزر وكان شائا و تولت اخته وسيّرت الى الملك المغيث صاحب ارزن تخطب احد ولديه الصغير وهو ابن بنت بكتمر صاحب خلاط وهومليح عمره سبع عشرة سنة فزوجها به وشاع الخبر انه تنصّر وخرج هذه السنة من افيق[6] الترك مالم تجربه العادة حتى فاضوا على البلاد وكلهم وصلوا من ناحية تفليس وهم من فضلان سيوف التتر وكل واحد يحكى بهول ما عاين حكت جارية منهم قالت عوت كلاب بلادنا عويًا شديدا وقامت على اذنابها واهلها يضربونها فلا ترتد فبعد ثلاث ساعات او اربع فاض الجبل بعساكر التتر فابتدؤا بالكلاب ثم بالناس

---

[1]) Richtig: عليها.
[2]) Vielleicht: بغيء.
[3]) Lies: العُضل.
[4]) Lies: يغيّظون.
[5]) Hs. رحلا.
[6]) Richtig: آفاق.

Перевод

«Ал-Муваффак Абд ал-Латиф сообщает: «От [войск] татар отделились две группы, как отделяются огненные языки преисподней. Одна группа устремилась в Азербайджан и Арран, а затем в страну грузин. Другая же двинулась на Хамадан и Исфахан и, перейдя через Хулванский проход, устремилась на Багдад.

Первая группа громила страны, через которые проходила. И когда они (монголы) достигли страны грузин[4], грузины собрали свои войска и встретили их. Однако грузины потерпели сокрушительное поражение: было убито восемь тысяч их отборных воинов и множество подданных и крестьян. Царь грузин[5] пришел в отчаяние, однако его военачальники приняли меры предосторожности, сумели спасти его от их (монголов) мощных клыков и он стал искать убежища в некоторых крепостях.

Татары же обрушили на страну волны зловредных деяний, которые переливались через край по отношению к тем, «кто избежал пальцев злобы»[6]. От них (монголов) отделился один всадник. Царь грузин сказал: «Нет ли у нас мужа, который мог бы выйти против врага?». Тогда выступил один гордец из числа грузин и направился ему навстречу. И не успело стемнеть, как татарин убил его и стал медленно возвращаться, ведя на поводу коня убитого. Он заставлял коня бежать, чтобы узнать его возраст. Царь грузин[7] воскликнул в изумлении: «Да вы посмотрите на него! Он как будто за него заплатил!».

После этого грузины собрались вновь и получили поддержку войск Арзан ар-Рума[8]. Люди стали говорить, что они (монголы) больше не вернутся. Но когда мощь грузин усилилась, татары ушли без всякой видимой причины и опасности, но лишь по выпавшему на их долю везению и в дни, оставшиеся памятными.

Это было в [шестьсот] восемнадцатом году[9], и я тогда находился в Арзан ар-Руме.

А татары возвратились в Ширван, захватили его силой, перебили его население и проложили себе мечами путь через Дербенд. Отсюда они прошли в земли кипчаков и аланов и предали их мечу[10].

Потом умер царь грузин[11], который был молодым[12]. Вместо него стала царствовать его сестра[13]. Она отправилась к владетелю Арзан

---

[4] В тексте вместо الجرز стоит الخزر с неверной диакритикой.

[5] Речь идет о царе Георгии IV Лаша (1207—1222).

[6] Перифраз из Корана, III, 115.

[7] В тексте الخزر.

[8] Современный Арзрум. Согласно грузинским источникам, Арзрум был вассальным владением Грузии и выплачивал в царскую казну харадж. Кроме того, владетель Арзрума должен был выставлять по требованию грузин определенное количество войск для совместных военных действий. См.: История и восхваление венценосцев. Перевод, предисловие и примечания К. С. Кекелидзе, Тб., 1954, с. 80; Басили, историк царицы Тамары, перевод В. Дондуа, — Памятники эпохи Руставели, Л., 1938, с. 62; Histoire de la Géorgie. trad. du géorgien par M. Brosset. I, SPb., 1849, с. 466, 478, 481.

[9] 25. II. 1221—14. II. 1222 г.

[10] Подробнее об этих событиях см.: Ибн-ал-Асир, ал-Камил фи-т-тарих, т. IX, каирское издание, с. 347.

[11] В тексте الخزر.

[12] Георгий IV умер в возрасте 29 лет. См.: Р. К. Кикнадзе, Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба», Тб., 1980, с. 132, 135.

[13] Речь идет о царице Русудан (1222—1245).

ар-Рума ал-Малику ал-Мугису, так как была просватана за одного из его младших сыновей, матерью которого была дочь владетеля Хилата Бек-Тимура[14]. Он был миловидным юношей в возрасте семнадцати лет. Она вышла за него замуж, а потом пошел слух, что он принял христианство[15].

В этом же году появилось необычно много бродячих тюрок, которые наводнили страну. Все они прибыли со стороны Тбилиси и были они из числа тех, кто спасся от татарских мечей. Каждый с ужасом рассказывал о том, что он видел. Среди них была одна служанка, которая рассказала: «Собаки наших мест вдруг сильно завыли, сидя на своих хвостах, и сколько ни били их хозяева, они выть не переставали. И вот, через три или четыре часа, склоны гор покрылись татарскими войсками, которые начали [убивать] сначала собак, а потом и людей»[16].

---

[14] Владетелем Арзан ар-Рума (Арзрума) был Мугис ад-Дин Тогрулшах (?—1225) один из одиннадцати сыновей сельджукского султана Кылыдж Арслана II. Владетелем Хилата Сайф ад-Дин Бек-Тимур был в 1183—1193 гг.

[15] По сообщению Ибн ал-Асира, в 620 (1223) году произошло невиданное и удивительное для мусульманского мира событие: владетель Арзан ар-Рума направил в Грузию посольство, имевшее целью женитьбу его старшего сына на грузинской царице, которая хотела выйти замуж только за царевича. Однако в Грузии достойного для нее жениха не нашлось. Когда ей сообщили о сватовстве сельджукского принца, царский двор отверг это предложение, сославшись на то, что принц не христианин. Тогда отец приказал сыну принять христианство, и он, сменив веру, женился на царице. Однако она затем заточила своего мужа в крепость (Ибн ал-Асир, т. IX, с. 351—352. См. также: Абу-л-Фида. ал-Мухтасар фи ахбар ал-башар, т. III, Каир, 1907, с. 133; Histoire de la Géorgie, I, с. 501. Ибн Биби также подтверждает факт замужества Русудан с сельджукским царевичем, которого он называет Давудом (Anadolu Selcuklu Devleti tarihi Ibn-i Bib'nin farsca muhtasar Selcuknâmesinden turkceye cevireni M. Nuri Gencosman, Ankara, 1941, с. 133).

[16] О действиях монголов в стране кипчаков см.: Ибн ал-Асир, т. IX, с. 348.

ზაზა სხირტლაძე

# ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფული ციკლი გერთუბნის ტაძრის მოხატულობაში*

გერთუბნის გამოქვაბული ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოქცევის შემდეგ, მის ფრესკულ შემკულობაში დღეისათვის შემორჩენილი რამდენიმე სცენის გარდა ღმრთისმშობლის ცხოვრების აქ გამოსახული ციკლის, ისევე როგორც ტაძრის მოხატულობის მთელი სამხრეთი ნაწილის მოხატულობის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია:

ა. მხოლოდ იმ ძველი ფოტომასალის მიხედვით, რომელიც ამ საუკუნის ოციანი წლების მიწურულს ტაძრის საგრძნობ დაზიანებამდე და შესაბამისად — მოხატულობის ამ ნაწილის დაღუპვამდეა შესრულებული[103], ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს შავ-თეთრი ფოტოები ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას დაღუპული მოხატულობის[104], კერძოდ — ღმრთისმშობლის ყრმობის ისტორიის ამ ნაწილის სცენების შესახებ. ცხადია, დღეისათვის მოკლებული ვართ მათი სრულფასოვანი მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საშუალებას და ამ მხრივ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. ზოგ შემთხვევაში, ასევე ვარაუდით გვიხდება მსჯელობა სცენათა ნაწილის იკონოგრაფიული დეტალების შესახებ (ეს პირველ რიგში დასავლეთ კედლის სცენებზე ითქმის).

ბ. დღეისათვის დაკარგული სცენების ამომწურავი დახასიათებისთვის ძვირფასია გ. ჩუბინაშვილისეული მითითებები სიუჟეტების ნაწილის კომპოზიციური და ფერწერული გადაწყვეტის შესახებ. ნარკვევის სპეციფიკიდან გამომდინარე (გარეჯის ფერწერული სკოლის და მის ფონზე — გერთუბნის მთავარი ტაძრის მოხატულობის ძირითადი მხატვრული ნიშნების კონსტატაცია) იქ არაა მოცემული თითოეული სცენის დეტალური აღწერა, თუმცა კი რაიმე კომპოზიციურ-სტილისტური თავისებურების არსებობის შემთხვევაში ივი აუცილებლად აღნიშნულია (მაგ.: „შობის“ სცენის შესრულების სხვებისაგან განსხვავებული მანერა).

**„ღმრთისმშობლის შობა“** ციკლის ცენტრალური კომპოზიციაა (ნახ. 4). მას გამორჩეული ადგილი — დასავლეთ კედლის ტიმპანის შუა ნაწილი ეთმობა. ხსენებული სიუჟეტი საკურთხეველის კონქის ღმრთისმშობლის მასიურ ფიგურასთან და „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიციასთან ერთად ტაძრის კამარის ზო-

---


* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“. № 2, 1982.

103 ამ ფოტოების ნეგატივები დაცულია გ. ნ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში (NN 1510—22, 15731—40, 13656—13720 და სხვ). და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფოტოთეკებში.

104 სამხრეთ კედლის მოხატულობის ქვედა ნაწილი — სცენების ქვემოთ გამოსახული წმინდანთა ფიგურები და ორნამენტი სარკმლის ზემოთ არც ფოტოებზე ჩანს.

ნის ძირითადი O—W ხაზის ერთი მთავარი კომპონენტთაგანია. ამგვარი კომპოზიციური გადაწყვეტა სრულად ასახავს „ღმრთისმშობლის შობის“ ადგილს ქრისტიანულ ლიტურგიკაში: ცნობილია, რომ აღნიშნული თემა „მარიამის ტაძრად მიყვანებასთან“ ერთად ხატმებრძოლეობის შემდგომი ეპოქიდან მოკიდებული ფართოდ ვრცელდება და ძალზე პოპულარული ხდება. ეს ორი სიუჟეტი ბიზანტიაში თავისი მნიშვნელობით „ხარებასა“ და „მიძინებას“ უტოლდება; ამის გამოა, რომ ისინი ძალზე ხშირად გამოისახება ათორმეტ დღესასწაულთა ციკლის სცენებთან ერთად[105].

ბერთუბნის მოხატულობის ამ კომპოზიციის ძირითადი ელემენტი სარეცელი და მასზე განსვენებული ანას ფიგურაა. მარიამის მშობელს მარცხენა ხელი მკერდს წინ აღმართული აქვს მისალმების ნიშნად — მას სარეცელს უკან



ნახ. 4

ძდგომი, ღია ფერის (თეთრი?) კვართით მოსილი ქალი ძღვენს მიართმევს (თავად ძღვენი ფოტოზე ბუნდოვნად ჩანს), მას ანას საწოლისგან მცირე სიმაღლის კედელი გამოჰყოფს. ანას ფიგურის უკან, კადრის მარცხენა კუთხეში მსახური ქალის ფიგურაა ფლაბელუმითურთ. სცენის სიღრმეში, აგრეთვე სარეცელს მარცხნივ ხუროთმოძღვრული ფონის ცალკეული დეტალები მოჩანს. მესაჩუქრე ქალის გამოსახულებასთან (მის მარცხენა მხართან) ფოტოზე გაირჩევა მცირე ზომის სურაც.

სიუჟეტის თანმხლები, ჩანს, ორსტრიქონიანი საკმაოდ მოკლე წარწერა ანას თავს და ძღვენის მიმრთმეველ ქალის გამოსახულებას შორის იყო განაწილებული, *თუმცა დღეისათვის არსებითად* იგი დაკარგულია — ფოტოსურათზე მხოლოდ ასოთა ცალკეული მუქი ლაქები ალიბეჭდა.

[105] Э. С. Смирнова, Живопись Великого Новгорода, Середина XIII—начало XV века, М., 1976, სვ. 204. კედლის მხატვრობის ძეგლთა გარდა აღნიშნულის მკაფიო მაგალითია ხელნაწერთა მინიატურებიც, სადაც ძირითადად ქრისტოლოგიური ციკლის სიუჟეტებთან ერთად „ღმრთისმშობლის შობის“ და „ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების“ კომპოზიციებს ვხვდებით.

როგორც ვხედავთ, „ღმრთისმშობლის შობის“ ტრადიციულად მრავალფიგურიანი კომპოზიციიდან[106] (ბიზანტიური სამყაროს სახვითი ხელოვნების ძეგლთა დიდი ნაწილის მსგავსად ამგვარივეა სცენები ატენის,[107] ახტალის, ზარზმის[108], გელათის მოხატულობებში, უბისის ფერწერულ ხატზე[109] და სხვ.) აქ მხოლოდ სამი ძირითადი ელემენტი-ღა შემორჩა: მშობიარე, მესაჩუქრე (ისიც მხოლოდ ერთი)[110] და მსახური. ამ სამთაგან კი სარეცელზე მწოლიარე ანა განსაკუთრებითაა აქცენტირებული — იგი წინა პლანზე მაქსიმალურადაა წამოწეული (ამას განსაკუთრებით საგრძნობს ქმნის სარეცლის უკან გამოსახული, XII—XIV სს. ძეგლთათვის არც თუ იშვიათი მცირე ზომის კედელი[111], რომელიც ფიგურათა განლაგებასთან ერთად სცენას რამდენიმე პლანად ყოფს), ამასთან კადრის თითქმის მთელს განს (და ვერტიკალსაც) იკავებს — ძღვნის მიმრთმევისა და მსახურის ფიგურები ამის გამო ბერთუბნის აღნიშნულ სცენაში ერთგვარ დამატებადაც კი აღიქმება. როგორც ჩანს, ამასვე უწყობდა ხელს სცენის ფერადოვანი მხარეც, კერძოდ — თეთრით მოსილი ორი ფიგურისათვის ანას წითელი მაფორიონის დაპირისპირება. ძუნწადაა მოცემული ხუროთმოძღვრული ფონი, ყოფითი დეტალებიც.

ამრიგად, დაფნის მოზაიკის[112], ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცული XIV საუკუნის მენოლოგიის მინიატურის (ფ. 8 რ)[113], ზარზმის ჭედური ხატის სცენის[114], საფარის კანკელის რელიეფის[115], ტიმოთესუბნის ფრესკის[116] და სხვა ძეგლთა მსგავსად მოკლე იკონოგრაფიული რედაქციით მოცემულ ამ კომპოზიციაში შაგალითებად მოხმობილ ძეგლთაგან განსხვავებით განსაკუთრებით თვალსაჩინოა სქემის ამგვარად გამარტივების, შეკვეცის მიზეზი (იგი კვლავ იჩენს თავს ქვემოთ — „განბანვის“ სცენის შესახებ მსჯელობისას — ეს ანას, ვითარცა წმ. მარიამის მშობლის და ამდენად, მოხატულობის ძირითადი O—W

---

[106] J. Lafontaine-Dosogne. Iconographie de l'Enfance de la Vierge, I, გვ. 89—121.

[107] Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, I, გვ. 85, ტაბ. 62.

[108] Д. Айналов, Византийская живопись XIV столетия, Записки классического отделения русского археологического общества, т. IX. Петроград, 1917, ტაბ. XXXIII$_{1-2}$.

[109] თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 43.

[110] „ღმრთისმშობლის შობის“ სცენის ამ დეტალთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ მესაჩუქრე ქალთა ჯგუფი ძველი და ახალი აღთქმის სხვადასხვა პერსონაჟთა — მოსეს, დავითის, ისაიას, იოანე ნათლისმცემლის და სხვათა შობის სცენების მუდმივი ელემენტია, თუმცა არც კანონიკურ და არც აპოკრიფულ ლიტერატურულ წყაროებში მათ შესახებ არაფერია თქმული. მიჩნეულია, რომ აღნიშნული დეტალი საწყისს ყოფითი ჩვეულებისაგან ან სამეფო კარის ტრადიციისაგან იღებს. G. Babić, Sur l'iconographie de la composition «nativité de la Vierge» dans la peinture Byzantine. Зборник радова Византолошког института, кн. 7, 1964, გვ. 172—175.

[111] გას ზარზმის ხატზეც ეხედებით; იხ. Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, ტაბ. 203.

[112] G. Millet, Le Monastère de Daphni. Histoire, Architecture, Mosaiques, Paris, 1899, ტაბ. XVIII.

[113] L'art Byzantin, art Européen, deuxieme ed., Athènes, 1964, ტაბ. 361.

[114] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 203.

[115] Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, გვ. 128, ტაბ. 361.

[116] Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, გვ. 53—54, 208, სურ. 14.

ღერძის შეძლებისდაგვარად ხაზგასმის სურვილითაა განპირობებული). მას ბევრად განსაზღვრავს ანას თავისა და ხელის მშვიდი, რბილი მოძრაობა, მსახურისა და ძღვნის შიმრთმევი ქალის ასევე ექსპრესიას მოკლებული ფიგურები.

**„განბანვის"** სცენა არსებულ ფოტოზე ძნელად განირჩევა (ნახ. 4); არც კომპოზიციის დეტალური აღწერა მოიპოვება[117].

სამკუთხა ფორმის კადრში, რომლის ერთი მხარე ნახევარწრიული მოხაზულობისაა, მოჩანს თეთრი ფერის დიდი წრიული ემბაზი, მის მარჯვნივ—პროფილში მდგარი ქალია გამოსახული განიერ მუცლიანი სურით ხელში, ხოლო მარცხნივ—მჯდომარე ფიგურის (ტრადიციისამებრ ესეც უთუოდ ქალი უნდა იყოს) ქვედატანის, კერძოდ კალთის ნაწილი. ჟ. ლაფონტენ-დოზონი ამ უკანასკნელის მუხლებზე ჩვილი მარიამის გამოსახულებას არჩევს[118] (ლოგიკურად ეს, უდავოა, ასეც იქნებოდა, რადგან ბავშვი ემბაზში არაა ჩაშვებული).

ფოტოზე ჩანს, რომ მისი გადაღებისას ეს სცენა უკვე საკმაოდ დაზიანებული იყო — აღარ არსებობდა მისი ნახევარი (შესაბამისად, მჯდომარე ქალის ფიგურის ზედა ნაწილი).

ბერთუბნის ტაძრის მოხატულობის „ღმრთისმშობლის განბანვის" სცენა ტრადიციული იკონოგრაფიული სქემებიდან ერთ-ერთს მიჰყვება[119]. აქ მხოლოდ ერთი რამაა უჩვეულო — ამ სიუჟეტის „ღმრთისშობლის შობისაგან" დამოუკიდებელ კომპოზიციად გამოყოფა.

ღმრთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების ციკლში „მარიამის შობისა" და „განბანვის" შემქველ მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის მოიპოვება რამდენიმე კომპოზიცია, სადაც ემბაზი, მსახური ქალები და ჩვილი მარიამი არა შობის სცენის ფონზე, კერძოდ მშობიარე ანას სარეცელის წინ, არამედ მის გვერდით, განცალკევებითაა გამოსახული. ასეა ნერეზის (1164 წ.)[120], არილის

---

[117] გ. ჩუბინაშვილი „განბანვის" კომპოზიციის შესახებ მოკლედ მიუთითებს: «Слева изображено омовение младенца одной, стоящей, даже собственно подходящей к купели, персоной и другой, сидящей около нее». Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 66.

[118] J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

[119] „განბანვის" იკონოგრაფიის შესახებ ჟ. ლაფონტენ-დოზონი „მარიამის შობის" კომპოზიციის განხილვისას მსჯელობს. J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 89—121, განსაკუთრებით გვ. 91, 100, 104, 106.

„ქრისტეს განბანვის" მსგავსად „ღმრთისმშობლის განბანვის" სიუჟეტის წყაროდ სამეცნიერო ლიტერატურაში ელინისტურ პროტოტიპებს (კერძოდ დიონისეს შობის სცენებს) მიიჩნევენ (G. Babić, დასახ. ნაშრომი, გვ. 170—172); ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ე. კიტსინგერის მოსაზრება სახეითი ხელოვნების ნიმუშებთან დამოკიდებულების შესახებ: „The accounts—canonical or apocryphal — of the infancy of Christ and the Virgin Mary gave the illustrating artist occasion to preserve or revive something of the imagery of babyhood which Hellenistic art had so lovingly explored». E. Kitzinger. The Hellenistic Heritage in Byzantine Art, Dumbarton Oaks Papers, XVII, Washington, 1963. გვ. 100. ანტიკურ პროტოტიპთან დაკავშირებით ანალოგიური მოსაზრება გამოთქმული აქვს P. Nordhagen-საც. P. J. Nordhagen, The origin of the washing of the Child in the Nativity scene, Byzantinische Zeitschrift, Bd. 54, Heft 3—4, 1961, გვ. 333—337).

[120] Oto Boholji-Merin, Fresques et Icones. L'Art Médiéval Serbe et Macédonien, München, 1958, ტაბ. 19.

(1297—1299 წწ.)[121] მოხატულობებში, სუზდალის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძრის ნაქარგ დაფარნახე (1410—1425 წწ.)[122]. მაგრამ სამივე ზემოთაღნიშნულ ძეგლში „განბანვა“ შობის კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია და ძოჩარჩოებით არ გამოიყოფა მისგან, სცენაში ფიგურების (ამ შემთხვევაში ჩვილისა და მსახური ქალების) ამგვარი განთავსება კი, უდავოა, კომპოზიციური მოსაზრებით, კერძოდ, კადრის მცირე სიმაღლითაა გამოწვეული[123].

ამრიგად, ბერთუბნის მოხატულობის აპოკრიფულ ციკლში „მარიამის შობის“ ფართოდ ცნობილი სიუჟეტის ორ სრულიად დამოუკიდებელ კომპოზიციად დაყოფის უნიკალურ შემთხვევას ვხვდებით.

ერთი სიუჟეტის ორ დამოუკიდებელ კომპოზიციად ამგვარი გამოყენება ტაძრის ფერწერული დეკორის საერთო სისტემის მთლიანობის და მისი ძირითადი იდეური ღერძის შენარჩუნებისათვისაა გამოწვეული:

ა. „ღმრთისმშობლის შობის“ მრავალფიგურიანი, რთული კომპოზიცია უცხოა ბერთუბნის ტაძრის მომხატავისათვის, ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ციკლის სხვა სცენების მსგავსად ისიც მაქსიმალურად განიტვირთა, მაგრამ შობის კომპოზიციის აუცილებელი, ტრადიციული სიუჟეტი — „ჩვილის განბანვა“ არამხოლოდ ამ მიზეზით იქნა გვერდზე გატანილი — აქ, უდავოა, არსებითი როლი „მარიამის შობისათვის“ განკუთვნილი კედლის ზომამ და მოხაზულობამაც ითამაშა.

ბ. ამგვარი კომპოზიციური განთავსების წყალობით არ დარღვეულა ტაძრის ფერწერული შემკულობის ძირითადი თეოლოგიური O—W ღერძი (ღმრთისმშობლის ფიგურა საკურთხეველში — ჯვრის ამაღლება კამარაზე — „მარიამის შობა“ დასავლეთ კედლის ცენტრში), ღრმთისმშობლის ცხოვრების ისტორიის უმთავრესმა სცენამ ციკლის ცენტრალური ადგილი დაიკავა, შენარჩუნებულ იქნა სცენათა მონაცვლეობის ზომიერი რითმი, აგრეთვე წონასწორობა არამხოლოდ დასავლეთ კედლის, არამედ მთელი ტაძრის მოხატულობაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთ კედლის გვერდითი კომპოზიციებისთვის შერჩეულ იქნა სიუჟეტები გამოსახულებათა შესაძლო მინიმალური რაოდენობით. ამასთან, მათი აქ განთავსებით არ ირღვევა მოვლენათა ისტორიული თანამიმდევრობაც.

„განბანვის“ მკაფიოდ გაწონასწორებულ სცენაში, სადაც მის მოპირისპირე „ანა-იოვაკიმეს შეხვედრის“ მსგავსად ფიგურათა განთავსება სრულად შეესაბამება კადრის მოხაზულობას (სცენის მარჯვენა უმაღლეს ნაწილში მსახური ქალის მდგომი ფიგურაა. მარცხნივ — ემბაზთან ჩამჯდარი მეორე მსახურის გამოსახულება) მკვეთრ აქცენტად გამოიყოფა თეთრი ფერის ემბაზი — სიუჟეტის კომპოზიციური და აზრობრივი ცენტრი.

სცენის თანმხლები განმარტებითი წარწერა არსებულ ფოტოზე არ გაირჩევა.

---

[121] Н. Л. Окунев. Арилье, Памятник сербского искусства XIII века, «Seminarium Kondakovianum», vol. VIII, Praha, 1936, გვ. 247, ტაბ. $X_1$.

[122] История русского искусства, т. III, М., 1955, გვ. 196, ფოტო გვ. 201-ზე.

[123] აღნიშნულ ფაქტზე სუზდალის დაფარნასთან დაკავშირებით მიუთითებს ჟ. ლაფონტენ-დოზონი (იხ. J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 116).



სურ. 3



სურ. 4.

„დაწინდებაჲ", ᲝᲪᲮᲠᲝᲜᲘᲙᲝᲜ — ამგვარად განმარტავს ასომთავრული წარწერა შემდგომ სიუჟეტს. კომპოზიცია იკონოგრაფიულად ძალზე საყურადღებოა (ნახ. 5. სურ. 3): იოვაკიმე და მის უკან მდგომი ანა მცირეწლოვან მარიამს წარუდგენენ შუახნის წვეროსან მამაკაცს. იოვაკიმე გაწვდილი მარჯვენით ოდნავ ეხება პირმშოს თავს: ხელის ამგვარი, ძალზე თავშეკავებული და აძასთან მეტყველი მოძრაობით იგი თითქოს ოდნავ უბიძგებს ღმრთისმშობელს წინ (ამით ერთგვარად ხაზგასმულიცაა კავშირი მარცხნივ მიმართულ ქალწულსა და კომპოზიციის მარჯვენა კუთხეში მდგომ მშობლებს შორის). ოდნავ წინ გადმოხრი-




ნახ. 5

ლი, კვართით და ჰიმატიონით მოსილი მამაკაცი მარჯვენა ხელის არამკვეთრი მოძრაობით თავისკენ უხმობს ყრმა მარიამს. სცენაში ანა და იოვაკიმე მაღალი, ფრონტონიანი ნაგებობის წინაა გამოსახული, მამაკაცი კი — კონუსური ფორმის საბურავიანი წრიული შენობის ფონზე, ღია კარის წინ. კომპოზიციის სიღრმეში, ამ ორ ნაგებობას შორის, ფიგურებს უკან მოჩანს დეკორაციული თაღედით შემკული დაბალი კედელი (ესაა დეტალი, რომელიც კვლავ მეორდება „ტაძრად მიყვანებისა" და „ღმრთისმშობლის ხარების" კომპოზიციებში).

სცენა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს; იგი გ. ჩუბინაშვილის მიერ მოხსე-

ნიებულია, როგორც „Отда'а Марии по обету в залог".[124] ჟ. ლაფონტენ-დოზონი სიუჟეტს „ტაძრად მიყვანების" თავისებურ რედაქციად მიიჩნევს[125], თუმც არ გამორიცხავს აქ „მარიამისა და იოსების ნიშნობის" სცენის სახესხვაობის შესრულებას უჩვეულო იკონოგრაფიით[126] (სხვაგან იგი უარყოფს ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში აღნიშნული სიუჟეტის არსებობას)[127]. ა. ვოლსკაიას მიხედვით, ესაა „ნიშნობის" კომპოზიცია[128].

შეხედულებათა ამგვარი მრავალგვაროვნობის მიზეზი ისაა, რომ ბერთუბნის მოხატულობის აღნიშნული სცენა თავისი იკონოგრაფიული სქემით არ ემთხვევა ღმრთისმშობლის ცხოვრების ისტორიის არც ერთ სიუჟეტს. მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ — ტაძრის მხატვარი კი ამ პრინციპს ძირითადად მკაცრად იცავს — იგი „მღვდელთმოძღვართაგან კურთხევას" უნდა დავუკავშიროთ. მაგრამ ცნობილია, რომ „მღვდელთმოძღვართაგან კურთხევის" თაედაპირველად ერთობ მრავალფიგურიანი და რთული, რამდენიმე ჯგუფის შემცველი სიუჟეტი თანდათანობითი დახვეწის შედეგად სრულიად სხვაგვარ, ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი კომპოზიციისაგან განსხვავებულ სახეს იღებს[129], ამასთან ეს იკონოგრაფიული რედაქცია საუკუნეთა მანძილზე იქნა შენარჩუნებული[130] (მას ზარზმისა და წალენჯიხის მოხატულობებში, აგრეთვე უბისის ფერწერულ ხატზე ვხვდებით); ტერმინი „დაწინდებაჲ"[131] კი, ბუნებრივია, სრულიად სხვა, მარიამის ტაძრად მიყვანის შემდგომ მომხდარ მოვლენებზე და მასთან დაკავშირებულ იმ ფერწერულ სიუჟეტზე (სიუჟეტთა ჯგუფზე[132]) უნდა მიგვითითებდეს, რომელიც მარიამის იოსებისადმი წარდგომას ასახავს. თუმც, ამ შემთხვევაშიც, იაკობის პირველსახარების მიხედვით იოსებს ღმრთისმშობელს ზაქარია მღვდელთმთავარი წარუდგენს და არა ანა-იოვაკიმე (ლიტერატურული წყაროს შესაბამისადაა ამ თემაზე შექმნილ

---

[124] Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 67.

[125] ავტორი ბერთუბნის ტაძარში შესრულებული მარიამის ყრმობის ციკლის სცენათა თანმიმდევრობით ჩამოთვლისას ქვემოთ განხილული სიუჟეტის და „ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების" კომპოზიციის შესახებ მიუთითებს: «deux scènes de la Presentation au temple». იხ. J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 44. ტაძრად მიყვანებასთან კავშირში ამავე სცენაზე საუბარია ჟ. ლაფონტენ-დოზონთან გვ. 156-ზე.

[126] იქვე, გვ. 156—168.

[127] იქვე, გვ. 168, 174.

[128] А. И. Вольская, Гареджийская живописная школа, Росписи Бертубани, გვ. 101.

[129] ტრადიციულად, იოვაკიმე ხელში აყვანილ ჩვილ მარიამს გაწყობილ მაგიდასთან მსხდომ, მოსასხამებითა და ქუდებით მოსილ სამ მღვდელთმოძღვარს წარუდგენს. მას უკან მეუღლე—ანა მოსდევს. ტაძრის მსახურები მკერდს წინ აღმართული მარჯვენით აყურთხებენ ღმრთისმშობელს.

[130] სცენის იკონოგრაფია განხილული აქვს ჟ. ლაფონტენ-დოზონს (J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 128—133).

[131] საგულისხმოა, რომ თავად ტერმინს „დაწინდება" რამდენიმე განსაზღვრება აქვს. ესაა საწინდრად აღება, დაპირავება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1952, სეტი 1025—1026), დანიშვნა, თხოვნა, შერთვა (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 134).

[132] მარიამის დაწინდების შესახებ იაკობის პირველსახარებაში ერცლადაა მოთხრობილი (იხ. პირველსახარების VIII—IX თავები); შესაბამისად, ეს თემა სახვითი ხელოვნების ძეგლებში რამდენიმე სცენის საშუალებით არის ხოლმე მოცემული. შად. იაკობის ქადაგებათა მინიატურები (H. Bordier, დასახ. ნაშრომი, გვ. 162—164), აგრეთვე კარიე ჯამეს მოზაიკები (The Kariye Djami, 4, გვ. 184—187), პერიბლეპტოსი მისტრაზე, აგრეთვე მოგვიანო პერიოდის რამდენიმე ნიმუში.

სცენებშიც). მოხმობილ მიზეზს გარდა „განბანვასა“ და „ტაძრად მიყვანებას“ შორის ამ ეპიზოდის გამოსახვით ირღვევა სიუჟეტთა ქრონოლოგიური რიგიც.

ყოველივე ზემოთქმულის გამო დღეისათვის ამ სცენის შესახებ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას: უნდა ვიფიქროთ, რომ ტაძრის მხატვარმა ღმრთისმშობლის ცხოვრების ისტორიის დამასრულებელი სამი სიუჟეტის—„მარიამის ტაძრად მიყვანების“, „ხარებისა“ და „ქრისტეს შობის“ სწორედ ციკლის ბოლო ნაწილში, ამასთან ერთმანეთის მიყოლებით წარმოსადგენად (სამივე ხომ მარიამის ცხოვრების უმთავრეს ეპიზოდთაგანია) ადგილი შეუნაცვლა დასახელებულთაგან პირველს და მარიამის იოსებისადმი გადაცემის კომპოზიციას (ამით „ტაძრად მიყვანებამ“ ინტერიერის ყველაზე ნაკლებად აღსაქმელი სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ნაცვლად ეკლესიის სამხრეთ კედლის ცენტრალური ადგილი დაიკავა); ამ უკანასკნელს რაც შეეხება — იგი გვაფიქრებინებს, რომ ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფთა ცალკეული სიუჟეტების ილუსტრირების ტრადიცია უცნობი იყო ბერთუბნელი ფერმწერისთვის (შესაძლოა საერთოდ არც არსებულა უფრო ადრე ქართულ სახვით ხელოვნებაში[133]) და იგი გარეჯის ფერწერული სკოლის ამ თვალსაჩინო ოსტატის შემოქმედების ნაყოფია.

ბერთუბნის ეკლესიის ამ სცენის განხილვისას აქვე უნდა მოვიხმოთ ორი მაგალითი: ა. კარანის „ბელა ცრკვას“ სახელით ცნობილი ეკლესიის მოხატულობაში (1335 წ.) ვხვდებით სცენას, რომელსაც „მღვდელთმთავართაგან კურთხევას“ უკავშირებენ[134]. აღნიშნულ კომპოზიციაში პირველსახარების თხრობის, აგრეთვე ტრადიციული იკონოგრაფიული რედაქციის საწინააღმდეგოდ პატარა მარიამი თავად მიემართება მღვდელთმოძღვრისაკენ[135]. ამგვარი მოვლენა სამეცნიერო ლიტერატურაში სიუჟეტის „ტაძრად მიყვანებასთან“ აღრევით აიხსნება[136]; ბ. ნოვგოროდის თევდორე სტრატილატის ეკლესიაში (1370-იანი წლები) ვ. კოვალიოვას მითითებით, „ტაძრად მიყვანების“ სცენა ორჯერ, ამასთან სხვადასხვა რედაქციითაა მოცემული. პატრონიკეს დასავლეთ კედელზე არსებული სიუჟეტი ტრადიციულ სქემას მიჰყვება, მეორე კი (მას სამხრეთ მკლავის აღმოსავლეთ კედელზე ვხვდებით) შედარებით ლაკონურია: აქ ვერ ვხედავთ ქალწულთა ჯგუფს, ანგელოზის მიერ მარიამისთვის სეფისკვერის მიტანის ეპიზოდს[137], ე. ი. კომპოზიციაში წარმოდგენილია მხოლოდ ანა-იოვაკიმე და პატარა მარიამი, რომელიც მღვდელთ-

---

[133] მარიამის დაწინდებასთან დაკავშირებული სიუჟეტებიდან ადრეულ პერიოდში ჩვენში მხოლოდ ათორმეტი კვერთხის სასწაულის სცენას ვხვდებით (იხ. ლაკლაკიძის ჭედური ხატის ბოლო კომპოზიცია: Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, ტაბ. 203); იოსებისადმი მარიამის წარდგომის ეპიზოდს რაც შეეხება — თუკი მივიღებთ თავისებური სახით მისი აქ გამოსახვის ფაქტს, მაშინ ბერთუბნის სცენა ამ თემის დღეისთვის ცნობილი უადრესი ნიმუში იქნება შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში: „მარიამის იოსებისგან მითვალვა“ მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ—XIV ს-ში ვხვდებით ზარზმის მოხატულობაში (Е. С. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, I, გვ. 56) და უბისის ფერწერულ ხატზე (თ. საყვარელიძე, გ. ალიბეგაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 48).

[134] J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.


[135] М. Кашанин, Бела Црква Каранска, «Старинар», IV (1926—1927), Београд 1928, გვ. 205, ტაბ. 32.

[136] I. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

[137] В. М. Ковалева, Росписи в новгородской церкви Федора Стратилата, «Средневековое искусство. Русь, Грузия», გვ. 150.

ძოძღვარს წარუდგება. როგორც ვხედავთ, ზემოთმოხმობილი სცენები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ღმრთისმშობლის ცხოვრების ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდებს აკუთვნებენ, თავისი სქემით გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს ბერთუბნის **„დაწინდებასთან“, თუმც არც ერთი მათგანი დღემდე სპეციალური განსჯის საგანი არ ყოფილა.** ვფიქრობთ, მათი შემდგომი კვლევა ბერთუბნის ამ თავისებური კომპოზიციის შესახებ უფრო დაბეჯითებით მსჯელობის საფუძველს მოგვცემს.

**„ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება“** ციკლის ყველაზე მრავალფიგურიანი კომპოზიციაა (სურ. 3.): მარცხნივ, საკურთხეველში დგას ტრადიციული ქუდით და ძვირფასი თვლებით (მარგალიტებით) შემკული მოსასხამით მოსილი მღვდელთმოძღვარი. მას წარდგომის ნიშნად მკერდს წინ ხელებაღმართული მცირეწლოვანი მარიამი უახლოვდება. ღმრთისმშობლის უკან შვიდი ეზრაელი ქალწულია კვლაპტრებით ხელში. პირმშოსკენ ოდნავ დახრილი იოვაკიმე და ანა კომპოზიციის მარჯვენა კუთხეშია გამოსახული (მათს უკან კვლავ მათივე სახლის მიმანიშნებელი ნაგებობა მოჩანს). სცენის მარჯვენა ზედა ნაწილში, ტაძრის მსახურს უკან, საფეხურებზე მჯდომი მარიამის ფიგურაა — მას მფრინავი ანგელოზი სეფისკვერს აწვდის. წარწერა აქ ორსტრიქონიანია (იგი აქაც, სხვა სცენების მსგავსად კომპოზიციის ზედა ნაწილშია მოთავსებული—ნახ. 6):



ნახ. 6

ⴒ⁻ⴊⴊⵔⵆ : ⵛⵗⵏⴗⵔ ტ(ა)ძრად მიყვანებაჲ მ(ა)რ(ია)მისი
ⵖⵗⵍⵆⵔⵁ:ⵛ⁻ⵊ⁻ⵛⵗⵏⵗ:.

ზემოთ აღინიშნა, რომ ეს კომპოზიცია „ღმრთისმშობლის შობასთან“ ერთად მარიამის ცხოვრების ისტორიის უმთავრესი და ამიტომ ყველაზე უფრო გავრცელებული სცენაა. მისი სიუჟეტი იაკობის პირველსახარების VII თავშია მოცემული:

**და ვითარ იყო ყრმაჲ იგი სამის წლის, ჰრქუა იოვაკიმ ცოლსა თჳსსა: „მოუწოდით ასულთა ებრაელთასა უბიწოთა, და აღიღონ თითო სანთელი, და იყვნენ აღნთებულ, და წინა-უძღოდიან, რაჲთა არა გარე-უკუნიხილოს ყრმაჲმან ამან და წარიყვანოს გონებაჲ თჳსი ტაძრისაგან უფლისა“. და მიიქუა იგი მღდელთ-მოძღუარმან და ჰმბორ-უყო და აკურთხა იგი და თქუა: „ჰ მარიამ განადიდა უფალმან სახელი შენი ყოველსა შორის ნათესავსა, რამეთუ უკუანაჲსკნელთა დღეთა გამოუცხადოს ღმერთმან მკსნელი ძეთა ისრაჱლისათა“.**

ბერთუბნის ეკლესიის აღნიშნულ სცენას საფუძვლად ტრადიციული იკო-

ნოგრაფიული რედაქცია უდევს[138], მაგრამ თანადროული ძეგლებისგან მას ერთი დეტალი გამოარჩევს: ესაა ებრაელ ქალწულთათვის განკუთვნილი ადგილი სიუჟეტის საერთო კომპოზიციაში. საქმე ისაა, რომ მკვლევართა ვითითებით XII საუკუნის დასაწყისის აღმოსავლურ-ქრისტიანული კედლის მხატვრობის ნიმუშებში, ქალწულთა ჯგუფი ძირითადად ანა-იოვაკიმეს უკან გამოისახება. ეს ნათლად ჩანს თვით ქართულ ნიმუშებშიც: ჩვენში „ტაძრად მიყვანების“ სცენის მსგავს იკონოგრაფიულ გადაწყვეტას უკვე XI საუკუნეში ვხვდებით ატენის სიონის მოხატულობაში, XIII საუკუნის დასაწყისში კი—ყინცვისში. ქრონოლოგიური თვალსაზრისით საგულისხმო მაგალითებს გვაძლევს აგრეთვე კისორეთისა და ქობაირის მონასტრის ეკვდერის XIII საუკუნის ვეორე ნახევრით დათარიღებული მოხატულობები, სადაც კვლავ პერსონაჟთა მითითებულ ტრადიციულ განლაგებას ვხედავთ.

სცენის კომპოზიციურ სისტემაში ცვლილება XIII ს-ის მიწურულიდან ხდება — ამ ხანებიდან ხსენებული ჯგუფი მარიამსა და მის მშობლებს შორის გადაინაცვლებს[139]. იქიდან მოკიდებული, XIV—XV საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანული აღმოსავლეთის სახვითი ხელოვნების ძეგლებში ძირითადად ეს მეორე იკონოგრაფიული სქემა მკვიდრდება. აღნიშნული ცვლილება ქართულ ძეგლებშიც აისახა (ზარზმა; წალენჯიხაში, არსებული ფრაგმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალწულთა ნაწილი მარიამსა და მის მშობლებს შორისაა განთავსებული, ნაწილი — ანა-იოვაკიმეს ფიგურებს უკან).

კომპოზიციის სქემაში ამგვარი ქრონოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით ბერთუბნის ტაძრის მოხატულობის ეს სცენა თანადროულ ძეგლთა შორის გამორჩეულ ადგილს იჭერს, რადგან ქალწულთა ჯგუფი აქ ზომდევნო პერიოდიდან — XIII საუკუნის მიწურულიდან დამკვიდრებული ტრადიციისამებრ წმ. მარიამსა და მის მშობლებს შორისაა გამოსახული. თუმც ბერთუბანი სიუჟეტის ამგვარი გააზრების ყველაზე ადრეული ან ერთადერთი ნიმუში არაა, რადგან მას გარდა მსგავსი იკონოგრაფიული სქემისთვის მაგალითად ბერლინის მუზეუმის ტრიპტიქის (№ 2551—XI ს-ის დასაწყისი)[140] და არტას წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მოხატულობის (XII ს. )[141] „ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების“ სცენები შეგვიძლია მოვიხმოთ (გამონაკლისის აღნიშვნისას კი, ცხადია, მითითებული უნდა იქნას მოგვიანო პერიოდის—XIII ს-ის მიწურულის, XIV—XV საუკუნეების ძეგლებში, მაგალითად არილის[142], პოიანას[143], მისტრას პერიბლეპტოსის[144] ეოლოტოვოს ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის[145] მოხატულობებში, აგრეთვე სახელმწიფო რუსული მუზეუმის (XIV ს.)[146]

---

138 „ტაძრად მიყვანების“ იკონოგრაფია ვრცლად აქვს განხილული ჟ. ლაფონტენ-დოზონს (J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 136—167).

139 ჟ. ლაფონტენ-დოზონის გარდა ამაზე ფაქტზე მიუთითებს ე. სმირნოვა. (Э. С. Смирнова, Живопись Великого Новгорода, Середина XIII—начало XV века, М., 1976, გვ. 209—210)

140 A. Goldschmidt, K. Weitzmann, Die Byzantinische Elfenbeinskulpturen des X—XIII Jahrhunderts, t. II, Berlin, 1930—1934, გვ. 28, ტაბ. IV.

141 J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

142 Н. Окунев, Арилье, памятник сербского искусства XIII века, გვ. 252.

143 К. Мятев. Боянските стенописи, Дрезден-София. 1961, გვ. 59.

144 G. Millet, Monuments Byzantins de Mistra, ტაბ. 128₂.

145 М. В. Алпатов, Фрески церкви Успения на Волотовом поле, ტაბ. 39.

146 Э. С. Смирнова, დასახ. ნაშრომი, გვ. 208—213, სურ. გვ. 208-ზე

და ხილანდარის (XIV ს-ის მეორე დეკადა)[147] ხატებზე არსებული ის კომპოზიციებიც, სადაც პირიქით — არქაული სქემა გვხვდება).

**„მარიამის ხარება"** ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნებისთვის ტრადიციულ იკონოგრაფიულ რედაქციათაგან[148] ერთ-ერთს ასახავს (სურ. 4): კომპოზიციის მარცხენა ნაწილში წარმოდგენილია მახარებული ანგელოზი გრძელი კვერთხით, მარჯვნივ—ფრონტონიანი ნაგებობის[149] ფონზე გამოსახული ღმრთისმშობელი სართავითურთ (ესაა რედაქცია, რომელიც ქართულ ძეგლთაგან გვხვდება ზემო კრიხის[150] კალაუბნის[151] ტიმოთესუბნის[152], ყინცვისის წმ. ნიკოლოზის, უდაბნოს სატრაპეზოს[153], უფრო მოგვიანოდ ზარზმის, საფარის (ლასურიძეთა ეკვდერი)[154], სორის, უბისის[155] და სხვა მოხატულობებში).

მკაფიოდ გაწონასწორებული ამ სიუჟეტის (ანგელოზის გაშლილ ფრთას— იგი ნაწილობრივ ჩარჩოს გადაჰკვეთს — აქ კონტრაპოსტით მჯდომი მარიამის ზუხლი, ქვედატანი უპირისპირდება, ხოლო მის უკან გადგმული ნაბიჯს — ღმრთისმშობლის ზეაწეული სართავიანი მარცხენა) როგორც შინაარსობრივი, ისე კომპოზიციური ცენტრი აქ ანგელოზის მაკურთხებელი მარჯვენაა. იგი ამავე ცენტრალური ღერძის ზემოთ მოთავსებული წარწერითაა ხაზგასმული. მსხვილი ასომთავრული წარწერა ლაკონურია:

ᲮᲕᲐᲠᲔᲒᲐ ხარება

აღნიშნულ კომპოზიციაში, მეტწილად, მახარებელი ანგელოზი ენერგიულად წინ გადადგმული ნაბიჯითა და ღმრთისმშობლისკენ მთელი კორპუსით გადახრილი გამოისახება[156] (ამგვარი რამ არამხოლოდ პალეოლოგიური ფერწერის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ ადრეულებისთვისაც — ატენის

---

[147] D. Bogdanović, V. Djurić, D. Medaković, Chilandar sur le Mont Athos, ტაბ. 72.

[148] ხარების სცენის იკონოგრაფიის შესახებ ბიბლიოგრაფია იხ: D. Mouriki, Les fresques de l'Eglise de Saint Nicolas a Platsa du Magne, Athenes, 1975, გვ. 80; Э. С. Смирнова, დასახ. ნაშრომი, გვ. 216—218.

[149] „ხარების" სიუჟეტში ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა სიმბოლიკისათვის იხ: J. Fournée, Architectures symboliques dans le theme iconographique de l'Anonciation, «Synthronon» (Bibliotheque des Cahiers Archéologiques, II), Paris, 1968, გვ. 225—235.

[150] Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви Архангелов села Земо-Крихи, «Ars Georgiaca», VI—A, ტაბ. 46.

[151] Е. Л. Привалова, Роспись церкви Георгия Калаубанского близ Мцхета, «Ars Georgica», VIII—A, 1980, გვ. 143—144, სურ. 2.

[152] Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, გვ. 54, სურ. 15..

[153] А. И. Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии, გვ. 64—66, სურ. 1, ტაბ. 12.

[154] Д. П. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году; росписи в Чуле, Сапаре и Зарзме, «Известия КИАИ», т. 17, Петроград, 1923, გვ. 54.

[155] შ. ამირანაშვილი, ქართველი მხატვარი დამიანე, თბ., 1974, ტაბ. 37.

[156] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხარების ორი ძირითადი იკონოგრაფიული ტიპიდან ერთის — მჯდომარე ღმრთისმშობლის ხარების გამოსახვა ზოგჯერ ამ სცენის კედლის ლუნეტში, ე. ი. ნახევარწრიული მოხაზულობის სიბრტყეზე განთავსებით უნდა აიხსნას (Е. Л. Привалова, Роспись Тимотесубани, გვ. 208, შენ. 9). გამორიცხული არც ისაა, რომ ძეგლთა ნაწილში წინ მკვეთრად გადახრილი ანგელოზის გამოსახულებას უპირატესობა სწორედ კადრის ფორმის გათვალისწინებით მისცეს.

სცენა ამის თვალსაჩინო მაგალითია): წინ აქვს გადადგმული მარცხენა ფეხი გაბრიელ მთავარანგელოზს ბერთუბნის სცენაშიც — ეს, ბუნებრივია, კიდევ უფრო უწყობს ხელს კომპოზიციური ცენტრის გამოყოფას, მაგრამ მისი ზედატანი ვერტიკალურადაა ამართული, თითქოს ოდნავ უკან გადაწეულიც კი (ცხადია, კადრის სწორკუთხა მოჩარჩოების გათვალისწინებით საერთო კომპოზიციური სქემის წონასწორობის შენარჩუნებისთვის), მახარებელი მარჯვენა — სახის წინ ზეაწეული, რბილად მოხრილი და არა მკვეთრად წინ გაწვდილი, როგორც ძეგლთა დიდ უმრავლესობაში. საფიქრებელია, რომ ამ ხერხს ბერთუბნელმა ოსტატმა სიუჟეტის სტრუქტურული სიმყარის შენარჩუნებისთვის მიმართა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მსგავსი კომპოზიციური გადაწყვეტით ბერთუბნის გამოქვაბული ეკლესიის მოხატულობის „ხარება“ სხვებთან შედარებით უფრო ახლო დგას A—26 ხელნაწერის მინიატურასთან (XIII ს.; აქ ერთგვარი სტილისტური მსგავსებაც თვალსაჩინოა[157].

**„ქრისტეს შობა“** ციკლის დამასრულებელი სცენაა. სამხრეთ კედლის სხვა სიუჟეტებისგან განსხვავებით იგი მთლიანად არ დაღუპულა — შემორჩა მისი აღმოსავლეთ ნახევრის ზედა ნაწილი[158] (სურ. 4).

კომპოზიციისთვის განკუთვნილი კადრის არცთუ დიდი ზომების ძიუხედავად (ბერთუბნის ეკლესიის მოხატულობაში „ქრისტეს შობის“ ტრადიციულად მრავალფიგურიან სიუჟეტს[159] დანარჩენი სცენების მსგავსი ზომების კადრი ეთმობა) აქ შენარჩუნებულია არსებითად ყველა ძირითადი იკონოგრაფიული დეტალი: სცენის ცენტრში, ბეთლემის წიაღში გამოსახული მწოლარე ღმრთისმშობელი, ჩვილი იესო ბაგაში; სცენის მარცხენა ქვედა კუთხეში — იოსების ფიგურაა, მას მფრინავი ანგელოზი ყრმის შობას ახარებს; კომპოზიციის ზედა ნაწილში ვხედავთ მწყემსის გამოსახულებას, აქვე სამი მახარებელი ანგელოზია. მრავალფიგურიან კომპოზიციას ავსრულებს ყრმის განბანვის სიუჟეტი ორი მსახური ქალითურთ, რომელიც კადრის ქვედა მარჯვენა ნაწილშია შესრულებული[160].

კომპოზიციის თანმხლები განმარტებითი წარწერა ამჟამად შემორჩენილია (ნახ. 7):

---

[157] Ш. Я. Амиранашвили, Грузинская миниатюра, М., 1966, გვ. 52.

[158] კომპოზიციის ქვედა ნაწილის დიდი ზომის (194×83 სმ.) ფრაგმენტი ახლა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (საინვ. № 535).

[159] „ქრისტეს შობის“ იკონოგრაფიას საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია აქვს. ამისთვის იხ.: D. Mouriki, Les Fresques de l'Eglise de Saint-Nicolas a Platsa du Magne, გვ. 80; ქართულ ძეგლთათვის კერძოდ იხ.: Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, «Ars Georgica», IV, Тб., 1956, გვ. 214—217; მისივე, Фресковая роспись в церкви Архангелов села Земо-Крихи, გვ. 123; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тб., 1966, გვ. 20—22.

[160] კომპოზიციის სრული დახასიათებისთვის ქვემოთ მომყავს გ. ჩუბინაშვილისეული აღწერაც: „...в центре прежде всего Богородица, за ней ясли с младенцем, над которым воссияла звезда, испускающая яркий свет на него; из-за горы выходит пастух-волхв; кроме того на авансцене слева ангел возвещает сидящему Иосифу рождение богочеловека, а справа—стоит купель и женщины, купающие новорожденного“ (Г. Н Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи. გვ. 67).



ნახ. 7

ყაყ-ე შობა(ა)ა

„შობის“ საერთო იკონოგრაფიული სქემა საზოგადოდ აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნებისთვის ტრადიციულ რედაქციათაგან ერთ-ერთს ასახავს. ამავე დროს, სიუჟეტი აქ მოგვთა გამოსახულებების გარეშეა წარმოდგენილი, ეს თემა კი („მოგვთა თაყვანისცემა“) მკვლევართა მიხედვით „ქრისტეს შობის“ კომპოზიციის შემცველ ქართული კედლის მხატვრობის ძეგლთა შორის უპირატესად გვხვდება[161]. ბერთუბანში მასზე უარის თქმა, ეჭვს გარეშეა, ფერმწერის მიერ კადრის ზომების გათვალისწინებით უნდა აიხსნას[162]. (ისევე როგორც ანგელოზთა რიცხვის შემცირება).

განსაკუთრებით საყურადღებო ბერთუბნის ტაძრის მოხატულობის ამ სცენაში მისი პეიზაჟური ფონია; გ. ჩუბინაშვილის მართებული მითითებით, ეკლესიის მხატვარმა სიუჟეტთა ნაწილი („ტაძრად მიყვანება“, „მარიამის ხარება“, „ქრისტეს შობა“) აქ ტრადიციული სქემის არსებითი ცვლილებების გარეშე გადმოიტანა და მხოლოდ კოლორიტის მხრივ შეუთანხმა ციკლის სხვა კომპოზიციებს[163]. მკვლევრის ჩამოთვლილ სცენათაგან პირველ ორში აღნიშნული აგრერიგად მკაფიოდ არ იგრძნობა — ეს უდავოდ იმის გამოა, რომ „ტაძრად მიყვანებაშიც“ და „ხარებაშიც“ ფიგურები დანარჩენ სიუჟეტებში წარმოდგენილი ნაგებობის მსგავს ხუროთმოძღვრულ ფონზეა გამოსახული. „ქრისტეს შობის“ კომპოზიციას კი ციკლში სწორედ ეს დეტალი, კერძოდ — კვლავ კლასიკური ნიმუშების მსგავსად შესრულებული პეიზაჟური ფონი ვამოარჩევს: ფერმწერი მას ტრადიციული საფეხურებიანი მთის სახით ასრულებს. ამდენად, იგი არსებითად განსხვავდება „იოვაკიმეს ხარებაში“ არსებული პეიზაჟური ფონისგან; ბერთუბნის მოხატულობის ციკლისთვის ტიპური კი უეჭველად სწორედ ეს უკანასკნელია[164].

[161] Е. Л. Привалова, Роспись церкви Георгия Калаубанского близ Мцхета, გვ. 144; Д. Г. Иосебидзе, Роспись Ачи—памятник грузинской монументальной живописи конца XIII века (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1982, გვ. 44.

[162] ე. პრივალოვას აზრით, „შობის“ სცენაში მოგვთა თაყვანისცემის ჩართვაზე უარის თქმა გარკვეულად მინიატურებთან კავშირზე უნდა მიუთანშებდეს, რადგან კომპოზიციის ცალკეულ ელემენტთა ამოვარდნა სწორედ ქართულ მინიატურებში შეინიშნება. მკვლევარს მაგალითებიც მოჰყავს (Е. Л. Привалова, Роспись церкви Георгия Калаубанского близ Мцхета, გვ. 144).

[163] Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи. გვ. 67.

[164] „შობის“ კომპოზიციის ამ იკონოგრაფიულ დეტალთან დაკავშირებით საგულისხმოა ქ. ვაიცმანის მოსაზრება, რომელიც მას ხელნაწერთა მხატვრული გაფორმების შესახებ მსჯელობისას აქვს გამოთქმული, თუმც უდავოა, იგი როგორც კედლის მხატვრობის, ისე სხვითი ხელოვნების სხვა დარგის ნიმუშებისათვისაც უნდა იყოს მისაღები. მკვლევრის აზრით, როდესაც მხატვა-

ანას, იოვაკიმეს და მარიამის ცხოვრების მომცველი ციკლის, მისი ცალკეული სცენების განხილვა სიუჟეტთა ამ ჯგუფის ზოგ საყურადღებო მხარეს ავლენს:

ღმრთისმშობლის ყრმობის ზემოთგანხილული ფერწერული ისტორია საერთო კომპოზიციით, სცენათა შერჩევითა და მათი განთავსების პრინციპით, ძირითადი იკონოგრაფიული ნიშნებით საზოგადოდ აღმოსავლურ-ქრისტიანულ ტრადიციებს ასახავს. ამ მხრივ მას მრავალი მსგავსი ძეგლი ეპოვება, რომელთა შორის ბერთუბნთან განსაკუთრებით ახლო დგას კიზილ ჩუკურის (IX—X სს.), ატენის (XI ს.), დაფნის (XI ს. ბოლო). მირიოჟის (XII ს. შუახანები), ოჰრიდის წმ. კლიმენტის (1378 წ.), პელენდრის (XV ს.), ათონის ლავრის სატრაპეზოს (1512 წ.), აგრეთვე რამდენიმე სხვა მოხატულობაში არსებული ციკლები, თუმცა ჩამოთვლილთაგან არცერთი მის სრულ ანალოგს არ წარმოადგენს. უფრო მეტიც — „ცალკეული სიუჟეტები ბერთუბნის მოხატულობაში ადგილობრივ, მონასტერშივე იქნა შერჩეული"[165]. აპოკრიფული ციკლის თვითმყოფადი ხასიათი განსაკუთრებით ნათლად მათს მხატვრულ გადაწყვეტაში გამოვლინდა (ამის შესახებ — ქვემოთ).

სცენათა განხილვისას აღინიშნა რამდენიმე იკონოგრაფიული თავისებურების შესახებაც. ისინი ბერთუბანში კომპოზიციური მიზეზებითაა განპირობებული, ე. ი. აქ კვლავ აღნიშნულ მოვლენას—ტრადიციული იკონოგრაფიული სქემის ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებებით და შესაბამისად—მოხატულობის საერთო კომპოზიციით გამოწვეულ სახეცვლილებას აქვს ადგილი; ზოგი მათგანი (მაგ.: „ძღვნის უარყოფაში" მღვდელთმოძღვრად ზაქარიას დასახელება) აქ ლიტერატურულ პირველწყაროსთან ფერწერული სიუჟეტის ზოგი დეტალის შეუსაბამობის მაგალითია, და ესეც კვლავ უნდა აიხსნას არა რაიმე რეგიონალური ან ქრონოლოგიური ტრადიციით, არამედ კომპოზიციის შექმნისას მხატვრისეული ინტერპრეტაციით. მოხატულობაში გვხვდება სიუჟეტებიც (მაგ.: „დაწინდება"), რომელნიც ძალზე თავისებური იკონოგრაფიით გამოირჩევა, ბერთუბნელი ფერმწერის შემოქმედების ნაყოფია და ამრიგად, XI—XII საუკუნეთა ან უფრო ადრეული ხანის ქართულ სახვით ხელოვნებაში ღმრთისმშობლის ცხოვრების აპოკრიფთა ცალკეული სიუჟეტების ილუსტრირების ტრადიციის შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

კომპოზიციების იკონოგრაფიული დახასიათების შემდგომ უფრო ნათლად იკვეთება ზემოთ განხილული ციკლის საერთო სახეც. გამოვყოფთ ძირითად ნიშნებს:

ღმრთისშობლის აპოკრიფულ ციკლს ბერთუბანში მკაფიოდ გამოხატული ნარატიული ხასიათი აქვს, თუმც, როგორც ზემოთ

---

რი (მხატვართა ჯგუფი) კომპოზიციათა ახალი ციკლის შექმნისას საფუძვლად რამდენიმე, ამასთან სტილისტურად განსხვავებულ მინიატურათა ჯგუფებს (მისი თქმით — მონოციკლებს) იღებს, პირველწყაროთა სტილის გავლენა შესაძლოა იმდენად დიდი იყოს, რომ ახლადშექმნილმა მინიატურებმა ჰომოგენური ციკლი ვერ შექმნას. (K. Weitzmann, Illustrations in Roll and Codex, a Study of the Origin and Method of Text Illumination, Princeton, 1947, გვ. 199—205).

[165] А. И. Вольская, Гареджийская живописная школа, Росписи Бертубани, გვ. 101.

აღინიშნა, იგი ანა-იოვაკიმეს და მარიამის ისტორიის მხოლოდ ძირითად სიუჟეტებს შეიცავს. ფერწერული ციკლის ამგვარ ხასიათს, ცხადია, უპირველესად მისი ფრიზული განლაგება განაპირობებს — საკმაოდ დიდი ზომის კადრების მონაცვლეობით შექმნილი, მოჩარჩოების მოწითალო-მოყავისფრო ორ ჰორიზონტალურ ხაზს შორის მოქცეული ეს ფართო ზოლი მკაფიოდ გამოიყოფა დარბაზის მოხატულობის დანარჩენი გამოსახულებებისაგან.

სცენათა მსგავსი განთავსება უწინარეს ყოვლისა კლდეში ნაკვეთი ეკლესიის ინტერიერის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტითაა ნაკარნახები. ცნობილია, რომ დავით-გარეჯის მრავალმთის მონასტრებში XI—XIII საუკუნეებში შექმნილი მთავარი ტაძრებისთვის — ყოველი მათგანი კი დარბაზული ტიპისაა. ამასთან დიდი ზომით გამოირჩევა, — ნიშანდობლივია ხუროთმოძღვრულად ნაკლებ დანაწევრებული ინტერიერი, სადაც საკურთხეველი მხოლოდ სატრიუმფო თაღითაა გამოყოფილი, დარბაზის კედლები კი (და ესეც ძალზე იშვიათად)—სრულიად გლუვი, ბაზისებსა და კაპიტელებს მოკლებული პილასტრებითაა დაყოფილი[166].

ბერთუბნის ტაძარი ამ მხრივ გარეჯის მრავალმთის მხატვრული ცენტრის ტიპური ძეგლია — მისი დარბაზი მხოლოდ კარ-სარკმელთა ღიობებითაა დაყოფილი, თუმცა ეს უკანასკნელნიც მთლიანად ეკლესიის ქვედა ნაწილშია გაჭრილი, და ამდენად, ფერწერული ციკლის უწყვეტ ფრიზად განლაგებას, მოვლენათა უწყვეტ დინებას აღარაფერი უშლიდა ხელს.

საყურადღებოა, რომ გარეჯის მრავალმთის მონასტერთა მთავარი ეკლესიების, საერთოდ — საკულტო დანიშნულების კლდეში ნაკვეთ სათავსოთა ზემოთაღნიშნული ხუროთმოძღვრული სპეციფიკა თავს იჩენს უკვე ამ სამონასტრო ფერწერული სკოლის ფორმირების პერიოდში შექმნილ ციკლებში, რომლებიც დავით გარეჯელის მოღვაწეობასა და სასწაულებს ასახავს (ამასთან, თუკი შედარებით ადრეულ ძეგლში — უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს თავდაპირველ, 858—864 წწ. შექმნილ მოხატულობაში სიუჟეტები მოჩარჩოების გარეშე, ლენტისებურადაა გაშლილი და უწყვეტ ფერწერულ ზოლს წარმოქმნის, მოგვიანოდ, ამავე მონასტრის მთავარი ტაძრის 963 წლის მოხატულობაში **სცენები მკაფიოდაა გამიჯნული** ერთმანეთისაგან ვერტიკალური ზოლებით[167]). ცხადია, ბერთუბნის ეკლესიის ფერწერული შემკულობაც გარეჯის მხატვრულ ცენტრში ამ ეროვნული წმინდანის ცხოვრების ილუსტრაციის ადრევე ჩამოყალიბებულ ტრადიციას მისდევს[168].

ბერთუბნის მოხატულობაში არსებული ციკლის მსგავსი ნარატიული ხასიათი ძირითადად ბიზანტიური სამყაროს აღმოსავლური რეგიონებისთვისაა დამახასიათებელი[169]. ამავე ტრადიციას მიჰყვება ღმრთისმშობლის ცხოვრების ამსა-

---

[166] Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 44; К. Н. Мелитаури, Строительство и архитектура Вардзии, Тб., 1975, გვ. 44.

[167] გ. ალრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, გვ. 21—77.

[168] არსებობს შეხედულება, რომ მოხატულობის ფრიზული აგების პრინციპში სხვა ნიშნებთან (ორნამენტული მოტივების ხასიათი, თაღედის გამოყენება და ა. შ.) ერთად ჩანს გარეჯის მონუმენტური ფერწერის ძეგლთა გარკვეული მხატვრული კავშირი ხელნაწერთა მინიატურებთან, რაც თავის მხრივ წამოჭრის გარეჯის სამონასტრო სკრიპტორიუმის არსებობის საკითხს (А. И. Вольская, Живописные школы средневековой Грузии, გვ. 8—9).

[169] J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, გვ. 191, 203.

ხველ სიუჟეტთა შემცველი ქართული ძეგლების ნაწილიც — ატენის, ზარზმის, წალენჯიხის მოხატულობები, უბისის ფერწერული ხატის დეკორი (ზარზმასა და წალენჯიხაში თხრობითობა სცენის არათანამიმდევრული განლაგების გამო აგრერიგად მკაფიოდ არ ვლინდება), თუმც ხუროთმოძღვრული სპეციფიკის გამო ჩამოთვლილ ქართულ მოხატულობებში აღნიშნული სიუჟეტები მოცემულია არა ფრიზად, არამედ რამდენიმე რეგისტრად; ბერთუბნისთვის ნიშანდობლივ სცენათა განთავსების სისტემას რაც შეეხება, მას ანალოგები კაპადოკიაში (ქიზილ ჩუკური)[170], სერბია-მაკედონიაში (ნერეზი — 1164 წ.[171], სტუდენიცა — 1314 წ.[172], ოჰრიდის წმ. კლიმენტი — 1378 წ.[173]), ათონზე (ლავრა — 1512 წ.[174]) და ქრისტიანული აღმოსავლეთის კედლის მხატვრობის რამდენიმე სხვა ძეგლში ეპოვება.

დასასრულ, აღნიშნულ მხარესთან დაკავშირებით — ჩვენთვის საყურადღებო სიუჟეტთა ჯგუფის ამგვარი სახის შექმნას გარკვეულად განაპირობებს მწუხარედ მიმავალი ანა-იოვაკიმეს და ჩვილი მარიამის განბანვის სიუჟეტთა ცალკე კომპოზიციებად გამოყოფაც, რაც კვლავ ღმრთისმშობლის აქ გამოსახული ისტორიის თხრობითობას უსვამს ხაზს.

მარიამის ცხოვრების ფერწერული ციკლის ერთი მნიშვნელოვან მხარეთაგანი ბერთუბნის გამოქვაბული ეკლესიის მოხატულობაში მისი რითმულია აგებაა: სიუჟეტები აქ (დასავლეთ კედლის გამოკლებით) დაახლოებით ერთგვარი ზომის მოჩარჩოებაშია მოქცეული; ყოველ კომპოზიციაში მეორდება ანას, იოვაკიმეს, მარიამის სახეები, ნალესობის დაუფარავ ფონზე მკაფიო, ლოკალური ფერადოვანი აქცენტების სახით გამოყოფილი მათი ჩაცმულობა, არ იცვლება თეთრით ნაწერი „მიწის“ ზოლის სიმაღლე[175]; შეტწყილად ერთგვარია ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ტიპი; გარკვეული თავშეკავებული რითმი შეინიშნება თითოეული სიუჟეტისათვის ერთი და იმავე ძირითადი ტონების — მოწითალო-ყავისფრის, ნაცრისფრის, ცისფრის, მოვარდისფროს, თეთრის გამოყენებითაც; ციკლის ყველა სცენაში განმარტებით წარწერას კომპოზიციის ზედა ნაწილი ეთმობა — მათი ჰორიზონტალების მუდმივი განმეორება, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მოხატულობის, კერძოდ კი ღმრთისმშობლის ისტორიის კომპოზიციათა აღქმისას ფერწერული კადრების მონაცვლეობის ასოციაციას იწვევს და კიდევ უფრო უსვამს ხაზს სცენათა მონაცვლეობის რითმს.

ანა-იოვაკიმეს და მარიამის ცხოვრების ამსახველ სიუჟეტთა ჯგუფის საერთო ნარატიულ ხასიათთან ერთად მასში შემავალი ყოველი კომპოზიცია დასრულებულ, სრულიად დამოუკიდებელ ერთეუ-

---

[170] N. et M. Thierry, Iconographie Inedite en Cappadoce, Le Cycle de la Conception et de l'Enfance de la Vierge à Kizil-Tchoukour, ტაბ. LXXXII—LXXXVI.

[171] R. Hamann-Mac Lean, H. Hallensleben, Grundlegung zu einer Geschichte der mittelalterlichen Monumentalmalerei in Serbien und Macedonien, Giessen, Bd. I, 1963, ტაბ. 6—7, Bd. II, 1976. გვ. 264 (მეორე ტომის ავტორი მხოლოდ რიჰარდ ჰამან-მაკლეინია).

[172] იქვე, ტაბ. 29—30.

[173] იქვე, ტაბ. 21—22.

[174] J. Lafontaine-Dosogne, დასახ. ნაშრომი, ფოტო 29, 30.

[175] დასავლეთ კედლის ტიმპანის სცენებში „მიწა“ შედარებით მცირე სიმაღლისაა, თუმც აქ გამოსახულ სამივე სცენაში, თუ ფოტოთი ვიმსჯელებთ, ამ თეთრი ზოლის სიმაღლე ერთი და იგივე რჩება.

ლადაღიქმება[176]. უპირველესად ამას სცენათა მოჩარჩოება უწყობს ხელს: ბერთუბანში მნიშვნელოვანია ჩარჩოს, როგორც კომპოზიციის შემომსაზღვრავის ფუნქციის მქონე ელემენტის როლი — ციკლის ზემოთგანხილულ სცენებში იგი მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, ისიც ძალზე უმნიშვნელოდაა გადაკვეთილი (ჩარჩოზე გადადის ანგელოზის ტერფი „იოვაკიმეს ხარების“ სიუჟეტში, ანგელოზისვე ფრთის დაბოლოება „ანას ხარებაში“, „ღმრთისმშობლის ხარებაში“, „ქრისტეს შობაში“).

მხატვარი თითოეულ კომპოზიციას უალრესად მკაფიო, ნათელი ფორმულით აგებს; არც ერთი სცენა არაა გადატვირთული რაიმე მეორეხარისხოვანი დეტალით, უფრო მეტიც — ყოველი მათგანისთვის შერჩეულია მხოლოდ უმთავრესი, სიუჟეტის შინაარსის მაქსიმალური გახსნისთვის აუცილებელი ელემენტები. ფიგურების, ხუროთმოძღვრული, აგრეთვე პეიზაჟური ფონების ცალკეულ დეტალთა განთავსება ჩაკეტილ, მკაფიოდ გაწონასწორებულ კომპოზიციებს ქმნის (აღნიშნულის განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითია „იოვაკიმეს ხარება“) — ჩარჩოს გარდა სიუჟეტები ამ კომპოზიციური საშუალებითაც გამოიყოფა ურთიერთისგან.

სცენათა ფონი ბერთუბანში — პეიზაჟურიც, ხუროთმოძღვრულიც — არსებითად მხოლოდ პირობითად გადმოსცემს მოქმედების ადგილს. ეს უკანასკნელნიც აქ ძალზე თავშეკავებით, მკაფიოდ გამიზნულადაა გამოყენებული: თითოეულ სიუჟეტში ვხედავთ მხოლოდ გარემოს მინიშნებისათვის ან განსაზღვრული იკონოგრაფიული თემის აქცენტირებისთვის აუცილებელ, ზოგჯერ სიმბოლოს მნიშვნელობამდე დაყვანილ (მაგ., კარიბჭე „ანას და იოვაკიმეს შეხვედრის“ სიუჟეტში) სახლის[177], მცენარეთა, ლანდშაფტის გამოსახულებას. განხილულ ციკლში ეს დეტალები თანაბრადაა განაწილებული.

კომპოზიციების ამგვარი მხატვრული გადაწყვეტა შარიამის ისტორიის ამსახველ სიუჟეტთა ჯგუფში შედარებით ადრეული პერიოდის (XI—XII სს.) ნიმუშთა მსგავსად[178] — თუმც ბერთუბანში ფონად ნალესობის საღებავით დაუფარავი ზედაპირის გამოყენების გამო უფრო მეტადაც— განაპირობებს თითოეულ სცენაში ფიგურების მკაფიოდ გამოყოფას; ამით გამახვილებულია ყურადღება მათს პლასტიკურ დამუშავებაზეც.

„იცვლებოდა რა თავისი ხასიათით დროთა განმავლობაში, ხაჩი ქართულ ხელოვნებაში მუდამ რჩებოდა მხატვრული გამომსახველობის ძირითად საშუალებად“[179]. ძალზე მოკლე იკონოგრაფიული რედაქციების შერჩევით, კადრში ფიგურების მინიმალური რაოდენობის წარმოდგენით, სხვა მიზეზებით გამოწ-

[176] სწორედ აღნიშნულის გამო მიუთითებდა კ. ჩუბინაშვილი: «Рассмотрение этих сцен сравнительно со сценами трапезной показывает, как еще робко в отдельных только случаях пытался наш художник создать законченную живописную картину (ხაზი ჩვენია. — ზ. ს.) как еще сильно давила его школа с усвоенными обязательными шаблонами». (Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 67); ამავე საკითხს ეხება ა. პოლაკოვა (იხ. მისი, Росписи средневековых трапезных Грузии, გვ. 144, აგრეთვე Гареджийская живописная школа. Росписи Бертубани, გვ. 101.

[177] ხუროთმოძღვრული დეტალები ბერთუბნის ტაძრის სცენებში შედარებით დაგრძელებული პროპორციებით გამოირჩევა.

[178] Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в верхней Сванетии, გვ. 72.

[179] Г. В. Алибегашвили, Художественный принцип иллюстрирования грузинской рукописной книги XI—нач. XIII вв., გვ. 111.

ვეულ ციკლის სცენების საერთო მონუმენტურობას (ამ მხრივ სიუჟეტთა ეს ჯგუფი ამავე ტენდენციების მატარებელი ბერთუბნის ეკლესიის მოხატულობის ორგანული ნაწილია) აქ ბევრად უწყობს ხელს კონტურული ხაზის, ნახატის ხასიათიც.

საკმაოდ მსხვილი, უწყვეტი, მტკიცე ხელით შესრულებული ხაზი ჩალესობის მოვარდისფრო-თეთრი ფონიდან მკვეთრად გამოჯავს ოდნავ დაგრძელებული პროპორციების მქონე ფიგურების მკაფიო სილუეტებს. დრაპირების ნახატი ტაძრის მხატვრობაში და კერძოდ ციკლის სცენებში რთული არაა. იგი ძალზე თავშეკავებულია, ამასთან ზედმიწევნით დახვეწილი, ზუსტი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ემოციური გამომსახველობა გარეჯის ფერწერული სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მხატვრული ნიშანია[180]. იგი ეპოქისა და შემოქმედის ინდივიდუალობის მიხედვით აქ სხვადასხვა სიძლიერით და ფორმით ვლინდება.

ხსენებულ ციკლში ეს მხატვრული მხარე ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ძირითად ნიშნად გვევლინება.

გ. ნ. ჩუბინაშვილი ბერთუბნის ტაძრის ფერმწერის შესახებ აღნიშნავდა: «Он был человеком, переживавшим глубоко взятый к исполнению сюжет»[181].

ბერთუბანში, სამონასტრო მხატვრული ცენტრის საეტაპო ძეგლში აღნიშნული მომენტი გარეჯის სხვა მოხატულობებთან შედარებით თავის კულმინაციას აღწევს — აქ იგი განუზომლად დიდი სიღრმით, უშუალობითა და სიფაქიზითაა გადმოცემული. ამის უპირველესი მიზეზი კი ისაა, რომ ღმრთისმშობლის ცხოვრების აქ წარმოდგენილ აპოკრიფულ სიუჟეტთა ჯგუფში კომპოზიციური აგებით, ფერით, სხვა მხატვრული ხერხებით მაქსიმალურადაა აქცენტირებული ძირითადი პერსონაჟები — ანა, იოვაკიმე, მარიამი (გავიხსენოთ „იოვაკიმე და ანა მწუხარედ მიმავალნი“, „იოვაკიმეს ხარება“, „ანას ხარება“, „შეხვედრა“, „დაწინდება“) მათი განცდები — ნაღველი, სიხარული, შეცბუნება, სეზეიმო-ამაღლებული განწყობილება და სხვ. ისიც აღსანიშნავია, რომ ციკლში ემოციური განწყობის მონაცვლეობისა და ცალკეულ სცენებში მათი განსხვავებული სიძლიერით გადმოცემის საშუალებით (ნაღველი მწუხარედ მიმავალი ანას და იოვაკიმეს ამსახველ სიუჟეტში, შეცბუნება და უცაბედი სიხარული „იოვაკიმეს ხარებაში“, „ანას და იოვაკიმეს შეხვედრის“ თავშეკავებული ლირიზმი, საზეიმო-ამაღლებული განწყობა „ღმრთისმშობლის შობის“ და „ტაძრად მიყვანების“ კომპოზიციებში და ა. შ.) მარიამის ყრმობის შემცველი ეს ფერწერული ფრიზი ძალზე დინამიური ხდება.

ბერთუბნის ტაძრის მოხატულობაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, პირველსახარების თითოეულ სიუჟეტს განმარტებითი წარწერა ახლავს[182]. ყოველი

[180] А. И. Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии, გვ. 93, 148—150; მკვლევარი აღნიშნულ საკითხზე საგანგებოდ ჩერდება ბერთუბნის ეკლესიის მოხატულობისადმი მიძღვნილ სხვა ნაშრომშიც (იხ. მ ი ს ი, Гареджийская живописная школа, Росписи Бертубани, გვ. 101—102).

[181] Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 69.

[182] ბერთუბნის ეკლესიის წარწერათაგან დღეისათვის მხოლოდ პილიგრიმული მინაწერების — გრაფიტების შესახებ დაწერილა. იხ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლფლოტური წარწერა — ქარულ-სომხურ-სპარსულ-ურღურული, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 172—174; თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული წარწერები, თბ., 1962, გვ. 46—47 (აქ თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის გამოსახულებათა თანმხლები წარწერებიცაა მოტანილი); ე. ს ი ლ ო გ ა ვ ა, ზემო სვანეთის გრაფიტები (წინასწარი ცნობები), „სვანეთი II“, თბ., 1979, გვ. 113—114.

მათგანი შავი საღებავითაა მოხაზული, ერთ ან ორსტრიქონიანია და მეტწილად კომპოზიციის ზედა ნაწილს იკავებს. ისინი პალეოგრაფიულად იდენტურია და, უნდა ვიფიქროთ, ერთი პირის მიერ შესრულებული.

წარწერები აქ საკმაოდ ლაკონურია — მათი უმეტესობა ორი ან სამი სიტყვისაგანაა შედგენილი (გვხვდება ერთსიტყვიანი განმარტებითი წარწერებიც— „დაწინდებაჲ, „ხარებაჲ“, „შობაჲ“). ამ ნიშნით ბერთუბნის ეს ციკლი განსხვავდება ატენის მოხატულობასა და უბისის ფერწერულ ხატზე არსებული ანალოგიური კომპოზიციებისაგან, სადაც შედარებით ვრცელი (რამდენიმე სტრიქონიანი) განმარტებითი წარწერებია შესრულებული (შეად. „იოსების სიზმარი“ ატენის მხატვრობაში). ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ჩვენს სიუჟეტებში წარწერები ლიტერატურული პირველწყაროდან არაა ამონაკრები (ეს უჩვეულო მოვლენა როდია ამ თემის შემცველ აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებში) — ისინი მხატვრის მიერვე არის შეთხზული. ლაკონურობის მიუხედავად ყველა მათგანი ძალზე ნათლად განმარტავს სიუჟეტს (მაგ., „აჭა ანნას ახარა“ — ამჟამად დაღუპული წარწერა „ანას ხარების“ კომპოზიციაში).

აღნიშნული წარწერების დანიშნულება ბერთუბანში მხოლოდ სიუჟეტის განმარტებით არ ამოიწურება — ღმრთისმშობლის ცხოვრების ბერთუბანში წარმოდგენილ თერთმეტივე სცენაში იგი კომპოზიციის საერთო სტრუქტურის განუყოფელი და მნიშვნელოვანი კომპონენტია; წარწერები ფერწერული კადრის საკმაოდ დიდი ზომის თავისუფალ არეებს ავსებენ („იოვაკიმე და ანნა მწუხარედ მიმავალნი“). როგორც ასოთა, ისე მთელი სტრიქონის სიდიდე კადრის და მასში განთავსებულ ფიგურათა, ხუროთმოძღვრული და პეიზაჟური ფონების, სხვა დეტალების ზომების გათვალისწინებით პროპორციულადაა შერჩეული და სრულ ჰარმონიაშია მათთან.

წარწერის კადრში განაწილებისას ბერთუბნის გამოქვაბული ეკლესიის მოხატულობის ავტორი ზოგ შემთხვევაში მათი საშუალებით აწონასწორებს კომპოზიციას (მაგ., „დაწინდებაში“ პატარა მარიამის ფიგურაა საერთო ცენტრიდან მარცხნივაა გადაწეული, წარწერა კი — წონასწორობის აღსადგენად ოდნავ მარჯვნივ; „ტაძრად მიყვანების“ სიუჟეტში იგი ამავე მიზანს ემსახურება; „ანას და იოვაკიმეს შეხვედრის“ სცენაში წარწერა ოქროს კარიბჭის გამოსახულებას უპირისპირდება), ზოგჯერ კი ხაზს უსვამს სიუჟეტის ძირითად აზრობრივ—კომპოზიციურ ცენტრს („ძღვნის უარყოფა“, „ღმრთისმშობლის ხარება“).

ზემოთ აღინიშნა, რომ ბერთუბნის ეკლესიის მოხატულობაში წარწერები დეკორაციული ხასიათით გამოირჩევა. ისინი პალეოგრაფიულად, მართლაც, საინტერესოდაა შესრულებული: თითოეული, მოგრძო პროპორციების მქონე ასო აქ მტკიცე ხელითაა გამოყვანილი და საკმაოდ თავისუფლად ნაწერი (წარწერის სიახლოვეს მკაფიოდ ჩანს ფუნჯის მონასმები, აგრეთვე მისი მსუბუქი დარტყმის კვალი ბურთულების შესრულებისას), თუმც შორი მანძილიდან კი მკაფიო მოხაზულობას იღებს და მკვეთრად გამოიყოფა ნალესობის დაუფარავ ფონზე.

დეკორაციულ სახეს ხსენებულ წარწერებს ბურთულებს გარდა ქარაგმისა და განკვეთილობის (ეს უკანასკნელნი ორი წერტილის საშუალებითაა მოცემული), აგრეთვე რიგ შემთხვევაში, მაგ., „იოვაკიმეს ხარების“, „დაწინდების“ „ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების“ კომპოზიციებში სტრიქონის დასასრუ-

ლის შესამკობად[183] გამოყენებული ნიშნები ანიჭებს. ამგვარად გაფორმებული წარწერები განხილული ციკლის სცენებში ძალზე ახლო დგას ხელნაწერთა საზედაო ასოების პალეოგრაფიულ ნიშნებთან, აგრეთვე XII ს-ის მეორე ნახევრის — XIII ს-ის დასაწყისის მრავალი ფრესკული, ლაპიდარული და ჭედური ეპიგრაფიკული ძეგლის გრაფიკული გაფორმების პრინციპებთან.

З. Н. СХИРТЛАДЗЕ

## АПОКРИФИЧЕСКИЙ ЦИКЛ ЖИТИЯ БОГОМАТЕРИ В РОСПИСИ БЕРТУБАНСКОГО ХРАМА

Резюме

Изучение иконографических и основных стилистических особенностей апокрифического цикла жития Богоматери в росписи Бертубанского храма (начало XIII в.) выявляет ряд присущих ему характерных своеобразий.

Своей общей композицией, выбором сцен и принципом их размещения, основными иконографическими чертами указанная живописная история жизни Анны-Иоакима и Богородицы следует традициям восточно-христианского искусства, среди памятников которого мы находим немало близкостоящих к Бертубани обширных циклов, или-же группу сцен, хотя полной аналогии не наблюдается ни в одном случае.

Иконографические особенности в данном цикле Бертубани обусловливаются с одной стороны своеобразием композиционного построения сцен, а с другой —несоответствием некоторых деталей живописного сюжета литературному первоисточнику (в данном случае — первоевангелии Иакова). Помимо того, в цикле встречаются композиции, характеризующиеся весьма своеобразной иконографией. Будучи плодом творчества самого живописца, они тем самым дают возможность судить о традициях иллюстрирования некоторых иконографических сюжетов жития Богоматери в грузинском изобразительном искусстве XI—XII вв. или более раннего периода.

Самобытный характер Бертубанского апокрифического цикла особенно ярко выявился в его художественном решении.

[183] სტრიქონის დასასრულის შესამკობად ბერთუბნის ეკლესიის მოხატულობაში იხმარება ნიშნაკი, რომელიც ერმანეთთან წერილი ხაზებით დაკავშირებული სამი წერტილისაგან შედგება. იგი ჰორიზონტალურად წარმართული საშუალო ზომის კუდითაა დაბოლოებული. ამგვარ ნიშნებს უკვე IX საუკუნიდან მოკიდებული ძალზე ხშირად ვხვდებით ხელნაწერთა გაფორმებისას. (Р. О. Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги IX—XI столетий, т. I, Тб., 1967. გვ. 167. სურ. $21_1$). ზოგჯერ იგი ლაპიდარულ წარწერებშიც იხმარება (იხ. იშხნის სამხრეთ სარკმლის 1032 წლით დათარიღებული წარწერა, Е. С. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии, Тб., 1952, გვ. 27—28, სურ. 2), არც თუ იშვიათად—კედლის მხატვრობაშიც (შეად. ატენის სიონის სამხრეთ მკლავის მოხატულობაში, აგრეთვე გარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ტაძრის პირველი ფენის მხატვრობაში არსებული წარწერები).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ბერიძემ

ილია ანთელავა

## „ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისა და ავტორის შესახებ

„ხელმწიფის კარის გარიგების“ აღმომჩენი და პირველი გამომცემელი ე. თაყაიშვილი მას ათარიღებდა XIV ს-ის I ნახევრით. „ძეგლი უნდა ეკუთვნოდეს მეთოთხმეტე საუკუნეს, განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის დროს“[1]. ე. თაყაიშვილის დათარიღებას მხარი დაუჭირა ი. ჯავახიშვილმა[2]. XIV ს-ით დაათარიღეს ძეგლი მისმა შემდგომმა გამომცემლებმა ი. დოლიძემ[3] და ი. სურგულაძემ[4]. აღნიშნული დათარიღება მიღებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომშიც[5].

უკანასკნელ ხანს შ. მესხიამ სერიოზული ეჭვი გამოთქვა „კარის გარიგების“ ტრადიციულად ქცეული დათარიღების საფუძვლიანობაში. მან მიუთითა, რომ „დღეს უყოყმანოდ გაზიარებული თვალსაზრისი — მისი ვამოცხადება XIV ს. პირველი ნახევრის ძეგლად გადასინჯვას საჭიროებს“[6]. მან მიუთითა იმაზეც, რომ „კარის გარიგების“ ცნობით, მანდატურთუხუცესობა და ამირსპასალარობა „შანშეთ სახლისა“ იყო[7]. XIII ს-ის მიწურულიდან კი, როგორც სამართლიანად აღნიშნა შ. მესხიამ, მანდატურთუხუცესობა „შანშეთ სახლისა“ კი აღარ იყო, არამედ ჯაყელების სახლისა[8]. მართლაც, როგორ შეეძლო გიორგი ბრწყინვალის თანამედროვეს დაეწერა, მანდატურთუხუცესობა „უფრო შანშეთ სახლისააო“, როდესაც თვით გიორგი ბრწყინვალის პაპა (ვისთანაც ის გაიზარდა), ბექა ჯაყელი მანდატურთუხუცესი იყო და ეს თანამდებობა არც დაბრუნებია „შანშეთ სახლს“. შ მესხიას დასკვნით. „კარის გარიგება“ XIII ს. II ნახევარში უნდა იყოს შედგენილი და არა XIV ს. I ნახევარში[9]. შ. მესხია აღნიშნულ საკითხს გაკვრით შეეხო და საგანგებოდ არ დაუხუსტებია ძეგლის შექმნის დრო და ადგილი.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებას შევეხეთ ჩვენც და მივიჩ-

---

[1] ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, ტფ., 1920, გვ. VIII.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფ., 1928, გვ. 67.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტი გამოსცა,. შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 601—608.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., თბ., 1970, გვ. 1; იხ. მისივე, წერილი „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“, ტ. III, გვ. 5.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 850.

[6] შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 71, სქოლიო 1.

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] იქვე.

ნიეთ, რომ იგი შედგენილი უნდა ყოფილიყო XIII ს-ის 90-იან წლებში დავით ნარინის ქარზე, დასავლეთ საქართველოში[10]. ამჯერად გვსურს ეს საკითხი უფრო დაწვრილებით განვიხილოთ და ზოგიერთი მომენტიც დავაზუსტოთ.

„ქარის გარიგებაში“ მოიხსენიება „პატრონი“, ე. ი. მეფე, მისი სახელის აღუნიშნავად[11]. ამ „პატრონის“ ვინაობის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს ძეგლის დასათარიღებლად. ანონიმი ავტორი აღნიშნავს: „მე ვიცი პატრონისა ბრძანებად“[12]; „პატრონისაგან არ მასმია“[13]. ე. ი. ძეგლის შემდგენი პირად კონტაქტში იყო მეფესთან. თუ ძეგლი XIV ს-ის I ნახევრისაა, ცხადია, როგორც აღნიშნავენ კიდეც მკვლევრები, იგი გიორგი ბრწყინვალე უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ეს „პატრონი“ დავით რუსუდანის ძეა. „ქარის გარიგება“ საამისო რამდენიმე საყრდენს გვაწვდის.

„ქარის გარიგების“ ანონიმი ავტორი აღნიშნავს: „საწოლის მწიგნობრის წვევა დაუწერია და პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან! და ალის ჰალას, ოდეს მათი შვილი მოვიდა, შეიყარნეს, კათალიკო[ზ]ი თანა ჰყვა და ალს. ეკლესიის კარს დგა. და რა წვევის ჟამი მოვიდეს, საწოლის მწიგნობარი ინასარიძე პატრონს წინაშე დგა და პატრონმან ბრძანა: „ვინ უწყის კათალიკოზიო“. და მიბრძანეს მე ვაწვეო. ამის სიტყჳსათჳს სოფრომისძე იტყჳს: და მეორეს წელს ეგრე ბრძანა: „ამირეჯიბს მართებსო... მაშინ ამირეჯიბი ქვაბლიძე არა იყო მანდა“[14].

ციტირებულ ტექსტში აღნიშნულია, რომ „პატრონი“ თავის შვილს შეხვედრია ალის ჰალას. მას ხლებია საწოლის მწიგნობარი ინასარიძე („პატრონს წინაშე დგა“) და ჩვენი ავტორი, რომლისთვისაც კათალიკოსის წვევა უბრძანებიათ („ მიბრძანეს მე ვაწვეო“). ამგვარი შეხვედრა მომდევნო წელსაც შემდგარა. მეორე შეხვედრის დროს „გარიგების“ ავტორი იქ არ ყოფილა და მეფის „ბრძანებას“ („ამირეჯიბს მართებსო“) იგი ვინმე სოფრომისძის ცნობის მიხედვით გადმოგვცემს („ამის სიტყჳსათჳს სოფრომისძე იტყჳს“). მეორე შეხვედრასთან დაკავშირებით პიროვნულად დასახელებულია ამირეჯიბი ქვაბლიძე, რომელიც „არა იყო მანდა“.

ნათელია, რომ მოტანილ მონაკვეთში საუბარია დავით ნარინისა („პატრონი“) და მისი უფროსი ვაჟის, აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვახტანგის შეხვედრაზე ალის ჰალას. ცნობილია, რომ დემეტრე თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველოში გამეფდა დავით რუსუდანის ძის უფროსი ვაჟი ვახტანგი[15]. იგი სულ სამი წელი იყო მეფედ[16] და ალის ჰალას მამა-შვილის შეხვედრები დაახლოებით 1289—1292 წწ. შორის უნდა მომხდარიყო. შემთხვევითი არ ჩანს შეხვედრის ადგილად ალის არჩევაც. რომელიც

[10] იხ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, „ხელმწიფის ქარის გარიგების“ დათარიღებისათვის, „მნათობი“, № 7, 1980, გვ. 159—161. ერთ სავაზეთო წერილში (გაზ. „თბილისი“, 1961 წ. 20 აპრილი). ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ს დასაბუთების გარეშე აღნიშნული აქვს, რომ „გარიგება“ 1290 წ. ახლო ხანში უნდა იყოს შედგენილი, ვახტანგ ნარინის ძის მეფობაში. ამ აზრის დასაბუთება ავტორს არ მოუცია. თავის არც ამაზე ადრინდელ და არც შემდგომ სავანგებო ნაშრომებში იგი ამ აზრს საერთოდ აღარ ახსენებს.

[11] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 89—90.

[12] იქვე.

[13] იქვე, გვ. 90.

[14] იქვე.

[15] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 607.

[16] ჯ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 295.

ახლო იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამეფოების საზღვართან. ნიშანდობლივია, რომ „ქარის გარიგება“ ცნობას გვაწვდის ალის ჭალას ორი შეხვედრის შესახებ. გაუგებარია, რატომ უნდა შეხვედროდა შვილს გიორგი ბრწყინვალე ალის ჭალას ზედიზედ ორჯერ, ერთი წლის გამოშვებით?! „ხელმწიფის ქარის გარიგების“ ციტირებულ ადგილას რომ ნამდვილად დავით რუსუდანის ძისა და ვახტანგის შეხვედრაზეა საუბარი, ამტკიცებს ამ შეხვედრების ზოგიერთი დამსწრისა თუ მათთან დაკავშირებით ნახსენები პირების ვინაობა.

„ქარის გარიგებაში“ აღწერილი ალის ჭალის პირველი შეხვედრის დროს მეფეს ხლებიან საწოლის მწიგნობარი ინასარიძე და ჩვენი ანონიმი ავტორი. „მეორეს წელს“ შეხვედრასთან დაკავშირებით ავტორი იხსენიებს „აძირეჯიბ ქვაბლიძეს“ და ვინმე სოფრომისძეს, რომელიც მისთვის მეორე შეხვედრის შესახებ ინფორმატორი ყოფილა.

ყველა დასახელებული პირები დავით რუსუდანის ძის გარემოცვაზე მიგვითითებენ.

შევეხოთ ვინმე სოფრომისძის ვინაობას. სოფრომისძის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ იგი „ქარის გარიგების“ მსგავსი თხზულების ავტორი უნდა ყოფილიყო[17]. ამ აზრს წყარო არ ადასტურებს, მაგრამ საინტერესო სხვა რამაა. ჩვენთვის ცნობილ წყაროებში ვხვდებით ორ სოფრომისძეს. ფრიად სიმპტომატურია, რომ ორივე დავით რუსუდანის ძის გარემოცვაში ჩანან. ერთ-ერთი სოფრომისძე, როგორც ეჭვმიუტანლად დგინდება სათანადო მასალიდან, უნდა იყოს ილარიონ ოპიზარი, რომელიც მოიხსენიება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძებში[18].

ილარიონ ოპიზარი დავით ნარინის დავალებით XIII ს-ის 70-იან წლებში იერუსალიმში იმყოფებოდა და შეესწრო ჯვარის მონასტრის „დატყვევებას“[19]. ილარიონ ოპიზარი რომ სოფრომისძე იყო, ჩანს ერთი ანდერძმინაწერიდან:. „... დავწერე ანდერძი ესე ამა წმინდასა სახარებასა შინა მეფისა მოძღუარმან ბერმან ილნრიონ (sic) სოფრომის ძემან მას ჟამსა ოდეს პატრონმან დავით მეფემან ძემან რუსუდანისამან ოპიზით წამომიყვანეს და გელათს ქედს წმიდათა მთავარ ანგელოზთა წინაშე მამყოფეს“[20]. „მოძღუარს ჩუენს ილარიონს“ იხსენიებს დავით ნარინი გელათისადმი ბოძებულ სიგელშიც[21]. ამრიგად, როგორც ჩანს, დავით ნარინის მოძღვარი ოპიზარი ილარიონი სოფრომისძე იყო[22].

დავით რუსუდანის ძის კარზე, როგორც აღვნიშნეთ, ჩანს მეორე სოფრომისძეც. დავითისა და მისი თანამოსაყდრის, ვახტანგის სიგელი, ბოძებული ზარადხანის უხუცეს ვახტანგ თულასძისადმი, დაუწერია „ზარადხანის მწიგნობარს“ გიორგი სოფრომისძეს[23].

---

17 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 66.

18 ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955, გვ. 35, 62.

19 პ. ინგოროყვა, თხზ., ტ. I, თბ., 1963, გვ. 740.

20 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 399.

21 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 74.

22 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 42—43; სქოლიო 116.

23 ს. კაკაბაძე, თულასძეთა სიგელი დავით ნარინის მიერ მიცემული, საისტორიო მოამბე, წ. I, ტფ., 1925, გვ. 238—239.

ალის ჰალას შეხვედრის დროს მეფეს შეიძლებოდა ხლებოდა მისი მოძღვარიც და ზარადხანის მწიგნობარიც, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ილარიონ სოფრომიძეს ავტორი „პიზარად“ მოიხსენიებდა. ამიტომაც, თითქოს მისაღები ჩანს, რომ „კარის გარიგების“ ავტორის ინფორმატორი სოფრომისძე ზარადხანის მწიგნობარი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ერთია — წყაროებში შემორჩენილ ორივე სოფრომისძიდან, ილარიონიც და გიორგიც დავით რუსუდანის ძის უახლოეს გარემოცვას ეკუთვნიან.

დავით რუსუდანის ძის და არა გიორგი ბრწყინვალის გარემოცვაზე პირდაპირ მიგვითითებს „ამირეჯიბი ქვაბლიძე“. „კარის გერიგებაში“ მოხსენიებული ამირეჯიბი ქვაბლიძე უნდა იყოს იგივე პირი, რომელიც დადასტურებულია დავით ნარინის ცოლის, თამარ ემენელაძისძის ასულის სიგელში: „კითხვითა და ბრძანებითა ღმრთისა სწორისა მეფეთ-მეფისა დავითისათა... ვიყიდე სოფელი კვახჭირი მათისა ამირაჯიბის ქობულისძისა ბეღესაგან“[24].

„კარის გარიგებაში“ იხსენიება ასევე საწოლის მწიგნობარი ინასარიძე, რომელიც ალის ჰალის შეხვედრის დროს „პატრონს წინაშე დგა“. XIII ს-ის მიწურულით დათარიღებულ ლაბეჭინელის მინაწერში აღნიშნულია, რომ ლაბეჭინელს მოუგია ერთი გლეხი „ნიკოლოზის ინასარიძისეული“[25]. ჩვენი აზრით, ლაბეჭინელის მინაწერის ნიკოლოზ ინასარიძე, დავით ნარინის საწოლის მწიგნობარი, „კარის გარიგებაში“ მოხსენიებული ინასარიძეა და იგივე პირი, რომელიც დავით ნარინისავე ერთ სიგელში იხსენიება როგორც „საწოლისა და საჰურჭლის მწიგნობარი ნიკოლოზი“[26]

ამრიგად, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველი არსებობს ვამტკიცოთ, რომ „კარის გარიგების“ „პატრონი“ დავით რუსუდანის ძეა. ჩვენი ანონიმი ავტორი, რომელიც ესწრებოდა ალის ჰალის შეხვედრას, უშუალოდ ისმენდა „პატრონის“ აზრებს სამეფო კარის ეტიკეტის ამა თუ იმ საკითხზე, მოღვაწეობდა დავით ნარინის და არა გიორგი ბრწყინვალის კარზე. იგივე ითქმის საწოლის მწიგნობარ ინასარიძეზე, ამირეჯიბ ქვაბლიძეზე, სოფრომისძეზე.

„კარის გარიგება“ შედგენილი უნდა იყოს დავით ნარინის სიცოცხლეშივე, მისი მეფობის მიწურულს. ამას რამდენიმე გარემოება ამტკიცებს. დოკუმენტში აღწერილია ფაქტი დავით ნარინისა და ვახტანგის ალის ჰალას შეხვედრებისა, რაც აღნიშნულისამებრ, 1289—1292 წწ. უნდა მომხდარიყო. ასევე, ვახტანგისა და მისი ძმის, კონსტანტინეს „დალოცვილ“ მეფეებად მოხსენიება[27]. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ ქუთაისის საყდარში „პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კონსტანტინე“[28]. ამან შეიძლება შეგვიქმნას შთაბეჭდილება, რომ დავით ნარინი გარდაცვლილია, მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ ვახტანგისა დაკონსტანტინეს დავით ნარინის თანასაყდრეებად „დალოცვა“ უნდა იგულისხმებოდეს და არა მათი მეფედ კურთხევა მამის სიკვდილის შემდეგ. ვახტანგი უფრო ადრე გარდაიცვალა, ვიდრე მამამისი დავით ნა-

[24] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 75.

[25] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 21.

[26] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 75. მოტანილ საბუთებში რომ ერთ და იმავე პირზეა საუბარი, იქიდანაც ჩანს, რომ ლაბეჭინელს „მოუგია“ ერთი გლეხი „ნიკოლოზის ინასარიძისეული“. საწოლის მწიგნობარი ბერი იყო, მას ქონება არ ჰქონდა და როგორც ჩანს, ერთი გლეხი მისი ყოფილი მამულიდან ლაბეჭინელს რგებია თავისი ეკლესიისათვის.

[27] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 91.

[28] იქვე.

რინი და ცხადია, „პირველ ვახტანგის დალოცვაში“, რაც ქუთაისის საყდარში მომხდარა, მხოლოდ მისი თანამოსაყდრეობა შეიძლება იგულისხმებოდეს. აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ ვახტანგი აკურთხეს არა ქუთაისში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში (უეჭველია მცხეთაში). ჟამთააღმწერლის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულებმა ვახტანგი „დასუეს ტახტსა სამეფოსა და აღასრულეს წესი კურთხევისა“[29]. ვახტანგის თანამოსაყდრეობა დოკუმენტურადაა დადასტურებული ზარადხანის უხუცეს ვახტანგ თულასძისადმი ბოძებული სიგელით[30]. აღმოსავლეთ საქართველოში დავით ნარინის თანამოსაყდრე ვახტანგის გამეფებისა და მცირე ხნის შემდეგ მისი სიკვდილისთანავე, უეჭველია დავით ნარინმა კონსტანტინე აიყვანა ტახტზე. ასე რომ, ჩვენი აზრით, „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელზეც მუშაობა ალბათ დიდხანს გრძელდებოდა, დავით ნარინის სიცოცხლეშივე იქნა დასრულებული. იმ ფაქტს, რომ დოკუმენტის დასრულებისას დავით ნარინი ცოცხალი იყო, ზოგიერთი დეტალიც გვემოწმება. ძეგლის ავტორი არც ვახტანგსა და არც კონსტანტინეს „პატრონობით“ არ იხსენიებს. მისთვის „პატრონი“ ერთია და იმდენად ცნობილი, რომ მისი სახელის მოტანაც ზედმეტად მიაჩნია. ყურადსაღებია ასეთი დეტალიც: „პატრონისაგან არ მასმია, მისმან კეთილმან“. გამოთქმა „მისმან კეთილმან“ მიუთითებს, რომ ის, ვისაც იგი მიემართება, ცოცხალია. გარდაცვლილ „პატრონზე“, თუ ანალოგიებით ვიმსჯელებთ, ავტორს უნდა ეთქვა: „სულკურთხეული პატრონი“, ან „სანატრელი პატრონი“.

ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაზე“ მუშაობა დასრულდა დავით ნარინის სიცოცხლეშივე. ეს ამავე დროს არ ნიშნავს, რომ დოკუმენტის დასრულებისას ტახტზე კვლავ დავითი იჯდა. „ხელმწიფის კარის გარიგება“ კონსტანტინეს მეფობაში უნდა იყოს დამთავრებული. ამაზე მიგვანიშნებს „კარის გარიგების“ ცნობა კონსტანტინეს ქუთაისის საყდარში დალოცვის შესახებ. დავით ნარინის უფროსი ვაჟისა და თანამოსაყდრის, დასავლეთ საქართველოს ტახტის მემკვიდრის ვახტანგის აღმოსავლეთ საქართველოში გამეფება რეალურ საშუალებად იყო მიჩნეული ორივე ტახტის კვლავ გასაერთიანებლად[31]. ბუნებრივია, რომ ვახტანგის სიცოცხლეში არ შეიძლებოდა კონსტანტინე მეფედ დაელოცათ ქუთაისში. მას შემდეგ, რაც ვახტანგი გარდაიცვალა და ორივე სამეფოს გაერთიანების გეგმა ჩაიშალა, ბუნებრივია ქუთაისის ტახტზე კონსტანტინე ასულიყო. როგორც ზოგიერთი მასალიდან ჩანს, კონსტანტინე ტახტზე მამის სიცოცხლეშივე დამჯდარა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ვახტანგ დავითის ძე გარდაიცვალა 1292 წელს. „ხოლო ესმა რა მეფესა ნარინ-დავითს სიკუდილი ძისა თჳსისა, დამძიმდა ფრიად და დასნეულდა მიერითგან. შემდგომად მოკუდა იგიცა ქრონიკონსა ჩსჟგ, ქართულსა ფიგ“[32]. ე. ი. დავითი 1293 წელს, შვილის გარდაცვალების მომდევნო წელს გარდაცვლილა. ვახუშტის ეს ცნობა ისტორიოგრაფიაში მიღებულია და უახლეს ლიტერატურაშიც გაზიარებული[33]. XVIII საუკუნის ის-

[29] ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 293.

[30] იხ. ს. ქ ა ყ ა ბ ა ძ ე, თულასძეთა სიგელი, საისტორიო მოამბე, წიგნი, I, გვ. 238—239; ვ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. V, თბ., 1978, გვ. 55.

[31] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 608.

[32] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 238.

[33] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 608.

ტორიკოსის ამ ცნობას ეწინააღმდეგება ჟამთააღმწერლის ცნობა, რომელიც ბევრად უფრო ახლოს იდგა ჩვენთვის საინტერესო ხანასთან. მისი მონაცემებით: „გარნა ესოდენ ხოიცვა მწუხარებამან (დავით ნარინი. — ი. ა.), რომელ ვერღარა პოვა ლხინება. და შემდგომად მ ც ი რ ე თ ა წ ე ლ თ ა მანცა შეისუენა“[34]... (ხაზი ჩვენი. ი.ა.). როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერლის მიხედვით დავით ნარინი გარდაცვლილა არა ვახტანგის გარდაცვალების მომდევნო, 1293 წელს, არამედ „შემდგომად მცირეთა წელთა“, რაც ცხადია, სრულიადაც არაა ერთი და იგივე. ჩვენს წყაროებში, კერძოდ ჟამთააღმწერელთან და ვახუშტისთან დაშვებულია ერთი შეცდომაც, როგორც ჩანს, სათანადო ინფორმაციის უქონლობის გამო. ორივე ავტორის ცნობით, კონსტანტინემ ტახტი მამის, დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. არსებობს უტყუარი მასალა იმის სამტკიცებლად, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში დავით ნარინი ბერად შემდგარა გელათში და როგორც ჩანს, იქვე გარდაცვლილა. გელათში, სამხრეთ-აღმოსავლეთ მინაშენში გამოვლენილია დავით ნარინის ორი ფრესკული გამოსახულება. ერთზე იგი სამეფო ტანსაცმელშია გამოწყობილი, ხოლო მეორეზე კი ბერისა[35]. აშკარაა, რომ დავით ნარინი სიცოცხლის ბოლოს, საფიქრებელია ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, ტახტიდან გადამდგარა და კონსტანტინე გაუმეფებია.

ამ ფაქტებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ჩვენს ხელთ არსებული ვერსია დასრულებულია კონსტანტინეს მეფობაში, მისი მამის, ბერად აღკვეცილი დავით ნარინის სიცოცხლეშივე. მისი ძოხელისა და კარისკაცისათვის, როგორადაც საგულვებელია „ხელმწიფის კარის გარიგების“ ანონიმი ავტორი, თუნდაც ბერად შემდგარი დავით ნარინი, ცხადია „პატრონად“ რჩებოდა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მომენტს. „კარის გარიგების“ ავტორის მიზანი ერთიანი საქართველოს კარის აღწერა ყოფილა, მაგრამ მას, გასაგები მიზეზების გამო გაპარვია ზოგიერთი დეტალი, რომელიც პირდაპირ მიგვანიშნებს ძეგლის შედგენის ადგილზე: „მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ, შინაური დარბაზის ერი უნდა და ერთი ჯორი და სამი ცხენი მოძღვართ-მოძღვრისათვის და ორნი მისთა მოწაფეთათჳს“[36]. ცხადია, აქ საუბარია გელათის მოძღვართ-მოძღვრის წვევაზე ქუთაისის სასახლეში. ძნელი დასაჯერებელია, გიორგი ბრწყინვალეს თბილისიდან გელათში „შინაური დარბაზის ერი“, ერთი ჯორი და სამი ცხენი გაეგზავნა მოძღვართ-მოძღვრის მოსაწვევად. აზრი, რომ „კარის გარიგება“ დასავლეთ საქართველოშია შექმნილი, სრულებით ახალი არაა. ეს ჯერ კიდევ ძეგლის პირველმა გამომცემელმა ე. თაყაიშვილმა[37] და ი. ჯავახიშვილმა[38] შენიშნეს და სათანადო მრავალ რეალიაზე მიუთითეს. რაც შეეხება „გარიგების“ დათარიღებას გიორგი ბრწყინვალის ზეობით, ჩვენ მას ვერ გავიზიარებთ. გიორგი ბრწყინვალე ძეგლში არც პირდაპირ და არც

[34] ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, გვ. 295. უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტის კონსტანტინეს გამეფების თარიღი მიუჩნევია დავით რუსუდანის ძის გარდაცვალების თარიღად.

[35] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ისტორიულ პირთა ახლად აღმოჩენილი პორტრეტი გელათის ტაძარში, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, № 51, 1951; Г. А л и б е г а ш в и л и, Свет-ский портрет в Грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979, გვ. 93, ტაბ. 34—35.

[36] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 90.

[37] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. IX—XIV.

[38] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 66.

მინიშნებით არ იხსენიება. ის ფაქტი, რომ „გარიგების“ ხელნაწერი აკინძული იყო „ძეგლისდებასთან“ ერთად, არაფერზე მეტყველებს.

დავით რუსუდანის ძის კარზე უნდა მიგვითითებდეს ზოგიერთი დეტალიც. „გარიგების“ ავტორი აღნიშნავს, რომ გიორგი მეფეს, თამარის მამას, გაუკეთებინებია აბჯარი („ჯაჭვი“) „სალამასურის სახესა ზედა და მას ჩაიცმიდენ“[39]. ჟამთააღმწერლის ცნობით, როდესაც ულუ დავითმა და დავით ნარინმა სამეფო საჭურჭლე გაიყვეს: „ჯაჭ იგი სახელდებული სალმასური... რუსუდანის ძესა დავითს მიხუდა“[40]. „კარის გარიგებაში“ სწორედ ეს „სალმასური ჯაჭვია“ ნახსენები და ნათელი უნდა იყოს, რომ იქ დავით რუსუდანის ძის კარზეა საუბარი.

ის ფაქტი, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილია ერთიანი საქართველოს სამეფო კარი, ხოლო დავით რუსუდანის ძე დასავლეთ საქართველოს მეფე იყო, სრულებით არ ეწინააღმდეგება ჩვენს დასკვნებს. საქართველო თეორიულად მაინც ერთიანი რჩებოდა და ვახტანგის აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე ასვლის შემდეგ, ეს პრაქტიკულად განსახორციელებელიც ჩანდა.

შესაძლებელია გამოითქვას მოსაზრება „კარის გარიგების“ ავტორის საქმიანობის შესახებ. ე. თაყაიშვილის აზრით, ავტორი შეიძლება „განმგეთუხუცესი“ ყოფილიყო[41]. ვფიქრობთ, მეტი საფუძველი არსებობს მის დავით რუსუდანის ძის ეჯიბად მიჩნევისათვის

„კარის გარიგების“ ავტორი სასახლის ცერემონიალისა და ეტიკეტის სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პიროვნებაა. მას პოლემიკაც კი აქვს გამართული „წვევის“ ცერემონიალზე და „პატრონის“ ავტორიტეტსაც იშველიებს[42]. ამასთან, იგი ისეთ პირად მოჩანს, ვისაც მეფე ესაუბრებოდა სწორედ ეტიკეტის საკითხებზე; „მე ვიცი პატრონისა ბრძანებად, რომე ოთხნივე დაისხმიან დიდროანითა სკამითა“[43]. ამგვარი სიტუაციისათვის ორი რამ იყო საჭირო—მეფესთან სიახლოვე და სასახლის ეტიკეტთან სამსახურეობრივი კავშირი. ჩვენი ავტორი, როგორც ჩანს, ორივე ამ პირობას აკმაყოფილებდა. ალის ჭალას შეხვედრის დროს მეფეს სწორედ ჩვენი ავტორისათვის უბრძანებია კათალიკოსის წვევა[44]. აქედან ნათლად ჩანს, რომ „წვევა“ მისი ფუნქცია ყოფილა. ამასთან, ეჯიბები მეფის პიროვნებასთან დაახლოებულნი ჩანან. „ისტორიათა და აზმათა“ ცნობით, თამარი დასავლეთ საქართველოს ამბოხებულ დიდებულებს უგზავნიდა „შინაურსა ეჯიბსა“[45]. ე. ი. ეჯიბი მეფის „შინაური“ იყო. ეს სიახლოვე კარგად ჩანს „კარის გარიგებიდანაც“: „ეჯიბმან, რომელიც იყოს, შევიდეს, ეთაყვანოს მეფესა და მეფე ეთაყვანოს... სამი ბიჯი წამოი[ა] როს მეფემან... აკოცოს“[46]. ამგვარი პრივილეგია სხვა მოხელეთა მიმართ არაა დადასტურებული.

„კარის გარიგების“ ავტორი რომ სწორედ ეჯიბი უნდა იყოს, საკმაო სიცხადით ჩანს ალის ჭალას შეხვედრის შესახებ მონაკვეთიდან. „გარიგების“ ავტორი ეკამათება ჩვენთვის უცნობი თხზულების ავტორს, რომელსაც კათალი-

[39] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 81.
[40] ჟამთააღმწერელი, გვ. 243.
[41] ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. XVI.
[42] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 90.
[43] იქვე, გვ. 89.
[44] იქვე, გვ. 90.
[45] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 50.
[46] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 90.

კოსის საწოლის მწიგნობრის მიერ წვევა „დაუწერია“[47]. იგი აღნიშნავს, ამგვარი რამ „პატრონისაგან არ მასმიაო“[48]. მეფემ სწორედ ჩვენს ავტორს უბრძანა კათალიკოსის წვევა. მეორე წელს კი მეფეს უთქვამს „ამირეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვეზირთა წვევაო“[49]. აქედან ნათლად ჩანს, რომ ავტორი არც ამირეჯიბია და არც საწოლის მწიგნობარი, კათალიკოსის წვევა კი დაავალეს. „წვევა“, სხვა ფუნქციებთან ერთად ამირეჯიბის ხელქვეითი ეჯიბების საქმე იყო: „...მას ეტყოდნენ დარბაზის ერნი რაჲ ენებათ მეფისა მოკსენებად, და თავისწინაობასა შინა ვერვინ შევიდის მეფისა, თჳნიერ მისსა“[50]. შეუძლებელია, მეფეს კათალიკოსის წვევა ნებისმიერი კარისკაცისათვის დაეკალებინა. იგი სათანადო ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო.

ამდენად, ჩვენი აზრით, „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი უნდა ყოფილიყო სასახლის ცერემონიალთან, „წვევასთან“ და „დასხმასთან“ დაკავშირებული პირი, კერძოდ კი დავით რუსუდანის ძის ერთ-ერთი ეჯიბი. სავსებით ბუნებრივია, რომ სამეფო კარის ეტიკეტი, ტრადიციულად ჩამოყალიბებული ცერემონიალისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობის „ოქმი“, აღნუსხვა სწორედ ეჯიბს, ამ ცერემონიალთან თავისი საქმიანობის ხასიათით დაკავშირებულ მოხელეს შეედგინა.

И. П. АНТЕЛАВА

## О ДАТИРОВКЕ И АВТОРЕ «РАСПОРЯДКА ГОСУДАРЕВА ДВОРА».

Резюме

В научной литературе «Распорядок государева двора» датируется I пол. XIV в. Автор приходит к выводу, что «Распорядок» создан в 90-х годах XIII в. при дворе западногрузинского царя Давида Нарина.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. დუმბაძემ.

[47] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 90.

[48] იქვე.

[49] იქვე.

[50] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 22.

ზოთა ხანთაძე

# ო ა რ ი ი უ ბ ი ლ ე

## (თეიმურაზ ბაგრატიონისა და მარი ბროსეს შემოქმედებითი ურთიერთობის შესახებ)

მიმდინარე წელს სრულდება 200 წელი თეიმურაზ ბაგრატიონის დაბადებიდან. წელსვე აღინიშნება მარი ბროსეს დაბადების 180 წლისთავი. ეს ორი იუბილე ერთმანეთს უკავშირდება იმის გამო, რომ ამ ორ მოღვაწეს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან მთელი 16 წლის მანძილზე.

„მასწავლებელი“ და „მოწაფე“, „ოსტატი“ და „შეგირდი“ — ასე უწოდებდნენ ეს მოღვაწეები ერთმანეთს და ჰქონდა რაღაც ღრმა აზრი და მნიშვნელობა მათ შემოქმედებით თანამშრომლობას.

ჯერ ერთი, ეს იყო, არსებითად, თაობათა ცვლისა და მათი შემოქმედებითი თანამშრომლობის პროცესი ქართულ ისტორიოგრაფიაში. თავისი დროის თითქმის მთელი მონაპოვარი ქართული ისტორიოგრაფიის დარგში „გადასცა“ თეიმურაზმა მარი ბროსეს, რითაც საძირკველი გაუმაგრა იმ დიდ შენობას, რომელიც ამ უკანასკნელმა შექმნა თავისი უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობით[1]. თეიმურაზის წყალობით გაეცნო ბროსე ქართული ისტორიოგრაფიის იმდროინდელ მიღწევებს. ამ ისტორიოგრაფიის უმთავრეს ძეგლებს — „ქართლის ცხოვრების“ კრებულს და ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომს. თეიმურაზის წყალობით ჩაუდგა კვალში მარი ბროსე ქართულ ისტორიოგრაფიას, გაიგო მისი სადღეისო ამოცანები და მათ გადაჭრას მიუძღვნა მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია.

და შემდეგ, ამ ორი მოღვაწის თანამშრომლობით დამყარდა მჭიდრო კავშირი ქართულ ისტორიოგრაფიასა და ევროპულ კერძოდ, რუსულ ქართველოლოგიას შორის, ეს უკანასკნელი ორგანულად შეერწყა პირველს და იქცა მის განუყრელ ნაწილად.

შეტად თავისებური ვითარება გვაქვს ჩვენ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში XIX ს-ის პირველ მესამედში. ამ დროს მისი მაჯისცემა უპირატესად პეტერბურგში ძგერს, იქ მოღვაწეობენ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები — დავით, ბაგრატ, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონები, იქ ეყრება საფუძველი მძლავრ ქართველოლოგიურ სკოლას, რომლის ზეგავლენითაც, შეიძლება ითქვას, გამოცოცხლდა და აღორძინდა ისტორიოგრაფიული შემოქმე-

---

[1] ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობა მრავალი ავტორის ნაშრომშია განხილული. სპეციალური მონოგრაფიები ეკუთვნის რ. დოდაშვილს (იხ. მ ი ს ი, მარი ბროსე-ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1966), და ამ სტრიქონების ავტორს (მარი ბროსე, ისტორიოგრაფიული ნარკვევები, თბ., 1966. შევსებული სახით გამოქვეყნდა რუსულადაც, 1970 წელს).

დება თვით საქართველოშიც (პლ. იოსელიანი, ს. ბარათაშვილი, დ. ბაქრაძე). პეტერბურგში შეესხა ხორცი იმჟამინდელ უმთავრეს ისტორიოგრაფიულ ამოცანას — „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა ისტორიული ძეგლების კრიტიკულ შესწავლასა და გამოცემას.

მარი ბროსეს პეტერბურგში გადმოსვლით (1837 წ.) ევროპული ქართველოლოგიის ცენტრმაც რუსეთში გადმოინაცვლა, ხოლო პეტერბურგის აკადემიის აზიური მუზეუმი, რომლის ბაზაზედაც აღმოცენდა დღეს სახელგანთქმული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გადაიქცა ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად. ევროპელ მკვლევართა შორის ბროსე იყო პირველი და ერთადერთი სპეციალისტი — ქართველოლოგი.

ასე შეეყარა ერთმანეთს პეტერბურგში ქართული ისტორიოგრაფიისა და ევროპული ქართველოლოგიის განვითარების გზები და ამ თავისებურმა სინთეზმა მეტად ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. ამაშია თეიმურაზისა და ბროსეს შემოქმედებითი თანამშრომლობის ისტორიული აზრი და მნიშვნელობა.

როგორ და რა სახით მოხდა ევროპული ქართველოლოგიის განვითარების გზის შერწყმა ქართულ ისტორიოგრაფიასთან? რითი მოვიდა მარი ბროსე ევროპიდან და რა დახვდა მას თეიმურაზ ბაგრატიონის მეცნიერულ არსენალში? რა გავლენა მოახდინეს ამ ორმა მოღვაწემ ერთმანეთზე და რა მისცა ამ თანამშრომლობამ ქართველოლოგიას საერთოდ?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით წინამდებარე ნარკვევში. თეიმურაზისა და ბროსეს ურთიერთობა დიდი ხნის წინათ იქცა მსჯელობის საგნად. თვითონ ეს მოღვაწეები ერთმანეთთან მიწერ-მოწერაში და გამოსვლებში ახასიათებდნენ და აფასებდნენ თავიანთ შემოქმედებით თანამშრომლობას. შემდეგ თეიმურაზისა და მარი ბროსეს თითქმის ყველა ბიოგრაფი, ან მათი შემოქმედების მკვლევარი დავით ჩუბინაშვილისაგან მოყოლებული დღემდე ეხებოდა ამ ურთიერთობას და აღნიშნავდა თეიმურაზის დიდ ღვაწლს, მის დახმარებას ბროსეს მიმართ. 1964 წელს ს. ყუბანეიშვილმა გამოაქვეყნა თეიმურაზის წერილები მარი ბროსესადმი[2], რითაც დიდი სამსახური გაუწია მათი ურთიერთობის შესწავლის საქმეს.

საკითხზე დიდძალი ლიტერატურის არსებობის მიუხედავად თეიმურაზისა და ბროსეს ურთიერთობა კვლავ საჭიროებს კვლევას. ამ საიუბილეო დღეებში საჭიროდ მიგვაჩნია თავი მოვუყაროთ საკითხზე არსებულ მასალებს და გავამახვილოთ ყურადღება მის ზოგიერთ ასპექტზე.

ურთიერთობა თეიმურაზსა და ბროსეს შორის მყარდება 1830 წლის აპრილ-ივლისში. 30 აპრილს მარი ბროსემ წერილით მიმართა თეიმურაზს და თხოვა აღმოეჩინა მისთვის დახმარება ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის საქმეში. 18 ივლისს საპასუხო წერილში თეიმურაზი სიხარულით დათანხმდა დახმარებოდა მას და ხელმძღვანელობა გაეწია ქართველოგიურ მუშაობაში.

ამ დროისათვის თეიმურაზ ბაგრატიონს საკმაოდ მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობა ჰქონდა გაწეული და აღიარებულ ავტორიტეტად ითვლებოდა ქართველოლოგიაში. ამიტომ იყო, რომ ბროსეს, რომელ-

[2] იხ. თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, თბ., 1964, ს. ყუბანეიშვილის რედ., (შემდეგში შემოკლებით: წერილები...,).

მაც ამოსწურა პარიზში ხელმისაწვდომი ქართული მასალების შესწავლა, მისმა მეგობარმა, პეტერბურგის აკადემიის წევრმა ფ. შარმუამ სწორედ თეიმურაზზე მიუთითა, როგორც ხელმძღვანელობისათვის შესაფერის კანდიდატურაზე.

თეიმურაზმა ახალგაზრდობაში საკმაოდ სოლიდური განათლება მიიღო[3]. მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი მწიგნობრები დავით ალექსი-მესხიშვილი, თელავის სემინარიის რექტორი, დავით ჩოლოყაშვილი, პოეტი პეტრე ლარაძე და სხვ. განუწყვეტელ ზრუნვას მასზე მისი უფროსი ძმა დავითი, თავისი დროისათვის ენციკლოპედიურად განათლებული ადამიანი.

დავით ალექსი-მესხიშვილს თვით თეიმურაზი შემდეგნაირად ახასიათებს: „ჩემი ფილოსოფიისა, ისტორიისა და ქართული ენისა და წერისა მოძღვარი ის იყო. როცა სწავლის დრო მომივიდა, მეც იმას ვებარე და ის მასწაკლიდა და სხვა ოსტატებიც მყვანდნენ.

იმ ჩვენმა ოსტატმა დავით ალექსიშვილმა საქართველოს ისტორია დიახ, კარგად იცოდა და არამც თუ საქართველოსი, საზოგადოდაც კარგი ისტორიკოსი იყო“[4].

თეიმურაზმა დაამთავრა თელავის სემინარიის სრული კურსი. აქ. იონა ხელაშვილის მოწმობით, ასწავლიდნენ: კატეხიზისს, რიტორიკას, ლოგიკას, მეტაფიზიკა-ონტოლოგიას, კოსმოლოგიას, ფსიქოლოგიას, თეოლოგია-ფიზიკას, ეთიკას, ეკონომიას, მსოფლიო ისტორიას, გეოგრაფიას, ასტრონომიას, არითმეტიკას, მათემატიკას და არქიტექტურას[5].

ამას გარდა თეიმურაზს შეუსწავლია ევროპული და აღმოსავლური ენები. იგი ფლობდა რუსულ, ფრანგულ და იტალიურ ენებს (ფრანგული და იტალიური მან, ალბათ, საქართველოში მყოფ ევროპელ მისიონერთაგან ისწავლა), იცოდა ბერძნული და ლათინური, აგრეთვე სომხური. ფიქრობენ, რომ მან ინგლისურიც იცოდა, მაგრამ სუსტად. საერთოდ, ჩამოთვლილ ენებს თეიმურაზი ერთნაირი სისრულით არ ფლობდა. მაგ., თვითონვე აღიარებს, რომ ბერძნული კი ისწავლა, მაგრამ სწავლა „ვერ შეისრულა“.

გარემო, რომელშიც იზრდებოდა თეიმურაზი (ერეკლე მეორისა და გიორგი მეფის ოჯახები), ხასიათდებოდა ფართო ინტელექტუალური ინტერესებით. რუსული და ევროპული განათლება, განმანათლებლური იდეები სულ უფრო და უფრო მეტად იჭრებოდა და ვრცელდებოდა ქართველ მოღვაწეთა შორის. ამასთან ეს გონებრივი მოძრაობა გადაჯაჭვული იყო ქვეყნის პოლიტიკურ ბედიღბალთან, მის საჭირბოროტო საკითხებს დასტრიალებდა. აქტიური, შემოქმედებითი დამოკიდებულება მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებთან დამახასიათებელი იყო იმ დროის მოღვაწეთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის. ამ მოღვაწეთა შორის თეიმურაზ ბაგრატიონიც იყო.

მას ადრე გაეღვიძა ინტერესი შემოქმედებითი მუშაობისადმი, ცხოვრებისეული მოვლენებისადმი. იგი თითქმის მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე წერდა დღიურებს, აღნუსხავდა უმნიშვნელოვანეს მოვლენებს (მისი დღიურები ასახავენ სპარსეთში ყოფნას, პეტერბურგში გამგზავრებას, მოგზაურობას ევროპაში და სხვ.).

სპარსეთში ემიგრაციაში ყოფნისას 24—25 წლის ჭაბუკმა შეადგინა და

---

[3] იხ. გ. შარაძის მონოგრაფია: თეიმურაზ ბაგრატიონი, ნაწ. I, თბ., 1972; ნაწ. II, თბ.. 1974.

[4] წერილები..., გვ. 30.

[5] გ. შარაძე, დასახ. ნაშრომი, ნაწ. 1, გვ. 11—12.

საფრანგეთის ელჩს კ. მ. გარდანს საჩუქრად მიართვა იტალიურ-სპარსულ-თურქული მოკლე ლექსიკონი[6].

ირანშივე იგი გაეცნო სპარსულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებს (გასცნობია „თარიხე აზერბაიჯან"-ს, „თარიხე ნადირ შაჰ"-ს და სხვ.), შეკრიბა ცნობები ყაჯართა დინასტიის აღზევების შესახებ, სწავლობდა ირანის სახელმწიფო წყობილებას. აქვე მას უთარგმნია ქართულად ანუშირვან მეფის თხზულება: „ათნი გვირგვინნი".

შემდეგში, რუსეთში ყოფნისას ს. პ. რუმიანცევის ოხოვნით ძან შექმნა ორი ნაშრომი: „აღწერა მოკლედ აწინდელისა სპარსეთისა მპყრობელთა შაჰთა გვარეულობისა ყაჯართასა" და „სპარსეთის კარის განგება" (1811 წ.).

ირანში ყოფნისას თეიმურაზი საარტილერიო ნაწილებს მეთაურობდა. ამასთან დაკავშირებით მას შეუდგენია: „დავთარი თოფჩებისა სრული" (1806 წ.) და დაუწერია „მცირე წიგნი პრაქტიკა არტილერიისა". აღსანიშნავია, რომ იმხანად ირანის არტილერიას აწესრიგებდნენ ფრანგი სპეციალისტები. თეიმურაზი, ჩანს, ახლო ურთიერთობაში იყო მათთან და ამასთან დაკავშირებით უთარგმნია ფრანგული სამხედრო ხელოვნების რამდენიმე დებულება: „ფრანციცული სჯულნი სამხედროთაგანთა შემცოდეთა გარდახდევინებისა" (ფრანგულიდან), „ტაქტიკა მანევრი მხედრობისა" (ფრანგულიდან), „მხედრობის დარივება ნაპოლეონ, ფრანციის იმპერატორის მიერ" (რუსულიდან, ალბათ, რუსეთში გადასვლის შემდეგ).

ერთი სიტყვით, პოლიტიკურ და სამხედრო ორომტრიალში გაბმული ბატონიშვილი მაინც ნახულობდა დროს და შესაძლებლობას გონებრივი, შემოქმედებითი შრომისათვის.

დაბოლოს, უნდა გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ ირანში თეიმურაზმა ერთი ქართველი ტყვე ქალისაგან შეიძინა ძველი ქართული ხელნაწერი — „შემოკლებული ახსნა პერი არმენიის წიგნთა... „და იხსნა იგი დაღუპვისაგან.

ცხოვრების მეორე პერიოდში, რუსეთში გადასახლების შემდეგ, თეიმურაზი მთლიანად ეძლევა მეცნიერულ-ლიტერატურულ მუშაობას.

ქართული კულტურისა და ისტორიის საკითხებმა XIX ს-ის დასაწყისში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს. ახალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, ცარიზმის გაბატონებამ გაამძაფრა ქართველთა ეროვნული თვითშეგნება. ახალი პოლიტიკური ხელისუფლების პირობებში ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი ისტორიული წარსულისა და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა პირველხარისხოვან ამოცანად იქცა, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები, პირველ რიგში, ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის საკითხების დამუშავებას საჭიროებდა. საფრთხე, რომელსაც უქმნიდა ცარიზმი ქართველთა თვითმყოფობას, ხალხის გონებრივი პოტენციალის მობილიზებას და ეროვნული ინტერესების დასაცავად მის წარმართვას მოითხოვდა. ამასთან, აუცილებელი იყო ეს კულტურული მემკვიდრეობა რუსეთისა და ევროპის ასპარეზზე გატანილიყო, რათა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" დაენახათ ქართველთა მაღალი კულტურა, მდიდარი მემკვიდრეობა, საზოგადოებრივი აქტიურობა. საერთოდ, ისეთი ისტორიული გარდატეხების ხანაში, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში XIX ს-ის დამდეგს, ასეთი გამოცოცხლება და ეროვნულ ძალთა აქტი-

[6] შ. ხანთაძე, თეიმურაზ ბატონიშვილის „იტალიურ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი", გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1950, № 39.

ურობა კანონზომიერი მოვლენაა. თეიმურაზი ამ პროცესის აქტიური მონაწილე იყო.

თეიმურაზის მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. მან არაერთი საინტერესო ძეგლი თარგმნა ევროპული თუ აღმოსავლური ენებიდან. ასეთები იყო: არისტოტელეს — „განსჯანი სათნოებათა და ბიწთათვის“, რომელიც 1818 წელს დაიბეჭდა კიდეც: ციცერონის — „ბუნებისათვის ღვთისა“, ვოლტერის — „აღაფოკლი“, პუშკინის — „ანგელოსი“ და ა. შ. თეიმურაზის არქივში შემონახულია მის მიერ თარგმნილი ფრაგმენტები ტაციტუსის, მიქ. ჩამჩიანის, ჯემს მორიერის თხზულებებიდან.

აღსანიშნავია, რომ თეიმურაზმა რუსეთის ბიბლიური საზოგადოების თხოვნით, რომლის წევრიც ის გახდა 1814 წლიდან, ქართულიდან თურქულად და სპარსულად თარგმნა საეკლესიო წიგნები: „დავითნი“ და „საქმე მოციქულთა“. საზოგადოებას ისინი ჭირდებოდა ქრისტიანობის გასავრცელებლად სპარსულენოვან და თურქულენოვან მოსახლეობაში. ამ საქმეში თეიმურაზს დახმარებას უწევდა მირზა—ჯაფარ თოფჩიბაშევი, შემდეგში პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა პროფესორი.

თეიმურაზი ინტენსიურად მუშაობდა ქართულ ლექსიკოლოგიაში, ადგენდა სხვადასხვა დანიშნულების ლექსიკონებს, ქმნიდა ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებებს; ლექსებს, პოემას, პიესას. იკვლევდა ქართული მწერლობის ისტორიის საკითხებს.

თეიმურაზმა შესანიშნავი წიგნთსაცავი შექმნა. მის ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა არა მარტო ძველი ქართული მწერლობის მრავალი ძეგლი, არამედ რუსი და ევროპელი ავტორების ნაშრომთა ქართული თარგმანები ღვთისმეტყველების, ფილოსოფიის, ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთიკის, მედიცინის, სამართლის, სამხედრო საქმის და სხვა დარგებიდან.

ამ წიგნთსაცავის კატალოგი თავდაპირველად მარი ბროსეს თხოვნით თვით თეიმურაზმა შეადგინა. შემდეგ იგი აღწერა დავით ჩუბინაშვილმა. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ მისი ბიბლიოთეკა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ შეისყიდა. მასში ამ დროს 214 ხელნაწერი იყო[7].

დაბოლოს, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა თეიმურაზის მოღვაწეობა ქართული ისტორიოგრაფიის დარგში.

მან ადრევე დაიწყო ამ დარგში მუშაობა. უკვე 1815 წელს შეადგინა საქართველოს მოკლე ისტორია („ცხოვრება შემოკლებით საქართველოსა გინა გიორგიისა, რომელ არს სრულიად ივერია“), რომელსაც დართული აქვს პარალელური რუსული და ფრანგული თარგმანები. ნაშრომში ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ მიხედვითაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის წარსული, მაგრამ გადმოცემულია არა პასიურად, ნარატიულად, არამედ მსჯელობებით, შენიშვნებით, მასალისადმი ავტორის აქტიური დამოკიდებულებით. თეიმურაზი ითვალისწინებს სხვა ქართულ ისტორიულ წყაროებსაც, ძველ ბერძნულ და რომაულ ცნობებს, აგრეთვე სომხური წყაროების მონაცემებსაც, იმოწმებს ან აკრიტიკებს მათ. ნაშრომში საკმაოდ ჩანს ის კრიტიციზმი, რომლის გაშლას და გაძლიერებას უნდა მიეყვანა ავტორის ისტორიოგრაფიული შემოქმედება ჰეშმაიტ მეცნიერულ კონდიციებამდე.

---

[7] იხ. კატალოგი წიგნთსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, ს. ორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1948.

შემდეგ წლებში თეიმურაზი განაგრძობდა მასალების შეკრებას და ცალკეული საკითხების დამუშავებას, რაც კარგად არის ასახული მის პირად არქივში[8]. აქ ჩვენ ვხვდებით დიდძალ ამონაწერებს წყაროებიდან, ავტორის შენიშვნებს, მსჯელობებს ძველი საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი განეკუთვნება 20-იანი წლების ხანას. მაგ., 1820 წელს პეტერბურგში მყოფმა ანტონ კათალიკოსმა თეიმურაზს მის განკარგულებაში არსებული ისტორიული მასალები გააცნო და გადააწერინა. თეიმურაზი ამასთან დაკავშირებით გვატყობინებს: „უწმინდესმან კათალიკოზმან მამის ძმამან ჩემმან, ვინაიდან მიყვარდა მე ისტორია, მრავალი რამ საისტორიო საქართველოსათვის გადმოაწერინა თავის წიგნებიდან. ანტონი კათალიკოზი, ბიძა ჩემი სანკტ-პეტერბურგს ბრძანდებოდა წელსა 1820 და შემდგომს წელიწადებშიაც და მაშინ გადმოვწერე“[9].

20-იან წლებში, ჩანს, თეიმურაზმა გადაწყვიტა შეექმნა საქართველოს სრული და კრიტიკული ისტორია. „ოცი წელი მუშაობდა იგი ქართველი ხალხის ვრცელი ისტორიის შეთხზვაზე“ — გვაუწყებს ბროსე 1846 წ. თეიმურაზის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში[10].

ჩანაფიქრი გრანდიოზული და ორიგინალური იყო. ავტორს სურდა გაეგო მართა საქართველოს ისტორია ყველა არსებული ეროვნული და უცხოური წყაროების საფუძველზე. ამასთან ვრცლად და კრიტიკულად მოეთხრო იმ ამბების შესახებ, რომლებიც „ქართლის ცხოვრებაში“ ერთი ორი ფრაზითაა მოხსენიებული. მართლაც და, თუ ვახუშტი და თეიმურაზის სხვა წინამორბედი ისტორიკოსები, ჩვეულებრივ, ამოკლებდნენ „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობს საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ, თეიმურაზი, პირიქით, განავრცობს და კრიტიკულად იხილავს ამ პერიოდის მოვლენებს, იშველიებს ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობებს, სომეხ ავტორთა მონაცემებს, ზეპირსიტყვიერების მასალებს. მას პირველად შემოაქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მითი არგონავტების ლაშქრობის შესახებ ძველ კოლხეთში.

საბოლოოდ თეიმურაზს იმდენი მასალა დაუგროვდა, რომ საქართველოს ისტორიის მხოლოდ უძველესი პერიოდის (გაქრისტიანებამდე, მირიან მეფემდე) განხილვა მოასწრო. მისი გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლისა და მარი ბროსეს შუამდგომლობით პეტერბურგის აკადემიამ გამოსცა ეს ნაშრომი („ისტორია დაწყებითგენ ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა“, სპბ, 1848, 273 გვ. რედ. დ. ჩუბინაშვილი).

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით თეიმურაზის ამ ნაშრომმა მრავალი სიახლე შეიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში. იგი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ ისტორიოგრაფიის განვითარების გზაზე[11]. თეიმურაზმა, უპირველეს ყოვლისა, გააღრმავა და გააძლიერა კრიტიკული მიდგომა ქართული წყაროებისადმი და მათ შორის პირველ რიგში „ქართლის ცხოვრებისადმი“. როგორც ვთქვით,

---

[8] დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერებს შორის.

[9] ისტორია დაწყებითგან ივერიისა, სპბ, 1848, გვ. 177—178, შენიშვნა.

[10] იხ. სახ. განათლების სამინისტროს ჟურნალი, 1846, ნოემბრის ნომერი, ნაწილი VII, გვ. 39 (რუსულ ენაზე).

[11] თეიმურაზის ამ ნაშრომის ისტორიოგრაფიული დახასიათება მოცემული აქვს შ. მესხიას თავის გამოკვლევაში: თეიმურაზ ბატონიშვილი ცხოერება და მოღვაწეობა, იხ. მსჯი, 1939, ნაკვ. I, გვ. 51—78.

იგი მარტივად და თხრობით კი არ გადმოსცემს წყაროს მონაცემებს, არამედ იძლევა მათ ინტერპრეტაციას, შეფასებას. აჯერებს მათ სხვა წყაროთა მონაცემებთან.

ნაშრომში ვხვდებით ამა თუ იმ საკითხის მონოგრაფიულ გადმოცემას, როცა ამ საკითხზე თავმოყრილია ყველა ხელმისაწვდომი მასალა და ბეტ-ნაკლებად დასრულებული სახითაა მოცემული მათი განხილვა (მაგ., ასეა განხილული მეფობის წინარე (თემური) წყობილების საკითხი ძველ ქართლში). ამასთან საკითხის განხილვა ხშირ შემთხვევაში მოცემულია კონცეფციურ ასპექტში, გარკვეული თვალთახედვით, სხვა შეხედულებათა კრიტიკასთან ერთად.

ნაშრომში საგრძნობლადაა გაფართოებული ჩვენი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, პირველადაა გამოყენებული უცხოენოვანი წყაროების მრავალი ჩვენება, აგრეთვე ნივთიერი და ზეპირსიტყვიერების მონაცემები, ყოფითი დეტალები. წყაროების დასახელებაც ხშირად უფრო ნიშანდობლივია, ვიდრე სხვა ძველ ავტორებთან.

ერთი სიტყვით, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით თეიმურაზის კვლევითი მუშაობა ახალი საფეხურია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ სწორედ თეიმურაზის ისტორიოგრაფიული მოღვაწეობა განსაზღვრებდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ხასიათსა და დონეს გასული საუკუნის 30-იან წლებში და ბროსეს დაკავშირება მასთან საკმაოდ კანონზომიერი იყო.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმასაც, რომ თეიმურაზი თავის შემოქმედებით მუშაობაში ორიენტაციას იღებდა რუსეთისა და დას. ევროპის მკითხველ საზოგადოებაზე, ამ ქვეყნების სამეცნიერო წრეებზე. ეს არა ერთხელ აქვს მას აღნიშნული თავის წერილებში მარი ბროსესადმი. ასეთი მიზანდასახულების პატრიოტულ-პოლიტიკური სარჩული ნათელია და კომენტარს არ საჭიროებს. მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება ზრდიდა თეიმურაზის პასუხისმგებლობას, მის მისწრაფებას რაც შეიძლებოდა მაღალ დონეზე შეესრულებინა ყველა თავისი გამოკვლევა.

ამრიგად, თუ ერთი ფრაზით შევეცდებით გადმოვცეთ იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების უმთავრესი ტენდენცია და მიმართულება ასეთად უნდა მივიჩნიოთ პირველწყაროების გაფართოებისა და კრიტიკული შესწავლის ამოცანა, კრიტიციზმის გაძლიერების აუცილებლობა, ცალკეულ საკითხთა მონოგრაფიული შესწავლის საჭიროება, ისტორიული შემოქმედების პატრიოტული მიმართულების გაძლიერება. თეიმურაზი პირნათლად და ნაყოფიერად ემსახურებოდა ამ დიდ ეროვნულ საქმეს.

ახლა ვნახოთ რა გზა განვლო მარი ბროსემ (და ევროპულმა ქართველოლოგიამ) თეიმურაზთან დაკავშირებამდე.

ქართველოლოგიის გზაზე მარი ბროსე დადგა მისი მეგობრის, ცნობილი არმენისტის ჟან სენ-მარტენის რჩევით (მანამდე იგი სინოლოგიაში მუშაობდა). სენ-მარტენს კარგად ესმოდა ქართული ისტორიული ძეგლების დიდი შემეცნებითი ღირებულება, ძველი სომხეთის ისტორიის საკითხებზე მუშაობისას იგი იყენებდა ქართულ წყაროებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მათ.

ამავე დროს ევროპაში XIX ს-ის დასაწყისიდანვე ისე მომძლავრდა ინტერესი აღმოსავლეთისადმი, რომ ორიენტალისტიკის დიდ მორევში თანდათან იწყებს ჩამოყალიბებას ცალკეული მიმართულებები ამათუიმ ქვეყნის ენისა და საერთოდ კულტურის შესახებ. ამ ვითარებაში ქართველოლოგიური ნაკადის

შექმნის აუცილებლობაც მომწიფდა, საჭირო გახდა სპეციალისტი-ქართველოლოგის გამოჩენა.

ევროპულ ქართველოლოგიაში ამ დროისათვის უკვე არსებობდა გარკვეული ცოდნის მარაგი. მოიპოვებოდა ლიტერატურა ქართული ენის გრამატიკის შესახებ (მაჯიოსი, გაიოზის, ფირალოვის, ფატერის), იყო ლექსიკონებიც (პაოლინის, ფირალოვის, კლაპროტის). დიდძალი აღწერილობითი ლიტერატურა (განსაკუთრებით ევროპელ მისიონერთა ხელიდან ვამოსული) საინტერესო მასალებს შეიცავდა ქართული სინამდვილის ამა თუ იმ მხარის შესახებ. ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის საკითხებზე მოიპოვებოდა ცალკეული გამოკვლევებიც[12]. მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ მაინც არ იყო საკმარისი ევროპული ქართველოლოგიის ცალკე მეცნიერულ დარგად ჩამოყალიბებისათვის. აუცილებელი იყო მეცნიერ-მკვლევართა უშუალო და სრული კონტაქტი ქართულ სამყაროსთან, ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის კომპლექსურად და სპეციალურად შესწავლა, რათა ეს დარგი გადაქცეულიყო მეცნიერული ცოდნის სისტემად, ქართველოლოგია კი — მეცნიერებად.

მარი ბროსემ გულდასმით შეისწავლა ევროპაში არსებული ლიტერატურა საქართველოს შესახებ, გაეცნო გრამატიკულ ნაშრომებს და ლექსიკონებს და დაინახა, რომ ეს სრულიადაც არ იყო საკმარისი ქართულის ღრმად დაუფლებისათვის. მაშინ მან თავისებურ და ორიგინალურ გზას მიმართა: 1743 წელს მოსკოვში ბაქარ ბატონიშვილის თაოსნობით დაბეჭდილი ქართული „ბიბლია" სიტყვა-სიტყვით, ტექსტუალურად შეუდარა მის ბერძნულ დედანს, საიდანაც ქართული „ბიბლია" თავის დროზე ითარგმნა. ამ გზით ბროსემ გაიშიფრა ლექსიკური მარაგი, გამოარკვია ქართული ფრაზის თავისებურებები, ენის სინტაქსური და მორფოლოგიური კანონები. ამ გზით ბროსე დაეუფლა ძველ ქართულს და ის იმ ხანებში ისე არქაულად მეტყველებდა, რომ როცა 1831 წელს შეხვდა და ესაუბრა პარიზში ჩასულ ქართველ ბატონიშვილებს ვახტანგსა და ტარიელს (იმერეთის მეფის სოლომონ II-ს ძმისშვილებს), მათ ვერაფერი გაუგეს მას. საკმაო ხანი დაჭირდა, სანამ ბატონიშვილები შეეჩვეოდნენ მის არქაულ მეტყველებას.

პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული იყო რამდენიმე ქართული ხელნაწერი, მათ შორის იყო „ვეფხისტყაოსნის" ორი ხელნაწერი, ვახტანგ VI-ის კანონთა წიგნი, ქართული ანონიმური ისტორიული ქრონიკა და სხვ. ბროსემ შეისწავლა ეს ხელნაწერები, გადმოიწერა მათი დიდი ნაწილი, თარგმნა ფრანგულად და მათ საფუძველზე რამდენიმე ნაშრომი შექმნა. ამასთან მან დაიწყო ქართული ვრცელი ლექსიკონის შედგენა სიტყვათა ძირების მიხედვით. ბროსეს ნაშრომები ქვეყნდებოდა პარიზის აზიური საზოგადოების ჟურნალში. აქ ბროსემ გამოაქვეყნა ქართული ენისა და ლიტერატურის მიმოხილვები, დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის" დასაწყისი ნაწილის შინაარსი, ვახტანგის კანონების მიმოხილვა და ა. შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ანონიმური ქართული ისტორიული ქრონიკის (ე. წ. „პარიზის ქრონიკის") გამოქვეყნება. იგი დაიბეჭდა ლითოგრაფიულად 1830 წელს, ხოლო ერთი წლის შემდეგ სტამბურად დაიბეჭდა მისი ფრანგული თარგმანი. ეს იყო ქართული საისტორიო ძეგლის პირ-

[12] ევროპაში ქართველოლოგიის აღმოცენების შესახებ იხ. ჩვენი წერილი: ნარკვევი ევროპული ქართველოლოგიის ისტორიიდან (XIX საუკუნის 20-იან წლებამდე), ქართული ისტორიოგრაფია, 1, თბ., 1968, გვ. 106—153.

ველი პუბლიკაცია ევროპაში და მან ორიენტალისტთა მოწონება დაიმსახურა (ჟ. სენ-მარტენი).

მაგრამ პარიზში არსებული მასალები და მუშაობის შესაძლებლობა მალე ამოიწურა. ბროსე იგრძნობდა, რომ მაშინ მის საქმიანობას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა და უპერსპექტივო წამოწყებად თვლიდა. მაგრამ თვით ბროსეს რწმენა არ შერყეულა. იგი ეძებდა გამოსავალს.

ამრიგად, XIX ს-ის 30-იანი წლებისათვის ქართულ ისტორიოგრაფიასა და ევროპულ ქართველოლოგიაში ერთგვარად მომზადებული იყო ნიადაგი მათი დაკავშირებისათვის. ქართულ ისტორიოგრაფიას ესაჭიროებოდა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის გატანა ევროპისა და რუსეთის მეცნიერულ წრეებში, ევროპული მეთოდოლოგიის დანერგვა და დამკვიდრება მასში, ხოლო ევროპულ ქართველოლოგიისათვის აუცილებელი იყო უშუალო კონტაქტი ქართულ ისტორიულ მასალასთან, ქართულ სინამდვილესთან, კავშირი ქართველ მოღვაწეებთან, რათა მიეღო საჭირო და საკმარი ავთენტური მასალები ამ დარგის ძირითადი და აუცილებელი საკითხების დასამუშავებლად.

ასეთ ვითარებაში მყარდება ურთიერთობა თეიმურაზ ბაგრატიონსა და მარი ბროსეს შორის.

როგორც ვთქვით, 1830 წლის 30 აპრილს ბროსე უგზავნის თეიმურაზს პირად წერილს და თხოვს დახმარებას. წერილთან ერთად ბროსემ თეიმურაზს გაუგზავნა მის მიერ გამოცემული „ქართული ქრონიკა“. ამ ძეგლს თეიმურაზი არ იცნობდა და ბროსეს წყალობით გაიცნო იგი. თეიმურაზმა მაღალი შეფასება მისცა ბროსეს მიერ გაწეულ მუშაობას და აღუთქვა ყოველგვარი შემწეობა. „საქმეი ესე სრულიად ევროპიისა სწავლულთა შორის აწ შენ იწყე პირველად და თვინიერ მოძღვრისა და მასწავლებლისა. მხოლოდ თავით თვისით მშრომელი მიიწიე ესეოდენსა საზომსა ქართულისა ენისა და წერილისა სწავლისასა.

სამაგალითოთა შრომათა ამათ შენთათვის მოგიძღვნი ჩემ კერძო ფრიადსა მადლობასა“—წერდა თეიმურაზი ბროსეს საპასუხო წერილში იმავე წლის 18 ივლისს. შემდეგ უთვლიდა: „მე თვით გექმნები შენ თანამოსაუბრე, ესე იგი კორესპონდენტი, ზოგად ყოველთავე ძველთა და ახალთა საუკეთესოთა გინა საეროთა და სამოქალაქოთა ხელოვნებათა ჩვენისა სწავლისათა ბედეითისა, ესე იგი სათეორიოსა, და საქმისითა, ესე იგი საპრაკტიკოსა ქართულისა ენისა და წერილობათა ზედმიწევნილობისათვის“[13].

როგორც ვხედავთ, აღუთქვამს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დახმარებას. თეიმურაზმა პირნათლად შეასრულა ეს აღთქმა. მან დიდი დახმარება გაუწია ბროსეს ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ღრმად შესწავლისა და დაუფლების საქმეში. მისი დახმარება სამი მიმართულებით ვითარდებოდა: 1. თეიმურაზი ამოწმებდა და აკონტროლებდა ბროსეს მიერ გაწეული მუშაობის სისწორეს, ეხმარებოდა ტექსტების გამართვაში, ასწორებდა მის შეცდომებს; 2. აწვდიდა მასალებს, ხელნაწერებს, წარწერებს და სხვა, რომელთა საფუძველზეც ბროსე ქმნიდა ახალ ნაშრომებს, და 3. თეიმურაზი განუმარტავდა ბროსეს ამა თუ იმ გაუგებარ საკითხს, ან ნაკლებად ცნობილ საკითხზე აწვდიდა

[13] წერილები..., გვ. 7.

დაწვრილებით ინფორმაციას. ეს მასალაც ხშირად ხდებოდა ბროსეს ახალი ნაშრომების წყაროდ.

განვიხილოთ ეს მიმართულებები უფრო დაწვრილებით.

ბროსესა და თეიმურაზის მიწერ-მოწერა ქართულად წარმოებდა. თეიმურაზი ასწორებდა წერილებში დაშვებულ ენობრივ შეცდომებს, განუმარტავდა ქართული მართლწერის ნორმებს.

თეიმურაზმა მიუთითა „პარიზის ქრონიკის“ გამოცემულ ტექსტში არსებულ შეცდომებზე. ნაწილი ამ შეცდომებისა ხელნაწერისეული იყო, ნაწილი კი გამომცემელს ჰქონდა დაშვებული. მანვე გაასწორა აგრეთვე ბროსეს მიერ ვახტანგის კანონებიდან გადმოწერილი მუხლების ტექსტი, რომელიც ნავიგაციისა და წყლის ექსპლუატაციის საკითხებს ეხებოდა.

ყველაზე საფუძვლიანად თეიმურაზის მიერ შემოწმებული იქნა ბროსეს პირველი გრამატიკული ნაშრომის — „ხელოვნება აზნაურებითი, გინა ქართულისა ენისა თვითმასწავლებელი“ ტექსტი. თეიმურაზს არ მოეწონა სახელის ბრუნვის დამატება ბროსეს მიერ და თანდებულის შერწყმა სახელთან. ამასთან დაკავშირებით თეიმურაზს საინტერესო ანალოგია მოჰყავს: „კაცის სხეული, რომელშიაც ასოები არის განკარგული, თუ ის მოიშლება, ესე იგი თავი მუხლებთან მოგვებმის, ერთი ხელი კისერთან, ერთი ფეხი თავის ალაგს, თვალები ზურგზე და ეგრეთვე თვითოეული ნაწევარი კაცისა ესრეთ აღრეული, მაშინ კაცის სხეული გარდაიქცევა იპოკენტავროდ. და თუ კანონებსა რომლისამე ხელოვნებისასა ესრეთ ერთმანეთში ავრევთ და თვის-თვის ადგილს არ იქნება, იგიცა იმ იპოკენტავრის სახედ იქმნება“. ეს ანალოგია მარი ბროსეს საწყენად დაურჩა, მოეჩვენა, რომ დასცინეს მას. შემდეგ წერილში თეიმურაზი წერს: „შენის ღრამატიკისა მოიწერე გაშინჯვა, ზოგი გავსინჯე და ზოგსაც ვსინჯავ. მაგრამ რად დამწამე ცილი? მე ისე არ აღმირჩევიხარ შენა, რომ ვიცინო ამაზედ. რა ეჭვიანი კაცი ჰყოფილხარ. ემ შენს იჭვებზე კი გავიცინებ, ნუ გასჯავრდები, თუ ოსტატად აღმიარებ და მოძღვრად, ხან უნდა გავიცინო, ხან მოგიწონო, ხან დავიწუნო და ხან განგიმარტო. მაგრამ ყოველთვის მოგიწონებ, ნუ იშიშვი ამაზედ. ზოგნი შეგირდნი ქების მოყვარენიც არიან. ჰეშმარიტად თუმცა რომელსამე შენს ნაღვაწში შეცთომაც არის, მაგრამ წინაშე ღვთისა მე ჰეშმარიტს ვიტყვი: დიახ, საქები არის გულსმოდგინება და შრომა შენი“.

თეიმურაზის გულითადობა კარგად გამოსჭვივის ამ სტრიქონებში.

თეიმურაზი დიდ სიფრთხილეს იჩენდა მეცნიერულ მუშაობაში და ამასვე მოითხოვდა ბროსესაგან. იგი წერდა ბროსეს: „რადგანაც ჩვენი ლიტერატურა თქვენში ახალი დაწყებული არის, პირველს დაბეჭდილებაში არ იქნება შეცთომა არ მოვიდეს, მაგრამ შემდგომსა და შემდგომს დროში კი უკეთ იქმნება. და ამისთვის ორი რამ დაიმარხეთ: ერთი ესე, რაიცა ჩემგან მონაწერები იყოს ხოლმე, კარგათ, გულსმოდგინებით წაიკითხევდე ორჯელ და სამჯერ და რომელსაც სიტყვას ამ აზრს ვერ გაიგონებდე, მომწერდე, უფრო ადვილად განგიმარტებ და ნათლად გიჩვენებ და ცხადად. მეორე, დაბეჭდვაში ძალიან გაუფრთხილდი, რომ არ შეაცდენდნენ, ანუ ქართული წერილობაები რაც იყოს შიგ ჩატანებული, იმათი ასო ან ლექსი ნაკლებად არ მოვიდეს, ან სიტყვა ჰრუდედ. და ზოგს დასაბეჭდს მე გამემართვინებდე და ეგრეთ დააბეჭდინე, რომ ან მე ან თქვენ არავინ დაგვზრახოს, რომ ფრთხილნი არ არიან ლიტერატურაშიო“[14].

[14] წერილები..., გვ. 24.

შემდეგ თეიმურაზი განმეორებით აფრთხილებს ბროსეს: „ეცადე კოველს წერილებში ყოველთვის კარგად წაკითხვას, რომ სწორედ გამოიცნა და მიხვედე, რომელსაც ვერ მიხვედე, მკითხე, რომ ტყუილები არ ჩაგვიწერო, თორემ სირცხვილი იქნება. მერმე ქართველები მე დამცინებენ, აი, ამისთანა შაგირდი გყავსო“[15].

ერთგან თეიმურაზი პრაქტიკულ რჩევას აძლევს ბროსეს: ტექსტი ფურცლის ნახევარზე წერე, რათა მეორე ნახევარზე შესწორებები შევიტანოო[16].

ერთი სიტყვით, ქართული ტექსტების შემოწმების, შესწორების და გამართვის თვალსაზრისით თეიმურაზის დახმარება ბროსესადმი ქმედითი და შედეგიანი იყო.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგებით ხასიათდებოდა დახმარების სხვა ორი მიმართულება. მასალების მიწოდების და საკითხების ახსნა-განმარტების პროცესში თეიმურაზი ახალ-ახალ ნაშრომებს ქმნიდა და უგზავნიდა ბროსეს, რომელმაც თავის მხრივ ბევრი მათგანი პუბლიკაციის საგნად აქცია. თეიმურაზის მუშაობა საქართველოს ისტორიის დარგში უფრო ინტენსიური, მრავალმხრივი და ნაყოფიერი გახდა. ამაში ჩვენ შეიძლება დავინახოთ ბროსეს სასიკეთო გავლენა თეიმურაზის ისტორიოგრაფიულ შემოქმედებაზე. „რაც შენ შემომიკვეთე იმასა ვსწერ...—წერს ერთ წერილში თეიმურაზი ბროსეს—ღმერთს ერწმუნე, ჩემთვის ასეთი შრომა არის ესე, რომ ასამდის სხვასა და სხვას წიგნში გამოვეძივებ. ამ დღით წიგნები გარემო მიყრია და ისე ვკრებ... რა მე შენ გაგიცან, მასუკან ვიწყევ შეკრება და ასეთი რამ უნდა წარმოვადგინო მაგ დიდებულს საზოგადოობაში (იგულისხმება პარიზის „აზიური საზოგადოება“ — შ. ხ.), რომ შეურაცხად არ შეიქმნეს ჩემი ღვაწლი“[17].

ბროსესთან და პარიზის „აზიურ საზოგადოებასთან“ დაკავშირებამ (ბროსეა შუამდგომლობით ამ საზოგადოებამ 1831 წელს თეიმურაზი აირჩია თავის წევრად) განაპირობა თეიმურაზის მიერ რიგი სპეციალური ნარკვევების შექმნა საქართველოს ისტორიის საკითხებზე. ცალკეული საკითხების სპეციალური დამუშავება და მათზე ნარკვევების შექმნა გარკვეულ მეთოდოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს, რომელიც მთლად უცხო არ იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის, მაგრამ მისი ფართოდ გამოყენება და დანერგვა ჩვენს ისტორიოგრაფიაში თეიმურაზის უდავო დამსახურებაა.

ბროსესათვის ახალ-ახალი მასალების მიწოდებისას თეიმურაზი სხვათა ნაშრომებთან ერთად (მან გაუგზავნა ბროსეს ანტონ კათალიკოზისა და დავით ბატონიშვილის გრამატიკული ნაშრომები, ნაწყვეტი მაკრინე ბატონიშვილის ნაწერებიდან ქრონოლოგიის შესახებ და სხვ.) გზავნის პარიზში თავის ორიგინალურ გამოკვლევებს: დავით ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ქეთევან დედოფლის წამებისა და გიორგი სააკაძის სიკვდილის შესახებ. ეს მასალები ბროსემ საერთო სათაურით: „შემოკრებულნი მოთხრობანი საქართველოსათვის“ დაბეჭდა 1833 წელს თავის წიგნში — «Mémoires inedits, relatifs à l'Histoire et à la langue géorgienne». P., 1833.

დავით ბაგრატიონის ისტორიას მან ფრანგული თარგმანიც დაურთო. ეს იყო თეიმურაზის თხზულებათა პირველი პუბლიკაცია.

---

[15] წერილები... გვ. 31.
[16] იქვე, გვ. 50.
[17] იქვე, გვ. 62.

ბროსესათვის სხვადასხვა საკითხებზე ახსნა-განმარტების მიწოდების პროცესში თეიმურაზმა შექმნა საინტერესო ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: რამდენ მეფეს ერქვა საქართველოში გიორგი, რამდენს ვახტანგი?, როგორ დაარსდა ქართული მონასტერი ათონზე, როგორ დაიპყრეს თურქებმა სამცხე საათაბაგო, როგორ იქნა საქართველოში შემოტანილი კვართი უფლისა და სხვ. საყურადღებოა აგრეთვე თეიმურაზის შენიშვნები წმ. ექვთიმეს, დავით და კონსტანტინეს შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფში მოხსენიებული ქართველი პოეტების შესახებ და ა. შ.

თეიმურაზის მრავალი შენიშვნა ეხება სხვადასხვა ქართული სახელწოდებისა და ტერმინის განმარტებას (მას განმარტებული აქვს თბილისის სახელწოდება, დარიალის სახელწოდება, ტერმინი დარანი, უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები და სხვ.). საგანგებოდ მსჯელობს თეიმურაზი ქართული ანბანის წარმოშობაზე, ქართული ასოების მოხაზულობაზე და მათ ნაწილებზე. ამით მან ქართულ პალეოგრაფიას ჩაუყარა საფუძველი. მანვე დიდი წვლილი შეიტანა ქართული მეტროლოგიის, ქრონოლოგიის, სფრაგისტიკის და სხვა დამხმარე დარგების განვითარებაში. მისი ნარკვევები ამ დარგებში ფუძემდებლურია ისტორიული თვალსაზრისით. საინტერესო ნაშრომი დაგვიტოვა თეიმურაზმა ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზეც.

ერთი სიტყვით ბროსესთან კავშირისა და თანამშრომლობის წყალობით თეიმურაზმა გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია მრავალი ახალი ნარკვევითა და მასალით.

თავის მხრივ, თეიმურაზის მასალების საფუძველზე ბროსემ ახალი ნაშრომები გამოაქვეყნა. მან დაბეჭდა პარიზის—„აზიური საზოგადოების“ ჟურნალში ცნობები ქართულ ქრონოლოგიასა და კალენდარზე, მეტროლოგიაზე, სფრაგისტიკაზე და ა. შ.

ამრიგად, თეიურაზისა და ბროსეს ურთიერთობა, ჯერ კიდევ მათ პირად შეხვედრამდე და გაცნობამდე, ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ამას გარდა, უნდა აღინიშნოს ამ თანამშრომლობის ერთი საისტორიო შედეგიც: თეიმურაზის თხოვნით, ბროსემ პარიზში ჩამოასხმევინა ქართული მხედრული წვრილი შრიფტი, რომელიც შემდეგ გამოყენებული იქნა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში ქართული მასალების დასაბეჭდად.

ბროსე სისტემატურად უგზავნიდა თეიმურაზს პარიზის „აზიური საზოგადოების“ ჟურნალებს. თავის მხრივ, თეიმურაზმა გაუგზავნა ბროსეს პირველი ქართული ჟურნალის „ლიტერატურულნი ნაწილნის...“ ერთ-ერთი ნომერი.

თეიმურაზისა და ბროსეს ურთიერთობა კიდევ უფრო ნაყოფიერი ხდება ამ უკანასკნელის პეტერბურგის აკადემიაში არჩევისა და რუსეთში გადმოსახლების შემდეგ. თეიმურაზმა ფართოდ გაუღო ბროსეს თავისი მდიდარი წიგნთსაცავის კარი, სადაც ბროსემ მისთვის ახალი მრავალი ქართული ხელნაწერი იპოვა. აქ გაეცნო იგი „ქართლის ცხოვრების“ კრებულს, ვახუშტის ნაშრომს, ძველი ქართული ლიტერატურის მრავალ ძეგლს.

მარი ბროსეს შუამდგომლობით 1837 წელს თეიმურაზი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს.

ბროსემ ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა თეიმურაზის წიგნთსაცავის კატალოგი. მან ფართო ხასიათი მისცა ქართული ხელნაწერებისა და სხვა ისტორიული მასალების თავმოყრას აკადემიის აზიურ მუზეუმში. თეიმურაზი

კვლავ ეხმარება მას ქართული ტექსტების გამართვაში, ეპიგრაფიკული მასალების ამოკითხვაში, აძლევს რჩევებს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მუშაობის დროს რა მასალებზე გაამახვილოს ყურადღება და სხვ. თეიმურაზის შეწევნით ბროსემ აკადემიის სტამბას ქართული შრიფტი ჩამოასხმევინა.

როდესაც ბროსე დ. ჩუბინაშვილთან და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისათვის სამზადისს შეუდგა, თეიმურაზმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ტექსტის გამართვაში. ამ დროს მან ბროსეს გადასცა თავისი მრავალი წლის ნაშრომი — „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ გამოსაყენებლად და ამასთან თხოვა ფრანგულად ეთარგმნა ეს მისი შრომა.

ო. სენკოვსკის წინააღმდეგ ბროსეს გამოსვლის დროს თეიმურაზმა მიაწოდა მას ზოგიერთი მასალა.

თეიმურაზისა და ბროსეს პირადი კონტაქტების გამო ჩვენ ცოტა შემოგვრჩა წერილობითი ცნობები მათი შემოქმედებითი თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ რომ ეს ურთიერთობა ისევე მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო, როგორც მანამდე, ამაში დაეჭვება შეუძლებელია.

თეიმურაზს მონაწილეობა უნდა მიეღო ძველი ქართული მატიანეების გაძოქვეყნების იმ დიდი გეგმის შედგენაში რომლის განხორციელებასაც ბროსემ მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა.

დასასრულ, გვინდა აქვე მოვიტანოთ თეიმურაზის ცხედართან ბროსეს მიერ ქართულად წარმოთქმული სიტყვის ტექსტი, რომელშიც მადლიერი მოწაფე ახასიათებს თავის მასწავლებელს და აღიარებს მასთან ურთიერთობის დიდ მნიშვნელობას მისი მეცნიერული მოღვაწეობისათვის[17].

„მოწყალენო ხელმწიფენო!

შეკრებილნი ვართ ჩვენ დღეს უკანასკნელისა პატივისცემად, ერთნი მონათესავისა, სხვანი ნაცნობისა კეთილისმყოფელისა, უმოწყალესისა და მფარველისა მე დიდად პატივცემულისა და გულით შეყვარებულისა ოსტატისა და მოძღვრისა ჩემისა. მათის უგანათლებულესობის ბატონიშვილის თეიმურაზისა გიორგი მეფის ძისა.

შობილი წ. 1782. სიყმაწვილისა დროს უნახამს საშინელი მოოხრება ტფილისისა. პაპა მამის სიკუდილი, დასასრული საქართველოს მეფობისა, შემდგომად რამდენთამე წელთა მამულის სიყვარულით გარდაიხვეწა სპარსეთში და იქავ დაჰყო შვიდი წელიწადი. წ. 1810 თავის ნებითა მოვიდა რუსეთში და დაემკვიდრა პეტერბურგს.

ყოველნი აქა მყოფნი ვიცით რაგვარი იყო მოქალაქობა ბატონიშვილისა. უფროსი ერთად ღვთისმოყვარე და თვინიერ დრტვინვისა მისსა ნებასა მორჩილი, მოწყალე გლახაკთათვის, ქართველთა ვინ გინდა ვინ იყვნენ პატივისმცემელი და მყოფელი კეთილისა. ბატონიშვილი თეიმურაზ დღენი და წელნი ცხოვრებისა თვისისა გაატარებდა მშვიდობიანად მონათესავეთა და ნაცნობთა თანა: სტუმართა და ყოველთა მას თანა მოსულთა მეგობრულად მიმღებელი, არც ამპარტავნებისა, არც მრისხანებასა, არაფრის ცუდისა ვნებისა სახეც არ ოდეს არ აჩვენებდა. ერთი სიტყვით, ყოველს საქმეში ბაგრატიონთ გვარობასა და სიქველესა განაცხადებდა.

[17] სიტყვის ჩანაწერი ინახება ბროსეს პირად არქივში, იხ. სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა განყ. P—19 (№ 115). დაბეჭდილი აქვს გ. შარაძეს I, გვ. 143—145.

მსახურნი ერთგულობითა მორჩილობდნენ უმოწყალესსი პატრონსა, ნაცნობნი ყოველთვის სიხარულითა ნახამდნენ პურად კეთილსა მასპინძელსა, მოწათესავეთა რამდენ უყვარდათ გულკეთილი თვისი ნათესავი. რა მოგახსენო თანამეცხედრე მათი დიდად ჩინებული თავადინა ამილახოროვნა ელენე ოთარის ასული, ესოდენ წელს ბედნიერ ყოფილი მათ თანა ცხოვრებითა, ხოლო ახლა უნუგეშისცემოდ დარჩომილი.

აროდეს არ დაივიწყა ბატონიშვილმა თეიმურაზმა მამულის სიყვარული, თუმცა დროთა ვითარებისა გამო ექსორიაქმნილი, საქართველოდამ განშორებული ამაზე ფიქრობდა მარადღე როგორ აღადგინოს სახელი თავის ხალხისა და ქვეყნისა. დილითგან საღამომდინ მკითხველი საქართველოს მატიანეთა ასე ისწავლა ძველი მისი ისტორია და სიტყვიერება, რომ ახლანდელს დროს ამისთანა მეცნიერებაში არ იპოება სწორი მისი. არა მხოლოდ კითხამდა ქართული წიგნები, თვით გადაჰსწერდა, შეასწორებდა უცხო წიგნებსა თანა, თავისა აზრები წერილით დაამტკიცებდა. ჩანს, რაც მაზე დამოკიდებული იყო უნდოდა სიკუდილისა უკან დაეტევა საყოველთაო სამარადისსა მოსახსენებელი თვისისა მამულისა[18].

ამის ძლით მეცა მომიხუდა ბედნიერად ნაცნობობა თეიმურაზ ბატონიშვილთან. ქართულისა ენისა მოთხრობათა და სიტყვიერებათა მეძიებელი უცხო ქვეყანაში მყოფი როგორ ვესავდი შოვნად ამისთანა მაღლისა და მეცნიერის შემწისა და მოძღვარისაგანა. თუ როგორმე მოვასწარი და წინ წარვემართე საქართველოს სწავლაში, თუ როგორმე მოეწონათ ქართველთა ბეჯითობისა ჩემისა მცირეღა ნაყოფი, ვაღვიარებ მაღლის ხმით ვემოწმები, ამისი მოვალე ვარ ბატონისშვილის თეიმუზისა სწავლისა. სასაფლაო მიწის ქვეშე შეგესმან ბატონისშვილო ხმა სიყვარულისა ერთგულებისა მადლობისა ჩვენისა. ხორცი თქვენი აქ დარჩება ადამიანთ გვარობის ვალისა. სული თქვენი ავიდა კვალად სასუფეველში საუკუნო სიხარულისა ნაწილის მისაღებად. სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულში ხატი და მოსახსენებელი თქვენი, შეწუხება დაკარგვისა თქვენისა".

[18] ამის შემდეგ გაგრძელება მოგვაქვს ბროსეს პირად არქივში დაცული სიტყვის სხვა ეგზემპლარიდან, რომელიც შავი ცალი უნდა იყოს.

## სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის „საისტორიო-ფილოლოგიური ჟურნალი“ 1981 წელს

სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის „საისტორიო-ფილოლოგიური ჟურნალი“ (**Պատմա-բանասիրական հանդես**) გამოდის 1958 წლიდან წელიწადში ოთხჯერ და, როგორც სათაურიც მიუთითებს, შეიცავს ისტორიული და ფილოლოგიური ხასიათის მასალებს. ამჟამად მისი მთავარი რედაქტორია მ. ნერსესიანი, რედაქტორის მოადგილე — ა. განალანიანი. ჟურნალს აქვს სტატიების, ცნობების, დისკუსიებისა და განხილვების, პუბლიკაციის, რეცენზიების, სამეცნიერო ინფორმაციისა და ქრონიკის განყოფილებები. ვფიქრობთ, მასში დაბეჭდილი მასალები ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი მკითხველისათვისაც, ამის შესაბამისად აქ წარმოვადგენთ 1981 წლის ნომერში გამოქვეყნებულ, ძირითადად ისტორიული ხასიათის ნაშრომებს, უმეტესობას — მოკლე ანოტაციითურთ.

1981 წლის პირველი ნომრის სტატიების განყოფილებაში დაბეჭდილია ეკონ. ბეცნ. დოქტორის ე. ხოჯაბეკიანის წერილი: „სომხეთის სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარება მეთერთმეტე ხუთწლედში“ და საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დ. ჩხიკვიშვილის — „ერთიანი მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური კულტურა“.

ამავე განყოფილებაში მოთავსებულია ათენელი მკვლევრის ლიონის ბენაკისი — „დავით სომეხი არისტოტელეს ბიზანტიელი კომენტატორების შრომებში“. ავტორი მიზნად ისახავს განსაზღვროს თუ რამდენად არიან დამოკიდებულნი არისტოტელეს ბიზანტიელი კომენტატორები დავით სომეხზე, რომელიც სარგებლობდა განსაკუთრებული ავტორიტეტით ბიზანტიური ეპოქის ფილოსოფოსებში.

ლენინგრადელი მეცნიერი ი. დიაკონოვი აქვეყნებს წერილს სათაურით; „К древневосточному субстрату в армянском языке“.

ცნობების განყოფილებაში ისტ. მეცნ. დოქტორი ა. ამბარიანი და ფიზ.—მათემატ. მეცნ. კანდიდატი ს. ამბარიანი მკითხველს სთავაზობენ წერილს — „ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ფორმირების საკითხი აღმ. სომხეთში (XIX ს. 80-იანი წლების ბოლო)“. ერევნის ჯუბერნიისა და ყარსის ოლქის საეკლესიო და სამრევლო საწარმოთა ჟურნალების მონაცემების ანალიზის საფუძველზე აქ განხილულია ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ფორმირების საკითხი აღ. სომხეთში XIX ს-ის 80-იან წლებში. გამოთვლები შესრულებულია ელექტრონულ-საანგარიშო მანქანა EC—10—30-ით.

შ. ხაჩიკიანის ნაშრომში „გადასაგზავნი ვექსილი სომხურ საეკლესიო ბურჟუაზიის წრეებში“ ავტორის მიზანია გამოიკვლიოს XVII—XVIII სს-ში გადასაგზავნი ვექსილის (ინდოსამენტის) რაობა სომხური საეკლესიო კაპიტალის მოქმედების სფეროში, რომელიც მოიცავდა ირანს, ამიერკავკასიას, რუსეთს, თურქეთს, არაბულ ქვეყნებს, სწვდებოდა დას. ევროპასაც (ვენეცია, ამსტერდამი), ასევე ინდოეთს, ინდოჩინეთს, ფილიპინის კუნძულებს, ინდონეზიას. აქვე ლაპარაკია სხვადასხვა სახის ვექსილთა სურავების ოდენობაზე.

ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ლ. ტერ-პეტროსიანი თავის შრომაში—„მაშტოცის ტრადიცია და სომხური მისია ჰუნთა ქვეყანაში“, ცდილობს ახლებურად გააშუქოს ფსევდოზაქარია რიტორის „ქრონიკის“ ერთი თავი, რომელიც ეძღვნება სომეხი სასულიერო პირების მოღვაწეობას ჩრდ. კავკასიის კასპიისპირა ოლქებში VI ს-ის პირველ ნახევარში. სომხური წყაროების, კერძოდ, მოვსეს კალანკატუაციის მონაცემებით, ავტორი შეეცადება თელის სომეხი მისიონერების საქმიანობა დაუკავშიროს V ს-ის გამოჩენილი მოღვაწის მაშტოცის ტრადიციებს.

ისტ. მეცნ. კანდიდატის რ. მათევოსიანის წერილში „სომხური სამეფოს ადმინისტრაციული წყობა X—XI სს-ში“ შესწავლილია ბაგრატიანების სომხეთის ადმინისტრაციულ — მმართველობითი აპარატის ცვლილებები X—XI სს-ის მანძილზე ქვეყნის შიდაპოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ა. კარაგოზიანის წერილი „ტათევის მონასტრის ახლომდებარე მამულები“, ეხება შუა საუკუნების სომხეთის ერთ-ერთ საეპისკოპო-

* რუსულ ენაზე დაბეჭდილი შრომების სათაურებს ქართულად ავტორი თარგმნით.

სოს — ტათევის მონასტერს, რომელიც ყველაზე შეძლებული იყო იმ პერიოდში. მონასტერთან ახლომდებარე მამულების საზღვრები დადგენილი იყო განსაკუთრებული სიგელით, რომელიც უცვლელად აქვს შეტანილი თავის „ისტორიაში“ სტეფანოს ორბელიანს.

ისტ. მეცნ. კანდიდატის ო. ხნკიანის ნაშრომში — „ჩუგლუგთა ლოკალიზაციის საკითხისათვის“, აღნიშნულია ვეიანბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის საბრძოლო და შრომითი იარაღის-ჩუგლუგის ფართო გავრცელების შესახებ აქაკავკასიის ტერიტორიაზე. თუმცა ლოკალიზაციის საკითხის გადაუჭრელობის გამო არ ხერხდება მათი დამახასიათებელი ნიშნებისა და თავისებურებების განსაზღვრა ცალკეული ლოკალური კერებისათვის, ავტორი ცდილობს გარეგნული ნიშნებით მოახდინოს მათი დაჯგუფება მჭიდროდ დაკავშირებული (ლორე-თრიალეთი, ზანგეზური, ხანლარ-ქედაბეკი) კუთხეების მიხედვით.

ვ. პეტროსიანცი ბეჭდავს-„აპარანის რაიონის ხელნაწერები, ძველი ნაბეჭდი წიგნები და სხვა არქეოგრაფიული მასალა“, სადაც აღწერილია XIII—XIX სს. თხუთმეტი ხელნაწერი, რომელთა შორის ექვსი სახარებაა, ერთი-ლოცვანი, დანარჩენი კი, — ავგაროზები. პირველად ქვეყნდება მათში არსებული ყველა მოსახსენებელი, ჩანიშვნა, მინაწერი.

მოსკოველი მკვლევარი, ისტ. მეცნ. კანდიდატი ვ. იაილენკო აქვეყნებს წერილს საკუთარით „Полемон, царь Армении“. ავტორი მკითხველს სთავაზობს ამფიპოლის აკროპოლზე ნაპოვნი მარმარილოს წარწერიანი ფილის ახლებურ წაკითხვას. მისი პირველი პუბლიკაცია განახორციელა ბერძენმა არქეოლოგმა ე. პელეკიდესმა 1920 წელს.

ისტ. მეცნ. კანდიდატის ი. დოლენკოს ნაშრომში „Свадебный обряд славянского православного населения Армении (конец XIX—начало XX вв.)“ საუბარია XIX ს-ის 30—50-იან წლებში სომხეთში არსებულ რუსულ დასახლებებში საქორწინო რიტუალის შესახებ. დასახლებები შედგებოდნენ სექტანტი (ძირითადად მოლოკანი) გლეხებისაგან, ოფიციალური მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევარ სამხედრო ახალმოშენეებისა და ამავე რელიგიის უკრაინელებისაგან.

დისკუსიისა და განხილვის განყოფილებაში ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ა. მურადიანი აქვეყნებს ნაშრომს „დავით უძლეველის პიროვნების, დროისა და მეცნიერული მემკვიდრეობის საკითხისათვის“, სადაც ხელნაწერების საფუძველზე ავტორი ვარაუდობს, რომ V—VII სს-ში ცნობილი ყველა დავითი (ანჰატი, გრამატიკოსი, პოეტი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი, განმმარტებელი, არაკი, ნერგინაკი და, შეიძლება, ტარონეციც) ერთიდაიგივე პიროვნება— დავით უძლეველია. მისი მოღვაწეობის ხანად მიაჩნია არა ადრე მიღებული V ს-ის დასასრული და VI ს-ის პირველი მეოთხედი, არამედ V საუკუნე. აქედან გამომდინარე ის არ არის ოლიმპიოდორე უმცროსის მოწაფე, როგორც ეს მიაჩნდა ზოგიერთ მკვლევარს. დავით უძლეველს უნდა ეკუთვნოდეს ოთხი ფილოსოფიური ნაშრომის გარდა, დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ თარგმანი და განმარტება და სხვა შრომები, რომლებიც ავსებენ ცნობილი სომეხი მოაზროვნის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

აქვე დაბეჭდილია ო. კარაგოზიანის „Фракийцы на юго-западе Армянского нагорья“ ავტორი აეითარებს იმ აზრს, რომ თრაკოფრიგიელები ანუ მუშქები, რომლებიც ძვ. წ. XII ს-ში შეიჭრნენ სომხეთის მთიანეთში და თითქოს, სომეხთა წინაპრები იყვნენ, სინამდვილეს არ შეეფერება. ო. კარაგოზიანის აზრით, სომეხი ხალხის წარმოშობა დაკავშირებულია არა სხვა მხრიდან მოსულ ტომებთან, არამედ ავტოხტონურ ინდოევროპულ-სომხურ-ენოვან მძლავრ ტომობრივ კავშირებთან და, ნაწილობრივ, ზოგიერთ სხვა დაჯგუფებასთან, რომლებიც შედიოდნენ ინდოევროპულ ან ხურიტულ-ურარტულ ენობრივ ოჯახებში.

პუბლიკაციის განყოფილებაში გამოქვეყნებულია ა. აეეტისიანის „სუმბატ შახაზიზის გამოუქვეყნებელი წერილები“, სადაც წარმოდგენილია სომეხი პოეტ-დემოკრატისა და საზოგადო მოღვაწის, ლაზარევის ინსტიტუტის სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სუმბატ შახაზიზის (1840—1907) ეპისტოლური მემკვიდრეობა.

ვ. ბგელარიანის პუბლიკაციის სათაურია: „1829 წელს შედგენილი სომეხი მოხალისეების სია“. სიის მიხედვით სომეხთა გარდა ჩანან სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც.

კრიტიკის განყოფილებაში ქვეყნდება პ. მურადიანის რეცენზია გ. აბგარიანის რედაქტორობით გამოცემულ „სებეოსის „ისტორიაზე“ და ვ. ამბარცუმიანის რეცენზია ბ. ჩუგასზიანის რედაქტორობით გამოსულ „ცხენებისა და, საერთოდ, სასაპალნე ცხოველთა სამკურნალო წიგნზე (XIII ს)“.

ნ. ვარდანიანის წერილი გვაცნობს ნაშრომს „საზღვარგარეთელი სომხების კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ (1979—1980 წწ.)“.

სამეცნიერო ინფორმაცია აქვეყნებს გ. ტო-

სუნიანის „სომხური ენის კონკორდანსის შედგენის სამუშაოებს“ და კ. ჩერკეზიანის „აფიონ-კარაჰისარის (ცენტრ. ანატოლია) სომხურ თემს (ეთნოგრაფიული მასალები)“.

აქვე დაბეჭდილია მ. ნერსესიანისა და კ. ხუდავერდიანის წერილი მ. ნეჩკინას დაბადებიდან 80 წლის აღსანიშნავად.

1981 წლის მეორე ნომერი იწყნება სტატიით „სომხეთის სსრ მეც. აკადემიის ისტორიული პროფილის ინსტიტუტები 1980-იან წლებში“, სადაც ლაპარაკია ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის და არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ. სტატიის ავტორები არიან ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ისტ. მეცნ. დოქტორი გ. ავეტისიანი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ისტ. მეცნ. დოქტორი ო. ინჯიკიანი და არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი სომხეთის მეცნ. აკად. აკადემიკოსი ბ. არაქელიანი.

ამავე განყოფილებაში წარმოდგენილია პ. აკოფიანის სტატია: „ერვად შახაზიზის ცხოვრება და შრომები (დაბადების 125 წელი), ავტორი ეხება სომეხი ფილოლოგ-ტექსტოლოგის, ისტორიკოსის, ლიტერატურის, კულტურის, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების მკვლევრის ერ. შახაზიზის საქმიანობას. ხაზგასმულია მისი დაინტერესება რუსეთისა და დას. ევროპის მეცნიერულ-კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებით.

აქვეა დაბეჭდილი ისტ. მეც. კანდიდატის გ. ტირაციანის შრომა „ერვანდიანთა სომხეთის ტერიტორია (ძვ. წ-ის VI ს-ის დასასრულიდან ამავე წელთაღრიცხვის III ს-ის დასასრულამდე). სტატიაში ლაპარაკია ურარტუს დაცემის შემდეგ (ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისი) სომხეთის ზეგანზე წარმოქმნილ ერვანდიანთა სომხური სამეფოს (იარსება ძვ. წ. II ს-მდე) ტერიტორიის შესახებ (განხილულია როგორც სომხეთის სატრაპიის, ასევე მეორე ერვანდიანთა სამეფოს ტერიტორიები). ავტორი მსჯელობს ძველი სომხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე, რაც ინტერესს იწვევს ამავე თვალსაზრისით საქართველოსთან დაკავშირებითაც.

რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული მოსკოველი მკვლევრის ა. იუხტის შრომა: „Торговля России со странами Востока во второй половине XVIII в и армянское купечество“.

ისტ. მეც. დოქტორის ა. ტერ-გევონდიანის შრომის სათაურია „არაბული სასაზღვრო სიმაგრეების ზონა (სუგური)“, სადაც ლაპარაკია არაბულ-ბიზანტიური სამასწლოვანი ბრძოლების (VII—X სს) პერიოდში საზღვაფოს შემადგენლობაში არსებული განსაკუთრებული ადმინისტრაციული ერთეულის სასაზღვრო სიმაგრეების—სუგურის ზონაზე, რომელიც მოიცავდა დიდი სომხეთის ზოგიერთ დასავლეთის ოლქს, მცირე სომხეთის ნაწილს და ბიზანტიის ყოფილ ოლქებს—ევფრატიოსსა და კილიკიას.

ა. ბოზოიანის წერილი „სომხურ-ბიზანტიური დიპლომატიური ურთიერთდაპირისპირებულებანი XII ს-ის 60—70-იან წლებში“ ეხება მანუელ კომნენის (1143—1180) მმართველობის წლებში ბიზანტიის სეპარატიულ მოლაპარაკებებს რომაულ-კათოლიკური, სომხური და სირიულ-იაკობიტური უნიის შესაძლებლობის შესახებ. წერილში წარმოჩენილია სომეხ-ბიზანტიელთა მოლაპარაკების მსვლელობა, სადაც ჩანს ორივე ქვეყნის პოლიტიკური მიზნები და ამ გზით მათი მოგვარების ცდები. ხაზგასმულია მოლაპარაკების მთავარი მომენტები მანუელ კომნენსა და სომეხთა კათალიკოსებს ნერსეს IV-სა (1166—1173) და გრიგორ IV-ს (1173—1193) შორის.

ვ. გაისერიანის წერილში „ურარტუს საირიგაციო მშენებლობა მანასკერტის რაიონში“, საუბარია მანასკერტის რ-ის სოფ. ადაში, ხოტანლუსა და მარმოსში აღმოჩენილ ლურმულ წარწერებზე, რომლებმაც ცხადი გახადა, რომ მეფემ მენუამ (810—786 ჩ. წ. ა.) აქ ააშენა ერთ-ერთი უდიდესი საირიგაციო არხი სიგრძით 30 კმ-მდე. მენუას შემდეგ საირიგაციო მშენებლობა მანასკერტის რაიონში გააგრძელა მისმა შვილმა არგიშტი 1-მა (786—764 ჩ. წ. ა.), რომელმაც მდ. დაინალას (არაკსი) მარჯვენა ნაპირიდან გაიყვანა არხი ტუარაცინის ველზე. ამაზე მიუთითებს არგიშტის ცნობილი ხორხორის მატიანე.

რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული ისტ. მეცნ. დოქტორის ს. ესაიანის შრომა „Стратиграфия расписной керамики айгеванского поселения“ და ლენინგრადელი ხელოვნებათმცოდნის ა. კაკოვკინის წერილი „Памятники художественного серебра из армянской церкви св. Екатерины в Петербурге“.

პუბლიკაციის განყოფილებაში დაბეჭდილია „პართია პტოლემაიოსის მიხედვით. „ბერძნული ტექსტი, სომხური თარგმანთა და შენიშვნებით მოამზადა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ე. დანიელიანმა.

ისტ. მეცნ. კანდიდატის ქ. ანანიანის ნაშრომში „Новые документы об Иосифе Эмине“ წარმოდგენილია ორი ავტოგრაფი: პირველი-ინგლისურ ენაზე შედგენილი ი. ემინის წერილია, რომლის ადრესატია რუსეთის ელჩი ლონდონში თავადი ა. გოლიცინი, მეორე დაწერილია ფრანგულად ა. გოლიცინის მიერ რუსეთის კანცლერის გრაფ მ. კრონცოვის სა-

ხელზე. მას თან ახლავს ი. ემინის ზემოთხსენებული წერილის რუსული თარგმანიც.

აღნიშნულ ნომერში ქვეყნდება რეცენზიები: რ. ბარტიკიანისა — ა. გ. მელქონიანი, ადიაბენის სახელმწიფო და სომხეთი; ა. მარქარიანისა და ა. ბოზოიანის—ქრონიკა, რომელიც მიეწერება სმბატ გუნდსტაბლს; შესავალი, თარგმანი და კომენტარები ჟერარ დედეიანისა; ე. ლებედევის (ლენინგრადი) — იბნ ალ-ფაკიჰი, ახბარ ალ-ბულდანი, შესავალი, თარგმანი (რუსულ ენაზე) და კომენტარები ა. ყამკოჩიანისა.

აქვე დაბეჭდილია რ. ბარტიკიანის სამეცნიერო ინფორმაცია: „ბერძნული ენციკლოპედია „ჰიდრია“ სომხეთისა და სომეხთა შესახებ“ და ხ. მუშეღიანის — „ძვირფასი ნუმიზმატიკური კოლექციები“ (ლაპარაკია 1980 წლის 25 იანვარს ერევანში გახსნილ პირველ ნუმიზმატიკურ გამოფენაზე).

ჟურნალის მესამე ნომერში ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მ. მურადიანი ბეჭდავს სტატიას „არმენ ტიგრანიანი“, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კომპოზიტორების უფროსი თაობის წარმომადგენლის, ოპერების „ანუშისა“ და „დავით ბეგის“ ავტორის, არმენ ტიგრანიანის დაბადების 100 წლისთავს.

სომხეთის მეც. აკად. აკადემიკოსი გ. ჯაუკიანი აქვეყნებს წერილს: „მოვსეს ხორენცის „სომხეთის ისტორიის“ პირველი წიგნის საკუთარ სახელთა ენობრივი წყაროები“. ავტორს დასახელებული აქვს წყაროთა სამი რიგი: ბიბლია და მისი კომენტარები, თქმულებები და ბერძნული წერილობითი წყაროები და ძირეული სომხური ან ირანულიდან ნასესხები სახელები.

ფილოლ. მეცნ. დოქტორი ა. ბარტიროსიანი ბეჭდავს — „სომხური ანბანის შექმნის თარიღი“. კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებაში“ სომხური ანბანის შექმნის თარიღი განსაზღვრულია სპარსეთის მეფეთა ქრონოლოგიის საფუძველზე. მაგრამ კორიუნის მონაცემები არ ეთანხმება ისტორიულ მეცნიერებაში მიღებულ თარიღებს. სტატიის ავტორი მკითხველს სთავაზობს კორიუნის ტექსტის ახლებურ განმარტებას. რაც იმაში გამოიხატება, რომ ინარჩუნებს კორიუნის მიერ მითითებულ ყველა მონაცემს, მაგრამ ძველი წყაროების საფუძველზე კრიტიკულად უდგება IV ს-ის დასასრულსა და V ს-ის დასაწყისში არსებულ სპარსთა მეფეების საყოველთაოდ მიღებულ ზეობის წლებს. ასეთი სამუშაოს ჩატარების შედეგად სომხური ანბანის შექმნის თარიღად ცხადდება 405 წელი.

გ. მურადიანს რუსულ ენაზე აქეს გამოქვეყნებული წერილი სათაურით: „Греческая надпись Трдаата I найденная в Гарни“. აღნიშნულმა წარწერამ თავის თავში გააერთიანა ორი ტრადიცია: აქემენიდური (პატივი მიაგოს წარჩინებულ პირს) და ბერძნულ-რომაული (დააფიქსიროს მნიშვნელოვანი ობიექტის (ამ შემთხვევაში გარნის) შენებლობის ფაქტი).

ცნობების განყოფილებაში ფილოლოგიურ მასალებთან ერთად ეხვდებით ისტ. მეც. კანდიდატის მ. აკოფიანის „იზმირის კაზეთი „აირენასერი“ („პატრიოტი“, 1843—1846 წწ.)“. ავტორი აღნიშნავს, რომ XIX ს-ის 40-იან წლებში ჩნდება ტენდენცია — გაზეთმა დაიკავოს აქტიური პოზიცია, გააკრიტიკოს სოციალურ-კულტურული ცხოვრების ნაკლოვანებები, ზემოქმედება მოახდინოს სხვადასხვა მოვლენის მსვლელობაზე. გადაწყვიტოს კონკრეტული საკითხები. ასეთი მიმართულების გამო იზმირის სომხური კოლონიის გაზეთი „აირენასერი“ განიცდიდა დევნას. მიუხედავად ამისა, მან ბოლომდე შეინარჩუნა კრიტიკული სული და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სომხურ პუბლიცისტიკაში.

ისტ. მეცნ. დოქტორი ლ. ბაბაიანი აქვეყნებს ნაშრომს „აბრაამ ერევანცის ისტორიის“ შესახებ. მასში ლაპარაკია XVIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის აბ. ერევანცის „1721—1736 წწ. ომების ისტორიაზე“, რომელიც სანდო წყაროა ირან-ოსმალეთის ომების შესასწავლად. აქვეა ირან-რუსეთის ურთიერთობის ამბები XVIII ს-ის 30-იან წლებში. ირანის შაჰისა და ოსმალეთის სულთნის დამოკიდებულებანი სომეხთა კათალიკოსთან. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ვენიციელ მხითარიანთა ხელნაწერების კრებულში ნაპოვნია თვითონ აბ. ერევანცის ხელნაწერი, რომელიც გამოიცა 1977 წელს.

მ. დარბინიან-მელიქიანს ეკუთვნის „შენიშვნები იოანე დრასხანაკერტაცის „ისტორიასთან“ დაკავშირებით“. ავტორი ცდილობს დრასხანაკერტაცის და სხვა წყაროების მონაცემების საფუძველზე დააზუსტოს 700—704 წლებში მომხდარი ზოგიერთი მოვლენის თარიღი. ასევე იკვლევს მთელი რიგი გამოთქმების მნიშვნელობას და ასწორებს თხზულების ზოგიერთ ადგილს.

ა. ვარდუმიანი ბეჭდავს „მინას ბჟიშკიანი და ახალი სომხური ნოტაციის შექმნის საკითხები“. ვენეციელ მხითარიანთა კონგრეგაციის წევრი მინას ბჟიშკიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში. ცნობილია როგორც ისტორიკოსი, ფილოლოგი და ეთნოგრაფი, თუმცა ამავე დროს იყო მუსიკათმცოდნეც. ამ დარგში მისი ერთადერთი ნაშრომი დაიწერა 1815 წელს

და მიძღვნილია სომხური ნოტაციის ახალი სისტემის შექმნისადმი. შრომა გამოუქვეყნებელია, მაგრამ მის შესახებ არსებობს ლ. ტაიანის სტატია — „თანამედროვე სომხური ნოტაცია და მინას ბეიშკიანი", სადაც მოტანილია ძრავალრიცხოვანი ციტატა მ. ბეიშკიანის ნაწარმოებიდან.

ისტ. მეცნ. კანდიდატს ს. პეტროსიანს ეკუთვნის—„მარცელოვანთა კულტურისა და კულტივირების ანარეკლი შარას თქმულებებში". ავტორის მიხედვით ძველი სომხური ეპიკური თქმულებების შესაბამისად „შარა" არის შირაკისა და მის მახლობლად მდებარე რაიონების, ანუ სტრაბონის „სარაპარების Σαραπαρας <šara—par) უძველესი მოსახლეობის ეპონიმი. Šara იმავე წარმომაელობისაა, რაც ეთნონიმი šarapar და ტოპონიმი Ašar—uni—k'/Ašor-ni-k', ასევე სომხური ašara/ašora, რაც მიუთითებს მარცელეულთა სხვადასხვა სახეობაზე.

ს. ამაიაკიანი ბეჭდავს—„ურარტული პანთეონის სიწმინდეებს". ეს „სიწმინდენი" ძირითადად ცნობილი გახდა „მგერი დურის" წარწერებიდან, სადაც ისინი გამაწილებული არიან თხუთმეტ ჯგუფად. ამათგან სამი განეკუთვნება ურარტულ ღმერთებს, სამი-ქალღმერთებს, ხოლო ცხრა — „სიწმინდეებს". თვითეული ჯგუფი შედგენილია მახლობელი წევრებისაგან, რაც საშუალებას იძლევა გახმარტებულ იქნას ზოგიერთი გაუგებარი სიტყვა.

არქიტექტურის დოქტორი ა. თორმანიანი რუსულ ენაზე აქვეყნებს შრომას სათაურით „К изучению строительной деятельности армян в Румынии. Роман, Фокшаны, Яссы и др." ასევე რუსულადაა დაბეჭდილი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ა. ციციანის — „Древнее изображение смычкового инструмента из раскопок Двина".

დისკუსიისა და განხილვის განყოფილება მკითხველს სთავაზობს ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატის მ. მხითარიანის — „კიდევ ერთხელ სარგის ვარშამიანცის წერილებზე შესახებ"; აქვეა ფილოლ. მეცნ. კანდიდატის ლ. აეანესიანის „ირანულიდან ნასესხებად მიჩნეული ზოგიერთი სომხური სიტყვის გამო". ავტორი სადავოდ მიიჩნევს ისეთი სიტყვებიც ირანულთან კავშირს, როგორიცაა „ωιωն" „ავან"—სოფელი), „իշխան" („იშხან"—დიდებული) და სხვ. და შესაბამისად უკავშირებს მათ ურარტულსა და ხეთურს.

რუსულ ენაზეა დაბეჭდილი რ. კაზარიანის „К проблеме техники леваллуа".

აქვეა რეცენზიები: რ. სააკიანისა—ლ. ა. ასმარიანი, სომხური ლიტერატურული კრიტიკა XIX ს-ის 70—80-იან წლებში და ვ. პუცკოსი (პოლონეთი). — Лилит Закарян, „Из истории васпураканской миниатюры".

სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილებაში მოთავსებულია გ. ტირაციანისა და ი. კარაპეტიანის — „1974—1976 წლების არმაეირის გათხრები" და ვ. პეტროსიანცის „ღვთისმშობლის ეკლესია და სოფ. მრაეიანის წარწერები".

1981 წლის მეოთხე ნომერი იწყნება სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მილოცვით-ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნეეის დაბადების 75 წელი".

სტატიების განყოფილებაში არქიტ. დოქტორი ს. მნაცაკანიანი გვთავაზობს „ანის სასახლე—რეზიდენციებს", სადაც გაანალიზებულია ანისის ორი შენობა „მანუჩეს მეჩეთი" (X ს-ის მეორე ნახევ.) და „პაპონის სასახლე" (XIII ს.). ავტორის დასკვნით არქიტექტურული კომპოზიციის მიხედვით ორივე ნაგებობა წარმოადგენს ქალაქის გამაგრებულ სასახლეს, რომლებიც სასტუმროსთან არიან შერწყმული.

პროფ. მაიკლ ე. სტოუნის (ჰოლანდია) შრომა სომხურ ენაზეა წარმოდგენილი — „სინაის სომხური წარწერები", საღაც ლაპარაკია უკანასკნელ წლებში სინაის ნახევარკუნძულზე მომუშავე ექსპედიციის მიერ გამოვლენილ წარწერათა დიდ კოლექციაზე, რომელშიც 113 შესრულებულია სომხურ ენაზე, ხოლო 20—ქართულზე. წარწერების უმეტესობა მლოცველების მოსახსენებლებს წარმოადგენს და განეკუთვნება VI—X სს. ჩანს, ალნიშნულ პერიოდში სომეხთა მოგზაურობას საღოცავად „აღთქმულ ქვეყანაში ინტენსიური ხასიათი ჰქონდა.

ცნობების განყოფილებაში, კარდა ფილოლოგიური ხასიათის შრომებისა, მკითხველი გაეცნობა ისტ. მეცნ. კანდიდატის ა. მარგარიანის — „სომხეთსა და საქართველოზე ჯალალ ად-დინის თავდასხმების ისტორიისათვის". ავტორი ცდილობს სომხური და ქართული პირველწყაროების მოშველიებით და არაბულ—სპარსული ცნობების გათვალისწინებით (იბნ-ალ-ასირი, ან-ნასავი, ალ-ბაღდადი, ჯუვეინი, რაშიდ ად-დინი) დაახზუსტოს ჯალალ ად-დინის თავდასხმების ქრონოლოგია, ხვარაზმელების მოძრაობის მარშრუტები. ანალიზებს სომეხი და ქართველი ხალხების ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ. განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ქართველთა დამარცხების მიზეზების გარკვევას და ამიერკავკასიის შიდაპოლიტიკური სიტუაციის შეფასებას ახლო აღმოსავლეთის ვითარების გათვალისწინებით XIII ს-ის 30-ან წლებში.

ა. აკოფიანის წერილის სათაურია „კათალიკოს ელია არჯიშეცის ახლადაღმოჩენილი

სიგელი". მასში ლაპარაკია მატენადარანში არსებულ ერთ დოკუმენტზე, რომელიც წარმოადგენს პარტავის 704 წლის კრებას გადაწყვეტილებას. ამავე საკითხზე მოთხრობილია მოვსეს კალანკატვაცის „ალვანეთის ისტორიის" მესამე წიგნის III—X თავებში, თუმცა სიგელი წარმოდგენილია შემოკლებით. ა. აკოფიანს მიაჩნია, რომ მ. კალანკატვაციმ შეგნებულად შეცვალა ტექსტის ნაწილი და თავის მხრივ დაუმატა ის, რომ სომეხი კათალიკოსები ხელდასხმულნი უნდა ყოფილიყვნენ ალვანელი კათალიკოსების მიერ. ეს მომენტი შენიშნა „ალვანეთის ისტორიის" XIII ს-ის ნუსხაში ჯერ კიდევ XVII ს-ის გადამწერმა და შეასწორა ტექსტი ზემოთ ნახსენები დოკუმენტის მიხედვით. ელია კათალიკოსის სიგელი აზუსტებს 704 წლის პარტავის კრების თარიღსაც (27—28 თებერვალს შორის).

მ. ჯევაჰირჭიანს ეკუთვნის „შუა საუკუნეების კოსიტარა და რუბენიანები". სტატიაში განხილულია კილიკიის სომეხი უფლისწულის, რუბენიანთა დინასტიის წარმომადგენლის ტოროს I-ის (1100—1123) მონეტას ლეგენდა, რომელიც ასე იკითხება: „რუბენის შვილის ტოროსის ციხესიმაგრე კოსიტარა", აქვე დეტალურადაა აღწერილი ის სამლოცველო, რომელიც ითვლება „კოსიტარას ცხოველმყოფელი წმინდა ჯვრის" საცავ ადგილად. საკითხთან დაკავშირებით ლაპარაკია კილიკიის სომხეთის პოლიტიკურ ამბებზეც.

ისტ. მეცნ. კანდიდატის ე. დანიელიანის ნაშრომში: „ხოსროე ფარვიზის პოლიტიკა სომხურ ეკლესიასთან დაკავშირებით" აღნიშნულია, რომ VII ს-ის დასაწყისში სასანური ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა დამოკიდებულება ქრისტიანულ რელიგიასთან, განსაკუთრებით კი სომხურ მონოფიზიტურ სარწმუნოებასთან. წყაროების (სებეოსი, სტ. ორბელიანი) მონაცემებისა და შესაბამისი გამოკვლევების (ე. ტერ-მინასიანის, მ. ორმანიანის, ლეოს, ნ. ადონცის, ნ. აკინიანის, გ. ლაპკინის, ნ. პიგულევსკაიას, რ. ფრაის და სხვ.) საფუძველზე ავტორი განიხილავს ხოსროე II ფარვიზის პოლიტიკაში სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასთან ურთიერთობის საკითხს და მიუთითებს სასანური სახელმწიფოს ღრმა კრიზისზე როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ და ზოროასტრული იდეოლოგიის თვალსაზრისით.

ისტ. მეცნ. კანდიდატს ა. ჟამკოჩიანს ეკუთვნის არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომი: „დვინსა და ანისში მოპოვებული ზედნადები ნიღბებით დამშვენებული სასმისები". დასახელებულ ქალაქებში აღმოჩენილ იქნა ქაშანურის სასმისები და მათი ფრაგმენტები დაშვენებული ზედნადები ნიღბებით. ნიღბები გამოხატავენ ადამიანთა (ქალთა და მამაკაცთა) და ცხოველთა (დათვის, მგლის, ლომის) სახეებს. შესრულებული არიან დიდი გულმოდგინებით და განლაგებული სასმისებზე მხატვრული გემოვნებით. მასალა სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით თარიღდება XII—XIII სს-ით. ავტორი აანალიზებს სასმისთა მორთულობას, უპირისპირებს წერილობითი წყაროების მონაცემებს და დაასკვნის, რომ ამ აღმოჩენით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ შუა საუკუნეების სომხური თეატრის ნიღბების სახეობათა შესახებაც.

ფილოლ. მეცნ. კანდიდატს პ. მურადიანს ეკუთვნის რუსულ ენაზე გამოქვეყნებული წერილი **„Из армянской эпиграфики Грузии"**, სადაც საუბარია ქანდის წმინდა ღვთისმშობლის სომხური ეკლესიის ჩრდ. კედლის სომხურ აღმშენებლობით წარწერაზე, რომელიც დათარიღებულია 1471 წლით. ასევე— კავთისხევის სომხურ ეკლესიაში ნაპოვნი ხაჩკარის (ქვაჯვარი) 1593 წლის წარწერასა და კავთისხევშივე მდგარ სომეხთა საკულტო ნაგებობა — „ქვირაცხოვლის" ეკლესიის ხაჩკარის 1595 წლის წარწერაზე. აქვე მოცემულია მათი ანალიზი და წარმოჩენილია ის მიზეზები, რომლებმაც სომეხი მოსახლეობა მიიყვანა შიდა ქართლში. მიმოხილულია პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციები შესაბამის პერიოდში.

აქვე ვხვდებით რამოდენიმე პუბლიკაციას: რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული მ. ნერსესიანის, ა. არუთიანიანისა და დ. მურადიანის **„Материалы о генерале Андронике"**, პროფ. ა. ატაიანი მკითხველს აწვდის „მაკარ ეკმალიანის ხუთ წერილს ეპრემ მანკუნისთან", ა. შეკინიანი აქვეყნებს „ანდრია მურავიოვის და ნერსეს აშტარაკეცის მიმოწერას", ხოლო ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ე. ვარდანიანი— „ანდრეას არწრუნის წერილებს გრიგორ არწრუნისთან".

ამავე ნომერში დაბეჭდილია რეცენზიები: ფილოლ. მეცნ. დოქტორის გ. სტეფანიანის — „არშაკ ჩობანიანის წერილები", გამოცემული

გ. აზნაურიანის მიერ; ფილოლ. მეცნ. დოქტორის ვ. არაქელიანის — „ანანია შირაკეცი, რჩეული შრომები“, თარგმანი ა. აბრამიანისა და გ. პეტროსიანის; ფილოლ. მეცნ. კანდიდატის ლ. ტერ-პეტროსიანის — „ახალი სომენოლოგიური გამოცემები“.

სამეცნიერო ინფორმაციის უანყოფილება გვთავაზობს ისტ. მეცნ. კანდიდატის ო. ხნკოკიანის „ახლად აღმოჩენილი ძეგლი გორისაში“, ისტ. მეცნ. კანდიდატების ს. ესაიანისა და ე. ავეტისიანის „ლორეში ნაპოვნ ბრინჯაოს სარტყელებს“, ა. გავრილოვას „10 лет феодосийского лапидария“ და პ. ჩობანიანის „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნეს“ კავკასიათმცოდნეობით და აღმოსავლეთმცოდნეობით მასალებს“.

აქვე მოცემულია 1981 წლის „ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალის“ ყველა ნომრის შინაარსი.

**ლიანა დავლიანიძე**